რამაზ ნამიჭეიშვილი

ეკონომიკის მიტაცება და ეროვნულ სივრცეში მისი დაბრუნების შესაძლებლობები

ასოციაცია მეცნიერებისათვის
ASSOCIATION SCIENC

ქუთაისი
2018

ნამიჭეიშვილი რ. ეკონომიკის მიტაცება და ეროვნულ სივრცეში მისი დაბრუნების შესაძლებლობები. ქუთაისი, 2018. -გვ.

განხილულია მსოფლიოში მიმდინარე გლობალური ეკონომიკური პროცესები, რომელმაც ნაციონალური ქვეყნების, კერძოდ საქართველოს ხელისუფლებაში საშუალო და უფრო დაბალი ნიჭის ინტერვენცია გამოიწვია და ელიტურ ინტელექტუალებს ხელისუფლების უმაღლესი ეშელონებისაკენ გზა გადაუკეტა.

მოკვლეულია ფაქტორები და წარმოდგენილია მიზეზები, რომლის მიხედვით მოსახლეობის მასობრივი გაღატაკება და ლუმპენიზაცია „ეროვნული“ ხელისუფლების შეგნებული მოქმედებაა, ვინაიდან ქვეყნის პოლიტიკურ ელიტაში ჩანერგილი ორფეხობა თავიანთი უცხოელი მფარველების-ერთიანი მსოფლიო მეურნეობის კონსტრუქტორების საქმის მწარმოებლები არიან და იმდენად „ინტერნაციონალები“, რომ საკუთარი ქვეყნისა და ხალხის სამსახურს, მათი მესამარეობა არჩიეს და ხელებდაკაპიწებულები აკი გულმოდგინედაც ირჯებიან. ეკონომიკა მიტაცებულია, მაგრამ მისი ეროვნულ სივრეში დაბრუნების შესაძლბლობები არსებითია. თუმცა მდგომარეობას ართულებს ის, რომ საზოგადოებრივი აზროვნება ლუციფერის ტყვეობაშია.

წარმოჩენილია საქართველოს ეროვნული ტრადიციული ინტეგრალური რესურსები, რომლის ამოქმედება სამშობლოს ნაციონალური თვითმყობადობის შენარჩუნების ხელუხლებელი გარანტიაა.

წიგნი განკუთვნილია მაგისტრების, დოქტორანტების და ქართული ეკონომიკის რეფორმირების პრობლემებით დაინტერესებულ მკითხველისთვის.

ASSOCIATION SCIENC

ცისფერთვალება შვილიშვილს რუსა ნამიჭეიშვილს, რომელსაც იმედის თვალი ვუყურებ, ვუძღვნი ამ წიგნს.

ასოციაციაშემეცნიერებისათვის
ASSOCIATION SCIENC

იბეჭდება დიდი ნიკო ნიკოლაძის 175 წლის იუბილესთან დაკავშირებით

შესავალი

სიტყვა „კრიზისი“ ბერძნულია და ღვთის სამართალს ნიშნავს. ვინც კრიზისებს ხელოვნურად ქნის, თვითონ აღმოჩნდებს უმძიმეს კრიზისში. თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ ხელოვნურად შექმნილ კრიზსს იქვე მოყვება მისი შემოქმედის ღვთიური სასჯელი. კაცობრიობა კრიზისების საკმაოდ გრძელი ისტორიის მოწმეა. თანამედროვე სამყაროს კრიზისი უპრეცედენტოა თავისი მასშტაბებითა და კომპლექსურობით. დღევანდელი სამყაროს კრიზისი უკედეგანოდ გლობალურია და კომპლექსურად ყოვლისმომცველი. იგი ნეოლიბერალური ეპოქის ინოვაციაა. ნეოლიბერალიზმი ბოროტი აზროვნების გვიანდელი ჩანაფიქრია, რომელმაც მე-20 საუკუნეში გაიღვიძა და უმრავლესობის აზროვნებაში დაიდო ბინა მზაკვარი უმცირესობის მეცადინეობით. დააჯერეს და დაიჯერეს, რომ ეკონომიკის მართვაში სახელმწიფო არ უნდა ერეოდეს, ადამიანები თვითონ მოაგვარებენ წარმოების პრობლემებს ინდივიდუალური თავისუფლების საფუძველზე. სახელმწიფო უნდა გათავისუფლდეს ეკონომიკის მეურვეობისაგან, ადამიანებზე მზრუნველობისაგან. სახელმწიფოს საქმე არ არის ეკონომიკის დარგების მართვა და მათ განვითარებაზე ზრუნვა. მან მხოლოდ ეკონომიკის ინფრასტრუქტურაზე, სამხედრო საქმესა და საგარეო ურთიერთობებზე უნდა იზრუნვოს. ასეთ ნაფიქრალს ეკონომიკური თეორია დაარქვეს და ავტორებს ნობელის პრემიებიც მიანიჭეს. ეკონომიკური ზღაპარიც არსებობს. „დღეს ჩიკაგოს ეკონომისტები, თეორიულად რომ დაასაბუთონ გლობალიზაცია და მსოფლიო ფინანსური ორგანიზციების პოლიტიკა, კაცობრიობას ტვინს უმღვრევენ: სახელმწიფო და მუნიციპალური მთავრობები არ უნდა ჩაერიონ ეკონომიკაში. რეალურად ჩიკაგოს მერი საზოგადოებრივი ფონდების მილიონობით დოლარს ხარჯავს ინკუბატორების შექმნაზე მეცნიერებატევადი წარმოებისთვის“[1].

…გამოდის, რომ რეალურად კეთილშობილური ეკონომიკური რიტორიკა ვარგისია მხოლოდ საექსპორტოდ, ხოლო “შიდა მოხმარებისთვის“ სხვა პრაგმატული, პრინციპები გამოიყენება“[2].

ნეოლიბერალიზმის წარმოშობას უკავშირებენ ლ. მიზესის სახელს, რომელიც სოციალიზმს ვერ იტანდა, რომლის იდეა განავითარა ფ. ჰაიეკმა და ნობელის პრემიაც დაიმსახურა. მისი აზრით, სახელმწიფოს ჩარევა ამუხრუჭრებს საბაზრო ეკონომიკის ეფექტიანობას და ეკონომიკას ახალ პრობლემებს უქმნის. ფულის რაოდენობრიობის თეორიასაც იზიარებდა, ისიც მონეტარიზმის პოზიციებზე იდგა, რომელიც მერე განავითარა მისმა ამერიკელმა კოლეგამ მ. ფრიდმანმა და იმასაც ნობელის პრემია ხვდა წილად. გაჩნდა იდეოლოგიური მიმართულება, რომლის თანახმად სახელმწიფოს ფუნქცია დაიყვანება გადასახადების ამოღებასა და ეკონომიკის რეგულირებაზე კანონმდებლური აქტებით და ნორმატივებით. მისი გაგრძელება ასეთია: ეკონომიკა უნდა გადავიდეს კერძო მესაკუთრეთა ხელში პრივატიზების საშუალებით და სახელმწიფომ დაიტოვოს ღამის დარაჯის ფუნქციები. ბაზარი მოთხოვნა-მიწოდების მექანიზმით დაარეგულირებს ეკონომიკის განვითარებას და მიღწეული იქნება სოციალური თანასწორობა. მოხდა ისე, როგორც ამას აღწერს დაკითხვის ოქმში ტროცკისტი რაკოვსკი (მხედველობაშია წიგნი: „წითელი სიმფონია“). ხელისუფლება ბანკირებმა მიიტაცეს და საკუთარი ხალხის მტრად აქციეს. ფულმა ძალაუფლების პორტფელი მოიპოვა. ქვეყნის ხელისუფლება რენეგატი გახდა, და გამოიკვეთა მათ შორს გამიზნული სტრატეგია-მსოფლიო მეურნეობის ფორმირება, მშრომელი ადამიანების უპრეცედენტო პროლეტარიზაცია, დამონება მცირერიცხოვანი, მაგრამ უმდიდრესი კორპორაციების მიერ. განა შეიძლება მოსახლეობის გაღატაკების ღონისძიებებს თეორია ეწოდოს? ამ „თეორიამ“ ყველაზე კარგი ნიადაგი საქართველოში იპოვა. ბარბაროსულიად, ტოტალურად დაიტაცეს ხალხისა და ქვეყნის ეკონომიკა, გროშებად გაყიდეს ან მუქთად მიითვისეს. არის ღვთისაგან ბოძებული სიმდიდრე და კიდევ ადამიანის მიერ საკუთარი უნარით შეძენილი.

არანაირ მთავრობას არა აქვს უფლება გაუყიდოს ქვეყანას მიწა, ტყეები, წიაღისეული, წყლის მარაგები და ქონება, რომელიც წინა თაობების შრომის აკუმულაციაა. ამის თაობაზე რომანტიკოსი ეკონომისტებიც წერდნენ. არც ახლა ვწერ მე ამას პირველად. ენერგეტიკული რესურსების კერძო სექტორში გადაცემის კატეგორიული წინააღმდეგი ვიყავი. არ მომიწონა ქალაქ ქუთაისის მაშინდელმა მერიამ, ინგლისში ენერგეტიკა კერძო სექტორიაო. ახლა ხომ ჭკუაზე გადავლენ, ეს რა დაგვართიაო! სწორია უმაღლესი ინტელექტუალი ლინდონ ლარუში, ეკონომიკა უფრო მეტია, ვიდრე მეცნიერება. რისთვისაც მეექვსე გრძნობაა საჭირო, წარმოიდგინო თუ რას მოიტანს ესა თუ ის ეკონომიკური ჩანაფიქრი. ჩვენ არა, მაგრამ ეს კარგად იციან ბოროტი აზროვნების უმაღლესმა ინტელექტუალებმა, და

---

[1] Эрик С. Райнерт. Как богатые страны стали богатыми, почему бедные страны остались бедными. vk.com/doc5787984-_437027564/c.51

[2] იქვე, გვ. 52

ვიდრე საზოგადოება გონს მოეგება, მათი მიზანი უკვე მიღწეულია. დიდებული ნათქვამია: ჩვენთვის თანაბრად მნიშვნელოვანია მიზანი და ეფექტიანობა, მაგრამ თუ მათ შორის არჩევანი აუცილებელია, სჯობია დაზარალდეს ეფექტიანობა. უნდა მივეხმაროთ ავტორს და გავახსენოთ, რომ მიზანი ზნეობრივი უნდა იყოს, თორემ უზნეო მიზანი რასაც მოიტანს, ჩვენ უკვე საკუთარ ტყავზე ვიწვნიეთ.

ნიჭი ბევრ ადამიანს აქვს, მაგრამ ფულიანებმა იციან მათი სისუსტეები და არ ეძნელებათ ამგვარი ადამიანების მართვა. სოციალურ შეკვეთად ეთვლებათ ადამ სმიტს ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩაურევლობის დოქტრინა, კარლ მარქსს-პროლეტარული რევოლუცია. ძნელია აგრეთვე დაიჯერო, რომ ლ. მიზესს, მ. ფრიდმანს ან ფ. ჰაიეკს არ ესმოდათ თუ რა უბედურებას მოუტანდა მოსახლეობის უმრავლესობას მონეტარიზმის „თეორია“. მაგრამ სული ჰქონდათ მიყიდული ფულზე და სხვების ბედი არ აინტერესებდათ. რამდენმა მეცნიერმა წაიღო საფლავში საკაცობრიო გამოგონება რაკი იცოდა, რომ იგი სიკეთეს არ მოუტანდა ადამიანებს. მალე სამი ათეული წელიწადი ჩაიარს და არ ეღირსა საქართველოს ხელისუფლება, რომელიც მისი ქვეყნისა და ხალხის ბედზე იფიქრებდა. ქართველი, თუ გაყიდული ქრისტიანი არის, სამშობლოს უბოროტესი მტერი იქნება. გაუჭირდება ისტორიკოსებს დათვალონ თუ რა უბედურება მოუტანა ამ ქვეყანას ბოლო 25 წლის მანძილზე ხელისუფლებაში მყოფმა გადაგვარებულმა და გაუნათლებელმა „არისტოკრატიამ“, რომელიც გარედან 300-თა კომიტეტის მიერ იმართება. მატერიალიზმი იმ დონემდე აბობოქრდა, რომ სულიერება სასაცილოდ გაიხადა, სინდისი-ანაქრონიზმად, სექსი-ცხოვრების წესად, სიყვარული-ჩამორჩენილობად, მაშინ როცა აღვირახსნილობა, ტრეფიკინგი და ბორდელიზაცია ჩვენს არსებობას ბოლო წერტილს უსვამს. შევიდა საზოგადოებრივი აზროვნება ჩიხში, საიდანაც თვითონ ვერ გამოვა. ახალი თაობა უნდა გაუძღვეს ერს, რომელიც იმ მეცნიერებიდან მოდიან განათლების სისტემიდან რომ გაუშვეს ქვეყნის მტრებმა და იზოლაციაში დატოვეს, მაგრამ ჯერ კიდევ არსებობენ ინტელექტუალებად.

ჩვენ მარტო ღვთიური ადგილი და გარემო კი არ გვაქვს, უნიჭიერესი ადამიანები გვეზრდებოდა და ახლაც გვყავს და გვეზრდება, მაგრამ ბოროტმა გენიამ ჩვენი ცხოვრებიდან საშუალო და უფრო დაბალი ნიჭი გამოიძახა და თავზე დაასვა ქვეყანას. მთავრობა ხალხის მტრად იქცა და ნაცვლად იმისა, რომ მისი მსახური იყოს, კისერზე დააჯდა და ნაცარქექიასავით სადგისით სისხლს ანთხევინებს. 180 ლარიან პენსიას ამადლის-საცხოვრებელ მინიმუზე მეტიაო. დიდი ხანია იბრძვიან მასონები და სხვა ფარული ორგანიზაციები ხელში რომ ჩაიგდონ მთელი მსოფლიოს მმართველობა. დღეისთვის იგი იმდენად ძლიერია, რომ აღარც მიიჩნევს თავს ფარულ ორგანიზაციად და ერთიანი მეურნეობის შექმნაზე აქვს ღია პრეტენზია. იგი გაბედულად მოქმედებს ისეთი საერთაშორისო ორგანიზაციებით, როგორიცაა გაერო, ნატო, საერთაშორისო სავალუტო ფონდი, ანგარიშების საერთაშორისო ბანკი, უმსხვილესი კორპორაციები და ინსტიტუტები. მან უკვე გავლენა მოიპოვა თითქმის ყველა განვითარებული ქვეყნის ხელისუფლებაზე, რომელსაც თავს ახვევს ერთიანი მსოფლიო მეურნეობის იდეას, შესაბამისი კანონების მიღებას და კიდევ სხვა სახის ნორმატიული აქტების ცხოვრებაში დამკვიდრებას.

მსოფლიო ერთიანი მეურნეობის კონსტრუქტორებს ხელს უშლის ნაციონალურობა, ეროვნული ფასეულობები და პლანეტის შვიდ მილიარდზე მეტი მოსახლეობა. ამიტომ დადგა დღის წესრიგში ოჯახის, როგორც ნაციონალობის ინსტიტუტის, ასევე, ქორწინების ქრისტიანული სიწმინდის მოშლა, ღვთის რწმენა და სინდის-ნამუსის ანაქრონიზმი; პატრიოტიზმი, თაობათა შორის კავშირი, ნაციონალური პასუხისმგებლობა, პიროვნული თავისუფლება, შემოქმედებითი ინიციატივა და ა.შ., წარსულის გადმონაშთებად მიიჩნიეს. ჩვენ თვითონ ვართ უშუალო მოწმენი თუ როგორ იმრავლა ანგარებამ, ტყუილების კორინატელმა, განქორწინებების შემთხვევებმა, გმირული წარსულისადმი უპატივცემულობამ, გარყვნილებამ, სექსუალურმა თავაშვებულობამ, უსირცხვილობამ, ნიჰილიზმმა და აპათიამ, მატერიალურმა სიხარბემ, გაუცხოებამ. ამას ხელს ვეღარ უშლით, წაგვართვეს შვილები და გადაიბირეს თავიანთ მხარეს, ქალები ოჯახიდან გამოდევნეს და ნახევარი საქართველო დედების გარეშეა... „უდედოდ გაზრდა ვინა თქვა შვილისა“.

ქართველების გადაშენების რეცეპტს სისხლისმსემლმა შაჰ-აბასმა მიაგნო: ქრისტიანობის გადავიწყება, ქალების გათახსირება და ვაზის აჩეხვა. დღევანდელ საქართველოს ლუკმა პურს კი უგზავნიან აქეთ დარჩენილ შვილებსა და მშობლებს იქეთ გაქცეულები, მაგრამ ხელის გულიდან გაწვდენილი პურით მხოლოდ ფრინველისა და ცხოველის მიჩვევა თუ შეიძლება. კაცი თუ თავისი ოფლით არ იპოვის პურს არსობისას, გადაგვარდება და აღარაც თანაგრძნობა ექნება და აღარც სიბრალული. ნამდვილი ადამიანი ტანჯვაში იბადება. ახლა მსოფლიოს 1800 მეტი პარაზიტი მილიარდერი ჰყავს, რომელთა ერთობლივი კაპიტალი განვითარებული ქვეყნების მთლიან ნაციონალურ პროდუქტზე მეტია. იმათ რომ ადამიანის ოდნავი სიბრალული ჰქონდეთ, ახლა მსოფლიოში მშიერი ადამიანი აღარ იქნებოდა. აგერ კიდევ 150 ქურდ ქართველ მილიონერს მთელი

ქვეყნის ხსნა შეუძლია, მაგრამ ხელიდან არაფერი წასცდება. ქვეყანა შენი ხალხიან და მიწიანად უნდა გიყვარდეს, თორემ ლამაზი ბუნება მერცხალსაც იზიდავს ცხრა მთას იქედან.

ქართული ეროვნული ეკონომიკა უკვე არ არსებობს, ეკონომიკა მიტაცებული აქვს კორპორაციებს ამ ჩვენი, ნამდვილად მართლა უბედური, მთავრობის და ხელისუფლების მეშვეობით. ყველა ეკონომიკური სიმაღლე უცხოელი ბანკირებისა და კორპორაციების ხელშია. აქეთ იმას ლაყბობენ- ინვესტიციები შემოვა, გასაყიდი ჯერ კიდევ ბევრია, ავშენდებითო. ეკონომიკა ისეთია როგორიც ხალხია, როგორიცაა მისი განათლება. გავიდა მეოთხედ საუკუნეზე მეტი. კი არ ვაშენებთ, ვყიდით, ვინაიდან ეს ფარული მთავრობის პოლიტიკაა. წინ ჩვენ კიდევ ბევრნაირი უბედურება გველოდება. ჯერ ერთი, არ ვიცით, რა უნდა გავაკეთოთ, არც ის ჩანს რა გვაინტერესებს. ჩვენი წინაპრები, არ იყო მაშინ მეტი ტექნიკური საშუალება,-ბრძენი მეფენი ხალხში უბრალოდ გადაცმული გადიოდნენ, რათა თვითონ გაეგოთ რას ფიქრობდა მასზე მშრომელი მასა. ხალხში კი არა, ქუჩაში გამოჩენას ერიდებიან ახლანდელი პარაზიტები. ვის რაში აინტერესებს ხალხის ცხოვრება ან მათი აზრი. ან მეცნიერებს ეკითხებიან რაიმეს? იმ უბედურეთაგან, ზემოთ რომ დავწერე, ბევრ ტვინგამორეცხილს აქვს ნამდვილი სიმდიდრის მისეული გაგება. არა და არანაირი ფული არ არის სიმდიდრე. ნამდვილი სიმდიდრე ბუნებრივი მოვლენადობაა და კიდევ ღვთისაგან ბოძებული ფიზიკური კაპიტალი, ყველაზე ძვირფასი კი-ადამიანური კაპიტალი. ჩვენ მილიონერ ფულიანებს, ალბათ ავიწყდებათ, რომ იმათ ფულს 9 ბანკი პატრონობს და ნებისმიერ დროს შეუძლია ფულიანი უფულოდ აქციოს. ამ ღვთისაგან ნაჩუქარ ქვეყანას ხელიდან ვიცლით და თაობებს ვიმეტებთ საშიმშილოდ.

ჩვენ გაჭირვებას აღვიქვამთ, როგორც მატერიალურ უკმაყოფილებას და გვავიწყდება, რომ გაჭირვების მთავარი მიზეზი ზნეობის დეფიციტია, რასაც ყოველი ჩვენთაგანი ფეხის გადადგმაზე ვაწყდებით. ლამის მთელ საქართველოს უმაღლესი განათლების დიპლომი აქვს. მათი უმრავლესობა ან საზღვარგარეთ გარბის, ან უმუშევარია და სამუშაოს ეძებს. თვითშემოქმედების, თვითინიციატივის, ინოვაციური აზროვნების უნარ-ჩვევები არა აქვს. ასეთი უინიციატივო, აპათიური ადამიანი სჭირდება ლიბერასტებს. მათი განზრახვებით მსოფლიო მოსახლეობა მილიარდამდე უნდა შემცირდეს, ხოლო დღევანდელი მსოფლიოს ბუნებრივი სიმდიდრეები პირად საკუთრებაში დარჩეთ. ჩვენ კიდევ გაპირუტყვებულ ორფეხიანებს ცხვრებივით მივყვებით და სხვა გზაზე გასვლა ვერ მოგვიფიქრებია.

მრავალმხრივ გვიტევს საკუთარი მთავრობის მიერ მოწყობილი გენოციდი. იძულებით გაქცევას ემატება შობადობის დაცემა, აბორტი, გარყვნილება, სიდუხჭირე, კვების პროდუქტების ეკოლოგიური სიბინძურე, გარემოს დაჭუჭყიანება, წამლების სიძვირე და მავნებლობა, გადახდისუუნარობა მკურნალობაზე, სკოლამდელი ასაკის ბავშვების მოვლისა და სწავლის მაღალი საფასური, სოციალური დაუცველობა და პენსიების სიმცირე, მძიმე კომუნალური გადასახადები. ისტორიის მწარე გამოცდილებაა: ქართველი ხალხის ყველაზე სასტიკი და დაუნდობელი მტერი თვითონ ქართველი იყო ისევე, როგორც სიცოცხლით დაუზოგავი და მისი თავდადებული რაინდი. ხან ერთი სჭარბობდა, ხან მეორე. შეიძლება ამაშია ჩვენი, როგორც ერის, აქამდე არსებობის ძირითადი საიდუმლო, თუმცა ეს უკვე წარსულია და მტრებიც უფრო ჭკვიანები გახდნენ. აქ ისტორია ძახილის ნიშანზეა შეჩერებული. ახლა გვიტევენ უფრო დიდი აზროვნებით. ჩვენ თვითონ აგვიყოლიეს და დაგვაჯერეს, რომ ხსნა ევროპაშია, რომ ქართული ტრადიციული ეროვნული ღირებულებები დაძველდა, ადამიანი მატერიალური ცხოველია, სულიერება უნიჭოების და ბრიყვების გამოგონილია. ყველაფერი მისაღები და საკადრისია, რაც კეთილდღეობას მოგიტანს. უკვირთ კიდეც და სატელევიზიო დებატებში თვლა აღარ აქვს თუ რატომ გახშირდა მკვლელობები, რატომ იშლება ოჯახები, რატომ ვექცევით ქვეყანას ბარბაროსულად, რატომ ვყიდით ბუნებას; მშობლებს და ახლობლებს ყურადღებას არ ვაქცევთ. სიკვდილი ტანჯვისგან გათავისუფლებად მიგვაჩნია, სწავლა-ფორმალობად, დიპლომის მიღების პროცედურად. „ყველაფერი დასავლური არ უნდა იქნეს განხილული როგორც რაღაც კარგი და სასარგებლო. დასავლეთისადმი ბრმა მიბაძვა არასასურველია, რამდენადაც ამგვარი ქცევით ჩვენ უარს ვაცხადებთ საკუთარი შემოქმედებითი პოტენციალის რეალიზაციაზე. ეს კი გზაა მონობისაკენ“[3].

ლიბარეალური ეკონომიკური აზროვნება ქვეყნისა და ხალხის მსახურების ფართო შარაგზიდან ეგოიზმის ჩიხში შევიდა, საიდანაც თავს ვერ დააღწევს, ჯავრს ისევ მსოფლიო მოსახლეობაზე იყრის და მას კატასტროფამდე მიიყვანს. აკი ამისი წინა პირობები უკვე შექმნილია. ძნელია წარმოიდგინო საზოგადოებრივი ცხოვრების რომელიმე სფერო, რომელიც 300-თა კომიტეტის გავლენის სფეროში არ იყოს, რომელიც კაცობრიობას სიკვდილის საშიშროებას არ უქმნიდეს. აზროვნების ჰუმანიზაციას ახალი თაობა სჭირდება, რომელიც იქედან დაიწყებს და გაგრძელებს, საიდანაც აზროვნებამ ბოროტებისაკენ გადაუხვია. არ ვარგა, როცა განათლება, მეცნიერება და ჯანდაცვა ბიზნესის სტრუქტურებად ექცევა, როცა მხოლოდ მოგების ინტერესებით ცხოვრობენ და საქმიანობენ. როცა

[3] Пак Чон Хи. Возрожденная Корея: модель развития. гл.1

მატერიალური კეთილდღეობა ინსტიქტებად იქცევა და აზროვნებაზე ბატონობს. განათლება, მეცნიერება და ჯანდაცვა მოსახლეობის მსახურებიდან სიცოცხლის საფრთხედ ყალიბდება, ვინაიდან ფული ასედაც იშოვნება. არც სამედიციო სადაზღვევო კომპანიებია უკეთესი ვარიანტი, რაც მსოფლიო პრაქტიკიდან კარგად ცნობილია მედიცინისა და ფარმაცევტული კომპანიების გარიგების მაგალითებით.

განათლება, მეცნიერება და ჯანდაცვა არ არის მატერიალური კეთილდღეობის სამსახური. ისინი, პირველ ყოვლისა, ქვეყნის კულტურული და ზნეობრივ ცხოვრების საყრდენებია, სადაც მთავარია სპეციალისტების პროფესიული ღირსებისა და უანგარობის სიმაღლეები. პროფესიონალების აღზრდა, მათი მორალურ-ზნეობრივი ფასეულობების გამოწვევა და განვითარება. მათი ცხოვრების პირობების მატერიალური უზრუნველყოფა სახელმწიფოს უკომპრომისო კრიტიკული ზრუნვის საგანი უნდა იყოს. აქ ანგარება, გულგრილობა, კორუფცია დეგრადაციის ფუგასური ბომბებია.

ზემოთ აზროვნების ჩამორჩენილობა ვახსენე. აზროვნება შერყვნეს ფინანსისტებმა მთელო მსოფლიოს მასშტაბით. ჯერ ეკონომიკა მიიტაცეს და ფულს დაუმორჩილეს, მსხვილი საერთაშორისო ორგანიზაციებიც შექმნეს და ფულით გაბატონდნენ სამყაროზე. ტვინების „გამორეხცვასაც“ მიაღწიეს. ბოლოს მსოფლიო ახალი წესრიგი დაისახეს მიზნად და ისიც კი დათვალეს თუ რამდენი ადამიანი არის საჭირო მათი მომსახურებისთვის. დანარჩენი „ზედმეტი“ მასა ყოფილა და მისი მოშორების უამრავი მეთოდი და საშუალება უკვე არსებითია, ექსპერიმეტით დადასტურებულია და მოზომილად შედის მოქმედებაში. ერთი შეხედვით ეს ზღაპრის შთაბეჭდილებას ტოვებს, მაგრამ ამ წიგნის მომდევნო ფურცლებზე მკითხველი იპოვის ფაქტობრივ მასალებს და ბევრსაც თვითონ გაიხსენებს ქვეყნის ყოველდღიური ცხოვრებიდან. რთული ის არის, თუ როგორ დავუბრუნდეთ ქრისტიანულ ცხოვრებას და მივხედოთ ღვთის შექმნილ სამყაროს, რომელზეც ბატონობის უფლება ადამიანისთვის უფალს არ მიუცია. ეს რომ შევძლოთ სულ ორ კითხვაზე მოგვხიდება პასუხის გაცემა, რომელიც ბავშვობიდანვე გვესმის: რა გავაკეთოთ და როგორ.

პირველი კითხვის პასუხი ლოგიკურად ადვილია. ქართველები უნდა გავერთიანდეთ, ვიყოთ ნამდვილი მართლმადიდებელი ქრისტიანები. დავიცვათ ჩვენი ქვეყნის ნაციონალური იდენტობა. ბუნებრივი სიმდიდრეები და არტეფაქტები ვაქციოთ სახელმწიფო საკუთრებად. მიწა, წყალი, წიაღისეული, კურორტები ჩავაყენოთ ხალხის სამსახურში. მაგრამ უპასუხოდ რჩება მეორე კითხვა: როგორ? ამას რომ ვუპასუხოთ მინიმუმ „საკუთარ თავს უნდა ვეყუდნოდეთ“. ხელისუფლებას კი არა, ერთნაირ გაჭირვებაში მყოფ ადამიანებს არა აქვთ ერთიანობა. ერთიანობა მსოფლიო მეურნეობის კონსტრუქტორებს აქვთ. მათი მორჩილება ლუციფერსისადმი სასტიკად მკაცრია. ამაზე არ ფარისევლობენ და არც იმას უარყოფენ, რომ დაუნდობელი არიან იმათ მიმართ, რომლებიც მათ პასუხისმგებლობებს გაურბიან, ვალდებულებების შესრულებას თავს არიდებენ. 300-თა კომიტეტი მიზნის მისაღწევად ტალანტებსა და ნიჭიერებს, მეცნიერებსა და უმსხვილესი კორპორაციების აღიარებულ პრაქტიკოსებს და პოლიტიკოსებს სანთლით ეძებენ და პოულობენ კიდეც, რასაც ჩვენ არ ვაკეთებთ. ამ წინადადებების აზრი მარტივია: ის, რაც ჩვენთან თავდაყირა დგას, იმათთან ყველაფერი წესრიგშია-მიწაზე დგანან, ფეხებით მყარ ადგილს ეყრდნობიან. სწორხაზოვანი აზროვნება რომ არ დამბრალდეს, მკითხველს გავახსენებ-არსებობს წინააღმდეგობები თვით მსოფლიო მთავრობის სტრუქტურებს შორისაც, მაგრამ ეს დაძაბულობა დამანგრეველ წინააღმდეგობად, ჯერ კიდევ, არ ქცეულა, ვინაიდან ეროვნული თვითმყოფადობის სახელმწიფოები მრავალრიცხვოვანია და ამდენად თვით ერების ნაციონალური თვითმყოფადობის ცეცხლი არ მინავლებულა, თუმცა იდენტურობის სულის შებერვით შეიძლება მალე გაღვივდეს. ცეცხლი თუნდაც მინავლებული, მაინც საშიშია.

ქართველებს გვაქვს ყველაფერი ის, რაც დამოუკიდებლობისთვის საკმარისია. არსებობისთვის აუცილებელი ბუნებრივი რესურსები საკმარისზე მეტია. სასმელი წყლის რესურები ხომ ქვეყნის უკეთესი ცხოვრების ნაღდი გარანტიაა. ქვეყნისა და ხალხის სიყვარულისა და მსახურების ქარტია დიდმა ნიკო ნიკოლაძემ დაგვიწერა და თვითონ გაიარა ის გზა, რომ მოძღვრება სხვებისთვის მხოლოდ მოწოდებათ არ დარჩენილიყო. ამ გზაზე მან შვილებიც გაიყოლია (იხ. დანართი საქართველოს ეკონომიკის თანამედროვე პრობლემები ნიკო ნიკოლაძის შრომაში ”მამულის სიყვარული და მსახურება”.

ევროპელობა, რომელიც ახლა ქრისტეს გამოცხადებათ უქციეს ხალხს ქართველმა ლიბერასტებმა, ყველაზე უკეთ ბატონმა ნიკომ გაიგო. მისთვის ევროპა არის არა თავშესაფარი და სულის ხსნა, არამედ ასპარეზი, სადაც აზრების გაცვლა შეიძლება, სადაც უნდა ნახო და წამოიღო ის, რაც შენს ქვეყანას გამოადგება, მიუტანო ის, რაც იმ ქვეყნებს წაადგება და იგრძნობენ, რომ ქართული ტალანტიც არსებობს (დანართი „ნიკო ნიკოლაძის ევროპელობა“). ლიბერასტმა თანამედროვეებმა ბატონი ნიკოს წაუყრუეს და ევროპა აღთქმულ ქვეყნად გამოაცხადეს, ყველაფერი ევროპული საუკეთესოაო, თითქოსდა ევროპას გადაშენების პრობლემები კარებთან არ ედგას. ხსნა ევროპაშიაო და იქცია პირი

მოსახლეობამ, ფუძიდან აიყარა და აღთქმული ქვეყნების ხელზე მოსამსახურეების არმია შექმნა. განა ოდესმე უნატრია ქართველს სხვად ყოფნა? იძულებით გატაცებული მუჭა მიწას თან წაიღებდა, კერია არ დავიწყებოდა და თუ სადმე სიკვდილს გადაეყრებოდა, მიწაც იქვე ჰქონდა, გულის ჯიბეს რომ ეძახიან შინაურულად. ვფიქრობ ხშირად რომ განგებ გვიტყუებენ სახლებიდან, რათა გადამთიელები შემოასახლონ. იმაზე არავინ ფიქრობს, რომ „შავი სამუშაოდან“ გამოგზავნილ ფულს შვილები, და არა მხოლოდ ისინი, ქეიფში ხარჯავენ და თუ იმათ უკან დაბრუნება ეღირსათ, უარესი თუ არა, ისეთივე ცხოვრება დახვდებათ, რაც წლების წინ დატოვეს. უთქვამს ჩვენს ძველ წინაპარს: შვილი მტრად გაზარდე და მოყვრად გამოგადგებაო. ორმაგი ზარალია-ჯერ სახლებს ვაცივებთ უქალებოდ, მერე იმ გამოგზავნილ ფულს ისევ უკან ვუგზავნით უცხოელებს იმპორტული პროდუქციის გასაღებით.

ქვეყნის უკეთესი მომავლისაკენ მოძრაობის პოლიტიკურ პერსპექტივას მე ვერ ვხედავ. ჯერ ერთი, ასეთი ხელისუფლებრივი წამონაზარდი ხილულ სივრცეში არ შეინიშნება. მეორე, ლიბერასტული დასავლეთი საქართველოს არჩევანის თავისუფლებას არ მისცემს, როგორც აქამდე არ მიუცია. ფინანსურ იმპერიას ჩვენი ქვეყანა ყელამდე ვალებში ჰყავს ჩაბმული და როცა საჭიროდ ჩათვლის, მაშინვე შესძლებს ნებისმიერი სახის სახალხო არეულობის გამოწვევას. მითუმეტს, რომ ნაციონალური თვითმყოფადობის შენარჩუნების სოციალური მოძრაობა მსოფლიოში აქამდე არ დაწყებულა. გლობალისტები ფხიზლად არიან და ყოველგვარ ამნაირ წამოწყებას მაშინვე ჩაახშობენ. აქაც ბატონი ნიკოს სანთელი გვინათებს გზას. ქვეყანა თავისი პრობლემენით უნდა დაიტვირთოს და თავი შეიკავოს პოლიტიკური დაჯგუფებების არჩევანზე. მითუმეტეს, ჩვენ ხომ ამისი მძიმე და მწარე გამოცდილება გვაქვს. „თუ მართლა საიმედოთ მიგვაჩნია ჩვენი ხალხი, თუ მართლა გვწამს მისი მომავალი, თუ ნამდვილად გვიყვარს ჩვენი მამული, ჩვენ ის უნდა გავაძლიეროთ, როგორც მატერიალურის მხრით-სამართლიანი ეკონომიურის განწყობილების დაფუძნებით, ისე ზნეობით-მისი გონებისა და ცოდნის გაუმჯობესებით. ის იმედი უნდა ჩავუნერგოთ მას, რომელიც ჩვენ თვითონ გვაქვს, იმ მომავლისაკენ უნდა მივუბრუნოთ პირი, რომელიც ჩვენ გვწამს, იმ გზაზე უნდა დავაყენოთ, რომელმაც ყველა სხვა ხალხი გააძლიერა და გააბედნიერა“[4]. ამას წერდა ტალანტი, რომლისთვისაც ქვეყნის პრეზიდენტობაც დაბალი თანამდებობა იქნებოდა, და რომელსაც შეეძლო ევროპის ნებისმიერ ქვეყანაში ფუფუნებით ეცხოვრა, მაგრამ მისთვის ქვეყნის მსახურება ღვთიური ვალდებულება და უწმიდნესი სულიერი მოთხოვნილება იყო. თავისი ხანგრძლივი და ქარიშხლიანი ცხოვრება სამშობლოს მსახურებაში გაატარა და ამ გზაზე შთამომავლობაც დაიმგზავრა. იმ გადასახედიდან ახლანდელი საქართველო ზნეობრივად დაგლახავებულია. ჭამად არის გადაქცეული და საკუთარი თავის გარდა, არაფერი ადარდებს. იგი ნეტარებას თავისუფლებაში კი არ ეძებს, თავაშვებულებაში იძირება. ეროვნული ფასეულობები თითქოსდა ქიმიური ხსნარით ჩამოირეცხა და საერთოდ არ ფიქრობს რას წარმოადგენს ახლა იგი. არც იმის შეგრძნება აქვს, რომ თვითონ ითხრის სამარეს და სამშობლოსაც სხვებს უგდებს დასაძრახად. ალბათ ქართველობა მარტო გვარ-სახელი ან ასოების წაკითხვა ჰგონია.

ქართველობა უფრო მეტია, ვიდრე სიცოცხლე. აკი არც აშინებდათ სიკვდილი ჩვენს წინაპრებს არსებობისთვის მიძღვნად მომავალი თაობებისთვის. ენა, მამული და სარწმუნოება არის სიცოცხლის განსაზღვრულობა. მას აზრი მხოლოდ ამ ტრიადის პირველობის შემდგომ ეძლევა. ენა არის არა მხოლოდ ქართველი ერის არსებობის საიდუმლო, არამედ მისი მარადისობის ენერგია. მამული, რომელიც იქვე ასოცირდება დედულთანაც ქართველის გვარისა და ჯიშის წარმომავლობის, მისი გენეალოგიის ნათელი კვალია. მამულის გადავიწყება ფესვების მოწყვეტით იწყება და ჩნდება უგვარო, უმომავლო, დეგრადირებული ქართველი, რომელსაც ადგილის დედა არ გააჩნია. სარწმუნოება ადუღაბებს, მთლიანობად აქცევს და მიმართავს ერის მოქმედებას მორალით, ზნეობით, სინდისით, სიყვარულის შიშით, შინაგანი პასუხისმგებლობის გრძნობით. იგი ენისა და მამულის მთლიანობის მიზეზია. ამ სიღრმეში ჩახედულია ბოროტი აზროვნება და არაფერს იშურებს წაშალოს ენის, მამულის, სარწმუნოების ერის მამოძრავებელი უნივერსუმი მის მეხსიერებაში, გადააგდოს იგი ისტორიული გამოცდილების გზიდან და აქციოს ეკონომიკის მსახურად მისი კერძო ინტერესების სასარგებლოდ. რაც ჯერ ჯერობით გამოუდით კიდეც. არ არსებობს ორგანიზებული ძალა, რომელიც მიტაცებული ეკონომიკის კორპორაციებს დაუპირისპირდება, ვინაიდან კორპორაციები ფულის ძალაუფლებაა მსოფლიო მასშტაბით. არც ხელისუფლებაზე პრეტენზიების მქონე პოლიტიკურ პარტიებს, საზოგადოებებს თუ ასოციაციებს აქვთ ქვეყნის ეკონომიკური მოწყობის ახალი მოდელი. მათი პროგრამების ძირიადი აქცენტები კეთილი სურვილების სერიალებზეა აგებული. ზოგი ამერიკის შეერთებული შტატების სტრატეგიულ პარტნიორობას რუსულს ამჯობინებს, ზოგი მეფეს ეძებს. ეკონომიკა, ყველა შემთხვევაში, ფარდის იქეთ რჩება. ყველაზე უკეთეს არჩევანს ისევ ნიკო ნიკოლაძის ნაცად გზასთან მივყავართ-სოციალური მოძრაობა საქართველოსთვის ყოველგვარი

[4] ნიკოლაძე ნ. თხზ. ტ. 7. გვ .338.

პარტიების გარეშე. მოსახლეობის გათვითცნობიერების მეცნიერული პერსპექტივა და მორალურ-ზნეობრივი, მაღალპროფესიონალური კადრების არჩევა, რომელთაც ქვეყნის ეკონომიკური მოწყობის ეროვნული ორიენტირები აქვთ და ხალხის ცხოვრების გაუმჯობესების რეალური პროგრამები. ასეთი მოძრაობა, მართალია სიუსტია, მაგრამ მთავარი ის არის, რომ ცოცხალია და ძალას იკრებს. ეს ჩვენთვის საცნაურიაა ქვეყნის ეროვნული ძალებით, ზოგიერთი ტელევიზიით, ინტერნეტით და პერიოდული აკადემიური ხასიათის ლიტერატურული პუბლიკაციებით.

ASSOCIATION SCIENC

ეკონომიკის მიტაცების ასპექტები

მიტაცება თავისი მრავალფეროვნების მიუხედავად, ძირითადად ორგვარია: ძალადობრივი (უხეში) და ცივილიზებული (აზრობრივი). კენინსბერგი რუსეთმა მიითვისა, როგორც აღმატებულმა სამხედრო ძალამ. ამერიკამ ალიასკა რუსეთს გამოგლიჯა როგორც ინტელექტმა. თანამედროვე მსოფლიო იმდენად გაიძვერაა, რომ ძალის, ინტელექტის და ძალაXინტელექტის ფაქტორთა ინტეგრალურ ერთიანობას ქმნის. მზაკვარ აზროვნებას შეუძლია მიტაცოს ეროვნული ხელისუფლება თავისივე ხალხის საწინააღმდეგოდ, დაღალოს ისინი დაპირებებით, ცრუ იმედებით, მოუწყოს ეკონომიკური გენოციდი, იფიქროს მხოლოდ მათ დამორჩილებაზე, მისდიოს იმ ქვეყნების მაგალითს, რომლებიც ყველაზე უკეთ ახერხებენ საკუთარი ქვეყნის ძარცვას.

ფრანკფურტის სკოლამ (ტ. ადორნო, ვ. ბენიამინი, ე. ფრომი, მ. ჰორკჰაიმერი და გ. მარკუზე) ადამიანის ყველაზე სუსტ წერტილს მიაგნო. ომებზე უფრო ეფექტიანი კულტურული რევოლუცია ყოფილა, რისი მეშვეობით ადამიანებს შემოქმედება გართობით შეუცვალა, თავისუფლება-თავაშვებულობით, სიყვარული სექსით, ღმერთი-ლუციფერით, რელიგია-ფულით, სამშობლო-შობადობის ადგილად, ნაციონალობა-მსოფლიო მოქალაქეობით, კაცი-ქალით და ქალი-კაცით; მასმედიისა და განათლების უზურპაციით ტვინი გამოურეცხა, ფსიქოლოგიურად გადაღალა, დააშინა, ეკონომიკა მიიტაცა, მსოფლიო მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა უმცირესი მილიარდერი კასტის მონად აქცია. ენას, რწმენას, სინდისსა და ნამუსს ართმევს ადამიანს. ახლა ქაღალდის ფულზე მოსახლეობის გამობმას ცდილობს და აზროვნების მანიპულირების პროცესში წარმატებებს აღწევს.

ხელისუფლების ეკონომიკური მოსყიდვა

მსოფლიოში იმდენი მილიონერი და მილიარდერია, რამდენი კაციც ცხოვრობს, დაახლოებით, სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში. ამ მდიდრების ერთობლივი ქონება გაცილებით მეტია იმაზე, ვიდრე აშშ, ჩინეთის, იაპონიის, გერმანიის, დიდი ბრიტანეთის, იტალიის რუსეთის, ინდოეთის მნპ. ეს იმას ნიშნავს, რომ მსოფლიოს ზენაციონალური მთავრობა ჰყავს, რომელიც წლითიწლობით ზრდის თავის გავლენას ნაციონალურ სახელმწიფოებზე და თავის მმართველობის სფეროში აქცევს მათ. კაი ხანია ისინი საიდუმლო ორგანიზაციებად ითვლებოდნენ. ახლა მათ შესახებ უამრავი ხელმისაწვდომი ლიტერატურა არსებობს, თუმცა ისინი ამ ორგანიზაციების საქმიანობაზე ამომწურავ კითხვებზე პასუხს არ იძლევა. ფაქტი ის არის, რომ მსოფლიოს მართავს 300-თა კომიტეტი, რომლის არსებობა 150 წელს ითვლის. დღეისთვის იგი წარმოადგენს მსოფლიოს ახალი წესრიგის კონსტრუქტორთა ჯგუფს, რომელთა განკარგულებაშია მძლავრი ფართო მასშტაბიანი კორპორაციები, საერთაშორისო ბანკები, ნავთობის ბარონები, მედიამაგნატები, უმაღლესი სამხედრო პირები, კვლევითი ცენტრები, ინსტიტუტები, ახალი ტექნოლოგიის მეწარმეები, ტერორისტული ორგანიზაციები, დანაშაულებრივი სინდიკატების მეთაურები და სხვ. ეს ჯგუფი აკონტროლებს როგორც მეცნიერულ მიღწევებს, დაზღვევას, ქვანახშირის მოპოვებას, მედიკამენტებით ვაჭრობას, ნაციონალური სახელმწიფოების უმაღლესი დონის არჩევნებს, ასევე მსოფლიო საინფორაციო სივრცეს, ფულის მოძრაობას და ა.შ[5]. იგი ერთადერთი ორგანიზებული სახელისუფლო იერარქიაა მსოფლიოში, რომელიც ყველა მთავრობაზე და პიროვნებაზე მაღლა დგას, როგორი ძლიერი და პრინციპული არ უნდა იყვნენ ეს უკანასკნელნი. მის ხელშია ფინანსები, თავდაცვა, აგრეთვე ყველა ფერისა და ტიპის პოლიტიკური პარტიები[6].

300-თა კომიტეტის მიზანია, წერს ჯ. კოლემანი, მსოფლიო ერთიანი მეურნეობის შექმნა, სადაც არ იქნებიან ეროვნული სახელმწიფოები, არც საზღვრები ქვეყნებს შორის, აღარც ნაციონალური ვალუტები, აღარც სამხედრო შეიარაღება და არმიები, აღარც რელიგიები. იქნება მხოლოდ ერთი რელიგია, ტოტალური კონტროლი მთელ მსოფლიო მოსახლეობაზე და თითოეულ ინდივიდზე; არ იქნება მრეწველობა და ელექტროენერგიის წარმოება, იმოქმედებს კომპიუტერული მრეწველობა და მომსახურების ინდუსტრია, ლეგალური გახდება ნარკოტიკების მოხმარება და პორნოგრაფია, მოსახლეობა შემცირდება 1 მლრდ. ადამიანამდე, გაუქმნდება სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები და დარჩება ისეთები, რომელსაც კომიტეტის წევრები ჩათვლიან საჭიროდ, დაუშვებელი იქნება ნაციონალური მცდელობები ეროვნული იდენტობის გამოსარკვევად, ხალხი ვერ გაბედავს გადაწყვიტოს თავისი ბედი. მანამდე კომიტეტი ხელოვნურად შექმნის კრიზისებს, დაძაბულობებს ქვეყნების შიგნით, შეუტევს რელიგიებს, განსაკუთრებით ქრისტიანობას; სულ უფრო გაიზრდება ისეთი ზენაციონალური წარმონაქმნების როლი, როგორიცაა გაერო, საერთაშორისო სავალუტო ფონდი, საერთაშორისო ანგარიშების ბანკი. უნდა ჩაინერგოს აგენტური ქსელები ნაციონალური სახელმწიფოების იმ მთავრობების წინააღმდეგ, რომლებიც კომიტეტის ურჩობას შეეცდებიან. განხორციელდება მასობრივი შეტევა განათლებაზე მისი საბოლოო განადგურებს მიზნით.

მკითხველს აუცილებლად გაუჩნდებოდა კითხვა, რა ძალა ან რისი იმედი აქვს ასეთი კომიტეტს, რომ სატანისტური გამბედაობა გამოაცხადოს მსოფლიო ბატონობაზე. კომიტეტის სტრუქტურა, როგორც ეს ჯ. კოლემანის წიგნიდან ჩანს, საკმაოდ რთული და მრავალრიცხოვანია. უმსხვილესი სტრუქტურული ჯგუფებია: იდეოლოგიური, ფინანსური, სამეცნიერო და ძალოვანი. იდეოლოგიურ ჯგუფს შეადგენს ვატიკანი, რომლის თანმდევია საიდუმლო ორდენები, ლეგალური ჰუმანიტარული

---

[5] Колеман Дж. Комитет 300. Москва, 2007.

[6] იქვე, გვ. 98

ორგანიზაციები და ფონდები. ფინანსურ კლასტერს ქმნის ბილდერბერგის კლუბი. მისი ქვემდებარეა საერთაშორისო ურთიერთობების საბჭო, რომელიც აერთიანებს ამერიკულ და ევროპულ ელიტებს და აკონტროლებს აშშ ფედერალურ სარეზერვო სისტემას, ნიუ-იორკის საფონდო ბირჟას და მასობრივი ორგანიზაციის წამყვან სპეციალისტებს. აქვეა „სამმხრივი კომისია“: აშშ, ევროპისა და იაპონიის წარმომადგენლები ახორციელებენ გლობალურ დაგეგმვას და რესურსების, მათ შორის განსაკუთრებით დეფიციტურის, დანაწილებას. მეცნიერული ჯგუფი წარმოდგენილია „რომის კლუბით“, სადაც თავს იყრის კულტურისა და მეცნიერული ელიტის წარმომადგენლები. ამ ჯგუფისაა ტავისტოკის ინსტიტუტი-ჩრდილოვანი მთავრობის ტვინი. ძალოვან რგოლში შედის პენტაგონი, ცსს (ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო), ინგლისისა და ევროპის სხვა სპეციალური სამსახურები. ეს, ასე ვთქვათ, კომიტეტის ინსტიტუციური მხარეა. მისი საკადრო შევსება უზრუნველყოფილია უმაღლესი აზროვნების ინტელექტუალებით, პოლიტიკოსებით, მსოფლიო ბანკებისა და ტრანსნაციონალური კორპორაციების წარმოამდგენლებით, სამეფო დინასტიებითა და ფინანსური საოჯახო ინსტიტუტებით, ეკონომისტებით და სპეციალური სამსახურების აგენტებით.

კომიტეტის მრავალრიცხვოვანი გარდაცვლილი და ცოცხალი წევრების საკმაოდ გრძელი სიიდან ჩემი ყურადღება მიიპყო ისეთმა პერსონებმა, როგორებიც იყვნენ და არიან ზოგიერთნი: უ. ჩერჩილი, ინგლისის დედოფალი ელისაბედ II, ჰ. კისინჯერი, ფრ. მიტერანი, დ. როკფელერი, ე. როტშილდი, ბ. რასელი, ჯ. შულცი, ჰ. უელსი, ჟ. სოროსი, ტ. ბლერი, ხ. კარლოს პირველი, ბ. გეითსი.

კომიტეტის ხელში თავმოყრილია უზარმაზარი ქონება, მაგრამ მისი მგლური მადა ამითი არ კმაყოფილდება. მთელი მსოფლიოს შთანთქმა სურთ, რაც ახლა ეს მათი დღის წესრიგია. შეტევა მიდის ფრონტალურად ეკლესიაზე, ადამიანის ცნობიერების შეცვლაზე, განათლებაზე, ოჯახზე, შობადობის ხელოვნურ რეგულირებაზე, მოსახლეობის შემცირებაზე და ა.შ.

ეკლესიას, განსაკუთრებით მართლმადიდებლურს, მტრულად უტევენ. უკიდურესად დაასუსტეს, დასავლეთი. იგი უკვე დექრისტიანიზებულია. ამაზე წერს პ. ბიუკენენი თავის წიგნში „დასვლეთის სიკვდილი“ და ზემოთ დასახელებული ავტორი ჯ. კოლემანი „300-თა კომიტეტში“. ხელუხლებელი ვერ დარჩა ვატიკანი, რომელიც კარგა ხანია იქცა მასონების თავშესაფრად. ეკლესიის 120 უმაღლესი საფეხურის მსახური იმავდროულად მასონთა ლოჟის წევრია. არავის ემორჩილება და ყოველგვარი კონტროლისაგან გვერდზე დგას ვატიკანის ბანკი, რომელიც ყოველდღიურად მლნ.დოლ ივსება. კარგა ხანს გაუგებარი იყო თუ ვისგან შემოდიოდა მწვანე ბანკნოტები. მერე გაირკვა, რომ მისი კლიენტები იყვნენ იტალის მაფიოზები და მსოფლიო ნარკობიზნესმენები. ბანკის შემოსავლებში რამდენიმე მლრდ. დოლ. იგულისხმება. არ დარჩენილა გაუგებარი ისიც, რომ შემოსული თანხებით სახელმწიფო გადატრიალებები ფინანსდება, აგრეთვე ტერაქტები და დივერსიები. 1978 წელს ვატიკანის ახალი პაპი იოანე პავლე პირველი შეეცადა გაერკვია ფინანსების წარმომავლობა კათოლიციზმის უმთავრეს სახლში, მაგრამ პაპობიდან 30-ე დღეს მოულოდნელად გარდაიცვალა[7]. მასონთა ამ პროგრამის ნაწილია შეტევა ქართული მართლმადიდებლური ეკლესიაზე. არ თაკილობენ არანაირ უღირს საშუალებას: სასულიერო პირთა მოსყიდვებს, აგენტურას, სიყალბეების გავრცელებას, საპროტესტო გამოსვლებს, პატრიარქის შეურაცხყოფას, მოწამვლასაც კი. მაგრამ შედეგი ზღვაში წვეთია იმ დანახარჯებთან შედარებით, რასაც ისინი ეწევიან ეკლესიის წინააღმდეგ, ვინაიდან ქართული მართლმადიდებლობა ძლიერია და მრევლიც სწრაფად ემატება.

მართლმადიდებლობა არ არის მხოლოდ ღმერთის არსებობაში თვითდარწმუნება, არც წმინდა წერილების დაზუთხვა და საეკლესიო კანონიკური ლიტერატურის რიტუალური პროცესუალობა. იგი ცხოვრების ღვთიური წესია, რომლის მიზანსწრაფულობას განაპირობებს თავისუფლებისა და პასუხისმგებლობის, პასუხისმგებლობისა და თავისუფლების ურთიერთდამოკიდებულება და ურთიერთშემავსებლობა. მისი მამოძრავებელი ენერგიაა გადაცდომების (ცოდვების) ყოველდღიური შემეცნება და მის გამო მონანიების აუცილებლობა. ეს არის სვლაგეზი პიროვნული სრულყოფისაკენ, მსახურება და არა სამსახური, გაცემა და არა მომხვეჭელობა. აი, რის გამო არის იგი გადაულახავი ბარიერი 300-თა კომიტეტისთვის. უფრო ვრცლად ცოტა ქვემოთ.

ჩვენი საზოგადოება, განსაკუთრებით მისი პოლიტიკური ელიტის აბსოლუტური უმრავლესობა, ვერ გარკვეულა იმაში, რომ ამერიკის ხელისუფლება კომიტეტის მიერ წარდგენილ მასონურ ჯგუფებს უკავია და რაც ამერიკის პოლიტიკად ცხადდება, კომიტეტის პოლიტიკაა თვით ამერიკის წინააღმდეგ. ზემოთ აღნიშნულ ვიდეო მასალაში ნაჩვენებია, რომ აშშ პრეზიდენტს ჯერ კომიტეტი ირჩევს, მერე ამერიკელი ხალხი, რაც ევროპის წამყვანი ქვეყნების ხელმძღვანელთა არჩევნებზეც ვრცელდება. ამიტომ არის, რომ ნაციონალური ქვეყნების ხელისუფლება ისეთ პოლიტიკას ახორციელებს, რომელიც იმ ქვეყნისათვის დამღუპველია. ჯ. კოლემანი წერს,-ზიმბაბვეს ლიდერს ქვეყნის მაღალხარისხიანი

---

[7] Кто правит миром. Youtube. 17.02. 17.

ქრომის მადნის ასათვისებლად აშშ დიდი ფინანსური დახმარება აღმოუჩინეს და ზიმბაბვეს ყველა ნედლეულის მარაგი გიგანტური კონგლომერატის სრული კონტროლის ქვეშ მოექცა, რომელსაც ელისაბედ II დეიდაშვილი მართავს და რომელიც კომიტეტის მნიშვნელოვანი ფიგურაა. ზიმბაბვეს ლიდერი კომიტეტის მორჩილი გახდა, სამაგიეროდ ხელი მოითბო და ქვეყნის გარეთ სამი სასტურო აიშენა. ამ დროს ზიმბაბვეში უმუშევრობა ოთხჯერ გაიზარდა და ქვეყანა ქაოსისა და ფაქტობრივი ბანკროტობის მდგომარეობაში აღმოჩნდა. გაძლიერდა დიქტატურა, გაიზარდა ავადმყოფობა, უმუშევრობა, მოშიმშილეთა რიცხვი. ცხადია, რომ ეს უცხოური დახმარება ზიმბაბვეზე და აფრიკის სხვა ქვეყნებზე კონტროლის მძლავრი საშუალებაა[8]. ამაზე იტყვიან: მულო შენ გითხარი, რძალო შენ გაიგონეო. უკვირდა ჩვენს ტელევიზიაში მოწვეულ სტუმარს, რომ თურმე კასპის ცემენტის ქარხანაში, რომელიც ჩინელებმა იყიდეს, მუშებიც იქედან ჩამოუყვანიათ, თანაც პატიმრები, როგორც იაფი მუშახელი. რა უნდა გიკვირდეს! შენ ქვეყანას ვინ აგიშენებს, შენს ხალხს ვინ დააპურებს, შენს გარდა. აი, რას ნიშნავს, როცა პროფესიული ცოდნა არ გაგაჩნია, როცა შენი ქვეყნის სიყვარული არ გისწავლია. ზიმბამბეს ლიდერის ქმედება პირდაპირ საკაშვილს გვახსენებს. ზოგს გიჟი ჰგონია, მაშინ როცა უკვე ზომბირებულია და რასაც ავალებენ, ის უნდა აკეთოს. გააკეთა კიდეც. რამდენიმე ხანი უკრაინის „სამსახურში“ იყო.

300-თა კომიტეტი მაღალი ინტელექტუალების, მაფიოზების, ბანდიტების, სასტიკი, შეუბრალებელი ხალხის გუნდია. იტალიის პრემიერ-მინისტრი, ქრისტიან-დემოკრატიული პარტიის წევრი ალდო მორო მისი ქვეყნის ინდუსტრიული აღორძინებისთვის იბრძოდა. ჰ. კისინჯერს გაუფრთხილებია თავი შეეკავებინა, ვინაიდან მისი ქმედებები იმ კომიტეტის ინტერესებს ეწინააღმდეგებოდა. არ გატყდა, მოკლეს. დღისით-მზისით გამოასალმეს სიცოცხლეს აშშ პრეზიდენტი რ. კენედი. ისიც კომიტეტის ინტერესებს შეეჯახა-კრიზისების მართვის წინადადება არ მიიღო. ჩემს მიერ ზემოთ დასახელებულ ვიდეო მასალაში არის ინტერვიუ, სადაც ყოფილი სპეცსამსახურის თანამშრომელი აცხადებს, რომ 2001 წლის აშშ 11 სექტემბრის ტრაგედია კომიტეტის შეკვეთა ყოფილა-კუვეიტზე შეტევის საბაბი რომ ჰქონოდათ. ამ მიზნით ერაყი გამოიყენეს, რომელიც მერე მიწასთან გაასწორეს, ხოლო მათთან დაახლობული პირი-ჩამოახრჩვეს, 12 ათასი ერაყელი ჯარისკაცი ცოცხლად დამარხეს. მიზანი: ნახეთ-ვინც არ ემორჩილება კომიტეტს, აუცილებლად მოკვდება.

ჯ. კოლემანი სვამს კითხვას, რომელიც ჩვენც გვიჩნდება: როგორ ახერხებს 300-თა კომიტეტი მთელ მსოფლიოზე ზეგავლენას. როგორც ჩემთვის ხელმისაწვდომი მასალებიდან ირკვევა, კომიტეტს ჰყავს უმაღლესი ინტელექტუალური ელიტა, უმდიდრესი ადამიანები, აქვს სასტიკი რეჟიმი; უმკაცრესად იცავენ საიდუმლოებებს, უმაღლესი პატივით ეპყრობიან განათლებასა და მეცნიერებას; მათთვის ფული მხოლოდ ძალაუფლებაა, როცა იგი დანარჩენისთვის მიზანი გახდა.

რანაირი სასტიკიც არ უნდა იყოს სახელმწიფო თუ კლანური წესრიგი, შედეგს ვერ მოიტანს თუკი მას ინტერესთა ერთიანობის მასობრივი სოციალური მხარდაჭერა არ ექნება. სხვა საკითხია რამდენად კეთილი და ბოროტი განზრახულობაა მიზანი, რომელიც ფართო მასების ორგანიზებისთვის არის კონსტრუირებული. იყო დრო, როცა სწორად მიაჩნდათ, რომ ხალხის მოტყვილება შეუძლებელია. ამის საწინააღმდეგოდ ახლა უახლესი ისტორიიდან ფაშისტური გერმანიის გახსენებაც საკმარისია. არის კიდევ უფრო ადვილი გარკვეულობა. სადაც არის კეთილი, იქვეა არის ბოროტიც. სინათლეს სიბნელე ახლავს, სითბოს-სიცივე, მეცნიერებას-ანტიმეცნიერება თუ ფსევდო მეცნიერება. ძნელი არ არის შეუცვალო რწმენა, შეხედულება ადამიანს, გადაავიწყო წარსული, აქციო კულტების მონად, თუკი ბოროტი ზნეობის უმაღლესი აზროვნების ელიტას გამოიყენებ. ასეთები საკმაოდ ბევრია. ჩვენ რამდენიმეზე შეჩერდეთ. დავიწყოთ „რომის კლუბით“.

კომიტეტის ავტორის აზრით „რომის კლუბმა“ დაამუშავა და გაავრცელა „პოსტინდუსტრიული იდეები“ აშშ, შექმნა ისეთი მოძრაობები, როგორიცაა ნარკოტიკებზე მისწრაფება, როკი, ჰედონიზმი, სექსი, სატანიზმი, ჯადოქრობა და „მწვანეთა მოძრაობა“.

ჯ. კოლემანი მიიჩნევს, რომ „რომის კლუბი“ ყველა საქმეში ერევა, რომელიც გლობალურ პროექტებს, ტექნოლოგიურ და სამრეწველო პროგრამებს ეხება. მისი ინტერესების სფეროშია კრიზისების მართვა და გლობალური დაგეგვა, ნაციონალური სახელმწიფოების გაქრობა, ვინაიდან ისინი ჯანსაღ სხეულზე სიმსივნედ აღიქმება მათი მხრიდან. აცხადებენ, რომ რესურსები საკმარისი არ არის დღევანდელი რაოდენობის მსოფლიო მოსახლეობისთვის, ამიტომ „ზედმეტი“ ნაწილი უნდა განადგურდეს ხელოვნურად შიმშილით, ვაქცინაციით, ომებით, მოწამლული პროდუქტებით და მედიკამენტებით და ბინძური ეკოლოგიური მოქმედებით.

ზემოთმოტანილი მასალები დააფიქრებს ყველას და გაუჩნდება კითხვა, ვისაც ადამიანის სიყვარული აქვს. რატომ არ გაიმეტებს გაჭირვებულთათვის თითებზე ჩამოთვლილი მილიარდერეთა

---

[8] Колеман Дж. Комитет 300. с 9.

უმცირესობა თავისი სიმდიდრიდან ერთეულ პროცენტებს, რომ მილიონობით სიცოცხლე იხსნას სიკვდილისაგან? აფრიკა ხომ სიცოცხლე სიკვდილის ზღვარზეა, განსაკუთრებით საჰარის სამხრეთით მდებარე სახელმწიფოები...ალბათ სიცილის მომგვრელია ჩემი კითხვა, ვინაიდან მშიერი უმრავლესობა მილიარდერი უმცირესობითვის შემოსავლის წყარო და არსებობის ენერგიაა. არ არის კომიტეტის აზროვნებაში შეცოდება და ჰუმანიზმი. ახლა ვხვდები თუ რატომ შეიძულეს და უმრავლესობასაც დააჯერეს, რომ სტალინური სოციალიზმი ბოროტება იყო და ყველაფერი სოციალისტური ტირანიაა. ქართველმა ხალხმა საკუთარ ტყავზე გამოსცადა კაპიტალიზმი, ველური სოციალიზმი, ლიბერალიზმი და ნეოლიბერალიზმი და ახლა თავს ქვეყნიდან გაქცევით შველის და ის კი არ იცის, რომ სიცოცხლე ხელიდან ეცლება. უბედურებაა, როცა ქვეყანას ცოდნა არ სჭირდება, როცა მისი პოლიტიკური ელიტა ცვედანი და სხვა ქვეყნის ხელქვეითია, როცა ენა ლაპარაკობს ჭკუის გარეშე. ჩართულია და ბრუნავს გამოტვინების კარუსელი. თუ ცხოვრების პრინციპები შეგეშალა, გზას აცდენილხარ. გზასაცდენილი სახლში ძალიან გვიან ან საერთოდ ვერ დაბრუნდება. როცა შენი სახლი შეგზარდება თუ შეგაზარებენ და ევროპული სახლისკენ გაგექცევა თვალი, ვერც იმ ვირტუალურ სახლში იპოვი ადგილს და ვერც მამაპაპისეულ სახლში დაბრუნდები-იქ უკვე სხვისი კერია იქნება ანთებული.

სიყვარული, სინდისი და სირცხვილი ზნეობრივი ცხოვრების პარტერის წინა რიგიდან ქანდარაზე გადასვეს. ვაი, თუ იქედან გარეთ გაგდებას უპირებენ. ჩვენ შევძლებთ დავიტიოთ ისინი?

ჯ. კოლემანი დასახელებულ შრომაში გვაწვდის 300-თა კომიტეტის მიერ კონტროლირებადი ოფიციალური ორგანიზაციების არასრულ ჩამონათვალს და იქვე მოუთითებს თითოეული მათგანის მიზანს. ჩვენ რამდენიმე მათანზე შევჩერდეთ. „ინდუსტრიული დემოკრატიის ლიგა“. მიზანი: მუშებსა და მეწარმეებს შორის ნორმალური შრომითი ურთიერთობების მოშლა და გაუარესება პროფკავშირის წევრებისა და მათი ლიდერების ტვინების გამორეცხვის გზით, რათა მათ წამოაყენონ მხოლოდ ყოვლად შეუსრულებელი მოთხოვნები.

„თავისუფლების სახლი“. მიზანი: სოციალისტური დეზინფორმაციის გავრცელება ამერიკელ მუშებში, უთანხმოებისა და უკმაყოფილების ატმოსფეროს შექმნა.

„კომიტეტი დემოკრატიული უმცირესობისთვის“. მიზანი: განათლებულ სოციალისტურ კლასსა და უმცირესობათა შორის სოლიდარული სარჩევნო ბლოკის შექმნა, კავშირების დამყარება, რომლის მხარდაჭერის იმედი უნდა გვქონდეს მემარცხენე კანდიდატების არჩევნებში.

„საგარეო პოლიტიკის კვლევითი ცენტრი“. მიზანი: NASA კოსმოსური პროგრამების ჩაშლა და სრული დაკონსერვება.

„აშშ სოციალ-დემოკრატები“. მიზანი: რადიკალური სოციალიზმის გავრცელება, განსაკუთრებით უმცირესობაში; კავშირების განმტკიცება სოციალისტური ქვეყნების მსგავს ორგანიზაციებთან.

„სოციალური ურთიერთობების ინსტიტუტი“. მიზანი: აზროვნების შეცვლა ამერიკაში.

„მოქალაქეთა ლიგა“. მიზანი: „ზოგადი“ სამართლებრივი დავის აღძვრა სხვადასხვა სამთავრობო აგენტებს შორის, განსაკუთრებით თავდაცვისა და თავდაცვითი მრეწველობის სფეროებში.

„ჰარვადის ფსიქოლოგიური კლინიკა“. მიზანი: საზოგადოებაში ისეთი ატმოსფეროს შექმნა, რომელიც 300-თა კომიტეტს საშუალებას მისცემს აშშ-ი ჰქონდეს შეუზღუდავი ხელისუფლება.

300-თა კომიტეტის მიერ კონტროლირებადი ოფიციალური ორგანიზაციების დასახელება და მიზნები გვიჩვენებს იმას, რომ ორგანიზაციების სახელწოდებები მკითხველის ყურადღებას იპყრობს პრობლემატურობით, მაშინ როცა თითოეული მათგანის შინაარსი საზოგადოების ცხოვრების წესის გაუარესებას და ტვინების გამორეცხვას ისახავს მიზნად. გაჩნდნენ კლასების ახალი ფორმები- მსოფლიო მთავრობა და დანარჩენი მოსახლეობა, როცა მეორე არ ებრძვის პირველს, ვინაიდან ტვინგამორეცხილია, უხმოდ მორჩილი მონაა, ხოლო პირველი მეორეს შიმშილით სულს ხდის, კლავს, წამლავს, ატუსაღებს, ასულელებს, ექსპერიმენტად იყენებს. მის მიმართ არანაირი თანაგრძნობა და სიბრალული არ გააჩნია. ჯ. კოლემანი მას მტერს უწოდებს. “300-თა კომიტეტი აშშ აღმოსავლეთ სანაპიროს მისი ლიბერალური ისტებლიშმენტის „არისტოკრატიით“, სადაზღვევო კომპანიებით, გიგანტური კორპორაციებით, ფონდებით, საკომუნიკაციო კავშირებით, სათავეში შეთქმულთა იერარქიით-აი, ვინ არის მტერი“[9]. იგი შემოსულია ჩვენი ქვეყნების სახელისუფლო სტრუტურებში და ნებსითა და უნებლიედ ოფიციალური ნაციონალური ხელისუფლება საკუთარი ხალხის დაუნდობელი მტერია. შენს ქვეყანას შენივე ხელით ახრჩობ და მასობრივ სიკვდილს უქმნი. რაღაც საოცარი კურიოზია-მამულის სამსახურის უმაღლეს საფეხურზე დგახარ და მსოფლიო უხილავ მთავრობას თვალებში მიჩერებიხარ და ნაბიჯი ვერ გადაგიდგამს შენს ჭკუაზე. თავისუფლების ორი არჩევანია: ან უნდა გადადგე, ან უნდა ამხილო ყველა და შენი თავიც. პირველ შემთხვევაში მინიმუმ ქონებას დაკარგავ, მეორე შემთხვევაში-სიცოცხლეს. თუმცა ასეთი არჩევანი მხოლოდ თავისუფალ პიროვნებას

[9] იქვე, გვ.46

შეუძლია. ფულზე დახარბებული და სახელისუფლო სკამზე სხვისი ხელით წამომჯდარი ვერასდროს თავისუფალი ვერ იქნება, მით უფრო უარესი თუკი ლუციფერი უკვე მისი ღმერთია. არის კიდეც! ისე არიან თავჩარგული სლაფავში, რომ აღარც ქვეყნის საზღვრები ახსოვთ, აღარც მტერი და მოყვარე, აღარც მშივრები და გაჭირვებულები; ვერც იმას ხედავენ რომ მტერი ყოველი მხრიდან გვიტევს და არსებობის უკანასკნელ დღეებს გვითვლიან. არ გვყავს ჩვენ მონათესავე ერი. მეზობელი ერი მეგობრებში გვერევა. უკვე აილესეს კბილები და სწრაფად თუ არ გამოვხიზლდით, ნაჭრებად გაგვინაწილებენ. აშშ საქართველოს არ/ან ვერ დაიცავენ, ვინაიდან გაუფრთხილდებიან სხვებთან დაპირისპირებას. რუსეთი ერთადერთი მართლმადიდებლური ქვეყანაა, მართალია, მფარველი ანგელოზი და ჩვენზე ჯვარდაწერილი არც ის არის. მაგრამ, როგორც ქართველმა გენიოსმა ბრძანა- ნაკლები ბოროტებაა მასზე აქცენტის გადატანა. არის რუსეთსა და საქართველოს კეთილმეზობლური ურთიერთობების აუცილებლობა. ნუთუ არაფერს გვეუბნება ის, რომ რუსეთში მილიონზე მეტი ქართველი ცხოვრობს და ბევრს ძალიან მაღალი თანამდებობა უჭირავს საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში. ქართველებმა ბევრჯერ ითამაშეს გადამწყვეტი როლი რუსეთის იმპერიის გაძლიერებაში, რუსი ხალხის, როგორც ერის, გადარჩენაში. ეს რუსეთის ინტელიგენციამ ძალიან კარგად იცის. შარშანდელ ვიდეომასალაში არის ისრაელის პუბლიცისტის და ანალიტიკოსის ი. კედმის გამოსვლა ტელესტუდიაში, სადაც ადგილობრივი აუდიტორიის მქუხარე ტაში დაიმსახურა და ლაპარაკის სურვილი დაუკარგა გადაცემაში მონაწილე რუს ექსპერტებს და უგუნური უწოდა რუსეთს, რომელსაც ვერ დაუფასებია ის, რომ მათი სიცოცხლე უშუალოდ იხსნა მხოლოდ სტალინმა. იქვე დაამატა: მერე რა რომ ქართველი იყო, რუსეთი უყვარდაო. საქართველოსაც სჭირდება რუსეთი, როგორც ერთმორწმუნე ერი, როგორც მისი უდიდესი შესაძლებლობების რეალიზაციის ასპარეზი. ცუდია, როცა უტვინო პოლიტიკანების ახირებები და ამოჩემება ხალხს გადაედება.

ზემოთ რომ გამოტვინება ვთქვი, შეგნებით დავწერე, ემოციას არ ავყოლილვარ. გამოტვინებაა, აბა რა უნდა დაარქვა იმას, როცა ხელისუფლება და მისი წამხედვარე ოპოზიციონერი თუ პოლიტიკანი ენას ვერ იბრუნებს ნატოს, დასავლური ლიბერალობის, ევროვიზების, თავისუფალი მიმოსვლის, დემოკრატიის ბრტყელ-ბრტყელი სიტყვების გარეშე, როცა შენი ქვეყნის მომავალს დასავლეთ სამყაროს უკავშირებ, როცა იმ დასავლეთს შენს ქვეყანაზე უჭირავს თვალი...ბავშვს რომ დაბადებიდან ყურები ეხედნება დასავლეთის სტანდარტზე, დასავლური ცხოვრების ბედნიერებაზე, რომ ქართველები ევროპელები ვართ; იგი ქართველად ვერ გაიზრდება. ერთი სული აქვს/ექნება როდის დაამთავრებს საშუალო სკოლას, ისწავლის კომპიუტერს და ინგლისურს და მერე ფრიი ევროპაში. უკან არასდროს მობრუნდება. ნუთუ დაგვავიწყდა სამშობლო, არ გვიყვარს ადგილის დედა, თუ საერთოდ დავკარგეთ დედა.

ბევრი რამ იქედან, რაც თავის პროგრამაში აქვს 300-თა კომიტეტს უკვე სრულდება. ჯ. კოლემანს მოაქვს მაგალითები აშშ ცხოვრებიდან, რომელიც უკვე ჩვენი ცხოვრების სინამდვილეა. კომიტეტმა, წერს ავტორი, დააქცია აშშ ფოლადსამსხმელო წარმოება, დასუსტა საავტომობილი მრეწველობა და მიაღწია ბინათმშენებლობის სამინისტროს გაუქმებას. ხელისუფლების ზედა ფენებში მოკალათდნენ კომიტეტის წარმომადგენლები და ახერხებენ ისეთი კანონების მიღებას და პრაქტიკულ მოქმედებას, რომელიც ქვეყნისთვის დამღუპველია. იგულისხმება ნარკოტიკების ლეგალიზაცია, აღვირახსნილობა, ცხოვრების წესების გადაგვარება, სექსის თავისუფლება, მასმედიის მონოპოლიზაცია, შობადობის შემცირება, აბორტების გახშირება, მასმედიის გამოყენება ტვინების გამოსარეცხად, ქრისტიანული რელიგიის დასუსტება და რელიგიური უმცირესობებისადმი განსაკუთრებული პირობების შექმნა, ომების სერიალები ნაციონალურ ქვეყნებთან და უდანაშაულო ხალხის გაწყვეტა, საზოგადოებაში მტრის ხატის შექმნა, უნდობლობისა და ურწმუნობის ატმოსფერის დამკვიდრება და ა.შ. თუ ყოველივე ამას საქართველოს მიუსადაგებთ, გამოვა რომ 2000 წლიდან ქვეყანაში მიმდინარე მოვლენები ჯ. კოლემანის ამერიკული ცხოვრების უარესი ანალოგებია, ვინაიდან იგი ჩვენში უფრო სწრაფად და ხისტად მიმდინარეობს. ჩვენი ხელისუფლებაც კომიტეტის აგენტების მორჩილი პერსონებია და საკუთარ ხალხს დღითიდღე ლუკმას აცლიან,, უკმაყოფილო ხალხი ყველაფერში ამერიკელ ხალხს სდებს ბრალს, როგორც ამერიკელები თავიანთ მთავრობებს, მაგრამ ჩვენც ისეთი დაჩმორებული ვართ, როგორც ამერიკელი ხალხი ხმაგაკმედილი. მარიხუანს ლეგალიზაცია აქაც იმ პროცესებით მიდის, როგორც აშშ ჩატარდა. გარყვენილების პროპაგანდა, უსირცხვილობა, ბორდელიზაციაც ამერიკაში გასინჯული ვარიანტია, რომელიც ჩვენთან სწრაფად გავრცელდა. ქართული მასმედია მის ამერიკულ სეხნიაზე უარესია და თავგასული. ქვეყანა მისთვის თავაშვებულებაა, ხოლო მასობრივი უმუშევრობა- ნორმა. საქართველო მსოფლიო კორპორაციების პოლიგონია და ნინიას ბაღი. გაკვირვებას არ უნდა იწვედეს ის, რომ ჩვენში არ ვითარდება მრეწველობა, სოფლის მეურნეობა. ბინათმშენებლობა კერძო პირების ნებაზეა მიშვებული ისევე, როგორც ფარმაცევტული წარმოება და ინფრასტრუქტურა. კვების პროდუქტების ეკოლოგიური სისუფთავეს არავინ ამოწმებს. პროტექციონიზმი არ არსებობს და

ისედაც მცირე ეროვნული წარმოება წელში ვერ გაიმართა, პირიქით, ბევრი ინოვაციური წამოწყება სულ მოკლე ხანში დაიძირა, მოსახლეობაში დამკვიდრდა აპათია და ნიჰილიზმი, აჭრელდა ქვეყანა რელიგიური კონფესიებით, ვისაც რა უნდა, იმას აშენებს. ვისაც სად მოეწონება, იქ სახლდება, მაშინ როცა ოთხასი წლის წინათ ფუძიდან იძულებით აყრილი ფერეიდნელი ქართველისთვის ისტორიულ სამშობლოში ადგილი ვერ მოინახა.

პარალელები ჯ. კოლემანის წიგნში და საერთოდ „ვინ მართავს მსოფლიოს“ ლიტერატურაში მოტანილ ფაქტებთან საშუალებას გვაძლევს ვთქვათ, რომ საქართველო მთლიანად მოქცეულია 300-თა კომიტეტის გავლენის სფეროში და მცირე ეროვნული ქვეყნის დეგრადაციისა და მისი გადაშენების ექსპერიმენტს წარმოადგენს, რომლის წინააღმდეგ არანაირი ბრძოლა არ მიმდინარეობს. მხოლოდ რამდენიმე ადამიანს თუ აქვს გასიგრძეგანებული უბედურება, რომელიც შავი ღრუბელივით თავზე გვადგას და მზეს გვიბნელებს. ამ უბედურების წინააღმდეგ ქართული ეკლესია დგას. მომაწოდეს ინფორმაცია, რომ სატრიარქოში დაძაბულობაა, მკაცრი დაპირისპირებაა. მოულოდნელი საპირისპირო მდგომარეობა იქნებოდა, ვინაიდან 300-თა კომიტეტი მართლმადიდებლობას და ქრისტიანობას საერთოდ გადაშენებით ემუქრება და ყველაფერს აკეთებს ამისთვის. არც ფულს ზოგავს და არც იარაღს მის წინააღმდეგ. მართლმორწმუნეობამ უნდა გაიმარჯვოს, ვინაიდან იგი მოუსყიდავია. არსებობს აგრეთვე ჯანსაღი აზრი. საკმარისია პატრიარქის უღირსი შემცვლელის აღზევება-მრავალრიცხოვანი მრევლი გაიფანტება. ეკლესია ძალასა და ავტორიტეტს ერთად დაკარგავს. ამის შეგნებამ უნდა გაუნათოს გზა მერყევ ელემენტებს. მაგრამ ქართულ ეკლესიას აქვს რთული პრობლემები. არ ეკადრება ღვთის მსახურს ფუფუნებისაკენ მიდრეკილება. მარტო შავი ჯიპები არ მაქვს მხედველობაში. თუ ჩვენს ირგვლივ მიმოვიხედავთ, ადვილად შევამჩნევთ ფეშენებელურ სახლებს. თუ იმ სახლში შესვლა მოგიწევთ, ნახავთ სამოთხეს, რომელიც მღვდელს საიქიოდან სახლში ჩამოუტანია და დაუმწყვდევია. გვერდით მყოფი მშიერი მეზობლისაც არ ერიდება. ზოგჯერ მათი ვერცხლისმოყვარეობა კურიოზებს აღწევს. სოფელში მეზობელი მღვდელი საქორწილო სუფრასთან იმიტომ არ მოვიდა, რომ ნეფესა და დედოფალს ჯვარი ქალაქის ეკლესიაში დაუწერიათ. არაფრად ჩააგდო მღვდელმა ის ფაქტი, რომ წყვილი ქალაქის მაცხოვრებელია და როგორც წესი, ჯვარიც იქ დაიწერეს. ეს გამონაკლისი როდია. ასეთი და უფრო გროტესკული შემთხვევები ბევრია. ამიტომ სრულიად სამართლიანია და დროულია საკმაოდ ბევრის შენიშვნები რუის-ურბნისის მსგავსი კრების აუცილებლობაზე. ასე თუ გაგრძელდა ქართული ეკლესია დაკარგავს იმ უზარმაზარ ავტორიტეტს, რომელიც ახლა გააჩნია.

მსოფლიოში მოდად ქცეულ სიმდიდრისაკენ მისწრაფებას უნდა დაუპირისპირდეს უბრალოება და ზომიერება, ურთიერთსიყვარული და პატივისცემა. საქართველოს მომავალი მხოლოდ ამ გზით მოიპოვება. სიხარბეს, მომხვეჭელობას, ვერცხლისმოყვარეობას ქვეყანა დაღუპვისაკენ მიყავს. ეტყობა ხალხს გაუმაძღრობა, შური, ბოროტება, დეგრადირება და გადაგვარება, ჰედონიზმი და ეგოიზმი. ხსნა ისევ ღმერთის სიყვარულსა და რწმენაშია. ამ აზრს ბევრი მკლევარი ხშირად იმეორებს თავის შრომებში. ბოლო ხანებში გახშირდა კიდეც ეკონომიკურ ლიტერატურაში ზომიერების ფენომენის დამკვიდრების, როგორც სიხარბის შემაკავებელი მექანიზმის აუცილებლობა. ვინაიდან ყოველგვარ საზღვარს სცილდება და აპოკალიფსურ მასშტაბებს აღწევს ერთი მუჭა მდიდრების სიძულვილი უბრალო ადამიანებისადმი. „ფულის სამყარო რაღაც ლოგიკურ საზღვრებში აფუძნებს ახალ უნივერსალობას-უნიფიცირებულ ანონიმურ ხელისუფლებას ატომიზირებულ და მისტიფიცირებულ მასაზე, რომელიც წარმოადგენს არა ცოცხალ საზოგადოებას, არამედ რეესტრს, კატალოგს ე.ი. გროტესკულ სამყაროს.

ამ სამყაროში ცხოვრება განისაზღვრება ფორმულით: რა გაიყიდა, რა კოტირდება ბაზარზე, ვის რამდენი კაპიტალი აქვს. გადახდისუუნარო არ არის ადამიანი, ხოლო ყოფა განისაზღვრება კრედიტის უფლებით“[10]. აი, სადამდე მიდის გამდიდრებული კაცის ცინიზმი. ასეთები თავს იმით იწონებენ, რომ შეუძლიათ დალიონ კონიაკი, რომელიც 3000 დოლარი ღირს, საუზმეში გადაიხადონ 12 000 დოლარი, გამოიწვიონ ომები, ჩაატარონ ექსპერიმენტები ადამიანებზე და ა.შ. შორს წასვლა არ მოგვიწევს. ჩვენი პარლამენტარი გუგული მაღრაძის გახსენებაც საკმარია. პენსია 180 ლარი საკმარის საცხოვრებელ მინიმუმად მიაჩნია. თავის რამდენიმე ათასლარიან ხელფასს იმით ამართლებს, რომ დაიმსახურა. მეტი კურიოზი, ალბათ, იშვიათია-ქვეყანა იქცეოდეს და მთავრობა ხელფასებს იზრდიდეს.

გალიიდან გაქცევა ჯერ კიდე არ ნიშნავს თავისუფლებას, მითუმეტეს თუკი უფრო კომფორტული გალიისაკენ გიჭირავს თვალი. აკი მიჩვეული იყავი ვოლიერში ცხოვრებას. თავისუფლება ახალი გარემოს შემეცნებაა, შენი მოქმედების განსაზღვრულობაა. ამის გასაგებად დრო არის საჭირო. მართალი იყვნენ ღვთისმსახურნი, რომლებიც იმ საუკუნის 90-იანი წლების ხელისუფლების წევრებს სიდინჯისაკენ მოუწოდებდენ. მოვლენებს თავისი დაბადების დრო აქვს, მით უფრო, როცა სამყარო

[10] Поликарпов В.С., Поликарпова Е.В. Кого пустят в клуб для избранных. с. 6. Алгоритм. с. 240

მღვრიე და ამტუტებულია. ეს გარედან მოყურადეს სტიქიაა, ამ მომენტს ელოდება ხელი რომ ჩაგავლოს უსინდისო თამროსავით გზააბნეულს თავის დახრჩობა რომ გადაგიწყვეტია, და მერე რესტორნებში სუფრიდან სუფრაზე ყირაზე გადადიხარ და სასტუმროებში გორაობ ფულიან კაცებთან.

ფულზე შეყვარება ავადმყოფობაა. აქედან ღვთის სიყვარულისაკენ კაცის მობრუნება იშვიათი შემთხვევაა. მისი არჩევანი უკვე ლუციფერია, რაც იმავე დროს მისი ცხოვრების წესია. საქართველოს აქამდელი და ახლანდელი ხელისუფლება ასეთი წესებით ცხოვრობს. ბედის სასწორის პინებზე დევს სამშობლოს სიკვდილ-სიცოცხლის პრობლემა. მთელის ნაწილებად დაშლა მისი დაპყრობის მიზნით აზროვნების სისუსტეა, ვინაიდან ნაწილებიდან არ იქმნის მთელი. მოსახლეობას დღემდე სჯერა რაღაცა მეტის, ვიდრე ის არის, რაც არის ღმერთის. ნუთუ ყველაფერი ქაღალდის ცეცხლივით აბრიალდება. სადღაა ნაღვერდალი ან ნაცარი. ფერფლიდან სფინქსი ისევ აფრინდება? წმინდა ბერი გაბრიელის წინასწარმეტყველება აღვიძებს რწმენას და იმედებს.

ეკონომიკური გადაღლილობა

გადაღლილობაში ჩვეულებრივ გულისხმობენ გადახრებს ადამიანის ჯანმრთელობის ნორმალური ფიზიოლოგიური მდგომარეობიდან, რომელსაც იწვევს მოცემული სამუშაოს გახანგრძლივება ჯანმრთელობისთვის დასაშვებ ნორმას ზემოთ ან შრომის ინტენსივობის გაზრდა დროის ერთეულში. გადაღლილობაზე მოქმედებს ასევე ხმაური, რადიაციული გამოსხივებები, ვიბრაციები, ცხოვრების გაუმჯობესების სახელმწიფოებრივი დაპირებები და ა.შ. გადაღლილობის განსაკუთრებული სახეა პოლიტიკური, იდეოლოგიური ზემოქმედება, სოციალური დაძაბულობა, როცა ადამიანი იჯერებს განათლებისა და ცოდნის პრეტენზიებით მიწოდებულ ინფორმაციებს, რომელიც მას აგრესიული უმცირესობის, საშუალო და დაბალი აზროვნების, ცოდნის სახელისუფლო რგოლების მორჩილ მასად აქცევს. „გაიმეორეთ საკმაოდ ხშირად გებელსური სტილით, რომ ეკონომიკის ბაზისია „ბაზარზე თავისუფალი კონკურენცია“, რომ ეკონომიკა ემორჩილება „მოთხოვნისა და მიწოდების“ მითიურ წესს ან პოპულარული სიცრუე, თითქოს აშშ კონსტიტუცია დაფუძნებულია ჯ. ლოკის პრინციპებზე ან ახალგაზრდა ამერიკული ეკონომიკა ეფუძნებოდა ადამ სმიტის იდეებს, და „გარედან მართული“ ამერიკის ტიპი გადაიღებს ამ რიტუალურ მონაჩმახს, როგორც უმაღლეს და მუდმივ ჭეშმარიტებას“[11].

ქართული სინამდვილე ხომ კურიოზულია: სამშობლო იტანჯებოდა სოციალიზმის დროს, მისი მოსახლეობა მონობაში ცხოვრობდა, არ იცოდა დემოკრატია, ეკონომიკა სულს ღაფავდა. დავიჯერეთ, რომ იმ საუკუნის ჩვენი წარსულის ჩამორჩენილობა გახსენებად არ ღირს და რომ ყველაფერი საუკეთესო წინ არის, რომ ჩვენი ხსნა საბაზრო ეკონომიკას შეუძლია, ადამიანი საზოგადოებრივი ცხოველი კი არა, ინდივიდია, მას როგორც სურს, ისე უნდა იცხოვროს. ჩვენ თავს შემოგვწირავენ დასავლეთის ქვეყნები, განსაკუთრებით აშშ და ვიცხოვრებთ სამოთხეში. აზროვნება დავაჩლუნგეთ და ტალახით ვლესავთ იმას, რომლის ტოლ სიდიადეს, ღმერთმა დაგვიფაროს და როგორც ალ. ზინოვიევმა თქვა, შეიძლება ვერასდროს მივაღწიოთ, მითუმეტეს რაც მეტად ნაკლებად რთული იქნება საზოგადოებრივი აზროვნება, ხოლო მეტი იქნება სპეკულაციური შრომა; მით უფრო გონებაჩლუნგი და ინერტული გახდება მოსახლეობა, ხალხი და ქვეყანა. ამის ფაქტობრივ მასალებს ჩვენ ყოველდღე ვაწყდებით. პირდაპირი სატელევიზიო ჩართვებიდან ვგებულობთ, რომ ძალიან ბევრმა არ იცის ვინ დაწერა „ვეფხისტყაოსანი“, ვინ იყო ვაჟა ფშაველა, თავი მოიკლა თუ მოკლეს ილია ჭავჭავაძე. აღფრთოვანებული არიან აშშ დონალდ ტრამპის გამარჯვებით, ზოგიერთები ტრაბახობენ იმით, რომ თურმე ადრე იცოდნენ, ტრამპი აუცილებლად გაიმარჯვებდა, რომ აწი არაფერი გვიჭირს- ამერიკა ჩვენს მხარეს იქნება და ავშენდებთ. უზნეობა და ავადმყოფური აზროვნებაა, სირცხვილია ასეთი მდაბალი პრიმიტივი. ქვეყანას ღვთისმშობელი პატრონობს, ესენი კი პატრონებს სხვა ქვეყნებში ეძებენ და თავიანთ მომავალს მხოლოდ ევროკაშირს უკავშირებენ, იმ ევროკავშირს, რომელსაც უნდა გათავისუფლდეს ისეთი სუსტი ქვეყნებისაგან, როგორიცაა იტალია, ესპანეთი, პორტუგალია და ირლანდია, იმ ევროკავშირს, რომელიც დატოვა ინგლისმა თურმე იმ მოტივითაც რომ უჭირდა სუვერენიტეტის შენარჩუნება.

უცოდინარი რომ საბრალო და საცოდავია, ეს ყველამ ვიცით, ისე როგორც რეგვენი და ბოროტია ის, ვინც თავისი ცხოვრება იმისთვის გამოიყენა, რომ მოსახლეობის დიდი ნაწილი განათლების ნაცვლად, ლუკმა პურის მათხოვრებად აქცია, ვინც ხელისუფლება ხალხის ჩაგვრის მექანიზმად მოირგო, ხოლო განათლებასა და ცოდნაზე ხელი აღმართა. არ შეიძლება მხოლოდ ერთი წვეთი

[11] Ларуш Л. Физическая экономика. М. 1997. с. 11

სისხლი გქონდეს ქართული და ისიც არ გაგეყინოს იმის გახსენებაზე, რომ განათლების მინისტრმა ლომაიამ არა მარტო ის არ იცოდა თუ ვინ იყო გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფე, არამედ სახელი „ბავშვის“ ნაცვლად ხან „ბავში“ დაწერა და ხან კიდევ „ბაშვი“. ახლაც საკმაოდ გვეყოლება ლომაიასმაგვარი „ვუნდერკინდები“ ხელისუფლების მაღალ ეშელონებში, მაგრამ მათ ხომ არ მოუწყობენ საჯარო გამოკითხვებს. თუმცა რა, ლარის კურსის სტაბილურობასა თუ გამყარებაზე მათი „კონცეფციები“ ნაკლები სისულელეა? ხელისუფლებისაკენ გაჭრილ საშუალო აზროვნებას დღემდე ვერ გაუგია ის, რომ მსოფლიო კაი ხანია საფინანსო-ეკონომიკურ კრიზისში იხრჩობა და რომ „კრიზისიდან ნამდვილი გამოსავალი მხოლოდ თანამედროვე მონეტარული სისტემის განადგურებით შეიძლება, რომელიც ევროპულ ცივილიზაციაზე დომინირებს პელოპონესის ომებიდან დაწყებული. მონეტარული სისტემა ამჟამინდელი მსოფლიოს შავი ჭირია. ფულადი სისტემა ჩვენ უნდა დავუმორჩილოთ სუვერენული სახელმწიფოების ხელისუფლებას“[12]. იგივეს წერს ვ. კატასონოვიც: უნდა გაუქმნდეს ოფშორული ზონები და ფული ქვეყნის მმართველობაში შევიდეს როგორც ეკონომიკის მართვის ინსტრუმენტი. ძარცვა, ძალადობა, ტყუილი პოლიტიკად იქცა. უნდა დავეთანხმო ცნობილ უნგრელ მეცნიერს გ. ტამაშს იმაში, რომ სოციალიზმის დაქცევამ მდიდრებს ხელფეხი გაუხსნა და ახლა ყველაფერს კადრულობენ ხალხის გასაყვლეფად: ერთმანეთს ახოცვინებენ, საწამლავსა და გაფუჭებულ პროდუქტებს საჭმელ-სასმელად აწვდიან, ძალად ავადებენ რაღაც გამოგონილი ვირუსებით, რომელსც ვაქცინების საცდელად იყენებენ, ტვინს უმღვრევენ და ტყავს აძრობენ...ღარიბები კვებაზე შემოსავლების 44%-ზე მეტს ხარჯავენ, ხოლო მდიდრები დახლოებით-20%-ს. ღარიბები გაცილებით მეტს ხარჯავენ პურზე, კარტოფილზე და ბურღულზე, ვიდრე სურსათზე მთლიანად[13]. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციაში შემავალი 34 ქვეყნიდან (რომელშიც შედის აშშ, კანადა, ავსტრალია, იაპონია და ევროკავშირის ქვეყნების უმეტესობა) მათი მოსახლეობის ყველაზე მდიდრების 10% თითქმის 10 ჯერ მეტ შემოსავალს ღებულობს, ვიდრე ყველაზე ღარიბი მოსახლეობის 10%. ჯ. სტიგლიცის აზრით მსხვილი კომპანიის დირექტორს ახლა რიგით მუშაკზე 300-ჯერ მეტის მიღება შეუძლია, მაშინ როცა ერთ დროს ეს მაჩვენებელი 20-30 ფარგლებში მერყეობდა. აშშ 2009-2012 წლებს შორის შემოსავლების ზრდის 95% მდიდარი მოსახლეობის 1%-ზე მოდიოდა ანუ ამ ფენის შემოსავალი 1980 წელთან შედარებით 150%-ით გაიზარდა[14]. მსოფლიოში ეკონომიკურად დაღალეს, გადაღალეს, გადააგვარეს საშუალო კლასი, რომელიც მდიდრების უმცირესობასა და ღარიბთა უმრავლესობას შორის ჩაინთქა. ყველაფერი ფინანსური იმპერიის ხელშია. „ძირითადად ეს არის საზოგადოების უმაღლესი ფენა-მოსახლეობის დაახლოებით 10%,-რომელთა მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენენ 30-დან 55 წლამდე ასაკი ადამიანები. მათ ფული ბევრი აქვთ, მაგრამ ისინი მას არ გამოიმუშავებენ, ფაქტობრივად სესხით ცხოვრობენ, ფასიანი ქაღალების ხარჯზე. ამასთან ისინი დარწმუნებულნი არიან, რომ მათი პრივილეგიები გამართლებულია, რომ სრული უფლება აქვთ იცხოვრონ მოსახლეობის უმრავლესობის ხარჯზე. მეორე პოლიტიკური ფენა-ეს რელიგიური ფუნდამენტალისტებია. მათ გარემოში ყვავის რასიზმი, უცოდინარობა და ცრურწმენები. ანუ ფინანსური წრეების საყრდენია-გაუნათლებელი, ეგოისტური მასა. ამ მასას არ სურს სიმართლე და იცილებს ახალ იდეებს. იგი საერთოდ ნიჭიერ ადამიანებს ეჭვის თვალით უყურებს, გვერდს უვლის ჭკვიანებს“[15]. სადიზმია, როცა ნიჭიერ და ჭკვიან ადამიანებს თავზე დააჯდებიან აგრესიული უნიჭო და არაპროფესიონალი ადამიანები (მაღალი ინტელექტი ჩასარეცხად რომ არ ენანებათ და ჩამორჩენილებს რომ უწოდებენ), სახელმწიფო თანამდებობები უჭირავთ და ფულით ინარჩუნებენ ძალაუფლებას. მართალია მათ არ იციან, რა უნდა აკეთონ, მაგრამ მათი პატრონები მშვიდად არიან-მორჩილი სუბიექტები იმ წესებით თამაშობენ, რაც ტრენინგით ასწავლეს. მოსახლეობის უმეტესობა მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაშია და ხვალინდელი დღის იმედს კარგავს. ამერიკული კომპანია „ნილსენის“ გამოკითხვის მიხედვით რუსეთის რესპოდენტმა 88% ქვეყნის ეკონომიკა კრიზისულად ჩათვალა, ხოლო ნახევარზე მეტს ეკონომიკის მდგომარეობა ყველაზე საგანგაშოდ მიაჩნია. „ნილსენის“ რუსეთის გლობალურ კლიენტებთან ქვედანაყოფის დირექტორმა მარინა ლეპენკოვამ მომხმარებლებს ძალაგამოცლილი უწოდა. მისი სიტყვებით „დაღლილობა მკაცრი ეკონომიკის გამო“ გაიზარდა, ხოლო პატრიოტულმა აღტკინებამ დაკარგა მომავალზე გავლენა[16]. ფსიქიატრები აღნიშნავენ ჩივილების გახშირებას, რომელსაც იპოთეკური და სამომხმარებლო კრედიტების გადახდის საგანგაშო მდგომარეობა იწვევს. შრომის ინტესივობის გაზრდას არ ახლავს ანაზღაურების შესაბამისი მატება. იწყება გაღიზიანება, თავბრუსხვევა, ტკივილები ნაწლავების, კუჭის

[12] Линдон Л.: «Физическая экономика» против монетаризма. forum.kob.su/showthread.php_rt=1505

[13] Бедные тратят на еду более 44% дохода, богатые-около 20..www.finmarket.ru/nam/article/428386

[14] Разрыв мжду богатыми и бедными в мире продолжает расти...www.bbc.com/russian/…

[15] Линдон Л. Мы впалзаем в глубочайший кризис во всей мировой истории...nash-sovremennik.ru/p.php

[16] «Усталость от суровой экономики». Российсик потребителей назвали...fedpress.ru/news/econom/runor

მიდამოებში, ქავილი, კანის ავადმყოფობები და სხვა. ერთი რუსული გამოცემის მიხედვით მისი მოსახლეობის 88,6% დეპოზიტები არ გააჩნია.

საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა თავს იტყუებს, ხავს ეჭიდება. წელებზე ფეხს იდგამს და შვილებს უმაღლეს სასწავლებლებში მიარბენინებს. ლუკმა პურს იკლებენ იმის იმედით, რომ შვილი დიპლომს აიღებს და მომავალ ცხოვრებაში ადგილს დაიმკვიდრებს. საერთოდ ვერ ხედავს იმას, რომ უმცირესობის აგრესიული მოძალადე ხელისუფლების ელიტა შექმნილია და ზედა ეშელონებში ადგილები რამდენიმე წელიწადი კი არა, თუ გავითავლისწინებთ ნეპოტიზმს, ათეული წლობით დაჯავშნულია. სიმსწრით და ხელზე მოსამსახურის შრომით მოპოვებული თანხები მათი შვილების სასწავლებელში გამოკეტილ დროზე იკარგება. ძალად დიპლომიანების უმრავლესობა განწირულია საზღვარგარეთის „შავი ბაზრებისთვის“. წარსულსაც უგინებენ და აძულებენ კიდეც. თურმე ბავშვებს სასწავლო პროგრამებიდან საზეპირო ადგილები უნდა მოუხსნან-რა საჭიროაო. „დამნაშავე მე ვარ მხოლოდ, რომ კაცად ვერ გამიზრდიხარ“. შეიძლება ეს გულის ფიცარზე არ გეწეროს? მაგრამ აქ სხვა რაიმეა ჩაფიქრებული-ბიბლიას წაიკითხავ და დამახსოვრება აუცილებელი არ არის.

დაზეპირება ცხოველსაც სჭირდება, ისე იგი სახლსაც ვერ მოაგნებს, ვერ იცოცხლებს. მაგრამ დაზეპირება თვითმიზანი როდია. ბავშვობაში სწავლობენ დაზეპირების ჩვევებს. აზეპირებენ იმას, რაც ღვთიურია, საკაცობრიოა. ეჩვევა ბავშვის ყური სილამაზის, სიმართლის, ვაჟკაცობის, ღმერთის, სამშობლოს სიყვარულის აფექტებსა და გრძნობებს, რომელიც მერე აზროვნების კულტურის ნაწილი ხდება. ასე გაზრდილი ადამიანი გრძნობს სიტყვების, ნათქვამის სილამაზეს და თვითონ ინიშნავს და იზეპირებს მას. ასე არ ვიქცევით ყველა ჩვენთაგანი? ჩვენ არა მარტო გაუთავებლად ვინიშნავთ, კიდეც ვიმახსოვრებთ ლამაზად, ლაკონურად და მიგნებულად ნათქვამ სიტყვებს, წინადადებებს, გვერდებს, მთელ წიგნსაც კი, და არა მარტო მხატვრულ ლიტერატურაში, არამედ საერთოდ მეცნიერების ყველა დარგში, სპორტში, ხელოვნებაში, მუსიკაში. „მე დამივლია მთელი ევროპა, და ბევრ ჩინებულ ქვეყნებში, ბევრ აღმტაც საზოგადოებაში გამიტარებია თვეები და წლები, მაგრამ ყოველგან და ყოველთვის, სადაც კი ვყოფილვარ, ერთი საგანი მქონია: შენთვის დამზადება, შენთვის სამსახური, შენი სარგებლობა. არც საფრანგეთის ამაღელვებელ და აღმტაცებელ ცხოვრებას, არც პეტერბურგის განსაცდელით მიმზიდველ საზოგადოებას, არც იტალიის მშვენიერებას, არც შვეიცარიის თავისუფლებას არასოდეს არცერთი წამის განმავლობაში, არ მიუხიბლავს ჩემი გრძნობა და გული, არ შეუცდენივარ და არ მიუზიდივარ...იმის მაგიერ, რომ იქაურს ცხოვრებას მივებირე და სხვებსავით დამევიწყა ჩვენი ერთი ნამცეცა ქვეყანა, ჩვენი ყველასგან უცნობი ხალხი, მე ნიადაგ შენზე ვფიქრობდი, რომ სადმე, როგორმე სადაც-კი ყოფილიყო შენთვის ცოტაოდენ სარგებლობა მაინც მომეტანა“[17]. ნეტავი ეს გახდებოდეს სავალდებულო საზეპირო სკოლებში მოსწავლეთათვის; გულის ფიცარზე ეწეროს ყველა ქართველს, რაოდენი ბედნიერება იქნებოდა. მაგრამ ლიბერასტები და სამშობლოს მოძულე უბედური ქართველები ზუსტად იმას აკეთებენ, რაც მსოფლიოს დამაქცევრებმა დიდი ხანია დაწერეს და დააზეპირებინეს, ფულიც მისცეს. რა უნდა აკეთოს მინისტრად კაცმა, რომელიც არც პედაგოგი ყოფილა, არც უმაღლეს სასწავლებელში დაუმარაგებია გამოცდილება, ცოტა თუ უმუშავია-სამეცნიერო შრომები არ შეუქმნია, ხელმძღვანელი თანამდებობები არ ჰქონია და დიდი ხნის მივიწყებული ბავშვობის ფანტაზიების გაღვიძებით და წარმოსახვებით უნდა განათლების რეფორმირება. „დღითიდღე თავზე მოგახვევთ ჩვენს დოგმებს. გავანადგურებთ თქვენს ენას, დაგიბინძურებთ მას ჩვენი გამოგონილი სიტყვებით. თქვენ უკვე მარტო ჩვენი კი არა, თქვენივე თავის აღარ გესმით. ჩვენ ყოველთვის ბრიყვულ იერს მივცემთ ნებისმიერ თქვენს პროგრამულ იდეას, სრულ აბსურდამდე დავიყვანთ მას...ბეცებს, ხარბებსა და უბრალოდ სულელებს ჩვენ ყოველთვის მაღალ თანამდებობებზე ვნიშნავთ. ისინი ჩვენი ჯავშანი და დაცვაა“[18]. ახლა ეს რომ სინამდვილეა, ჩვენი თვალით ვხედავთ, მაგრამ უბედურება ის არის, რომ მსოფლიოს ამ შეთქმულებაში თვითონ ვმონაწილეობთ საკუთარი ქვეყნისა და ხალხის წინააღმდეგ. ჩვენივე ხელებით სამშობლოს მომავალს, სამარეს ვუთხრით. უკიდურესად დაღლილს სასაფლაოზეც გაუთევია ღამეები.

საზოგადოებრივი ცხოვრება მთას ჰგავს, საზოგადოებრივი მთა სტრუქტურული პირამიდაა, რომლის სიდიადე სიმაღლით განიზომება. ცხოვრების პირამიდის სიმაღლე რომ მაქსიმალური იყოს, ფუძე უნდა ჰქონდეს ფართო და მყარი. რაც უფრო განიერი და გრძელია ფუძის პარამეტრები, მით უფრო მყარია პირამიდის კონსტრუქცია. პირამიდის ჩამოქცევა ორი მიზეზით შეიძლება: ან გარეშე ძალების ზემოქმედების გავლენით, ან ფუძის დასუსტებით (ფინანსური იმპერიის მწვერვალი საზოგადოების საშუალო და ღარიბი ფენების ხელოვნური, ექსპლუატაციური წამონაზარდია). ვითარების გამარტივების მიზნით პირამიდის კონსტრუქციის რღვევაზე გარეშე ძალების (ბუნებრივი,

---

[17] ნიკოლაძე ნ. თხზ. ტ.4. გვ. 362.

[18] გაზ. „ასავალ-დასავალი“, N46, 2016 წლის 14-20 ნოემბერი.

ღვთიური) ზემოქმედება ნულის ტოლად მივიჩნიოთ. საზოგადოებრივი პირამიდის ფინანსური იმპერიის მწერვალი მისი საშუალო და ქვედა ფენების დასუსტების გამო ჩამოიქცევა ანუ როცა ქვედა ფენები ზედა უმაღლესი ეშელონებისთვის ენერგო რესურსის პოტენციალუნარიანობას კარგავს ანუ იგი თვითონ არის მისი ტრაგედიის მიზეზი. ეს რომ კატასტროფად იქცეს ფინანსური მწვერვალი მისი საზოგადოებრივი ფუძის ფსკერამდე უნდა ჩაიძიროს და ფუძე ახალი მწვერვალის კონსტრუქციად იქცეს, როგორც ეს მოხდა რუსეთში გასული საუკუნის 30-იან წლებში (გარეშე ფაქტორები რომ არა, რუსეთი და სსრკ ახლა კიდევ უფრო მაღალი მზარდი მწვერვალი იქნებოდა). მაგრამ თუ საშუალო ფენა საზოგადოებრივი პირამიდის ფუძის მასას შეუერთდება და ერთ ფენას შექმნის, ახალი იმპერია გაჩნდება და ინოვაციური საზოგადოებრივი პირამიდა წარმოიქმნება უფრო დიდი ფართის ფუძით საშუალო ფენის გარეშე, რაც საზოგადოებრივი პირამიდის ფუძეზე მასობრივ დატვირთვად განაწილდება. გაზრდილი მასის ეკონომიკური გადაღლილობა კრიტიკულ წერტილს მიაღწევს და მისი დაძაბულობის ენერგია ფინანსურ იმპერიას ჩამოშლის და ფუძის ფსკერზე დაილექება. ახალი საზოგადოებრივი პირამიდის კონსტრუქცია სხვა თვისებრივ პრინციპებზე აიწყობა.

ეკონომიკური გენოციდი საქართველოში

ტერმინი „გენოციდი“ ბერძნულია და გვარის, ტომის მოკვლას ნიშნავს. თანამედროვე გაგებით გენოციდი არის-ადამიანთა დევნა ან განადგურება განსაზღვრული ერთიანობის ან წარმომავლობის ნიშნის მოგებით, ამა თუ იმ სოციალური, კულტურული ან ბიოლოგიური ჯგუფისადმი კუთვნილების გამო ადამიანის დანაშაულის ფარული აღიარება. ტერმინი „გენოციდი“ სიტყვახმარებაში შემოიტანა ამერიკელმა იურისტმა რ. ლემკინმა 1944 წ. ამ ტერმინში იგულისხმება შემდეგი ქმედებები: რომელიმე ჯგუფის წევრების მკვლელობა; ასეთი ჯგუფის წევრებისადმი სხეულის სერიოზული დაზიანების მიყენება ან გონებრივი აშლილობის გამოწვევა; რომელიმე ჯგუფისადმი ცხოვრების განზრახ ისეთი პირობების შექმნა, რომელიც გამიზნულია მისი სრული ან ნაწილობრივი ფიზიკური განადგურებისთვის; ღონისძიებები, რომელიც გათვალისწინებულია რომელიმე ჯგუფში შობადობის აღსაკვეთად; ბავშვების ერთი ჯგუფიდან მეორეზე ძალადობით გადაცემა და ა. შ. ასეთი გენოციდის კერძო შემთხვევაა ეკონომიკური გენოციდი, როგორც სოციალურად საშიში მოვლენა, რომელიც გამოიხატება ქვეყნის მოსახლეობის გაღარიბებით ან ამოხოცვით სახელმწიფოს მიერ საკუთარ ხალხის ცხოვრების დონეზე და ხარისხზე თავდასხმის (ზეწოლის) პოლიტიკის შედეგად; განსაზღვრული სოციალური ძალების ქმედება თავის გასამდიდრებლად სხვა სოციალური ჯგუფების ძარცვის, ღარიბი ცხოვრებისთვის გამეტების ხარჯზე და მათი განადგურება[19].

სწორია შენიშვნა, რომ ეკონომიკური გენოციდი პოლიტიკური გენოციდის შედეგია. ნაკლებმნიშვნელოვანია თუ რა განპირობებს მას-შენი ხელისუფლების პოლიტიკური უმწიფობა, ბნელი აზრების შეგნებული ინტერვენცია თუ სხვა ქვეყნებისაგან წაქეზება ან მათ გავლენაში მოქცევა. ახლა მსოფლიოში ფინანსური იმპერიის მიერ პლანეტის მოსახლეობის უმრავლესობა ეკონომიკური გენოციდის მსხვერპლია. მისი მასშტაბები დღითიდღე იზრდება და გარჩევა არა აქვს ვინ არის მისი მსხვერპლი-საკუთარი ქვეყნის მოსახლეობა თუ პლანეტის უმეტესი ბინადარი. ისე, ყველაზე იოლი ხელმისაწვდომი საკუთარი ქვეყნის გენოციდია. გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან საქართველომ ზღვა სისხლი დაღვარა, უძველესი ადგილები ჩამოითალა და დღეს ისევ ნაფლეთებად იფქვნის კანს. შაჰაბასმა 300 თუ 350 ათასი ქართველი აჰყარა ფუძიდან და ირანში ძალდატანებით გადაასახლა. ქართულგვარიანმა ხელისუფლებამ 2 მლნ. ქართველი უკანმოუხედავად გააქცია სამშობლოდან, ამდენი თუ არა მილიონი, ალბათ, უკან მიმდევარია. მასმედია ართობს ხალხს, ქვეყანა ლამის ერთ დიდ ბორდელ;ად იქცეს. დაპატარავდა ერი, გაუქრა კერიის სიყვარული. სატელევიზიო ამქარი უტიფრად აცხადებს, რომ ყველაფერი დროებითია, რომ დამოუკიდებელი ქვეყანა ვართ და რაღაც 20 წელიწადში ყველაფერი კარგად იქნება. ნუთუ ამას მართლა გულით ამბობენ, თუ მართლა „ღრუბლები უფენიათ ბალიშებად“ ერთმანეთში აირია დამოუკიდებლობის იურიდიული ფორმა, ეკონომიკური დამოუკიდებლობა და ფორმალური დამოუკიდებლობა. საქართველო, რომელიც ყელამდე ვალებშია, სოციალურად დაუცველია მისი მოსახლეობის 400 ათასი კაცი, 700 ათასი პენსიონერი 180 ლარის შემყურეა და წამლების ყიდვა კი არა, ყოველდღიური ლუკმაპური პრობლემად გახდომია. გადასახადები ყელში აქვს გაჩხერილი. ხელისუფლება ნაბიჯს ისე ვერ გადადგამს უცხოელ პატრონებს თუ არ დაეკითხა და ისე არ მოიქცა, როგორც დაავალეს. ამ ქვეყანას დამოუკიდებლობის რაიმე ნასახი

[19] Геноцид: определение-Психология. vocabulary.ru/termin/genocid.html

გააჩნია? პირიქით, ეს არის უცხო ქვეყნის კოლონია სულით და სხეულით, მოსახლეობა თავიდან ფეხებამდე ვალებში ჩაფლული, რომელიც ბანკებს სეიფებში ჩაუმწყვდევია.

ვიცი, დიდი ტყუილების ეპოქაში ვცხოვრობთ, მაგრამ საკუთარ სახლში ქურდად რომ იქცევი გვადი ბიგვასავით, რა გქვია შენ!

ყველაფერს თავისი ორეული ჰყავს-კეთილს ბოროტი, განათლებულს-გაუნათლებელი, ჭკვიანს-უჭკუო, ნამდვილ კაცს-არაკაცი, სინდისიერს-უსინდისო, მორწმუნეს-ურწმუნო, მართალს-გარეწარი და ა.შ. ეს ყველაფერი ფინანსური იმპერიის თავკაცებმა შესანიშნავად აითვისეს. ტვინებს იტაცებენ და ხელის გულზე ისვამენ, ხოლო საშუალო და დაბალი ნიჭის უხერხემლოებს ხელისუფლებისაკენ გზას უხსნიან და სათბურის პირობებში ამყოფებენ. არაფერი ისე არ სიამოვნებს უღირს, როგორც ღირსების რანგში აყვანა, იცის რომ იგი ამისი საკადრისი არ არის, მაგრამ ენდეს, ერთგულება დაუფასეს და თავზე დაასვეს მას, რომლის თასმების შემკრავადაც არ ღირს და არც არასდროს ეღირება. საქართველო ახლა ამ თასმების შემკრავების ფეხქვეშ გმინავს. ამიტომ აყვავდა პრიმიტიული აზროვნება და ქმედებანი. მწუხარე სიმშვიდე ჩამოაწვა ჩვენს ცხოვრებას. ყველა თავის ტკივილს ებრძვის ამ ქვეყანაში. ზოგჯერ წამოცდებათ, რომ დავკარგეთ აფხაზეთი, ოსეთი, დაიღვარა სისხლი. გახსენება არ გვინდა იმისა, რომ საკუთარ ხალხს მოვუწყვეთ გენოციდი. მარტო ტერიტორიები კი არ დაიკარგა, გენოფონდი შევკვეცეთ, მიუსაფარი ადამიანები გავამრავლეთ, უპატრონო ბავშვები დაგვიგროვდა, შობადობა დაეცა, ათასობით ადამიანი დასნეულდა, დაკარგულ ტერიტორიებს ეკონომიკა გადაყვა, დევნილებს ახალი ცხოვრების დაწყება მოუწიათ. ერთმანეთის მემკვიდრე ხელისუფლება იმ გზას აგრძელებს, რომელსაც ქვეყნის ძარცვა ჰქვია. დღემდე არავის მოაფიქრდა, ვერც მოიფიქრებდა, დაეთვალა ზარალი, რომელიც სამშობლოს მიადგა ამ ბოლო 25 წლის მანძილზე სისხლიანი დაპირისპირებით, სამოქალაქო ომით, მიტინგებით, სხვა ომებით, სახალხო ქონების განიავებით, განათლების სისტემის გადაგვარებით, კვლევითი ინსტიტუტების მოშლით, შობადობის შემცირებით, მრეწველობის, მშენებლობის, სოფლის მეურნეობის სამინისტროებისა და დარგების მორღვევით.

ეკონომიკური გენოციდი, რომელსაც ხელისუფლება ახორციელებს ფრონტალური ხასითისაა და თავს ესხმის მოსახლეობას, რათა დატოვონ სამშობლო და სხვა ქვეყნებში ეძიონ თავშესაფარი; ხელს არ უწყობს ხელფასების გაზრდას, რათა მორჩილებაში იყოლიოს შრომისუნარიანი მასა; ჯიუტად არ ისმენს საპენსიო განაკვეთის გაზრდის მოთხოვნებს, მაშინ როცა თვითონაც არ იცის რისთვის ღებულობს პრემიებსა და ყოველთვიურ დანამატებს ისედაც მეტისმეტად მაღალ ხელფასებზე. მაშინ როცა ყოფილი სსრ კავშირის რესპუბლიკებიდან საქართველო პენსიის სიდიდით წინ უსწრებს მხოლოდ უკრაინას, მოლდავეთს, უზბეკეთს და ტაჯიკეთს. თუმცა აქ არ იგულისხმება ის სოციალური შეღავათები, რომლითაც სარგებლობენ ამ ქვეყნების პენსიონერები. მაგალითად, მოლდავეთში სულ უფრო მეტი პენსიონერი და მცირეშემოსავლიანი ადამიანი სარგებლობს სოციალური შეღავათებით, და კვების პროდუქტებზე და პირველადი მოთხოვნების საქონელზე ნაკლებს იხდიან მოსახლეობის სხვა დანარჩენთან ფენებთან შედარებით სპეციალურად გამოყოფილ მაღაზიებში.

ეკონომიკური გენოციდის გამოხატულებაა აგრეთვე შობადობის შემცირება და უარყოფითი დემოგრაფიული ბალანსის წარმოქმნა. აქვე უნდა აღვნიშნოთ აგრეთვე ზრდასრული ასაკის ახალგაზრდების ქორწინებათა რიცხვის შემცირება, რასაც უმუშევრობა და მცირეშემოსავლიანობა განაპირობებს. ამას უნდა მივამატოთ ბორდელების აპოკალიფსური ზრდა და სხეულით ვაჭრობის მასშტაბები, რომელიც ასევე მოქმედებს შობადობის შემცირებაზე და მცირეწლოვანი და ახალგაზრდა ქალების სოციალურ დეგრადაციაზე. ფიზიკური შრომა მატერიალური ინტერესების სფეროს სწრაფად შორდება.

ეკონომიკური გენოციდი თავის უმკაცრეს გამოვლენას პოულობს მკურნალობის სიძვირეში. წამლები არა მარტო ძვირია და მცირეშემოსავლიანი მოსახლეობისთვის ხელმიუწვდომელი, არამედ ნაკლებეფექტიანი, ხშირად მავნებელიც კი. ანალოგიური ითქმის კვების პროდუქტებზე და პარფიუმერიის ნაწარმზე.

მონური სული ჩაისუნთქა მოსახლეობამ. დღევანდელი კვერცხი ხვალინდელ ქათამს კი არა, მეწველ ძროხას ურჩევნია. ოქტომბრის არჩევნებში არც ხატის შეეშინდა, არც ჯვრისა, და 15 ლარად მიყიდა ხმა იმას, რომელიც მერე მეორე ხელით იმაზე მეტს უკან წაიღებდა. ერთი თვეც არ გასულა არჩევნებიდან, რომ სწრაფად აიწია ფასებმა ყველაფერზე, რასაც ახლა პირდაღებული მისჩერებია. სწორია დიდი ინტელექტი ამერიკელი ლინდონ ლარუში საზოგადოებას რომ გამოთაყვანებულს უწოდებს. ზუსტად მიგვესდაგება გამოთქმა: ჩვენ საზოგადოება კი არა, იზოლირებული ინდივიდუალური სიმრავლე ვართ. ნაცვლად იმის, რომ ჩვენი მოსამსახურე ხელისუფლება ავირჩიოთ, ისინი გვირჩევენ მოსამსახურეებად და გენოციდსაც გვიწყობენ...გონებადაჯდარ, შორსმჭვრეტელ ქართველს წინ აეფარა ფულს დახარბებული, ამჩატებული, მატრაკვეზა, მუქთამჭამელი სიმრავლე,

რომელსაც ათას მყრალ მამაძაღლთან ნაგორავები ცოლი და...იმ პურს უწვდის, რომელიც ძაღლიც არ შეჭამდა.

რამ დაგვცაო, იკითხავდა, ალბათ, ჩაუქრობელი ტალანტი, დიდი ნიკო ნიკოლაძე. ჩვენი დაცემა მაშინ დაიწყო, როცა დავიჯერეთ, რომ დასავლეთი აღთქმული ადგილია, სადაც ხელის განძრევაც არ არის საჭირო, ყველაფერი თავსაყრელია. არაფერი ისე საშიში არ არის, ვიდრე აღტყინებული, რაღაც ბანგით გალეშილი ბრბო, რომელიც მეც ხარი ხარიო და სად მირბის და ვის მისდევს, არც უწყისს. ამ დროს გაიძვერები და სამშობლოს მოღალატეები თბილ ადგილს პოულობენ და იწყება ქვეყნის ძარცვა და გაღატაკება. მერე ერთმანეთს დაერევიან და სისხლიან კალოს აწყობენ. ლუციფერი სეირს უყურებს და სიცილით იგუდება, ვინაიდან მისი ჩანაფიქრის პირველი ნაწილი უკვე ფაქტია: ერთმანეთს დავერიეთ, ქვეყანა გავაჩანაგეთ. დრო სწრაფად გაგვექცა და სხვისი შემყურენი უპატრონოდ დავრჩით. დაგვიწყეს დარიგება: თავისუფალი საბაზრო ეკონომიკა გიშველით, პრივატიზაციით სამუშაო ადგილები გაიზრდება, ხელისუფლება დემოკრატიულად უნდა აირჩიოთო. ბოლომდე გაგებული არ ჰქონდა არა თუ ფართო საზოგადოებას, არამედ მის ელიტარულ ნაწილსაც კი თუ რა იმალებოდა ამ სენტენციების მიღმა. „უნდა ვთქვა, რომ მონაწილე ვიყავი მაშინდელი დისკუსიების (იგულისხება ეკონომიკური და პოლიტიკური დისკუსიები საბჭოთა კავშირის დაშლი წინა პერიოდი). არ ვმალავ ჩემს იქ მონაწილეობას-არ არსებობდა სრული და ნათელი წარმოდგენა იმის შესახებ, თუ როგორ არის მოწყობილი თანამედროვე სამყარო“[20]. ზნეობრიობა მალე ჩამოირეცხა მოსახლეობამ, ვინაიდან საბაზრო ეკონომიკას არ სჭირდება იგი, და წინ ჯვრის მაგიერ ფული გამოესახა, მამონას დაეჩოქა მასა. მართალია, საქართველოს არადროს აკლდა, ყოველთვის ჰყავდა საკმაოდ ბევრი ნიჭიერი და უნიჭიერესი ადამიანი, მაგრამ მათ ყოველთვის რამდენჯერმე სჭარბობდნენ ქვეყნის გამყიდველი და მისი დამაქცევარი უღირსი არაქართველები. ისინი მტრებზე უფრო უარესი და სასტიკი არიან თავიანთი ქვეყნისთვის. მეორე მსოფლიო ომის დროს ჩემი ორი მეზობელი ნაცისტურ გერმანიაში აღმოჩნდა: ერთი ჰიტლერის ოფიცრად, მეორე-ტყვედ. ბუნკერში, რამდენიმე დღის ნაშიმშილებ ამ ტყვეს ძვალი დაუნახავს და რაკი იქვე ოფიცერი, მისი კარის მეზობელი შეუნიშნავს, უფიქრია თვალს ამარიდებსო და ამ იმედით ძვალს წატანებია. მივარდნილა მეზობელი და ავტომატის კონდახით თავი გაუტეხია და ნეკნებიც ჩაუმტვრევია, ისე უმოწყლოდ სცემდა, თურმე, გერმანელ ოფიცერს პისტოლეტი შეუთავაზებია, რაღას აწვალებ, მოკალი ბარემ და დაისვენებსო (მოხუცები მახსოვს ისინი, ერთმანეთის ახლოს ცხოვრობდნენ ომიდან დაბრუნების შემდეგაც). ის ფაშისტყოფილი ოფიცერი არხეინად ცხოვრობდა და ცაზეც გამოეკერა, ხოლო ის ნაცემ-ნატუსაღარი წელებზე ფეხს იდგამდა, თავი ძლივს გაჰქონდა საწყალს, ღრმა მოხუცებულობამდეც რა მიაღწევინებდა, ასაკის წლებიც, თითქოსდა, იმ მეზობელ გერმანელ ნაოფიცრალს დაუტოვა, არაფრად სჭირდებოდა ალბათ. აი, ეს ბოროტი სისხლი არ ისვენებს, ისევ ფეთქავს და არავინ უწყის როდის დაიცლება ქვეყანა მისგან.

მსოფლიოში რომ საიდულო ორგანიზაციებია, თუმცა ისინი ახლა საიდულოებას აღარ წარმოადგენენ და არც თვითონ იმალებიან, ღიად აცხადებენ, რომ ეროვნულობის და ოჯახის მტრები არიან. მაგრამ ჩვენს ამ უბედურ ხელისუფალებს რამ შეაზარათ ასე სასტიკად თავიანთი ქვეყანა, რომ ყველაფერს ჰყიდიან, ყველაფერს ნთქავენ, ყველაფერს ანიავებენ და მოსახლეობას ულუკმაპუროდ ტოვებენ. თუმცა ამ კითხვას უკვე ვუპასუხე ზემოთ. მკითხველს ის უფრო აინტერესებს სანამდე გაგრძელდება ეს ყველაფერი და როდის გაიელვებს სხივი ნათელი. ალბათ დაიღალა გონება ამდენი ლანძღვითა და გინებით; რაც ხელისუფლების მიმართ ისმის, ეს უფრო ჯავრის ამოყრას ჰგავს, როცა უარყოფითი ენერგიისაგან დროებით იცლები, დროებით, ვინაიდან ხვალაც იგივე მდგომარეობა იქნება. საქართველოს ხელისუფლების შეცვლა მოსახლეობის ცხოვრების პირობების მნიშვნელოვან შეცვლას არ გამოიწვევს, ვინაიდან ხელისუფლების არჩევას ხალხი კი არა, ფინანსური იმპერია ახორციელებს ფულზე დახარბებული და ფულით გაბრიყვებული ხალხის მეშვეობით, რომლის მონაწილეები ჩვენ თვითონ ვართ. ეკონომიკურ ლიტერატურაში კარგად ცნობილია, რომ მსოფლიო უკვე ხელში უჭირავს ფინანსურ იმპერიას, რომელსაც მისთვის საინტერესო ყველა ქვეყანაში თავისი ჯარისკაცები ჰყავს მილიარდერებისა და მილიონერების სახით, რომლებიც ბანკების მეშვეობით ერთიან ქსელს ქმნიან და ერთიანი ჯაჭვის რგოლები არიან. საკმარისია რომელიმე მათგანში სოკრატეს „შეიცან თავი შენი“ აღმოცენდეს, მაშინვე ჯაჭვიდან ამ რგოლს ამოხსნიან და იქეთ მოისვრიან, სადაც ბოლოკებს ძირებს უღებავენ, თვითონ ჯაჭვს, არაფერი დაეტყობა. არა და ჯაჭვის შემქმნელებმა კარგად იციან ვინ გამოდგება ჯაჭვის რგოლებად. ალექსანდრე პარვუსმა, იგივე იზრაელ გელფანდმა, კარგად იცოდა, რომ ლენინი ფულის მოყვარული იყო, ისევე როგორც სტალინმა, რომ მოლოტოვი დილით და შუადღისას ხელისუფლებაში განხილულ საიდუმლო საკითხებს საღამოს ჟემჩუჟინას უკაკლავდა ლოგინში; ინგლისის დაზვერვამ, რომ კნეინა რაისა მაქსიმოვნა მის მეუღლე გორბაჩოვზე მაღლა იდგა,

[20] Интервью с В.Ю. Катасоновым-сс._300-Живой журнал. livejournal.com./666580.htnl.

და ისიც რომ ბრილიანტებზე ჭკუა ეკეტებოდა. და მაინც ესენი ქართველ ხარბ მილიონერებთან შედარებით ბაღის ასაკის ბავშვები არიან. ხალხისა და ქვეყნის გულისთვის გადაიძრობენ თავზე ჯაჭვს და უფულოდ დარჩებიან? ჰო, არის კიდევ უფრო უწყინარი ვარიანტი: ამ მოპარული თუ ნაძარცვი ფულით გამართო წარმოება და შენი ხალხი დაასაქმო, მაგრამ ეს ჩვენი აზრია მხოლოდ, ისინი ამას არ აკეთებენ და ვერც გააკეთებენ, ვინაიდან ქართული მხოლოდ გვარები შემორჩათ და ენა მოსაბრუნებლად, თორემ ენაც კი ეზარებათ, ვინაიდან ქვეყანა ჩვენი პატარაა და ნებისმიერი მათგანის ცხოვრება ყველას ხელისგულზე უდევს და გამომზეურებაც არ სჭირდება. ხალხი საშიშია! „ყველანი ციხეში“. ამ აბზაცის რეზიუმე ასეთია: ლიბერასტობა, ეკონომიკური გენოციდი მსოფლიო, გლობალური მოვლენაა და ხელისუფლების შეცვლა ქართველი ერის შიდა შესაძლებლობებს სცილდება. აქედან გამომდინარეობს მეორე რეზულტატი: რიგითი ამერიკელი, რუსი თუ ფრანგი დახლოებით ისეთივე დღეშია, როგორც ქართველი. გამოდის, რომ ერთ მხარეს დგას ფინანსური იმპერია თავისი ჯარისკაცებით და სულ გამოთაყვანებული მოსახლეობით, ხოლო, მეორე მხარეს, უნიჭიერესი, ტალანტი, იაფად დაქირავებული, უუფლებო და უფულო, ხელისუფლებაზე ხელმიუწვდომელი უმცირესობა, მართალია, თავისუფალი, მაგრამ ერთმანეთისაგან იზოლირებული პიროვნებათა ეკონომიკური ენტროპია. სხვანაირად თუ ვიტყვით, გვაქვს ურთიერთსაპირისპირო ორგანიზებული და არაორგანიზებული, აქტიური და არააქტიური, ფორმალური და არაფორმალური მხარეები.

ხალხის გაერთიანების ენერგომატარებელი ყოველთვის იდეა და რელიგია იყო. ჰიტლერმა გერმანია ნაცისტური იდეით შეადუღაბა, რომლის მიზანი გერმანული რასის მსოფლიო ბატონობა იყო. ქრისტიანობამ მისცა ქართველ ერს ღმერთის სიყვარული, მისი რწმენისა და იმედის ენერგია, რომელმაც იგი ჯოჯოხეთის ქარცეცხლში გამოატარა, მაშინ როცა იმპერიები და უძველესი ერები ისტორიის ქარტეხილებში დაიძირენ და მეხსერებად დარჩა. ვიდრე მკითხველი შემისწორებდეს, დავასწრებ და ვიტყვი, რომ, კი, ქრისტიანობაც იდეაა ანუ იდეა საკაცობრიოცაა და არასკაცობრიოც. საკაცობრიო იდეა ღვთიურია: ყველა ადამიანი ღვთის შვილია თუკი იგი ღვთიურად ცხოვრობს ანუ მეორე ადამიანი მისთვის ძმა და მეგობარია, რომელსაც ხელი უნდა გაუწოდოს, გაუტეხოს პური, როცა ჰშია, მიაწოდოს წყალი, როცა სწყურია. არასაკაცობრიო იდეა განსაზღვრული სოციალური ჯგუფების ენერგომატარებელია, რომელსაც ადამიანი თავის საშუალებად სჭირდება.

ლუციფერი ყოველთვის ცდილობდა დაეჭირა ღმერთის ადგილი და რაკი ყოველთვის ხელი მოეცარა, დამარცხებულმა ახალი ფანდი აირჩია. ფული გამოიტანა რელიგიად და ადამიანს ზეციური მარადისობა მიწიერ სამოთხემდე ჩამოუტანა, სულიერება ნივთებზე გადაუცვალა. ამიტომ არის ახლა ადამიანი უფრო სასტიკი და ულმობელი ყველასა და ყველაფრის მიმართ, როგორც არასდროს ყოფილა იგი. ერთაზროვნად შეიძლება ითქვას, რომ ფული რელიგიის გამოწვევის წინაშეა. აპოკალიფსი გვიახლოვდება, უფალი განიკითხავს, ვინაიდან დავივიწყეთ იგი. ისტორიის, კიდევ ერთი, უპრეცედენტო შემთხვევა-ბოროტი იდეა უმრავლესობად მოეკიდა და ჭეშმარიტი იდეის სივრცე შეავიწროა. მიწიერი ცხოვრება ზეციურს გაემიჯნა. შეიძლება ზემოთ უნდა მეთქვა, მაგრამ, ვფიქრობ აქაც თუ ვიტყვი, უადგილო არც აქ იქნება. ფინანსური იმპერია ძლევამოსილია არა მარტო ფულის მონოპოლიით, არამედ ინტელექტუალურადაც, კოსმოსური თერმობირთვული იარაღითაც... თუკი ვინმე ცდილობს გამოვიდეს ჩვენი მორჩილებიდან, ჩვენი „ფასეულობები“ ასეთია, ის უნდა განადგურდეს[21]. ფაქტები სახეზეა: ჩილე, ვიეტნამი, ერაყი, ვენესუელა, სირია, ეგვიპტე...რასაც ვერავინ უშლის.

საქართველოს რამდენი ხანია აბურთავებს ფინანსური იმპერიის ამპარტავნული და უკიდურესი ამბიციის ახირებები. ჩაგვითრიეს თუ ჩაგვიყოლეს, ნაკლებად მნიშვნელოვანია, ქვეყანა უფკრულის პირას დგას. ეკონომიკურ გენოციდს ფიზიკური განადგურება აგრძელებს. ნაცვლად იმისა, რომ დემოგრაფიულად დაზარალებული ერის დარჩენილი მოსახლეობა შეკავშირდეს, ერთმანეთს დაერია. დაბეზღებისა და „ჩაშვების“ მასივებს, მკველოებების სერია დაამატა, არასრულეწლოვანებმა დროშა აიტაცეს. მკვლელობები მიეძალა საქართველოს. აიფოფრა თავჩაღუნული ინტელიგენცია და დაიწყო დამნაშავეთა გამოწვევა: ზოგი ოჯახს აბრალის, მოსწავლეს ვერ მიხედაო, ზოგი მშობლებს ამტყუნებს- შვილებისთვის არ გცალიათო, ზოგი განათლების უბედურ ინსტიტუტს ახალ უბედურებას ჰკიდებს. განა ჩვენ არ ვასწავლეთ მკვლელობები და სისხლიანი გარჩევები ბავშვებს? დაუსჯიათ კი რომელიმე ჯალათი? დაუსჯიათ კი არა, თანამდებობებზეც დააწინაურეს. განა საზოგადოების უმრავლესობა წამხედურებით არ ცხოვრობს? ცალკე ვერც სკოლა, ვერც ოჯახი, მშობელი თუ მშობლები, განათლების უხეირო სამინისტრო, მკვლელობებს და ძალადობას ვერ შეაჩერებს. როგორ, თქვენ ტელევიზიას ან

[21] Хомский Н. Классова борьба. с.135. М.; Праксис, 2003.
3.ლარუში ლ. თხზულებანი.niko-gunia.ge копия

ინტერნეტს არ ადევნებთ ყურადღებას, რომ გაიძახით საიდან ვრცელდება ძალადობა და გარყვნილებაო. ეს ხომ ჩვენი ბოლო ათწლეულების ცხოვრების წესების გამოა; წინ უარესი გველოდება, ვინაიდან ქვეყანას კი არ ვემსახურებით, ვჭამთ და ვგლეჯთ მას, წინაპართაგან სისხლით გაპოხილ მიწას გოჯა-გოჯა ვყიდით, ტყეებსა და მდელოებს ცეცხლს ვუნთებთ, პატიოსანს დავცინით, უტვინოებს სავარძლებს ვთავაზობთ, ნიჭიერებს და ტალანტებს სამსახურიდან ვაგდებთ ან პენსიაზე ვაგზავნით, ვინაიდან იქედან სასაფლაომდე ერთი ნაბიჯია, ჩვენც ჭერში ქუდებს ვისვრით, გვიხარია, „მოწინააღმდეგე“ უკვე ქვევიდან ბოლოკევს ძირებს უღებავს.

ქვეყანას, ჯერ ერთი, პატრონი უნდა. ქვეყნის პატრონობა ერისკაცს თუ შეუძლია, შემთხვევითი, ჭამა-სმას აყოლილი კაცი ქვეყანას გაუძღვება? რანაირად გაართმევს თავს საქვეყნო საქმეებს შენ რომ გუშინ გადასახადის გარეშე 15 ლარის „შემოსავლით“ აღფრთოვანებულმა კაცს, რომ ვიღაცა კაცუნა ამჯობინე, რომელიც ახლა იმ 15 ლარის გადაგაყოლებს. მანამ არ მოისვენებს, ვიდრე ასჯერ თხუთმეტს არ წაგლეჯს, შენი გაძვალტყავებული ჯალაბის წევრები ერთმანეთს არ დაერევით დანით, ნაჯახით და თოფით, უმიწოდ და უსახლკაროდ არ დაგტოვებს, შვილებს ხასებად და გადამთიელი მოხუცების მომვლელებად არ გაგიხდის. ბოლოს ისევ შენ დაგაბრალიან-ოჯახს ვერ მოუარაო.

როგორ ჩანს, ცოტა გავცდი პირდაპირ სათქმელს. ტკივილმა სიბრაზემდე არ უნდა მიგიყვანოს. არ შეიძლება ქვეყანა არ გიყვარდეს, არ გტკიოდეს თუ კაცი ხარ, მაგრამ უფრო მეტია ქვეყნის მსახურება, როგორც დიდმა ნიკო ნიკოლაძემ თქვა და დაწერა საუკუნეზე მეტი ხნის წინათ. არ არის სწორი თითქოსდა ქვეყნის გადარჩენა მხოლოდ მისი ხელისუფლების გადარჩევის გზით შეიძლება. ამერიკელ ხალხს, მის ინტელექტუალურ ძალებს კი ხანია უნდათ ხელისუფლების შეცვლა, მაგრამ საამისო ძალა არ ჰყოფნით. ფინასური იმპერია ყველაფერს დაეპატრონა, „მეცნიერებსაც კი გამოურეცხეს ტვინი”[22].

არ ვარგა, ღმერთმანი, აკვიატებული აზრი: ხელისუფლებას შევცვლით და ქვეყნის მდგომარეობა გაუმჯობესდება. შეიძლება ვინმე ან რამდენიმე შეცვალო ხელისუფლებიდან (როგორც ეს ახლა ხდება თვალის ასახვევად), მაგრამ ხელისუფლების საქმიანობის პრინციპებს ვერ შეცვლი, ვინაიდან მის უკან მსოფლიო ფინანსური იმპერია დგას. გაასაჯაროა ეს აბე ფილკენშტეიმა, რომ „თამაშის წესები“ დაქირავებულთა მიერ იწერება, თვითონ აზრის კონსტრუქტორები ყოველთვის ჩრდილში რჩებიან. ეკონომიკური ბეცები ამას ვერ ხედავენ და კატეგორიულად აცხადებენ: დასავლეთი არაფერს გვიშლისო. დასავლეთი და ვინმე ორფეხი და ორფეხობა კი არა, გვიმონებს და გვასულელებს პირობები, რომელსაც კანონებისა და ნორმების მეშვეობით გვიქმნიან და რომელსაც სამოქმედოდ ღებულობენ მათ მიერ უკვე ტვინგამორეცხილი ქართულგვარიანი ლიბერასტები, სხვის ხელზე მოსამსახურებას დახარბებული მონები. სწორედ მათი მხარდაჭერით აივსო ქვეყანა კაზინოებით, ბორდელებით, პარაზიტული საქმიანობებით. „ყველაზე უფრო პარაზიტულ პროფესიებს მიეკუთვნება ლეგალიზებული სათამაშო ბიზნესი, ნარკოტიკების არალეგალური ვაჭრობა და ფინანსური სერვისები“[23].

საზოგადოებრივი აზრი უნდა გავაჯანსაღოთ, ცუდად ვაზროვნებთ, არ ვარგა; ავადმყოფური აზროვნებისაგან განკურნებას დრო სჭირდება ანუ თანამედროვე აზროვნების გამომუშავების გრძელვადიანი პროგრამა გვინდა და ისეთი უნარების გამომუშავება, რომელიც, ერთის მხრივ, ნიჭსა და ჭკუას დააფასებს და მეორეს მხრივ, იმდენად დამოუკიდებელი იქნება, რომ სტრატეგიულ პარტნიორებს კი არ აიჩემებს, ყველა ქვეყანასთან ურთიერთობის ადეკვატურ მექანიზმებს მოიშველიებს, რომელიც რუდუნებითი შრომით, ნიჭიერი აზროვნებით გამომუშავდება, როცა გარედან აზრებს თავს ვერ მოახვევენ, ვინაიდან მისი ბრმა მიმდევარი კი არა, კრიტიკული მიმღები იქნება. „თავისუფალი ბაზრის პოლიტიკა თავს მოახვიეს „მესამე სამყაროს“ გარედან, მაშინ როცა ნებისმიერი, განვითარებული სახელმწიფოდან ყოველთვის რადიკალურად არღვევდა მის ყველა პრინციპს, ყველაზე ხშირად აშშ, ვიდრე სხვა რომელიმე“[24].

უნდა დავიწყოთ ახალი სახის სოციალური მოძრაობა, გზა უკვე გაგვიკვალეს ილია ჭავჭავაძემ და ნიკო ნიკოლაძემ. დიდმა ილიამ განათლებას უმხედრა, დიდმა ნიკომ ეკონომიკა ამოათრია წუმპედან. ისინი ყოველივე ანტიპატრიოტულობის, გონებრივი სიბრმავის, ჩამორჩენილობისადმი უკომპრომისო და შეურიგებელი იყვნენ. სწორედ ისინი ატარებდნენ ჭეშმარიტ თავისუფლებას. მტერს და დამპყრობელს აზრით უნდა ებრძოლო, ლანძღვა-გინებით შეიძლება მხოლოდ რისხვა დაიმსახურო. სულმნათი დიდი ნიკო თავისი უზარმაზარი ავტორიტეტის წყალობით რუსეთის უმაღლეს ხელისუფლებასთან საქართველოსთვის მნიშვნელოვან თითქმის ყველა საქმეს აგვარებდა.

---

[23] ლარუში ლ. ფიზიკური ეკონომიკა. გვ.10. თხზულებანი. niko-gunia.ge

[24] Хомский Н. Классова борьба. с.39. М.; Праксис, 2003

„დოკუმენტური მონაცემები და მასზე სხვადასხვა პირების გამოხმაურება ახასიათებს ნიკოლაძეს, როგორც ბუნებრივი კრიტიკული აზროვნების პატრონს, უაღრესად განათლებულს, რომელიც იოლად ერკვევა სპონტანურად წამოჭრილ ყოველგვარ სპეციფიკურ, ტექნიკურ საკითხებში, იშვიათი შრომისუნარიანობის ადამიანი, მტკიცე ნების, რომელმაც არ იცის უკან დახევა, ენერგიული, რომელსაც არ აშინებს წინააღმდეგობები, თან ამ დროს ფრიად პატივმოყვარე. ამას უნდა დაემატოს სიტყვისა და კალმის ოსტატური გამოყენების უნარი, სავასე სარკაზმით, პირდაპირ საშიში პოლემიკაში ოპონენტისთვის. ამ მისი ბუნებრივი თვისებების წყალობით იმ პერიოდში ნიკოლაძემ დიდი როლი ითამაშა კავკასიაში, როგორც ძალიან პოპულარულმა პუბლიცისტმა და საზოგადო მოღვაწემ, რომლის სიტყვას ყურადღებით ისმენდა საერთოდ მთელი ადგილობრივი საზოგადოება და განსაკუთრებით ზოგიერთი მისი ნაწილი, რომელიც მას თავისი იდეალების გამომსახველად თვლიდა“[25]. მან მთელი ევროპა შემოარა, ღრმად ჩაიხედა ხალხების ცხოვრებაში, გაიგო მათი ავან-ჩავანი, მაგრამ არც ერთი აურჩევია მამად და პატრონად, არც ერთს დახარბებია და არადროს უცდია სამშობლოს გადაკეთება იმათ ყაიდაზე. ევროპის ქვეყნებსა და სამშობლოს შორის ხიდებს აგებდა საუკეთესო მიღწევების გასაცვლელად. მთელი ცხოვრება საქართველოს სამსახურში გაატარა და შვილებიც იმ გზაზე გაიყვანა. გენიალური ტალანტი ღვთის მოყვარულიც იყო. ის ივსებოდა სულიერი სიმდიდრით, რომელსაც ქვეყანასა და ხალხს უძღვნიდა.

დიდი ნიკო ვინმეს კვალს კი არ გაყოლია, უცხოელს კუდში კი არ ადევნებია, საკაცობრიო აზროვნება აითვისა, სამოქმედო პროგრამა „მამულის სიყვარული და მსახურება“ შექმნა და წინ ხატად გაიძღოლა და ფეხდაფეხ მიყვა მას. ქვეყნის მსახური რომ იყო-გვასწავლიდა/გვასწავლის ბატონი ნიკო, მარტო მისი სიყვარული არ კმარა, არც უცხოური განათლების მიღებაა საკმარისი, მითუმეტეს, ფულების ფრიალი და ევროპულად გამოპრანჭვ-გაშიშვლება. მამულის სიყვარული ღვთიურია, ქართველი კაცის თანდაყოლილი პასუხისმგებლობაა, რომელიც უნდა აღასრულო-გზა ჭეშმარიტი თავისუფლებისაკენ და აღასრულებ მხოლოდ ზნეობრივი მაღალპროფესიული ცოდნით, რაიც შენი ადამიანურობის საზოგადოებრივი მეტრია.

ზოგჯერ ხდება ისე, რომ კი მიუვლენს ამ თუ იმ ერს მამაზეციერი მის მესაჭეს და მსხნელსა, მაგრამ ჩაივლის დრო და იმ მძიმეჯვარიანსაც თან გაიყოლებს, შეიძლება იმიტომ, რომ რა კარგი საჩინო, რა ავად მიიჩნიეს (დავით გურამიშვილის პერიფრაზი). უზენაესმა ნიკო ნიკოლაძე დროს არ გადააყოლა, უფალმა შეაჩერა და ჩვენი ცხოვრების სანთლად დაგვიტოვა, მითუმეტეს, რომ ხალხმა ნახა, მაგრამ ვერ შეიცნო იგი (ესეც პერიფრაზირებაა, მაგრამ სახარების), არც ახლა უნდათ მისი შემჩნევა. თუ ასე გაგრძელდა, ეს უკვე საქართველოს გზიდან აცდენა იქნება.

ბატონი ნიკო თავის სამშობლოსა და ხალხს იმ გზის სათავეში უდგას, რომელიც მას ღმერთს მიუახლოვებს თუკი ხელისუფლება იმ გზაზე შედგება. ჩვენ ახლა აქ არათავსებადობის შესაყარზე აღმოვჩნდით. დიდი ნიკო ღვთის მოშიში და მისი მსახურია, ხოლო ესენი, ფულებს გამოდევნებული ფარისევლები საეკლესიო დღესასწაულებზე ნახევარმეტრიანი სანთლებით მონასტრებში რომ პოზიორობენ-ლუციფერის მონები არიან, დროს არ აცდენენ და მართლმადიდებლურ სალოცავებშიც კი უხეირო თავს თავიანთ უფალს ავედრებენ. რანაირია მთავრობა, რომელიც მაშინ სუქდება, როცა ხალხი სიღარიბეში იძირება (ყვარყვარიზმი). როცა ჭაობიანი ფოთის დილიდან საღამომდე შრომისგან წელში გაწყვეტილი მოსახლეობა შებინდებისას ღრმა ძილს ეძლეოდა, ბატონი ნიკო თავის კოშკში იჯდა და სინათლის შუქზე ქალაქისა და პორტის მშენებლობის პროექტებს ხაზავდა. ახლა, როცა წელში გაწყვეტილი, ლუკმა პურს მოკლებული მოსახლეობა შებინდებისას ღრმა ძილშია, ხელისუფლება რესტორნებში ქეიფობს და საქართველოს სადღერგრძელოებზე მაღალი ყანწით იჭყიპება ან საზღვარგარეთ ერთობა ხუთვარსკვლავიან სასტუმროებში (მკითხველო, ეს ჩემი კაბინეტური ფანტაზიის ნაყოფი არ გეგონოთ, ხშირად შევსწრებივარ ან ახლობლებისგან გამიგონია. არც თქვენ გექნებათ ცოტა მოსმენილი და განაგონი).

ბატონი ნიკოს მამულისადმი მსახურების გზა ასეთია. მაღალპროფესიული ზნეობრივი ცოდნის დაუფლება, კულტურული კრიტიკული აზროვნება, რომელიც დაუნდობელია, მაგრამ არასდროს გადადის მტრობაში, მტკიცე რწმენა, ნება, მიზანსწარფულობა და შეუპოვრობა, თანამედროვე ეპოქის სიღრმისეული ანალიზი და მისი თავისებურებების შემეცნება, მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების უახლოესი მიღწევების ქართული ეროვნული ინტერესების სფეროში მოქცევა ქვეყნის ბუნებრივ-გეოგრაფიული, კულტურულ-ინტელექტუალური პოტენციალისა და ადგილობრივი პირობების სპეციფიკურობის გათვალისწინებით. მოსახლეობის ჩართვა სამშობლოს ეკონომიკური აღორძინების ფრონტალურ პროგრამაში, უშუალო მონაწილეობა და მეწინავეობა მშრომელი ადამიანების

---

[25] მასალები ნიკო ნიკოლაძის ბიოგრაფიისათვის. „ფოთის საქმე“. შემდგენლები: მ. კეზევაძე, რ. ნამიჭეიშვილი. ფაქსიმალური გამოცემა. c.6 от постановления. ქუთაისი, 2003.

აქტივიზაციაში, ჭკუისა და ნიჭიერების გამოწვევა მასებში, ხელისუფლების ჩაყენება ქვეყნისა და ხალხის სამსახურში. ვიდრე ამ საკითხების პირდაპირ გაგრძელებაზე გადავიდოდე, ერთ მომენტზე მოგვიხდება შეჩერება. გრძელი პერიოდი ივსებოდა ცნობიერება „თეორიით“, რომ საქართველო ღარიბი ქვეყანაა და მას დამოუკიდებელი არსებობა არ შეუძლია. დიდი ილია ამბობდა: საქართველოში, რომ იტყვიან ჩიტის რძეც კი იშოვება, მაგრამ ქართველ კაცს ხელის განძრევა არ უნდა. დიდი ნიკო რისხვას ამეხებდა: ქართველ კაცს სიღარიბის სენი ჭირს. მხედველობაში ჰქონდა ხე-ტყისა და წყალუხვ მდინარეთა რესურსები, წიაღისეული, ზღვაზე გასასვლელი, სარკინიგზო დერეფანი, ადამიანური კაპიტალი. და მაინც იმძლავრა შინაური თუ გარეშე მტრის მზაკვარმა აზრმა: დავიჯერეთ, რომ ქვეყანა ღარიბია და ავიბერტყეთ ბუდიდან. მეტი რა უნდოდათ ავისმქმნელებს და შემოესივნენ სამშობლოს ჩვენსას. ზოგი ხის მორებს მიარბებინებს, ზოგი ნიადაგს ათლის მამა-პაპისეულ მიწას და თავის ქვეყანაში ეზიდება, ზოგი ვენახს აქვე აშენებს და ფეხის მოცლას არ აპირებს, ბევრი ოჯახიან სოფლიანად „შემოიპარა“ და ჩვენი სოფლები და ქალაქები დაასახლა. ვირები, მოედანი რომ დარჩათ ყროყინებენ: შევაპარეთ ხელში გოიმებს ჩვენი ღარიბი ქვეყანა და აწი კისერიც უმტვრევიათ, ხომ მოვატყვილეთ.

ნიკო ნიკოლაძე ახალგაზრდობიდავე მიხვდა, რომ რევოლუცია, რანაირიც არ უნდა იყოს იგი, ქვეყნის მოწყობის საუკეთესო მეთოდი არ არის. მას მხოლოდ ერთი რევოლუციისა სწამდა-რევოლუციისა თავებში, როგორც თვითონ წერდა და არა ტახტების ნგრევისა და განადგურებისა. ქვეყანას ხალხი აშენებს ერისკაცების წინამძღოლობით, ერისკაცებს კი ხალხი ირჩევს თავის მოსამსახურედ. ძე ღვთისა მოვიდა არა იმისთვის, რომ იმსახუროს, არამედ რათა ემსახუროს. მაცხოვრის სიბრძნე მან თავისთავში გარდასახა და „მამულის სიყვარული და მსახურება“-ად ჩამოაყალიბა. ამ აბზაცის რეზიუმე ასეთია: სამშობლოს მსახურება უკეთესად შეიძლება პარტიებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების გარეშე. სირცხვილია, შეადარო წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მიერ ქვეყნისა და ხალხისთვის გაწეული საქმიანობა, საქართველოში არსებული 200-ზე მეტი პარტიების, სხვადასხვა გაერთიანებების, ასოციაციებისა თუ კავშირების ნაცარქექიობას. 3-5 თუ 10%-იანი სახელისუფლო მარათონში მონაწილე პარტიული ჯგუფები ბიუჯეტიდან ხალხის ფულით ფინანსდებიან და ღარიბ მოსახლეობას პირიდან ლუკმას აცლიან. ჩვენი განმანათლებლი მამები, პირიქით, ლუკმას იღებდნენ პირიდან ხალხის განათლებისთვის.

მაშასადამე, ჩვენი ქვეყნის წინსვლა დამოკიდებულია არა პოლიტიკური პარტიების მისი ხალხის პატრონობისა და თუ ბატონობის ამბიციებზე, არამედ ქართული ინტელექტუალების ეროვნულ შეგნებულობაზე, ცხოვრების წესზე, რომელსაც მართლმადიდებლობა ჰქვია. ღმერთმა დაამკვიდრა მიწიერი მმართველობა და ხალხს მეფე დაუმოძღვრა ცისქვეშეთში, რომელსაც პატრონობის ფუნქციები აკისრია. ღმერთისაგან გაქცეულ ყველა სოციალურ ავანგარდს მეფის ჩანაცვლება უნდა. სამყარო დადგა კრიზისის წინაშე. წარმოებას იმ ტემპებით განვითარება არ შეუძლია, რასაც აქამდე ახერხებდა. ეკონომიკურ ლიტერატურაში გავრცელებულია ორი თვალსაზრისი. კაცობრიობა ან უნდა გადავიდეს მოხმარების ზომიერებაზე, რაც კეთილი გონის სურვილი უფრია, ვინაიდან ამას ფინანსური იმპერია ეწინააღმდეგება და მოსახლეობის მილიარდამდე შეკრეჭა ურჩევნია, რაც მისთვის ტექნიკურად შესაძლებელია და რისი პრეცედენტები უკვე სახეზეა ავადმყოფობების გავრცელების, ომების, წამლების ფალსიფიკაციისა და ეკოლოგიური გენოციდის სახით, ან გამოიყენოს თვითგანადგურების ჩინური ვარიანტი, რომელიც არსებული რესურსების და მარაგების მრალავალჯერად განახლებას ითვალისწინებს. საქართველოსთვის ორივე ვარიანტი გამოუსადეგარია. ღმერთმას მას სიცოცხლის ელექსირი უძღვნა სასმელი წყლის მსოფლიო მარაგების სახით, რომლის დაპატრონებას ცდილობს ქართული ფინანსური ოლიგარქია. რომელსაც უპირისპირდება ქვეყნის ინტელექტუალური არისტოკრატია. ქვეყანაში სახალხო მოძრაობა უნდა გაიშალოს ამ უკანასკნელის მხარდასაჭერად. ხალხის ერთიანობა ჩვენი გადარჩენის გარანტიაა.

ახლა საქართველოში დაახლოებით ისეთი მდგომარეობაა ბატონ ნიკოს რომ უწერია „მამულის სყვარულსა და მსახურებაში: “ღვთის მადლით ფხიზლდება და ნელ-ნელა იღვიზებს ქართველობა, მოძრაობას იწყებს ცოტ-ცოტად ჩვენი ქვეყანა. როგორც იქნა, იმ დღესაც მოვესწარით, როცა ქართველ კაცსაც საზოგადოებრივი გრძნობა გაუჯდა ტანში, ის გრძნობა, რომელიც გვაგებინებს, რომ ბევრი რამ ჰკლებია ჩვენს ქვეყანას, ბევრი საერთო საჭიროება გვქონია...“[26]. მხედველობაში მაქვს ერის თვალსაჩინო ადამიანების საზოგადოებივ ქსელში მონაწილეობა. მათ გათავისებული აქვთ პასუხისმგებლობა ერისა და ქვეყნის წინაშე, თორემ თავს ასე საჯაროდ არ გამოიდებდნენ, მითუმეტეს, რომ საკმაოდ ბევრია ისეთი კრეტინი, რეგვენი, რომელიც მაღალპროფესიონალს არა თუ ჰაიჰარად დაუწუნებს სეფეს აზრს, ბინძურად შეუკურთხებს კიდეც. მაგრამ ინტელექტუალები ბრძენი ხალხია,

[26] ნიკოლაძე ნ. თხზ. ტ. 7. გვ. 302. თბ.,1985.

ყველაფერს აზროვნების გაუმჯობესებისთვის ითმენენ და რეგვნებს არ ეხამურებიან. მიმაჩნია, რომ ინტელექტუალების დღვანდელი ასეთი მონაწილეობა სოციალურ მოძრაობად უნდა გარდაიქმნას და ამ გზით იმოქმედონ საზოგადოებრივი ცნობიერების განახლებაზე. ვითვალისწინებ იმ ავტორების აზრს, რომლებიც თვლიან, რომელთაც მიაჩნიათ, რომ ეკონომიკური აღორძინება არა ზემოდან, არამედ ქვემოდან, ხალხის აქტიურობით უნდა დაიწყოს. დაიწყოს იგი უნდა ადგილებიდან იმ რესურსების გამოვლენით, რისი მფლობელიცაა შენი ადგილის დედა.

ეკონომიკაზე ფიქრი თუ ქვეყნის ძარცვა

ნამდვილ ქართველს სიმშვიდეს ვერ მოუტანს ის კერძო ვითარება, რომ თვითონ არ ჰშია და არ სწყურია, როცა ირგვლივ უმრავლესობა მშიერი არის და ლუკმა პური ენატრება, ვინაიდან ხელი არაფერზე მიუწვდება, ჯერ ერთი, იმიტომ რომ თვითონ არაფერი აბადია, პროლეტარია, მეორე, იმიტომ რომ ფიზიკური ეკონომიკა მიტოვებულია...სულით ქართველის ყველა ფიქრი და ოცნება სამშობლოს ირგვლივ ტრიალებს, მისით იწყება დილა და მთავრდება საღამო. ნუთუ, მართლა, ბოლო წვეთამდე გაშრა ქართული სისხლი და გაქვავდა გული, რომელიც ქვეყნისთვის უნდა ძგერდეს. ტელევიზიებიდან უტიფარი აზროვნება იბჟუება-ეკონომიკა წინ წავიდა, მაგრამ ჯერ ცხოვრებას არ დატყობია, მალე დაემჩნევაო. ამნაირ ადამიანებზე იტყვიან-ტვინი გაწყალებული აქვსო. ფასები ყველაფერზე გაიზარდა, ლექტორის, მასწავლებლის, პენსიონერის თვიურ განაკვეთს ლარიც არ მომატებია. კომუნალური გადასახადები მატულობს. სად არის აქ ეკონომიკური წინსვლა? თუ მეზობლის-ბიუჯეტის ქურდის სახლკარი რომ დღითდღე ლამაზდება და მშვენდება შენი კეთილდღეობა გგონია?

ტყუილი იმედია, რომ ხელისუფლებისთვის მებრძოლი პოლიტიკური პარტიებიდან რომელიმე საქართველოს რაიმე მნიშვნელოვან ეკონომიკურ წარმატებას მოუტანს. ჯერ ერთი, იმიტომ რომ პოლიტიკურ პარტიებს ეკონომიკური და სამეურნეო საქმიანობის არანაირი გამოცდილება არ გააჩნიათ. მეორე, ეს პარტიები ბიუჯეტიდან ფინანსდებიან და ხალხს ცხრაფა კანს აძრობენ, გაღატაკებულ მოსახლეობას მდგომარეობას უფრო უმძიმებენ ანუ მუქთახორობას არიან მიჩვეულები. მესამე, განა ცხადი არ არის, რომ პარტიებს ბიზნესმენები მართავენ, ხელისუფლებას ბანკები არ ქმნიან? პოლიტიკური პარტიების აზროვნებაში დამკვიდრდა გაორებული აზრი: დაჰპირდე მოსახლეობას ცხოვრების გაუმჯობესება და იყიდო მისგან ხმები არჩევნებში; მოხვიდე ხელისუფლებაში, მოსვლა მხოლოდ ერთი მიზნით-ხელში ჩაიგდო ქვეყანა პირადი კეთილდღეობის გაუმჯობესებისთვის. ამ უზნეო აზრების მიღმურია მესამე ზნედაცემულობა: ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ხელით ათრიო და ისევ ხალხის კისერზე ატარო პარტია, რომელმაც აქამდე შენ გათრია და ყოველი მეორე თუ არა, ყოველი მესამე ლუკმა ხალხს პირიდან გამოგლიჯა შენი სტომაქის ამოსაყორად. გაუმაძღრობის ამ მარათონს ის სიკეთე მოჰყვა, რომ პოლიტიკურ პარტიებს ტყუილების პროფესიული გავრცელების არეალი დაუმოკლდათ და ახლა ინტელექტუალებთან პირდაპირ კამათს თავს არიდებენ, ფარულ დაპირისპირებებში და ინტრიგებში იხლართებიან. ასპარეზი გაუფართოვდა ინტელექტუალებს. მათ უნდა ითავონ ახალი სოციალური მოძრაობა, რომელსაც სათავე დაუდო ნიკო ნიკოლაძემ და ილია ჭავჭავაძემ.

გენიალური იყო ბატონი ნიკო ნიკოლაძე. იგი ნათლად ამჩნევდა პრობლემის დაბადებას, მისი განვითარების საწარმოო გავრცელებას და აქტუალობის ამოწურვის პროცესებს. ხმალამოწვდილი ებრძოდა საქართველოში წერა-კითხვის გავრცელებას და ამისთვის არაფერს იშურებდა, მაგრამ მან შესანიშნავად იცოდა, რომ მხოლოდ წერა-კითხვით ქვეყანა წინ ვერ წავიდოდა. საჭირო იყო ხალხისადმი მიხმარება სიღატაკიდან გამოსასავლელად და თვით ხალხთან ერთად მეწარმეობრივი საქმიანობის წამოწყება, რომელიც მაშინ იდგამდა ფეხს მთელ მსოფლიოში. დაუნდობელი იყო ბატონი ნიკო არა მხოლოდ როგორც კალმოსანი და მწერალი, არამედ როგორც „ულმობელი საქმის კაცი“. „ბ. გიორგი ყაზბეგს ჰკითხეთ...რამდენჯერ დაგვჭირდა დუშეთს ასვლა 1871-1873 წწ. რომ ილია ჭავჭავაძისთვის სახელმწიფო სამსახურზე ხელი აგვღებინა, ბანკის დაარსება იერიშით აგვეღო, ბანკი განახლების ბანაკად გვექცია და შიგ ჭავჭავაძე ძალდატანებით ქართული საქმის სათავეში ჩაგვეყენებია“[27]. დანარჩენი მკითხველმა კარგად იცის-სათავადაზნაურო ბანკმა ქვეყანას რა დიდი სამსახური გაუწია.

გენიალური აზროვნება ბევრნაირია. ზოგი თავის გენიალობას პირადი ინტერესებისთვის იყენებს. რამდენს მიუტოვებია ბედკრული საქართველო მძიმე შეჭირვების ჟამს და უცხო ქვეყნებში თბილი ადგილი უპოვია. ბატონი ნიკო ევროპული საზღვაგარეთის პროგრესული აზროვნებით შეიარაღდა და

[27] ნიკოლაძე ნ. თხზ. ტ. 1. თბ., 1965, გვ. 63-64

თავის ქვეყნის სამსახურში ჩადგა, სამშობლოსა და ხალხის ტვირთი აიზიდა. „მას მრავალმხრივი და საფუძვლიანი ევროპული განათლება, პრაქტიკული ალღო და ბუნებრივი ნიჭი საშუალებას აძლევს დაინახოს, რომ მხოლოდ წერა-კითხვის ცოდნით ქვეყანა წინ ვერ წავა, მომავალი სამეწარმეო საქმიანობას ეკუთვნის, რომ თეორიული ცოდნა მხოლოდ მაშინ ხდება სასარგებლო, როცა ნივთებად და მომსახურების სახეებად იქცევა. ამის საფუძველზე იღებს, მაშინდელი საზოგადოებისთვის თითქმის წარმოუდგენელ გადაწყვეტილებას-საცხოვრებლად გადადის დიდ ჯიხაიშში, ყიდულობს მიწას, 25 ჰა და იწყებს მასზე ფერმერულ საქმიანობას, რომელიც მერე ფართო მასშტაბებს ღებულობს და მთელ სოფელს გადაედება, რაც შემდგომ, თანამედროვე გაგებით, აგროსამრეწველო კომპლექსის სახეს ღებულობს“[28]. იმ დროს მას მისი თანამედროვეებიდან ეს გადაწყვეტილება არავინ მოუწონა და საქმიდან გაქცევად ჩაუთვალეს. სულ რამდენიმე წელიწადში კი ჯიხაიშური პროდუქცია ევროპულ ბაზრებზე გავიდა.

პოლიტიკური პარტიები სულს ღაფავენ. მასთან ბრძოლა დონ-კიხოტობაა. ღმერთის წყალობით საქართველოს ბევრი ისეთი უნიკალური და იშვიათი რესურსი გააჩნია, რომელიც მას ეკონომიკური უზრუნველყოფის საშუალებას აძლევს. ადგილობრივი სასმელი წყლის გახმაურებული მსოფლიო მარაგების გახსენებაც საკმარისია. ამას გარდა, ქვეყნის რეგიონებს, ქალაქებს, სოფლებსა და დასახლებებს რამდენნაირი განსაკუთრებულობა აქვს ნიადაგის, კლიმატური პირობების, ტექნიკური და სასოფლო-სამეურნეო კულტურების უნიკალობის თვალსაზრისით. საჭიროა მათი მეცნიერული შესწავლა, კონკურენტუნარიანობის გამოვლენა, რესურსების მასობრივი გამოყენების პროექტებისა და პროგრამების დამუშავება მაღალი დონის პროფესიონალების მიერ და მეცნიერული ნამუშევრების პრაქტიკული რეალიზაცია ხალხის მეშვეობით და ხალხთან ერთად. საილუსტრაციოდ ქუთაისის მაგალითს მოვიშველიებ.

ქუთაისი მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი ქალაქია, რომელიც 1400 წელს შეიქმნა ქრისტეს შობამდე. აქვს ლამაზი გეოგრაფიული მდებარეობა. გარემოცულია უძველესი ისტორიული ძეგლებით, ამშვენებს მიმზიდველი არქიტექტურული კონსტრუქციები, რამდენიმე უმაღლესი სასწავლებელი, კოლეჯები, სასწავლებლები, მუზეუმები, თეატრები; მისთვის ნიშანდობლივია განვითარებული საავტომობილო, საკრინიგზო და საავიაციო ინფრასრუქტურა, კვების ობიექტები, სასტუმროები. ახლომდებარეა ისეთ უძველეს ისტორიულ ნაქალაქართან და ღირსშესანიშნაობებთან, როგორიცაა ვანის არქეოლოგიური გათხრები, წყალტუბოს და სათაფლიის მღვიმეები, კურორტი საირმე, გორის სტალინის სახელმწიფო მუზეუმი. ისმება კითხვა: რა განაპირობებს იმას, რომ ქალაქში უამრავი უმუშევარია, მოსახლეობის ცხოვრების დონე-დაბალი, შრომისუნარიანი მოსახლეობის დიდი ნაწილი საზღვარგარეთ გაიქცა, ბევრი კიდევ მზად არის დატოვოს ქალაქი და სამუშაო სხვა ქვეყანაში ეძიოს. მეორე კითხვაც გაჩნდა: კიდევ რა უნდა ჰქონდეს ამ ქალაქს, რომ უკეთესად იცხოვროს?

ტერიტორია საერთოდ მთელის განფენილობაა და არა რაღაც ნაწილების განთავსების ადგილი („მთელი თვითონ ქმნის ნაწილებს და მათ შორის ურთიერთობებს, რომლებიც თავის მხრივ ცვლიან მთელს“[29]), რომელთაც ერთმანეთთან ეკონომიკური და სხვა სახის კავშირები გაწყვეტილი ან საერთოდ არა აქვს. ქალაქში ახლა რამდენიმე უნივერსიტეტი ფუნქციონირებს, მაგრამ ისინი მხოლოდ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ემორჩილებიან და ქალაქის ცხოვრებაში კრეატიულობით არ გამოირჩევიან. თუ არა უნივერსიტეტი, აბა ვინ უნდა აწვდიდეს ქალაქს ეკონომიკური, სოციალური, კულტურული და ინფრასტრუქტურული განვითარების ინოვაციურ პროექტებსა და პროგრამებს, ვინ უნდა იკვლევდეს ადგილობრივ უპირატესობებს, მის თავისებურებებს, ქვეყნის შიდა და გარე სამყაროსთან ხელსაყრელი ეკონომიკური და კულტურული კავშირურთიერთობების ზრდის პერსპექტივებს, ვინ უნდა უზრუნველყოფდეს ქალაქის და რეგიონის მოსახლეობის საზოგადოებრივი აზრის პროგრესულ მოძრაობას. ტერიტორიულ ერთეულებს, იქნება ეს სოფელი, ქალაქი თუ რაიმე დასახლებული ცენტრი არანაირი ეფექტი არ ექნება თუ გარკვეული არ იქნება მისი ორგანიზაციული ერთიანობა, რომელიც მთელის ფორმით წარმოგვდგება. მთელის განვითარების სუბსტანციაა ახალი იდეა, ნოვატირული აზროვნება, რომლის მატერიალური გამოხატულებაა ტრადიციული წარმოების საქონლისა და მომსახურების ხარისხობრივი სრულყოფა და მათი ახალი სახეების ინკუბაცია და ტირაჟირება.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ქვეყანა გაიძარცვა მატერიალურად, დაუძლურდა ეკონომიკურად, გაღარიბდა ფინანსურად, მთავარი მაინც შემორჩა-მაღალპროფესიონალი, გამოცდილი, ქვეყნისა და ხალხის მოყვარული ინტელექტუალები. ისინი არა მარტო რაოდენობრივად საკმაოდ ბევრი არიან,

---

[28] ნამიჭეიშვილი რ. საბაზრო ეკონომიკის ადამიანური განზომილებები. ნიკო ნიკოლაძე-როგორც მეწარმე, ფერმერი და საქართველოს ყველა დროის საუკეთესო მენეჯერი. ქუთაისი, 2005. გვ.102

[29] Современное состояние экономического мышления в России. economy-ru .com/ ekonomicheskyi…

არამედ თითოეულ მათგანს თავის ადგილის დედა აქვს საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში. სწორედ მათ იმედზეა ახალი სოციალური მოძრაობის აჩქარება, რომელიც დიდმა ნიკო ნიკოლაძემ წამოიწყო და ბოლომდე გაიტანა. მესმის, რომ ეს ძალიან რთული საკითხია და ისიც ვიცი, რომ ასეთი მოძრაობის წამოსაწყებად ისეთი ქალაქი ან დასახლება უნდა შეირჩეს, რომელსაც ყველაზე დახვეწილი და სრულყოფილი პროგრამა ექნება დამუშავებული ადგილის დედაზე, ეყოლება აგრეთვე ამ პროგრამის რეალიზაციის შემოქმედებითი ჯგუფები, რომელთაც ხალხის ავტორიტეტი ექნებათ და თანდათან აქტიურად ჩაებმებიან პროგრამების განხორციელებაში (ერთი ასეთი პროგრამა ქუთაისის შესახებ დამუშავებული მაქვს შემოკლებული ვარიანტის სახით, რომელიც ამ წიგნს ბოლოში ერთვის. დანართი ქუთაისის კრეატიული ეკონომიკური შესაძლებლობები და მისი რეალიზაციის ძირითადი მიმართულებები).

აზროვნებით თანამედროვეობას ძალიან დაშორდა ჩვენი მოსახლეობა, ზოგიერთის მტკიცებით ადამიანების 10% თუ არის თანამედროვე, დანარჩენი 90% ისევ ძველი აზროვნებით ცხოვრობს. თანამდეროვე აზროვნება ნიშნავს იცოდე იმისი ფასი, რაც გაქვს, იყო აქტიური, დამოუკიდებელი და სისტემურად სრულყოფდე საკუთარ თავს, განავითარო თვითორგანიზაციის, თვითინიციატივის და თვითრეალიზაციის უნარები ახალი იდეების ინკუბაციისა და რეალიზაციისათვის, იპოვო შენი საქმე. ასეთი აზროვნება თვითწარმოქმნადი არ არის, იგი მასებში გარედან შეიტანება ნოვატორული აზროვნების მიერ. მასები მიმბაძველობით ცხოვრობენ. საქართველოში მასებს მისაბაძი სტრუქტურები არ ჰყოფნის. თუ სადმე რაიმე ეკონომიკური სიახლე გაჩნდება, მაშინვე იქმნება აზრი, რომ იგი ვიღაცების ხელშეწყობით ხდება და არა აქტიური სუბიექტის ინიციატივით. აზროვნების ამ სტერეოტიპს გზა მისცა ხელისუფლებამ, რომლის ნებისა და სურვილის გარეშე პრაქტიკულად შეუძლებელი იყო ეკონომიკური თვითინიციატივის გატანა, რომელიც მერე ქვეყნიდან გაქცევის ენერგიად იქცა. ასეთი ფსიქოლოგიური ბარიერების გარღვევას ეფექტიანი პრაქტიკული პროგრამა სჭირდება, მითუმეტეს, რომ ათასი ჯურის ექსპერტი თუ „ავარიული სიტუაციების ეკონომისტები“ მისთვის ფიანდაზად გაშლილი ტელეეკრანებიდან გვმოძღვრავენ, რომ თურმე ხელისუფლების ნება არ არსებობს, თორემ ქვეყანა წელში გაიმართებოდა. აქ რამდენიმე საკითხი იყრის თავს. ჯერ ერთი, საქართველოში ხელისუფლების საარჩევნო სისტემა ქვეყნისთვის უვარგისია. მეორე, ხელისუფლებას ქვეყნის მსახურების ინტერესები არ გააჩნია. მესამე, მშიერ მოსახლეობას სწორი არჩევანის უნარი დაკარგული აქვს.

საქართველოში არჩევნები მისი ვერტიკალისა თუ ჰორიზონტალისაგან დამოუკიდებლად არის არა ხელისუფლების არჩევანი, არამედ ფულიანი პერსონების მარათონი ქვეყნის ხელში ჩასაგდებად კერძო ინტერესებიდან გამომდინარე. ხალხი აქ სუბიექტებია, რომელთა ნაწილი უნდა აცდუნონ, ნაწილი მიიმხრონ ნებისმიერ ფასად, ნაწილი კიდევ თავიანთი სამსახურისთვის სჭირდებათ. ამიტომ არის ქვეყანა აჭრელებული ათასგვარი პარტიებით, კავშირებით, ასოციაციებით, გაერთიანებებით და კიდევ რაღაც ფორმებით. მოგონილია ისტორიისათვის სამარცხვინო საარჩევნო მარათონში პარტიული გადარჩევის გრადაცია-3%-იანი ბარიერი ანუ 100 ამომრჩევლიდან 3 კაცი მაინც უნდა გიჭერდეს მხარს და არჩევნებში ბიუჯეტიდან დაფინანსებას მიიღებ. გაჭირვებული ხალხის ბედზე დაცინვის უფრო უარესი ფანტასმაგორია ძნელი წრმოსადგენია. არჩევნებში თუ ვერ გაიმარჯვებ, ფულს ხომ ამინც გამოკრავ ხელს. რამდენი ადამიანი დარბის ახლა და ცოფებს ყრის იმის გამო, რომ დაპირებული 80 თუ 180 ლარი არ მისცეს ადრჩევნებში დამარცხებულებმა, თურმე რაც ჰქონდათ დაუხარჯავთ და ქუჩა-ქუჩა, სოფელ-სოფელ მორბენალი პარტიული პროპაგანდისტი ამაოდ დაშვრა მათ სამსახურში.

ხალხი მოაღორეს, მოატყვილეს და თავიანთი თავი აარჩევინეს პარტიელებმა, რომელთა აბსოლუტურ უმრავლესობას წარმოდგენა არა აქვს, რა უნდა გააკეთოს. ბევრი მათგანი ისედაც არაფრის მაქნისია: ან მანამდე არსად უმუშავია, ან თუ უმუშავია, მნიშვნელოვანი არაფერი გაუკეთებია, არა აქვს მეტის გაკეთების უნარი. სამაგიეროდ, რასაც დაავალებენ ან რაზედაც მხარდაჭერა დასჭირდებათ, იმაზე ასწევენ ხელს და მაღალ ხელფასთან ერთად ყოველთვიურ დანამატებს მიიღებენ. აბა, ხელისუფლებაში რომ საქვეყნო სამსახურს ასრულებდნენ, ახლა 200-ზე მეტი პარტია კი არა, 20 პარტიაც არ შეიკრიბებოდა. ერისკაცები სანთლით საძებარი იქნებოდა. ფაქტის წინაშე ვართ: ქვეყანას ჭამენ მგლისმადიანი ბანკირები და მათი დაქირავებული ჩინოვნიკები.

ანტიკური და შუასაუკუნეობრივი გამოცდილებაა-მშიერი, დაუსაქმებელი მასები სწორ არჩევანს ვერ აკეთებენ. ისინი მხოლოდ ერთი დღით დაქირავებული ამომრჩევლები არიან, დღე გადის და ისინი ივიწყებენ ხელისუფლებას და ხელისუფლებასაც აღარ ახსოვს ისინი. გამოდის, რომ სხვის სამსახურში ვართ და ტყუილებით ვირთობთ თავს, ვინაიდან მნიშვნელოვანი ეკონომიკური და სოციალური კეთილდღეობის გაუმჯობესება მოსალოდნელი არ არის და არც იქნება თუ სინამდვილის იმ გზაზე არ გადავალთ, რომელიც ნიკო ნიკოლაძემ დაგვიტოვა. ბუნებრივად ჩნდება კითხვა: სანამდე გაგრძელდება ასე და რას შეიძლება ველოდოთ მომავალში. ამ კითხვას ტრადიციული პასუხიც

გააჩნია. უთქვამთ: აუცილებელია ერის გამთლიანება და ქვეყნის გადაქცევა ეკონომიკურად თვითუზრუნველყოფილ სახელმწიფოდ. მე ეს ძველი სკივრიდან ამოძებნილ საგვარეულო განძს მაგონებს, რომელიც მხოლოდ განძია და მეტი არაფერი. ერის გამთლიანება არა მარტო რთული, არამედ ხანგრძლივი ისტორიული პროცესია, რომელიც დამოკიდებულია, ერთის მხრივ, შიდა სახელმწიფოებრივ პირობებზე, ხოლო მეორეს მხრივ, საგარეო ფაქტორებზე, რომელიც ხშირად გადამწყვეტი ხდება და ეროვნულ ერთიანობას ძალას ართმევს. ახლა საქართველო მხოლოდ გარეშე ფაქტორების გავლენაშია და ხალხის გარეშე არჩეული ხელისუფლებაც ისე იქცევა და მოქმედებს, როგორც მათი მამა და მარჩენალი კარნახობენ გარედან. მსოფლიოს წამყვან ზესახელმწიფოებს შორის დაძაბულობა მატულობს ძალთა თანასწორობის დისბალანსიდან გამომდინარე. ქვეყანას უნიჭიერესი ეროვნული ხელისუფლება სჭირდება, რათა მსოფლიო ჰეგემონიისთვის მეტოქე სახელმწიფოებს შორის არ გაიჭყლიტოს. ეს ახლა ურთულესი ისტორიული მომენტია, რომელზეც დამოკიდებულია საქართველოს ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნება. არა აქვს ქვეყანას იმისი ფუფუნება, რომ რომელიმე სოციალურმა ჯგუფმა თავის თავს პრივილეგირებული ელიტის ფუნქცია მიანიჭოს. მთავარი ქვეყნის მსახურების ისტორიული ვალდებულებაა.

სახელმწიფოზე გარეშე ფაქტორების ზემოქმედება ყოველთვის იყო და ახლაც არსებობს ანუ ეს სახელმწიფოს არსებობის თანდაყოლილი ატრიბუტია, სხვა საკითხია რამდენად ახერხებს ამას ესა თუ ის სუბიექტი და რა ხარისხით. ამის აქ განხილვა არ მიმაჩნია აუცილებლობად საკითხის ცნობადობისა და შესაბამისი ლიტერატურულსადმი ფართო ხელმისაწვდომობის გამო. უფრო საინტერესოა მეორე საკითხი-მოსახლეობის ეკონომიკური და სოციალური უზრუნველყოფა ქვეყნის შიდა ფაქტორების-ხელისუფლებისა და მოსახლეობის თანამშრომლობის საფუძველზე. ქვეყნისა და მოსახლეობის ინტერესებიდან გამომდინარე ხალხი ირჩევს ხელისუფლებას, როგორც მსახურს და თანამონაწილეს ქვეყნის მმართველობაში. ეს ამავე დროს ნიშნავს იმასაც, რომ ხალხი მეტია ხელისუფლებაზე, რადგან მის არჩევანს აკეთებს. ამიტომ არის ხელისუფლება, თავისი შინაარსით, უფრო მორალურ-ზნეობრივი ფენომენი, ვიდრე მომხვეჭელობა და მატერიალური კეთილდღეობის წყარო. იგი ამავე დროს შინაგანი წინააღმდეგობით ხასიათდება. ხალხის არჩევანი პიროვნებას პატივმოყვარობას მატებს, მეორეს მხრივ, ძალაუფლების შეგრძნება პიროვნებას ყველაფრის შემძლეობის ინსტიქტებს უხსნის და ძალაუფლებას ბოროტად იყენებს პირადი ამბიციების სარეალიზაციოდ. სახელისუფლო სტრუქტურები და პოლიტიკური ინსტიტუტები სახელმწიფო ინტერესებს თავიანთ კერძო ინტერესებს უმორჩილებენ და იქმნება ხელისუფლების ხალხზე ზემოქმედების ტოტალური სივრცე. საქართველოს ისტორიის გრძელ მანძილზე საკმაოდ ბევრი ჰყავდა ისეთი მეფე და ხელისუფალი, ხელისუფლებაზე დახარბებული მთავრები და ფეოდალები, რომლებმაც სისხლის გუბეებში აცურავეს საკუთარი ქვეყანა, სიხარბის გამო სამშობლოს სადარაჯოს საიდუმლო კარი გაუღეს და თავისიანებს მიუსიეს მტრები და ყაჩაღები. მას შემდეგ მერამდენედ თავიდან დაიბადა ათასჯერ თავმოჭრილი საქართველო, თუმცა სამშობლოს მოძულე კერძო ინტერესებით ავადმყოფი მასა საკმაოდ ბევრია და დღემდე ახერხებს იმას, რომ ლუკმა პურის მათხოვრად აქციოს მოსახლეობის უმრავლესობა. სამშობლოს წინამძღოლობას ვერ შესძლებს კაცი, რომელიც, მხოლოდ იმაზე ფიქრობს თუ როგორ დაწინაურდეს სამსახურში, რომელსაც კეთილმყოფელად მიაჩნია მხოლოდ ის, ვინც დაწინაურებაში ეხმარება, მისთვის მნიშვნელობა არა აქვს კაის მქმნელია იგი თუ ქვეყნის დამაქცევარი; ვისაც გაჭირვებული მეზობელი არ ეცოდება, დევნის, აბეზღებს, რაღაცებს აბრალის. რამდენმა გააუბედურა მეზობელი, ფული გამომძალა, ვალები აკიდა, სახლი წაართვა, ბოროტად ისარგებლა მისი კეთილგანწყობით. სასაცილოდ არ ჰყოფნის შენი პატრიოტობა, ქვეყნის სიყვარული, მართლმადიდებლური აღმსარებლობა და ეკლესიური ცხოვრება...“ვხედავ, რომ ჩვენი მოქმედი პირნი გულმოდგინედ ყველაზე უფრო თავის კერძო ბედნიერებას ემსახურებიან, მამულზე კი მარტო მაშინ მოიფიქრებენ, როცა საკუთარ საქმეებს მოილევენ, ყველა თავის კერძო მადას დააკმაყოფილებს და ჩინებულ სადილის შემდეგ, მშვენიერად მორთულ დარბაზში განცხრომას მიეცემა. მაშინ სამასლაათოდ, ხან ქალების შნოზე ჩამოაგდებენ მუსაიფს, ხან მამულის უბედურებაზე...რასაკვირველია ამგვარ კაცებს ნამდვილი მეცადინეობა მარტო იმაზე აქვთ მოქცეული, რომ მამულის აჩქარებულმა მოძრაობამ მათი კერძო კეთილდღეობა არ შეარყიოს“[30]. ამას დიდი ნიკო საუკუნის წინათ ამბობდა. ასეთი იყო მაშინ ქვეყნის მდგომარეობა. მაშინაც მთელი გონება ფულის შოვნაზე იყო გადართული. „ჩვენის ყმაწვილების უმეტესი ნაწილი თითქო მარტო წაბაძვით მოქმედებს. მათ ჰგონიათ, თუ საზოგადო მოქმედი პირის გარეგანი მოვალეობა შევასრულეთ, თუ წარმოვიდგინეთ, რომ ვშრომობთო, მეტი აღარაფერი მოგვეთხოვებაო. მათთვის თითქო ერთია, გარიგდება რამ ამ ცრუ შრომით, თუ არა, გაძლიერდება ამით მამული, წამოიზრდება ხალხი, მოახლოვდება მომავალი, თუ არა. თითოეული მათგანი ბურჟუაზიულად

[30] ნიკოლაძე ნ. თხზ. ტ.7. 1985. მამულის სიყვარული და მსახურება. გვ. 327-328

ცხოვრობს. მას თავისი საკუთარი საქმე აქვს, თავისი კერძო სარგებლობა, და ამ საქმეს, ამ სარგებლობას უნდება უმეტესი ნაწილი მათი დროისა, უმჯობესი ძალა მათი გონებისა და ვნების. ზოგი თავის კერძო სამსახურს მიწოლია, და უფროსების თვალში შეჩერებას უნდება, ზოგი ვენახს უვლის და დილიდან საღამომდი იმაზე დარდობს, ვაითუ სეტყვამ ვაზი წამიხდინოსო, ზოგი მარტო იმაზე ზრუნავს-მომავალი კენჭის ყრის დროს გამაშავებენ, თუ გამათეთრებენო, ზოგი მის ზრუნვაშია, გაკვეთილებს ვიშოვნი, თუ არამ ჯამაგირს მომიმატებენ, თუ არაო...ორი, სამიც არ მოიძებნება ჩვენს ქვეყანაში ისეთი კაცი, რომ მამულის ან ხალხის მეტი საზრუნველად და სადარდებლად არა ჰქონდეს რა, რომ საზოგადო საქმის მეტი არაფერი ახსოვდეს, რომ მამულის სიკეთის მეტის არაფერი მადა ჰქონდეს, არას გრძნობდეს...“[31].

დიდი ნიკო თითქოს დღევანდელობაზე წერდეს, სანთლით საძებარია კაცი ქვეყნის დარდი რომ აწუხებდეს. აქ პრაქტიკულ საქმიანობაზეა საუბარი, თორემ ქვეყნის კეთილდღეობის მსახიობები ენად იკრიფებიან ტრიბუნებზე, ტელევიზიებში და განსაკუთრებით ხალხმრავალ სუფრებზე. ლამის ნიანგის ცრემლებად იღვრებიან, უტიფრად იფიცებიან და იმოძღვრებიან, რომ სამშობლოს და ხალხის ბედი სიზმარშიც არ ასვენებთ. ამ ტყუილებსაც ახალ საუკუნეზე მეტი ხნის ისტორია ჰქონია. თურმე მაშინაც ასე უღმერთოდ იტყუებოდნენ დღით მზისით, რომ „ხალხსა და ხელისუფლებას შორის მართლა ერთობა და ძმონა სუფევდეს, ერთმანეთს შორის ქიშპობა და განხეთქილება, ინტერესების მტრობა არ იყოს, საერთოდ არ ფიქრობენ რეალური სიკეთე მოუტანონ ხალხს, მათი ჭეშმარიტი ნდობა მოიპოვონ... ერთი მეორეს პირიდან საჭმელს სტაცებს და თითოეული მარტო სხვისგან წართმეულით რჩება. მეორე ნაირი ბრძოლაც არის...ქისპობა იმაზე, თუ ვინ როგორ ისახელებს თავს, ვინ აჯოებს თავის ტოლს...ცდილობენ კაზარმული წესი შემოიღონ და გონება დაუხშონ ყველას, ვინც მიზნისკენ მათსავით ზანტად არ მიიკლაკნება[32].

ბატონი ნიკოს ზემოთ დასახელებული შრომა 137 წლის წინ დაიწერა და ახლა იმაზე მეტად უფრო აქტუალურია, ვიდრე მაშინ იყო, ვინაიდან ქვეყნის შიგნით დაპირისპირება იმდენად კრიტიკულია, რომ მოსახლეობას ქვეყნიდან გაქცევა ურჩევნია ადგილზე ეკონომიკური აქტივობის გაძლიერებას ისევე, როგორც ხელისუფლებაში მოსულ საშუალო და უფრო დაბალ ნიჭს პირადი გამორჩენა ქვეყნის სამსახურზე და ხალხის ცხოვრების დონის ამღლებაზე ზრუნვა. შიდა დაპირისპირება გამოხატულია ქვეყნის სახელისუფლო უმცირესობის ძალადობით მოსახლეობის აბსოლუტურ უმცირესობაზე, რომელიც ქვეყნის ეროვნული სიმდიდრის უზურპაციით და მასების ექსპლუატაციით ცხოვრობს. არ არის ძალა, რომელიც ხალხის ინტერესების მხარეს დადგება და ქვეყანას სიღატაკიდან გამოიყვანს და აღმავლობის გზებს დაანახებს. განა ნებისმიერი ქართველისთვის ცხადი არ არის, რომ სამშობლოს საკმაოდ ბევრი ინტელექტუალი ჰყავს, რომელსაც მისი ფეხზე დაყენება შეუძლია, მაგრამ ისც უნდა ვიცოდეთ, რომ ინტელექტუალები არაორგანიზებული, იზოლირებული ინდივიდებია, რომელთა მოქალაქეობრივი თავისუფლების აქტიურობა შეზღუდულია კანონებითა და ნორმატიული აქტებით. ბევრი მათგანი ადრე გამოყარეს უმაღლესი სასწავლებლებიდან, ბევრი პენსიაზე გაუშვეს და ინერტულ მასად აქციეს, ბევრი კიდევ ხელმძღვანელის კალმის წვერზე ზის და მალე აქტიურ ცხოვრებას ჩამოაშორებენ. მალე, როგორც პრემიერი აცხადებს, უმაღლეს სასწავლებლებს ავტორიზაციას გაუმკაცრებენ და ბევრს უფუნქციოდ დატოვებენ, მითუმეტეს, რომ დემოგრაფიული სიტუაციის გამო უმაღლეს სასწავლებელში მისაღები კონტიგენტი ისედაც შემცირდება. უნიჭო მასა სიხარულს ვერ ფარავს იმის გამო, რომ ყოველწლიურად იზრდება საზღვარგარეთის პრესტიჟულ უმაღლეს სასწავლებლებში ჩარიცხული ქართველი უნიჭიერესი და ნიჭიერი ახალგაზრდების რიცხვი. ეს ხომ დაკარგული გენოფონდია, რომელიც ერის ინტელექტუალურ პოტენციალზე უარყოფითად აისახება. ტვინების „გადინება“ გვიხარია, უბედურება რომ სიხარულად გექცევა, მაშინ აზროვნება ავადმყოფია. აქ ჩვენთან კი, პირიქით, მიდი და წერე, რაც გინდა, რაც მეტი სიშტერე დაგიწერია, მით უფრო გასავალი აქვს „მეცნიერებას“. ბუნებრივი გადარჩევა გამოდის: მდიდარ ქვეყნებში-მომავლის საუკეთესო მასა, შენს ქვეყანაში-ნარჩევი, რომელიც მიგრანტობისთვის სკოლის დამთავრებამდე ემზადება ანუ არც ის არის აქ გამჩერებელი. ნიჭიერება მარტო უნარები კი არ არის, ნიჭიერება ენერგიაა, დაუოკებელი სწრაფვაა. რომელ ქვეყანაშიც ნახავს მისი უნარების გაშლის სივრცეს, იქ დაბანაკდება, იქ დაიბუდებს, მითუმეტეს თუკი მას თავის ქვეყანაში პატრიოტული აღზრდა არ მიუღია, თავისი ქვეყნიდან არ დაფინანსებულა და უკან დაბრუნების ვალდებულება არ აკისრია.

ჩვენი ხალხი სულ სხვანაირი სამსახურის ღირსიაო-ბრძანებდა ბატონი ნიკო და ქვეყნის მეთაურებს აკისრებდა ხალხისადმი სამსახურს, რომელშიც მატერიალური კეთილდღეობის გარდა, ზნეობრივ მხარესაც გულისხმობდა, ხალხის რწმენის განმტკიცებას, ცოდნის გაუმჯობესებას, იმედის

---

[31] იქვე. გვ. 326

[32] იქვე. გვ. 330-331.

გაღვივებას, მომავლისაკენ მიბრუნებას, ხალხისა და ხელისუფლების ერთიანობას. თუმცა ეჭვობდა, რომ ამ საქმეების გაძღოლას მაშინდელი თაობა ვერ შეძლებდა, ვინაიდან იგი შეჩვეული იყო სხვის იმედად ყოფნას, საკუთარი გზების ძებნასა და საქვეყნო ინტერესებით ცხოვრებას. ყოფილა შემთხვევები, რომ გარედან მოსულს უფრო მეტი სიკეთე მოუტანია ჩვენი ქვეყნისთვის, ვიდრე ქართული გვარით დაბადებულ, მართლმადიდებლური რწმენის, მაგრამ ფულზე დახარბებულ ადგილობრივ სახელისუფლო ჩინოსნებს. მარტო საქარის საცდელი მეურნეობის დამფუძნებლის, ხოლო შემდეგ ქუთაისის სახალხო გუბერნატორის ვ. სტაროსელსკის საქმიანობის გახსენება რამდენზე მეტყველებს[33].

ქვეყანა მოცემულ მომენტში რომელიმე თაობის წინაშე დგას, მაგრამ სინამდვილეში იმ თაობაში აკუმულირებულია ერის ინსტიქტები და ტრადიციები, რომელიც მან იძულებითი თუ მიბაძვითი ცხოვრების პრაქტიკიდან შეიძინა. ისტორია პატრიოტული მეცნიერებაო-თქვა გენიოსმა ქართველმა. მართლაც ასეა და ჩვენი დიდებული ისტორია ამისი ფაქტურაა, მაგრამ გვავიწყდება ის, რომ ცხოვრება თავგანწირვის გარდა, სავსეა გამცემლობის, ღალატის, შინაური მტრობის სერიალებით, რომელიც დალექილია ერის აზროვნების ცეხლგამძლე სეიფში და როცა გამოწვევის სივრცე იხსნება სეიფი იღება და ბინძური მეხსიერება მოქმედებად იქცევა. 1490 წელს დაიშალა საქართველო სამეფო-სამთავროებად და სივრცე გაეხსნა ძმათა შორის სისხლისღვრას, მტრობას, მტერთან ჩაშვებას, ღალატს, სისხლისმიერი ნათესავების, მეზობლების დატყვევებას, ბავშვების მოტაცებას და მსოფლიო ბაზრებზე ადამიანებით ვაჭრობას. როცა მთელი ნაწილებად იშლება, ეს უკანასკნელი ერთმანეთს მტრობენ, მთელი გადაშენების ზღვარზე გადის. მე-18 საუკუნეში დადგა ქვეყნის ყოფნა-არყოფნის საკითხი. დიდებული მეფე იძულებული გახდა სხვა ქვეყნის ქვეშევრდომობა აერჩია. გავიდა დრო და როცა ქვეყნის ნაწილები ერთ სივრცეში მოექცა, ისევ იფეთქა მთელის მემკვიდრეობამ და სისხლი დაინთხია. იმპერიის მესვეურებმა გადაიკითხეს ჩვენი ისტორია, ქვეყანა სხვა სახელმწიფოებრივი მთელის ნაწილობრივი გახდა და რაკი ორი მთელი მიუხედავად მისი სიდიდისა თუ სიმცირისა ერთმანეთან ართავსებადია, ვერ შეითვასა, ვერ გადააგვარა უფრო მთელმა, რომლის მორჩილებასაც იგი სიცოცხლის ფასად უპირისპირდებოდა.

რუსეთის იმპერიის ბუნებრივ რესურსებსა და წიაღისეულის მარაგებზე დიდი ხანია თვალი ედგა დასავლეთს და ყველაფერს აკეთებდა იმისთვის, რომ იგი მის სანედლეულო დანამატად ექცია. 1917 წელიწადი მისი კულმინაცია იყო-სამეფო ტახტი მოურღვიეს, მაგრამ რაკი დროებითი მთავრობა მხდალი, გამოუცდელი და გაუბედავი აღმოჩნდა, ხელისუფლება ბოლშევიკები დაეპატრონენ და ახლა იმათ მოუხდათ რუსეთის სახელმწიფოებრიობის აღდგენა თითქმის ნულიდან. სხვა გზა არ არსებობდა ან უნდა გამხდარიყო რუსეთი დასავლეთის მონა, ან დამოუკიდებლობა უნდა მოეპოვებინა. ისევ გაჩნდა საქართველოს დამოუკიდებლობის ფორმალური შესაძლებლობა, ვინაიდან ქართული სოციალურ-დემოკრატიული პარტია, რომელიც მმართველი პოლიტიკური ძალა იყო, საქართველოს დამოუკიდებლობის იდეისაგან შორს იდგა და კულტურული ავტონომიის აზრს ემხრობოდნენ.

გერმანიის იმპერიას არსებობის პირველი წლებიდანვე აინტერესებდა საქართველო, რამაც უფრო კონკრეტული ხასიათი შეიძინა პირველი მსოფლიო ომის წინ. მიზანი მაშინდელი რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ ძირგამომთხრელი საქმიანობა გახდა. გერმანიის მისწრაფებას საქართველოსადმი განაპირობებდა მისი გეოპოლიტიკური მდებარეობა და მდიდარი ბუნებრივი რესურსები. თავის მხრივ, გერმანულ პოლიტიკას „ მენშევიკების“ და სოციალ-ფედერალისტების სახით მნიშვნელოვანი საყრდენი გაუჩნდა. საქართველოს დამოუკიდებელი კომიტეტის ყველაზე ცნობილი პერსონები სასურველი სტუმრები იყვნენ გერმანიის უმაღლესი პოლიტიკური წრეებისათვის. საქართველოსთვის გერმანიის იმპერია უფრო უკეთესად მიჩნეოდა რუსეთთან შედარებით, როგორც კულტურული, ევროპული ცოდნისა და უნარის წარმომადგენელი. დაძაბული მდგომარეობა წარმოიქმნა 1918 წლის 3 მარტის ბრესტის ზავის შემდეგ გერმანია-თურქეთის ურთიერთობებში, ვინაიდან თურქეთის ხელში აღმოჩნდა არა მარტო ბათუმის, ყარსისა და არდაგანის ოლქები, არამედ ახალციხის და ახალქალაქის მაზრები, ოზურგეთი. თბილისზე შეტევაც კი იყო გათვალისწინებული. თავისი ინტერესებიდან გამომდინარე გერმანიამ თურქეთთან კონსტანტინეპოლის საიდუმლო ხელშეკრულებას მოაწერა ხელი, რომლის თანახმად თურქებს რჩებოდათ ოკუპირებული ქართული ტერიტორიები და თითქმის მთელი სომხეთი, ხოლო დანარჩენი ნაწილი გერმანიის გავლენაში უნდა ყოფილიყო. თურქეთი ამ მოთხოვნებს არ ითვალისწინებდა და ამიერკავკასიის პატრონად თვლიდა თავს. გერმანია საქართველოს ინტერესებს იცავდა, მაგრამ თვით საქართველოს მესვეურები დამოუკიდებელი საქართველოს მომავალს ვერ ხედავდნენ. გერმანიის სამხედრო წარმომადგენელმა კონსტანტინეპოლში

[33] ნამიჭეიშვილი რ. საბაზრო ეკონომიკა საზოგადოებრივი ტრანსფორმაციის პროცესებში. თავი მეორე. მეწარმეობის განვითარება ქუთაისის გუბერნიაში. გვ. 59-61. ქუთაისი, 2007.ISBN 99940-918-5-9

კატეგორიულად განაცხადა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა გამოეცხადებინა. ჟორდანიას ხელისუფლება იძულებული იყო საგარეო პოლიტიკური გარემოებების გავლენით საქართველოს დამოუკიდებლობის ინიციატივა საჯაროდ გაემჟღავნებინა[34]. განა შეიძლება ივარგო იმ ქვეყნის ხელმძღვანელად, რომლის მომავლისა თვითონაც არ გჯერა? თუმცა რა, როგორც დასახელებული ავტორი წერს, განა ნ. ჟორდანიას საქართველოს სახელმწიფოებრიობისა სჯეროდა[35]? როგორც ჩანს ნ. ჟორდანია უფრო მეტი ჭკვიანი ყოფილა, ვიდრე მას ზოგიერთი პოლიტიკოსი თვლის. ქვეყნის დამოუკიდებლობა დეფაქტო და დეიურე აღიარება კი არა, მისი თვითუზრუველყოფაა, როცა ეკონომიკას გამართავ, საზღვრებს დაიცავ, შრომას გასაქანს მისცემ, ხალხი დასაქმებულია და ქვეყნის სამსახურში მუხლაობს. მშიერი, მცირე გამონაკლისის გარდა, იქეთ გაიქცევა, საიდანც პურს მიუგდებენ. პურს მონატრებული მშიერი მტერზე უარესია, ვინაიდან ცხოველური ინსტიქტები რაციონალურ განსჯას ასწრებს.

1918 წელს გერმანია დამარცხდა ანტანტასტან ბრძოლაში და ხელის მოწერა მოუხდა კაპიტულაციის აქტზე. ამის გამო იმავე წლის დეკემბერში გერმანულმა ჯარებმა საქართველო დატოვეს. დარჩა იგი მარტო ბედის ანაბარა. ინგლისი აპირებდა საქართველოს დაკავებას, მაგრამ მერე ანტანტამ იგი რუსეთს დაუთმო, რომელმაც კარგად იცოდა საქართველოს ორიენტაცია გერმანიის მიმართ. როცა ევროპამ მიგვაგდო, რუსეთმა დაგვიპყრო. უკეთესი იმპერიის მაძიებლობამ ისევ რუსეთის იმპარიაში ამოგვაყოფინა თავი.

ხელისუფლება, რომელიც მისი ქვეყნის მომავალს სხვა ქვეყნის ქვეშევრდომობაში ან ვასალობაში ხედავს, ვერ მოუტანს სიკეთეს თავის ხალხს და არც მოუტანია. "თუ არ ვცდები, წარსულ დეკემბერში ოსმალეთის მთავრობამ წინადადება მისცა ჩვენს ეროვნულ საბჭოს ზავზე მოლაპარაკების შესახებ, აგრეთვე გერმანია ელოდა ჩვენს დელეგეტებს ბრესტ-ლიტოვსკში. ჩვენმა ოპეკუნებმა-ს.-დემოკრატებმა შეუთვალეს: რუსეთის დამფუძნებელ კრებას უნდა შევეკითხოთ, მათ სურვილსა და ბრძანებას უნდა დავემორჩილოთო. ეჭვი არაა, ჩვენი ასეთი პასუხი სიბრალულის ღიმილს მოგვრიდა ნემცებსა და ოსმალებს"[36]. ქვეყნის უბედურების ხარისხობრიობა გამძაფრდება თუკი ერთმა იმპერიამ იცის, რომ მისთვის ძირგამომთხრელ საქმიანობას ეწეოდი მეორე შენთვის უფრო ხელსაყრელი (ეს კიდევ რა არის, ღმერთმა უწყის) იმპერიის სასარგებლოდ. ქვეყნის ბედზე თამაში პოლიტიკოსის უკადრისი საქმეა. იგი ქვეყნის მომავლის შორსმჭვრეტელი უნდა იყოს და ხედავდეს იმას, რომ როცა სააშკარაოდ ვიღაცისთვის თავს დებ და მერე მის გარეშე დარჩები, მეორე მამზერი იმპერია რომ მოგადგება, მასობრივი პოლიტიკური შეხედულებების რევიზიას დაიწყებს, რასაც სისხლისღვრა მოყვება. ქვეყნის ხელისუფლების სათავეში ყოფნა სიამოვნება არ არის ჭკვიანისთვის, პირიქით, ღვთიური ტვირთი და ტანჯვაა, თუმცა არის გზა მარადისობისაკენ, როცა სამშობლოს სამსახური რწმენა და შეგნებაა. მკითხველო, გამოგიტყდები და არ დავფარავ, რომ ვერ გავითავისე იმ ავტორთა აზრები, რომელთათვის ჩვენი ქვეყნის უბედურების ყველა წყარო მხოლოდ გარედან შემოდის და მშვიდ ცხოვრებას არ გვაცლიან, თორემ ჩვენ რძის მდინარეს დავადენდით. საქართველო-სამშობლო ჩვენი არ არის მხოლოდ ქრისტიანული დოგმების ქადაგება და მოძღვრება, აქ მხოლოდ ქრისტესმიერი ცხოვრებაა, მძიმე ჯვარის ტარებაა და ქვეყნისა და ხალხის სამსახურია და არა სამოთხე და ნებივრობის ადგილი, როგორც ბევრს ჰგონია. მარადისობის გზაც აქედან იწყება.

კინაღამ მთავრ სათქმელს გავცდი. როგორც ზემოაღნიშნულიდან გამომდინარეობს, 1918 წელს არ იყო საქართველო მზად დამოუკიდებლობისთვის, მაგრამ არც 1989-91 წელი იყო ამ დიდი ხანია ტანჯული ქვეყნისთვის დამოუკიდებლობის ოლიმპზე ამაღლების მოწიფულობა. ისევ უფრო კულტურული იმპერიის ძიება, ისევ დაპირება და ბოლოს ისევ ნ. ჟორდანიასეული აზროვნების დეფიციტი და დამოუკიდებლობის იდეებს შეტოვებული, დაუძლურებული ხალხი. მერე ერთმანეთს რომ დაერია და რაც ჰქონდათ, ისიც გაანადგურეს ან გროშებად მიაყიდეს. ჩვენს თვალწინ ყველაფერი გაიყიდა, დუღილის დასაშვებ ტემპერატურაზე მოხარშული კარტოფილივით გაფცქვნეს სამშობლო და ახლა ლუკმა ლუკმად ინაწილებენ. მაგრამ აქ ერთი ახალი კურიოზი მაინც გამოჩნდა. ნ. ჟორდანიას მთავრობა გაიქცა და ხალხი მტრებს შეატოვა. ახლა, პირიქით, ხალხი ქვეყნიდან გაიქცა და სიმდიდრე მთავრობას დარჩა გაწყობილ სუფრად, რომელზეც მეფურად ილხენს და ღრეობს, საერთოდ არ აინტერესებს სიღატაკეში ჩავარდნილი მისი ხალხი. ტრადიცია გრძელდება-ხელისუფლებაში ხვდებიან ადამიანები, რომელთაც ქვეყნის მართვა არ შეუძლიათ და არც ფიქრობენ მასზე, იმათ მხოლოდ ქცეყნის ძარცვის მგლური მადა აქვთ. თუ ნ. ჟორდანიას მთავრობა უდღეური აღმოჩნდა და ვერ გაერკვია მაშინდელი მსოფლიოს სამხედრო დაჯგუფებებს შორის, 21-საუკუნის საქართველოს

[34] ბარონი ფრიდრიხ კრეს ფონ კრესენშტაინი. ჩემი მისია კავკასიაში. 7-13 გვ. ქუთაისი, მოწამეთა, 2002.

[35] იქვე. გვ.14

[36] ნიკოლაძე ნ. რუსეთის დამხობა და საქართველოს ბედი. გაზ. „საქართველკლო", 1918, 22/4/III, N63; 24/6/ III, 27/9/ III, N 67.

ხელისუფლებები თვითონ იპოვა მსოფლიო ფინანსურმა იმპერიამ და აგერ 25 წელიწადია იძარცვება, იყიდება ქვეყანა ადგილზე ნაჭერ-ნაჭერად და ბითუმებად გარეთ გატანით. საბოლოოდ მივიღეთ ნომენკლატურული ეკონომიკა, სადაც სიმდიდრეს მხოლოდ სახელისუფლო და სამთავრო ჩინოსნები და ბანკირები ფლობენ, საშუალო ფენა არ არსებობს და სადაც თანდათან იზრდება უფსკრული ფულის მეპატრონეებსა და უღარიბეს ფენებს შორის. ჩამოყალიბდა ანტიეროვნული, ავადმყოფური აზროვნება, როცა, ყველაფერი დასაშვებია, რასაც სიმდიდრე მოაქვს. როგორც ნ. ჰომსკი წერს თავის წიგნში („კლასთა ბრძოლა“), კორპორაციები პოლიტიკურ პარტიებს დაუკავშირდა და ორივე ერთად სასტიკ კლასობრივ ბრძოლას ეწევა მშრომელთა წინააღმდეგ. ამის შედეგია ის, რომ მოსახლეობის მცირე ნაწილი უზარმაზარ სიმდიდრეს და პრივილეგიებს ფლობს, მთავრობის მხარდაჭერასაც, ხოლო ადამიანთა უმრავლესობა განწირულია უკიდურესი სიღატაკისთვის. იმავე ნ. ჰომსკის მონაცემებით კორპორაციები პირველად აშშ შეიქმნა, როგორც სოციალური სამსახური, როგორც ადამიანების დროებითი გაერთიანება რაიმე მსხვილი პროექტის განხორციელების მიზნით, რომელიც არსებობას წყვეტდა პროექტის დამთავრების საფუძველზე. მერე სასამართლოებმა დააკანონეს კორპორაციები მთლიანად აშშ, რომელმაც მე-20 საუკუნეში მსოფლიო გავრცელება ჰპოვა და ტრანსნაციონალურ ძალაუფლებად იქცა ფულის რელიგიის დამკვიდრებით, რომელიც მთავრობებს ეროვნულობას აცლის და არლიკინოების ფუნქციებს უტოვებს. კორპორაციები ესწრაფვიან ყველაზე იაფი მუშახელის ქვეყნებს, დეფიციტური ნედლეულისა და მასალების წყაროებს და მუქთად ითვისებენ მთავრობების მეშვეობით. საერთოდ არ აინტერესებთ არც ის, თუ რამდენად დეფიციტური, სწრაფად ამოწურვადი და განახლებადია ისინი. ბარბაროსულად ეპყრობიან ბუნებას და სულის ამოხდომამდე მოსახლეობას, არაფერს ზოგავენ მასობრივი მონობის მოსაპოვებლად. უზარმაზარი თანხები იხარჯება ადამიანებზე საზოგადოებრივი აზრობრივი დეგრადაციისა და ტოტალურად მორჩილი მასების ინკუბაციისათვის და თანამედროვეებიდან ველური კაპიტალიზმისაკენ მისაბრუნებლად, ვინაიდან თავისუფალი მასების კერძო ინტერესების სასარგებლოდ მართვა უკიდურესად ძნელია. ამიტომ არის მასმედიის ყველა საშუალება ჩართული მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობის ტვინების „გამოსარეცხად“, პროფესიული კავშირების ინტერესების საწინააღმდეგოდ, არც რაიმე სოციალური ჯგუფი ან პოლიტიკური ორგანიზაცია იბრძვის მშრომელი ადამიანების უფლებების დასაცავად.

საქართველოს მთავრობა და ხელისუფლება აშშ კალკია. ჩვენი დაუძლურებული სახელმწიფო ამათვისაც „მეწველი ძროხაა“, ხოლო დასაქმებული ადამიანები-დაქირავებული მონები, რომელთა ყურადღება მეორეხარისხოვანზეა გადატანილი-შეიცვალოს ხელისუფლება არჩევნების გზით, იმედი ჰქონდეს, რომ უკეთესი მომავალი წინ არის, ვინაიდან ხელისუფლებაში კეთილი ხალხი მოვა. მთელი საზოგადოება არ არის იმდენად გულუბრყვილო ყველაფერი ეს რომ დაიჯეროს. საკმაოდ დიდ ნაწილს უკეთესი მომავლის რწმენა დაკარგული აქვს, ღვთის იმედზეა მართლმადიდებლური საქართველო, ხოლო აღვირახსნილია სკოლისა და ახალგაზრდული ასაკის საკმაოდ მრავალრიცხოვანი ფენები. ჩვენს თვალწინ იღუპება ქვეყანა, ინგრევა ოჯახები, საგრძნობლად მოიკლო და ისევ კლებულობს მოსახლეობა, მომრავლდნენ უპატრონო ბავშვები, უსახლკარონი და მარჩენალის გარეშე მიგდებული ულუკმაპურო მოხუცები, რომელთა ბედი არაფრად ანაღვლებს ხელისუფლებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარეობს დასკვნა. საქართველოში ხელმძღვანელობის პრინციპების შეცვლა, მისი ნაციონალური თვითმყოფადობის შენარჩუნების მიზნით, აგრეთვე თითქოსდა საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოს ყბადაღებული თეორიიდან გამომდინარე, პრაქტიკულად შეუძლებლია, ვინაიდან იგი ეწინააღმდეგება მსოფლიო ერთიანი მეურნეობის მმართველი ელიტის კლასობრივ ინსტიტუციურ მოთხოვნებს, რომელთაც უკვე უპყრიათ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური სიმაღლეები და რომელთა ხელშია ეკონომიკის სასიცოცხლო მნიშვნელობის ყველა ფინანსური სადავე. სიხარულით ვხვდებით ყველა ინფორმაციას, რომელიც საქართველოში გლობალური პროგრამების დაპროექტებას ეხება და ჩვენს საუბედუროდ ვერ გაგვიცნობიერებია, რომ ყველა ასეთი პროგრამა ქვეყნის მოსახლეობის უკიდურესი გაღატაკების, მისი ბუნებრივი რესურსების მიტაცების გიგანტური კორპორაციების პერსპექტიული მიზნების ნაწილია. ჯერ აქამდე არავის გაუმარჯვია მსხვილი კორპორაციების წინააღმდეგ, ისინი სასტიკნი არიან, როცა მათ ვინმე წინ ეღობება, როცა მათი დაქვემდებარებიდან გასვლას აპირებენ ან დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივობა სურთ. ამიტომ ქვეყნის მარიონეტ მთავრობებს ტვინს უბურღავს და არ ასვენებს კითხვა: პატრიოტობა სჯობია თუ უკეთესია გააგრძელო შენი ქვეყნის „გაყიდვა“[37]. აი, სად არის მართლმადიდებლური რწმენის დეფიციტი-ქვეყნის სამსახურს მისი გაყიდვა გირჩევნია. ღმერთის სიყვარული ქრისტიანულ დღესასწაულებზე სანთლით ხელში დილამდე ფეხზე დგომა და ღმერთისადმი შენი პირადი ცხოვრების გაუმჯობესების შევედრება კი არ არის, ქვეყნისა და ხალხის სამსახურია. ამიტომ არის

[37] За что США убили Кададафи-К чему стадам дары свобод...Живой Журнал. ss69100.livejurnal.com/3035476

ქვეყნის სამსახური უმძიმესი ტვირთი და არა ფუფუნება და განცხრომა. კარგი, გასაგებია, რომ თავგანწირვა გიჭირს, მაგრამ ხომ შეგიძლია თავი არ გაყო იქ, სადაც შენი ადგილი არ არის.

მუმარ კადაფი თავისი ქვეყნისა და ხალხის კეთილდღეობისთვის დაუღალავი მებრძოლი იყო. ლივიის ნავთობის სიმდიდრე ხალხის კეთილდღეობისთვის გამოიყენა. მოაძებნინა ბუნებრივი უზარმაზარი წყალქვეშა რეზერვები ქვეყნის უდაბნოს მწვანე ოაზისად გარდასაქმნელად და სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის. გიგანტური პროექტების განხოციელების ყველა რესურსს ქვეყნის შიგნით ეძებდა და ჩამოაშორა მას საერთაშორისო კორპორაციები. ნავთობის შემოსავლების მესამედი ქვეყნის კეთილდღეობას უნდა მოხმარებოდა. წამოაყენა დოლარისაგან გვერდის ავლის იდეა-პანაფრიკული ვალუტის შემოღება და ა.შ. ქვეყანა მართლა გადაიქცა სახალხო კეთილდღეობის სახელმწიფოდ: უფასო განთლება, მედიცინა, გადასახადების და მოსაკრებლების შემცირება, დაბალი ფასები კვების პროდუქტებზე, საბინაო გადასახადის გაუქმება, უფასო ელექტროენერგია, „მშრალი კანონი“, ახალგაზრდების გაგზავნა საზღვარგარეთ და მათი სწავლის სახელმწიფო ხარჯზე დაფინანსება და სხვა. ეს ყველაფერი კარგი იყო ლივიისთვის, მაგრამ ხელს არ აძლევდა ტრანსნაციონალურ კორპორაციებს. სულით და ხორცთ პატრიოტი კადაფი დიქტატორად გამოაცხადეს, სასტიკი წამებით მოკლეს, ხოლო მთელი ლივია მიწასთან გაასწორეს[38].

კორპორაციებს შორსმიმავალი მზაკვრული მიზნები აქვს. აღიარა ცნობილმა მეცნიერმა, რომ წინა საუკუნის დასასრულს მეცნიერულ ელიტასაც ეგონა, რომ ქვეყნის დამოუკიდებლობა მხოლოდ მისი ხალხის საქმე იყო. მერე აღმოჩნდა, რომ მსოფლიოს თავისი მმართველი აპარატი ჰყავს. ძალიან ბევრს დღემდე ვერ გაუგია, რომ სსრ კავშირი არც რუსებს დაუშლია და არც ჩვენებს. იგი უმსხვილესმა კორპორაციებმა დაშალეს სხვათა ხელებით და უზარმაზარი მოგებაც ნახეს/ნახულობენ. ახლა რუსეთია რიგში. გამონაკლისი არც საქართველო იყო. არც ახლა არის. უკვე კაი ხანია ჩვენს ქვეყანაში „მოსახლეობენ“ Microsoft, YBM, Google, Toyota Motor, Ford Votor Company, McDonald*s და სხვები. არ დაგვაცლიან აქ ცხოვრებას, ფუძიდან მასობრივი აყრა კაი ხნის დაწყებულია. არ უნდა იყოს გასაკვირი ის, რომ მეღვინეობის ქვეყანაში მარიხუანას ლეგალიზაციის კანონებს იღებენ, მუშა-მოსამსახურეთა ხელფასები, პენსიები საცხოვრებელ მინიმუმზეა ნაკლებია, ქუჩები სავსე არის უპატრონო ბავშვებით და მათხოვრებით, მატულობს კაზინოებისა და ბორდელების რაოდენობა, წამლები ძვირია, სანთლით საძებარია სამართალი, რომელიც არ იპოვება, იყიდება მიწები უცხოელებზე, იზრდება გადასახადები, მოსახლეობის ბუნებრივი მატება ნულს ჩამოშორდა და ა.შ. კორპორაციებს არ უნდა ეროვნული საქართველო, არც მისი მოსახლეობის მატება და კეთილდღეობის გაუმჯობესება; არ აინტერესებს ჩვენი ოჯახური ტრადიციები, ეროვნული ფასეულობები და რელიგიური სიწმინდეები.

ქართველის გადაგვარება და გათახსირება იოლია, თუ იგი დამორებულია ღმერთს, დაკარგული აქვს რწმენა და ფულზე შეყვარებულია. ყველა ჩვენი უბედურება აქედან იღებს სათავეს. ესეც კარგად აქვს შესწავლილი მტრებს, ჩვენზე უკეთესად. ამის ფაქტურაა უკვე ნაციონალურად აჭრელებული ეს ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა, სადაც ყველა ჯურის ელემენტს თავის ჭკუაზე ცხოვრება სურს და საერთოდ არაფრად მიაჩნია შენი ცხოვრების ტრადიციები და ნორმები. ეს უკვე შეტევაა მის ნაციონალურ იდენტურობაზე, რათა იგი ისტორიულ მეხსიერებად გადაიქცეს. არ არსებობს საქართველოში ახლა უფრო ორგანიზებული სახელმწიფოებრივი დაცვის ინსტიტუტი, ვიდრე მართლამადიდებლური ეკლესიაა. მან უმძიმესი განსაცდელი გადაიტანა, რომ ხალხის გულებამდე მიეღწია. იგი უკვე სრული განფენილობაა ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, როგორც მასის სულიერი მთლიანობა, როგორც მომავალი ცხოვრების რწმენა და იმედი. ეს კარგად იციან ფინანსურმა ოლიგარქებმა და ამიტომ გაახსნევინეს საზღვრები მარიონეტულ ხელისუფლებას თვითმყოფადობის პოტენციალური ენერგიის დასუსტების მიზნით. არის ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიაზე შეტევის მეორე ფრონტი-შიდა დაპირისპირების გაძლიერება ოპორტუნისტული ელემენტების ჩანერგვის გზით, რომელიც ახლა მძვივარებს და შიდასამზარეულო ალიბები დელიკატურად გამოაქვს სააშკარაოდ ხალხში დაბნეულობის გაღვივების მიზნით. ადამიანი მართლაც სუსტია და ხშირად უჭირს კიდეც იმისი გარკვევა, რომ ეკლესიაც საზოგადოებრივი ინსტიტუტია და წყალგადაწურული ცხოვრება იქაც არაარასებითია, მაგრამ განა შეიძლება თვალის დახუჭვა იმაზე, რომ ქართული ეროვნულობის კვალგამტანი მხოლოდ ეკლესია არის? მიმაჩნია ეროვნულ ნაკლოვანებად ისიც, რომ ახლა მეხსიერებიდან ამოჭრილივით რჩება თუ როგორი მძიმე ჯვარი ატარა ბოლო 40 წლის მანძილზე ქართულმა ეკლესიამ ხალხი რომ რწმენისაკენ მოებრუნებინა. ჰო, ეს მხოლოდ მობრუნებაა და წინ კიდევ გოლგოთას გზა არის გასავლელი, ვიდრე მთლიანი საქართველოს სულიერი ამაღლების დრო დადგებოდეს.

---

[38] За что убили Каддафи: все, что до этого было тайний.fb.ru/artikle/137457/za-cht-

ჩემი დაკვირება მიჩვენებს, რომ საკმაოდ ბევრი ადამიანი ეკლესიას თავისი გაჭირვების ან მძიმე ხვედრის გამო მიმართავს, რაც, რა თქმა უნდა, ასევე ღვთიური საქმეა, მაგრამ ამას აკლია მთავარი- ღმერთის რწმენა არის ადამიანის შინაგანი განწყობა, ცხოვრების წესი, როცა ათი მცნება მისი მისი არსებობის მიმმართველია. არ ქურდობს, არა ჰკლავს, არ ტყუის, უყვარს დედა და მამა, პატივით ეპყრობა ყველას, ხელს უწვდის მშიერსა და მწყურვალს, გაჭირვებულს, არ ზვიადობს, არ მრუშობს, ადამიანი მისთვის მეგობარია, უყვარს ხალხი და ქვეყანა. განა ეკლესიურია ადამიანი, რომელიც დილით ლოცვებს კითხულობს, მერე ბაზარში გასაყიდი მიაქვს, რომელსაც სუროგატებს უმატებს წონის მოსამატებლად, არც თუ იშვიათად საწამლავადაც კი აქცევს კვების პროდუქტებს, როგორც იტყვიან ყველაფერი თავზე გადასდის, მაგრამ მათხოვარს ხურდა ფულსაც არ ჩაუგდებს, მშიერს ლუკმა პურსაც არ მიაწვდის. ხელისუფლების მხრიდან ხომ ჰუმანურობის გამოვლენას ვერსად იპოვი. ნეოლიბერალიზმი მათი ცხოვრების წესი გახდა, რაც მოსახლეობის უმრავლესობას ეპიდემიად ექცა.

ძალიან ბევრს შრომობს ეკლესია რომ სულიერებამ იმარჯვოს მატერიალურზე, რასაც ნეოლიბერალი და სხვა ტვინნაღრძობი უკეთური ადამიანების მასა ყოველმხრივ ეწინააღმდეგება, მითუმეტეს, რომ ინფორმაციის გავრცელების ლამის ყველა საშუალებას ფლობენ. გარყვნეს და წაბილწეს ყველაფერი, რაც მათ იდეოლოგიას არ შეესატყვისება. დაინტერესებული სატელევიზიო არხები მაინც ახერხებენ ისეთი გადაცემების ჩვენებას, რომელიც ეროვნულ სულს აღვივებს, მაგრამ ეს მოსახლეობაზე დიდ გავლენას ვერ ახდენს. ახალი თაობა უნდა გაიზარდოს, რომელშიც შეხამებული იქნება მაღალი პროფესიონალიზმი და ქრისტიანული ზნეობა. სახელმწიფო ვერ გადარჩება თუ მისი ხალხი ფუფუნებითი ცხოვერების მიდრეკილებას არ გადაეჩვევა, თუ ხელისუფლება მარიონეტული, ხარბი და სხვა ქვეყნების ყურმოჭრილი მონა და მოსამსახურე იქნება. ცხოვრების წესი არ შეიცვლება თუ აზროვნება, აღზრდის პირობები არ გაუსუფთავებს მას გზებს. აქამდე ვერ მოხერხდა სკოლებში, უმაღლეს და პროფესიულ სასწავლებლებში ბიბლიის კურსის სასწავლო გეგმაში შეტანა.

ASSOCIATION SCIENC

საქართველო აგონიალიბერალური ეკონომიკის კვალზე

„სწორედ ჩვენ, კორეელები უნდა ვიყოთ პატრონები საკუთარ სახლში,
რომ სწორედ ჩვენ, კორეელები ვმოსახლდებთ ამ შესანიშნავ
მიწაზე და სწორედ ჩვენ-კორეელები მისი უძველესი ისტორიის
მემკვიდრეები, რომელიც 5000-ზე
მეტ წელს ითვლის“

პაკ ჩონ ჰი.
სამხრეთ კორეის პრეზიდენტი 1963-1979 წლებში.

ცნობილი ამერიკელი ეკონომისტები, ნობელიანტები, პოლიტიკოსები ჯ. სტიგლიცი, პ. კრუგმანი; ზ. ბჟეზისნკი, ფ. ფუკუიამა, იელის უნივერსიტეტის პროფესორი, ჯ. სტენლი, ფრანგი ეკონომისტი ფ. პიკეტი, ფინანსისტი ჯ. სოროსი, ამერიკელი სოციოლოგი ე. ვალერსტაინი და სხვები ყოველგვარი შეფარვის გარეშე სტატისტიკური და კვლევითი მონაცემების საფუძველზე აცხადებენ, რომ დასავლეთი, კერძოდ კი აშშ და დასავლეთ ევროპის ლიბერალური ეკონომიკა ისეთ ღრმა კრიზისშია, რომელსაც აქამდე არ მოსწრებია კაცობრიობა და რომლისგანაც თითქმის არაპროგნოზირებადი გლობალური სოციალური კატასტროფებია მოსალოდნელი[39].

დასახელებული ავტორები თანხვდენილი არიან იმაში, რომ თანამედროვე ეკონომიკური კრიზისი გამომდინარეობს მისი ლიბერალური მოდელის არასიცოცხლისუნარიანობიდან, მან უკვე ამოწურა თავისი თავი. ჯ. სტიგლიცის აზრით საბაზრო ფუნდამენტალიზმი ეს უფრო ზოგიერთი ეკონომისტის პირადი შეხედულებებია, ვინაიდან არ არსებობს ერთიანი საბაზრო მოდელი, ბაზარი საზოგადოებრივ კეთილდღეობას არ აწარმოებს, არ ესწრაფვის ადამიანური კაპიტალის ინვესტირებას. ამიტომ-წერს იგი-საჭიროა რაღაც კეინზის მსგავსი პოლიტიკა. ნობელიანტი არ გვთავაზობს ეკონომიკის ახალი მოდელის პრინციპებს. მაგრამ საბაზრო ეკონომიკის უხეირობის საილუსტრაციოდ ჯ სტიგლიცი იძლევა აშშ ეკონომიკის სტატისტიკურ ინტერპრეტაციას და აჩვენებს უთანასწორობას, რომელიც წლების მანძილზე ყალიბდებოდა. მისი აზრით, ერთის მხრივ, უთანასწორობას საბაზრო ძალები განაპირობებენ ტექნოლოგიისა და რესურსების უკმარისობის პირობებში, მოთხოვნა-მიწოდების ჩვეული წესების ჩარჩოებში. მეორეს მხრივ, დიდ როლს თამაშობს მთავრობა.

ჯ. სოროსი მიიჩნევს, რომ საბაზრო ფუნდამენტალისტებს სჯერათ, რომ საერთო კეთილდღეობის მიღწევის საუკეთესო საშუალება არის პირადი კეთილდღეობისაკენ ყოვლად შეუზღუდავი მისწრაფება, რომელიც ყალბი რწმენაა.

ბჟეზინსკის აღიარებით კაპიტალიზმი მსოფლიო მძიმე კრიზისშია. საჭიროა განსაზღვრული მორალური კრიტერიუმების მიღება, რათა მიღწეულ იქნეს თვითკონტროლი გამდიდრებაზე როგორც თვითმიზანზე.

კრიზისი გამოიხატება უმცირესობის ხელში სიმდიდრის კონცენტრაციის სისწრაფით. სტიგლიცი იშველიებს იმას, რომ აშშ ქონების უდიდესი ნაწილი მოსახლეობის ზედა ფენებს და საზოგადოების 1 პროცენტს ეკუთვნის. წერს, რომ ამ მდგომარეობის გარღმავების ალბათობა დიდია და უთანასწორობა საკვირველი ტემპებით განაგრძნობს ზრდას. 1947 წლიდან 1973 წლამდე (კეინზის დოქტრინის დომინირების პირობებში) 20% ნაკლებად უზრუნველყოფილი ამერიკელი ოჯახების შემოსავალი 116%-ზე მეტად გაიზარდა მოსახლების სხვა დანარჩენ ფენებთან შედარებით. 1974-2004 წლებში (ნეოლიბერალიზმის ერა) ამ ჯგუფის შემოსავლების ზრდა 2,8% იყო. დიდ ბრიტანეთში ეროვნული შემოსავლის წილი, რომელსაც ნაკლებად უზრუნველყოფილი მოსახლეობის 10% ღებულობდა 1979 წლის 4,2%-დან 2002 წლის 2,7%-მდე შემცირდა. ამჟამად საშუალო ამერიკელი მუშის რეალური საშუალო ხელფასი უფრო დაბალია, ვიდრე 1979 წელს იყო. მაშინ ამერიკული საოჯახო მეურნეობების

---

[39] Стиглиц Дж. Глобализация: Тревожные тенденци. М., 2003. Стиглиц Дж. Цена неравенства.Чем расслоение общества грозит нашеме будущему. Москва: 2015. Кругман П. Великая ложь: Сбиваясь с пути на рубеже еоаого века.М.: 2004. Пикетти Т. М:2015. Сорос Дж. Открытое общество. Реформируя глобальный капитализм. М., 2001. Бжезинский Зб. Вне контроля. Мировой беспорядок на пороге двадцать первого века. New York, 1993.

პირადი ვალი მშპ 46%-ს შეადგენდა, ახლა 98%-ია. დიდ პრიტანეთში ეს მაჩვენებელი იმ პერიოდში 30%-დან 80%-მდე გაიზარდა[40].

მიზეზებს, თუ რა განაპირობებს ასეთ უთასწორობას ეკონომიკის ავტორიტეტები თვითონვე იძლევიან. პ. კრუგმანი წერს, რომ მდიდრები უფრო მიდრეკილი არიან თაღლითობისაკენ, ნაკლები პატივისცემით ეპყრობიან ეკონომიკური თამაშის წესებს და ზოგჯერ კანონებსაც, ნაკლებად იჩენენ თანაგრძნობას (ეს ყველაფერი მაცხოვრის სიბრძნესთან ასოცირდება: უმალ აქლემი გაძვრება ნემსის ყუნწში, ვიდრე მდიდარი შევა სასუფეველში). სტიგლიცი აღიარებს, რომ დღევანდელ ეკონომიკაში ხელისუფლება ადგენს ეკონომიკური თამაში წესებს და განსაზღვრავს ბაზრიდან მიღებული შემოსავლების გადანაწილებას, ცვლის მატერიალური ფასეულობების დინამიკას და აშ. მაგრამ იქმნება ისეთი პროგრამები, რომლებიც ქვეყნის რესურსებს მდიდრებზე და გავლენიან ნაცნობებზე გასცემენ. ბოლოს გამოდის ისე, რომ ჩვენ გვაქვს ისეთი პოლიტიკური სისტემა, რომელიც ძალაუფლებას აძლევს საზოგადოების ზედა ფენებს. ყველაფერი იქმნება იმისთვის, რომ პირიდან ლუკმა პური გამოგლიჯონ საზოგადოების ქვედა ფენებს.

მეცნიერება, განსაკუთრებით ეკონომიკური, იძულებით ფარულად დიდხანს ემსახურებოდა ფინანსური იმპერიის ინტერესებს, დაბოლოს მოსახლეობის ძარცვის ეკონომიკა იმ მონსტრის ზომამადე მივიდა, სადაც ყველაფერი თვითხილვადი და პრაქტიკულად იოლად აღქმადია. ფულის მოყვარულ ინტელექტებს მადა უფუჭდებათ, თავის დაძვრენის და შეფარების მყუდრო ადგილები აღარ რჩებათ. ყველასათვის ცხადად ცნობადია, რომ ფინანსური იმპერიის თავკაცებს ფული საშუალებას აძლევს თავის ჭკუაზე მოაქციონ პოლიტიკური სისტემები, რომელიც მათი კერძო პიროვნული ინტერესების რეალიზაციის ინსტრუმენტი ხდება. კაპიტალიზმი თავისი არსებობის ამოწურვის ზღვარს სწრაფად უახლოვდება. ეს ყველაფერი ჩვენთვის, ვინც უკვე 60 წელს გადავცდით, არ ახალია, ამას 30 წლის წინათ გვასწავლიდნენ ინსტუტეტებში და ასპირანტურაში-კაპიტალიზმი მოგების ამოქაჩვის ინსტიტუტია მქონებელი კლასის ხელში, რომელსაც ბოლოს და ბოლოს დაღუპავს მოგებისადმი გამოდევნებული ზღვარდაუდებელი მისი სიხარბე. უცნაურად მეჩვენება მეთაურად წარმოჩენილი აზრი, რომ თურმე მდიდარს არ მოაქვს სიკეთე ხალხისთვის, ვინაიდან სიმდიდრე ზღვარგადასვლაა-ბევრის მფლობელს, კიდევ მეტი უნდა და ამისთვის იგი ყველაფერზე წამსვლელია, სულაც არ ანაღვლებს როგორ ცხოვრობენ მისი ახლობლები, მითუმეტეს როგორ ცხოვრობს მისი ქვეყნის ხალხი.

ლიბერალური ეკონომიკა რომ მსოფლიოს კრახის პირზე მიიყვანდა, საუკუნის წინ იყო ცნობილი. მართალია ლიბერალი ზომიერი, კომპრომისული ადამიანის სინონიმია, მაგრამ საქმეც ის არის, რომ ასეთი მშვენიერი სიტყვა ხშირად ხდება სატყუარა მზაკვრული აზრის მიერ. საზოგადოება კაი ხანს ვერ გებულობს დიადი სიტყვის მიღმა დამალულ შორეულ ჩანაფიქრს, რომელიც მერე მის ტრაგედიად იქცევა. ეკონომიკის წინსართი ლიბერალობა მას თითქოს თავისუფლების, ადამიანის უფლებების ღრმა ფენომენალური შინაარსით ავსებს. სინამდვილეში თავისუფლება და ადამიანის უფლებები არა მარტო წინააღმდეგობრივია და ერთმანეთს გამორიცხავს, ადამიანს წყვეტს ისეთი ნამდვილად ჭეშმარიტი რეალობებისაგან, როგორიცაა ეკლესია, ნაციონალობა, სახელმწიფო. ადამიანის ნამდვილი თავისუფლება არის არა მხოლოდ გარეშე მონობიდან გამოსვლა, არამედ თავისი თავის მონობიდან გამოსვლა, საკუთარი მისწრაფებების, სიმდაბლის დაძლევა და მონანიება. ასეთი ადამიანურობა მხოლოდ მართლმადიდებლურ რელიგიაში არის შესაძლებელი. არაფრით შეუზღუდავი ეკონომიკური ინდივიდუალიზმი, რომელიც მთელ სამეურნეო ცხოვრებას მთლიანად უთმობს ეგოისტურ ბრძოლას და კონკურენციის ხელისუფლებას, არ აღიარებს არავითარ მარეგულირებელ პრინციპს, თითქოს არა აქვს არავითარი ვალდებულებითი კავშირი ლიბერალიზმის სულიერ ბირთვთან ანუ ადამიანის უფლებების მტკიცებულებასთან...ინდივიდუალისტური ლიბერალიზმი წყვეტს ინდივიდუუმს ყველა ისტორიული წარმონაქმნებისაგან. ასეთნაირი ინდივიდუალიზმი აცარიელებს ინდივიდუუმს, გამოაქვს იქედან ყველა მისი ზეინდივიდუალური შინაარსი, მიღებული ისტორიიდან, ინდივიდუუმის გვარზე და სამშობლოზე, სახელმწიფოზე და ეკლესიაზე, კაცობრიობაზე და კოსმოსზე ორგანული კუთვნილებისაგან[41].

მსოფლიო მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას უჭირს. თუმცა ერთი შეხედვით პლანეტის ზოგადი სურათი სიმშვიდის შთაბეჭდილებას ტოვებს, ხალხი ნამდვილად ცხვარია და კიდევ: წყნარია. საპროტესტო დემოსტრაციები, არეულობა, მასობრივი გაფიცვები და რევოლუციური გამოსვლები ჩვენი მძიმე ცხოვრების სინამდვილიდან წაშლილია. ლიბერალურმა ეკონომიკამ და პოლიტიკამ ისე გამოშიგნა ინდივიდუუმი, როგორც საუკუნის წინ იწინასწარმეტყველა ფილოსოფოსმა ნ. ბერდიაევმა.

---

[40] Конец экономического либерализма? www.contrtv/print/3082

[41] Бердяев Н. Философия неравенства. Письмо седьмое. О либерализме.

ატომიზებულ სუბიექტებად დაშლილ ინდივიდუუმებს თანამგრძნობ ჯგუფებად, კოლექტივებად გაერთიანება არ შეუძლიათ, არც ასეთი გამაერთიანებელი რაიმე პოლიტიკური ბირთვი არსებობს. ამ მოლოდინზე მიუთითებდა სტალინი...ადრე ბურჟუაზია ნაციის მეთაურად ითვლებოდა, იგი იცავდა ნაციის უფლებასა და დამოუკიდებლობას, აყენებდა რა მას „ყველაფერზე მაღლა“. ახლა „ნაციონალური პრინციპიდან“ ნაკვალევიც არ დარჩა. ახლა ბურჟუაზია დოლარზე ყიდის ნაციის უფლებასა და დამოუკიდებლობას. ნაციონალური დამოუკიდებლობის და ნაციონალური სუვერენიტეტის დროშა ბორტს იქეთ აგდია. არ არის ეჭვი, რომ ამ დროშის აღება მოგიხდებათ თქვენ, კომუნისტური და დემოკრატიული პარტიების წარმომადგენლებს, და წაიღებთ წინ, თუ გინდათ იყოთ საკუთარი ქვეყნის პატრიოტები, თუ გინდათ იყოთ ნაციის ხელმძღვანელი ძალა. სხვა ამ დროშის ამწევი არ არის[42].

როგორც იტყვიან, სხვაგან წასვლა არ გვჭირდება, ვინაიდან ჩვენთვისაც ყველაფერი ხილვადია. არანაირი თანაგრძნობა, მხარდაჭერა, გამოქომაგება. ყველა თავის ტყავს უფრთხილდება და რაც უფრო მეტად უფრთხილდება, მით უფრო უმძიმდება მდგომარეობა, რომლის შემჩნევა მას არ შეუძლია ეკონომიკური სიბეცის გამო. ადამიანი ახლა მარტოა და ზნედაცემული, პასუხისმგებლობა დაკარგა. ბოლომდე ჩაიძირა და ჩაიძინა თავის თავში. ინიციატივა არა აქვს, ვიღაცის დაძახებას ელოდება, ყური გამახვილებულ აქვს სპეკულაციაზე. დასავლეთი აღქმულ ქვეყნებად ესიზმრება. გამოღვიძებისთანავე ეძებს როგორ აიყაროს გუდანაბადი მამისეული კერიიდან და ხელზე მოსამხსახურედ მიექირავოს ვიღაცას.

ქართული ხელისუფლება გადაგვარებულია და ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ თავისი ხალხი მოაღოროს, დაპირებებით შეიტყუოს, მერე უყურადღებოდ მიაგდებს და როცა მომავალი არჩევნების დრო დადგება, პენსიონერებს 20 ლარიან წანამატს გადაუგდებს და ათასჯერ წამოაყვედრის-პენსია გაგიზარდეო. არ უნდა იყოს ქართველი კაცი ასეთი გულუბრყვილო, მაგრამ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ფინანსური იმპერიისაგან დაჩმორებულია, როგორც საერთოდ მსოფლიო მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა. მეორეს მხრივ, ჩვენი მოსახლეობა ჯერ კიდევ ძველი ცნობიერების ტყვეობაშია. ჰგონია, რომ ხსნა საზღვარგარეთიდან მოდის. იქაური დიპლომიანები ჩვენს ქვეყანას უკეთ ააშენებენ. იყო მართლა ასეთი პერიოდი იქეთა საუკუნის 20-30-იან წლებში. ევროპის ქვეყნებში სასწავლებლად წასული ახალგაზრდობა ქვეყანას ნამდვილი ცოდნით აღჭურვილი უბრუნდებოდა და მერე მის სამსახურში იღწვოდა. ამაზე სპეკულირებს ახლა პრემიერ-მინისტრი და გაიძახის: ჩვენ საზღვარგარეთ გავაგზავნით ახალგაზრდებს და როცა ქვეყანაში დაბრუნდებიან სამსახურში მიღებაზე უპირატესობას მივცემთო. ამ აზრის გაგრძელება ის არის, რომ საზღვარგარეთ გადიპლომებული და მერე ქვეყანაში დაბრუნებული ახალგაზრდა თავის სამშობლოს კი არა, იმათ ინტერესებს მოემსახურება, საიდანაც გამოაგზავნეს. სხვა საკითხია როგორი განათლება მიიღო საზღვარგარეთ. ამაზე პასუხის გასაცემად მგონია ისევ ჯ. სტენლის დამოწმება აჯობებს: აშშ რიტორიკა განათლების შესახებ მკაფიოდ ანტიდემოკრატიულია. მოქალაქეები „ეფექტურ“ საგანმანათლებლო სისტემას ანიჭებენ უპირატესობას, რომელიც ბავშვებს სპეციალობას და პროფესიულ საკითხებს შეასწავლის, და არა იმ განათლებას, რომელიც საზოგადოებას ანალიტიკური აზროვნებისაკენ უბიძგებს, ზრდის მათ ავტონომიურობას და სამოქალაქო ჩართულობას[43]. სათქმელი არ დაგვიტოვა, თითქოსდა ჩვენს მაგიერ თქვა. ჩვენ კიდევ ჩვენი ბოლომდე სათქმელი ადგილზე დავდოთ. გასული საუკუნის სტატისტიკით, საქართველოში 12 ქალაქი ირიცხებოდა. ახლა 57 ადმინისტრაციული ერთეულია აღრიცხული ქალაქის სტატუსით. ამ ქალაქებში ამჟამად 75 უმაღლესი სასწავლებელია არაავტორიზებულთა მიუთველელად. გამოდის რომ ქვეყნის ყოველ 50 მოსახლეზე ერთი უმაღლესი სასწავლებელი ირიცხება, მაშინ როცა ინგლისში ყოველ 400 მოსახლეზე ერთი უმაღლესი სასწავლებელი მოდის, საფრანგეთში-735, ხოლო გერმანიაში-320. ჩემი მიახლოებითი ანგარიშებით გამოდის, რომ საქართველოს მოსახლეობის თითქმის ნახევარს უმაღლესი განათლების დიპლომი აქვს. ამ სტატისტიკის მიღმა რომ ნამდვილი განათლება იგულისხმებოდეს, ახლა ჩვენი ხალხის ცხოვრების დონე გასული საუკუნის 80-იანი წლების დონეზე მაღლა უნდა იდგეს. მაგრამ თუკი უფრო შორს გავყვებით სტატისტიკას, გამოვა რომ ქვეყნის მოსახლეობა 1980 წლის მონაცემთან შედარებით მესამედით შემცირებულია, მაშინ როცა უმაღლესი სასწავლებლების რიცხვი 4 ჯერ გაიზარდა, ხოლო მეცნიერებათა დოქტორების რაოდენობა 4,7 ჯერ. თუ გავითვალისწინებთ იმასაც რომ იმ საუკუნის 80-იან წლებში მეცნიერებათა დოქტორების საშუალო ასაკი ხანდაზმულობისაკენ იხრებოდა, მაშინ ნათელი გახდება ის, რომ ქვეყნის უმაღლეს სასწავლებლებს კადრები ბუქსირზე ჰყავს გამობმული და დოქტორის აკადემიურ ხარისხამდე და პროფესორის თანამდეობობამდე ქაჩავენ, ბუქსირზე მიბმის

[42] სტალინი. გამოსვლა 1952 წლის 14 ოქტომბრის პლენუმზე

[43] htt:/European.ge/rogor-amaxinjebs-tavisufali-bazris-ideologia-demokratiis-leqsikons/Cpyringht European. ge

მსურველები კი იცოცხლე ბევრია. მეცნიერებისაკენ ხელოვნურად აჩქარებული მოძრაობა. აი, რა ქმნის კატასტროფას.

განათლებას, განსაკუთრებით კი უმაღლეს განათლებას მსოფლიოს წამყვან ქვეყნებში ფინანსური იმპერია განაპირობებს. მისი მიზანი ნათელი და ცხადია. რაც მას თავისი ინტერესებისთვის სჭირდება, ნიჭიერ ახალგაზრდებს ნამდვილ ცოდნას აძლევს თავის უნივერსიტეტებში, ხოლო დანარჩენ სწავლის მსურველს იდეოლოგიურად ამზადებს პროფესიის პრეტენზიით და მას თავის მსახურად იხდის. საქართველო ამ მხრივ ფაქტობრივი ილუსტრაციაა. ქვეყნის რეფორმირება განათლებაზე შეტევით დაიწყეს-დაშალეს ეროვნული აკადემიურ მეცნიერების ფართო ქსელი, ზოგი სტრუქტურული ერთეული უმაღლეს სასწავლებლებს მიუერთეს ინსტიტუტებად, ბევრი გააუქმეს. საფუძველი გამოაცალეს ფუნდამენტური მეცნიერების განვითარებას, კერძო პირებზე დაანაწილეს. გაყიდეს პროფესიული სასწავლებლების კორპუსები, ლაბორატორიები და საწარმოო ტექნიკური ბაზები. დაითხოვეს ცნობილი მეცნიერები უმაღლესი საწავლებლებიდან, ხელი მიუშვეს კერძო სტრუქტურების წარმოქმნას, მეცნიერების განვითარებას მოუშალეს სახელმწიფო შეკვეთა, აზნაურობის მაძიებლობის კვალში ჩააყენეს პროფესორობაზე გამოდევნება, ხოლო უმაღლესი სასწავლებლების ე. წ. ავტონომიზაციით დააკნინეს სამეცნიერო საბჭოების როლი და იგი რექტორების მოსამსახურე ამყოლ რგოლებად აქციეს, ხოლო თვით რექტორები სკამის მაძიებლებად. დაიკარგა განათლების ავტონომიურობა და სისტემურობა, იგი კერძო პირების გამდიდრების საშუალება გახდა. ამიტომ არის, რომ საქართველოში მთავრობისა და განათლების მინისტრის შეცვლა, ავტომატურად ნიშნავს განათლებაში რაღაც მიმდინარე ცვლილებებს, რომელიც ერთი და იგივე საქმის ყოველთვის ახლიდან დაწყებას ასოციაციაა.

ზემოთაღნიშნული საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ:

1. ლიბერალური, საბაზრო ეკონომიკა აგონიაში შედის, ვინაიდან ფინანსური იმპერიის კერძო ინტერესებს ემორჩილება;
2. სახელმწიფოთა მეთაურები აღარ არიან ნაციონალური ინტერესების გამტარებლები. ისინი ერთიანი მსოფლიო მეურნეობის კონსტრუქტორების დაქირავებული მწარმოებლები არიან.
3. საზოგადოება დაშლილია და კოლექტიურობის უნარები დაკარგული აქვს. არ არის რაიმე ეროვნული სოციალური მოძრაობა, რომელიც მოსახლეობის საშუალო და ღარიბი ფენების მეთაური ძალა გახდებოდა და მათ გაიყოლიებდა უკეთესი მომავლისთვის ბრძოლაში.
4. ფინანსური იმპერია არის ფულის, იარაღის და პოლიტიკური ზემოქმედების ძლევამოსილება, რომლის წინაშე ახლა ყოველგვარი სოციალური წინააღმდეგობა განწირულია დასაღუპად.
5. განსაკუთრებით მძიმეა პოსტსაბჭოთა ქვეყნების მდგომარეობა. ამ ქვეყნის მთავრობები გარე და შიდა წინააღმდეგობების ცეცხლად აფეთქების პოტენციალური ფაქტორებია, რომლის შესახებ ყოფილმა საბჭოელებმა კარგად იციან.
6. ფინანსური იმპერია და მისი ცალკეული სტრუქტურები ინტელექტუალების კონცენტრაციაა, რაც არანაირად არ ითქმის სახელმწიფოთა მთავრობებზე. ფულის ძალაუფლების მიღმა ჩანს მისი ძლევამოსილების ნამდვილი გენერატორი-გენიალური აზრონების ნაღები გუნდები. ფული რანაირი ბევრი არ უნდა იყოს იგი, მის მესაკუთრეს იმპერატორად ვერ აქცევს. ყველაზე საუკეთესო შემთხვევაში შეიძლება უმდიდრეს ადამიანად დარჩეს რამდენიმე ხანს და ისიც ჩრდილში. თანამედროვე ფინანსური იმპერია იმიტომ კი არა არის ძლემოსილი, რომ ფულის მესაკუთრეა, პირიქით, მან გენიალური უზარმაზარი აზროვნება ჩააყენა თავის სამსახურში, რომელსაც მანამდე ზნეობა გამოაცალა[44].

ასეთი ვითარებაა ახლა დასავლეთში. რაც შეეხება თვით დასავლეთ ევროპას, რომელზე ჯვარს იწერენ მისი ცქერით დატყვევებული ჩვენი პოლიტიკანები და მათი მსგავსნი, იქაც საკმაოდ მძიმე მდგომარეობაა. ევროკავშირის დაშლას წინასწარმეტყველებენ დ. ტრამპი, ჯ სოროსი, ექსპერტები და ანალიტიკოსები[45]. იმათი კვლევითი მასალებიდან ირკვევა, რომ დასავლეთის დაშლის მიზეზები მრავალგვარი, ფუნდამენტალური ხასიათისაა. ასეთებია შრომითი მიგრაცია აღმოსავლეთიდან და სამხრეთ აღმოსავლეთ ევროპიდან, რაც, ერთის მხრივ, დემოგრაფიული დეფიციტის შევსების წყაროა, ხოლო, მეორეს მხრივ, მშიერი და ნახევრად მშიერი მასების შემოტევა, რომელიც მის ნაციონალურ თვითმყოფადობას გადაშენებით ემუქრება. ჯერ კიდევ არ დამცხრალა ემიგრაციების ტალღა პოლონეთიდან, უნგრეთიდან, ბალტიისპირეთიდან, რუმინეთიდან, ბულგარეთიდან, უკრაინიდან, მოლდავეთიდან, სამხრეთ კავკასიიდან და ბალკანეთის დასავლეთიდან. აქედან გამომდინარეობს

---

[44] არ მიმაჩნია სწორად პ. კრუგმანის მითითება იმაზე, რომ მზარდი უთანასწორობა არ უკავშირდება იმას თუ ვის აქვს ცოდნა და ვის არა, არამედ იმას თუ ვის აქვს ძალაუფლება.

[45] Трамп назвал причину рапада ЕС. whoswhoh.org/150554-tramp-nazval…Сорос: развал Евросоюза тепер неизбежен. zss.novostimira.com/n_8012854.html. Политика расширения ведет к распаду Евросоюза. rubaltic.ru/article/plitika-i-…

ევროკავშირის ბიუჯეტის აუცილებლობა მდიდარი და ღარიბი ქვეყნების ეკონომიკური და სოციალური განვითარების დონეთა გამოსათანაბრებლად. ამას პირდაპირ მივყავართ ფინანსური რესურსების პრობლემასთან, რომლის გადაჭრა მძიმე ტვირთად დააწვება საფრანგეთს, გერმანიას და სკანდინავიის ქვეყნებს.

ევროპის კავშირის მდგომარეობას კიდევ უფრო გაუარესდება მაშინ, თუკი აშშ მიაღწევენ შეთახმებას ევროპასთან ტრანსატლანტიკური სავაჭრო-საინვესტიციო ვაჭრობის თაობაზე, რომელიც შემზღაუდავი ბარიერების მოხსნას გულისხმობს. ეს კი ევროპის მეწარმეობას სასიკვდილო დარტყმას მიაყენებს. ამას კარგად გრძნობენ დასავლეთ ევროპის ეროვნული ძალები და ევროპკავშირის გაფართოების მკაცრი მოწიანააღმდეგენი არიან. როგორც ყოველთვის აქაც თავისი გავლენა აქვს ძლიერის პოზიციას-მხედველობაშია საფრანგეთისა და გერმანიის ისტორიული დაპირისპირების გაგრძელება.

რაღაც უკმაყოფილების გრძნობა გამიჩნდა და გადავწყვიტე ბოლო კითხვებს ისევ მივუბრუნდე. არ არის ტოლობის ნიშანი სახელმწიფოსა და სახელმწოფოთა გაერთიანებას, იგივე ევროკავშირს შორის. სახელმწიფო ათასწლოვანი წარმონაქმნია და იგი ისტორიულად მთლიანია, რომელსაც ნაციონალური ენერგია ამოძრავებს. ევროკავშირი ევროპის ქვეყნების ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესების წარმონაქმნია და ამდენად ბუნებრივად ცენტრიდანული და ფორმაცვალებადია, ვინაიდან როგორც კომპლექსი მთელის პრეტენზიით მასში შემავალი სახელმწიფოების სუვერენიტეტს ზღუდავს, ტრადიციებსა და ეროვნულ თვითმყოფადობას გადაშენებით ემუქრება. სხვადასხვა ტიპის მთელები ერთსახე მთლიანი რომ გახდეს, ისინი ახალ ფუნქციონალურ სუბიექტებად უნდა იქცნენ. ამას კი ნაციონალური თვითმყოფადობის გამოწვევა მოჰყვება. შემთხვევითი არ არის ევროპის უძველესი ქვეყნის, ინგლისის გასვლა ევროკავშირიდან. პრეტენზია ჰქონდათ ინგლისელებს: სუვერენიტეტის დაკნინების, ნაციონალური კანონების მეორეხარისხოვნება ევროკავშირის კანონებთან შედარებით, მიგრანტების შემოტევა და ამის გამო ადგილობრივი მუშახელისთვის სამუშაო ადგილების შემცირება, გადასახდების გადამეტება ევროკავშირის წევრობის სარგებელთან შედარებით. ინგლისის ისედაც დაბალი შობადობის გამო გართულებული სიტუაცია კატასტროფულად დაიძაბა აფრიკის ქვეყნებიდან იაფი მუშახელის ინტენსიური შემოდინებით, რომელმაც არაფორმალური კულტურული ავტონომიის ფორმა მიიღო. არის კიდევ რაღაც, რომელიც ახლა არახილვადია.

ზემოთ მოტანილი მასალების კრიტიკული ხედვა ასეთ სურათს იძლევა: ევროკავშირიდან დიდი ბრიტანეთი გამოვიდა, ხოლო შესვლაზე უარს აცხადებენ მდიდარი სახელმწიფოები ლიხტენშტეინი, ნორვეგია, შვეცია, ისლანდია. საქართველოს ხელისუფლება ევროპარლამენტს არ ასვენებს, მიშველეთ, ევროკავშირში მიმიღეთო. ჩვენი „მამამთავრების“ მუხლებზე დგომა გასაგებია, მაგრამ ევროკავშირს რა ინტერესი აქვს მიიღოს საქართველო მის წევრად. არადა, ევროკავშირის კანდიდატობის წევრი ქვეყანა უნდა აკმაყოფილებდეს ისეთ პრინციპებს, როგორიცაა სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობა, დემოკრატიის განუხრელი დაცვა (ეს კიდევ რა არის, მხოლოდ ღმერთმა უწყის), ნაციონალური კანონმდებლობის შესაბამისობა ევროკავშირის სამართლებრივ ბაზასთან, კონკურენტუნარიანი საბაზრო ეკონომიკა, დადებითი სავაჭრო ბალანსი და სხვა. ეს დამშეული, კიდიდან კიდემდე უსამართლო ქვეყანა როგორ შეიძლება ევროპის მდიდარი ქვეყნების კავშირში აღმოჩნდეს. ანალოგიური კითხვა გაჩნა უკრაინის მიმართ, რომელსაც ჩვენი, ქართველების მსგავსი პოლიტიკოსები და ჩინოვნიკები ევროკავშირში „მიარბენინებდნენ“ თავიანთი ჭკუით. „სიმართლე რომ ვთქვათ, უკრაინას ყოველთვის ეკისრებოდა ანტირუსული ამოცანა, ევროპას ის მხოლოდ იმისთვის უფრო სჭირდება, რომ გასაცვლელი მონეტა ყოფილიყო ევროკავშირის რუსეთთან რთულ ურთიერთობებში. ევროპაში, გასაგებია, ამას არავინ იტყვის. საშუალებას არ აძლევს ელემენტალური პოლიტკორექტულობა (არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ხმამაღლა თქვა ის, რასაც ფიქრობ, თუკი ეს ეწინააღმდეგება „დემოკრატიულ პრინციპებს“). იქ თქვენ სხვას გეტყვიან, რომ სწორედ დემოკრატიულ უკრაინას შეუძლია გადამწყვეტი გავლენა მოახდინოს „რუსეთის დემოკრატიული განვითარების ევოლუციაზე“[46]. ამაზე იტყვიან: მულო შენ გითხარი და რძალო შენ გაიგონე. ეს ჩვენი პრაქტიკულად არაფრისმკეთებელი ხელისუფლება ევროპას ეხვეწება კავშირში მიმიღე და იმ რუსეთს ყეფით ავიკლებო. ამით სამი რამ კეთდება: ფინიები რუსეთს ბოხი ხმით ჰყეფენ, ქარავანი მიდის, ფინიები საკუთარ ქვეყანას ძარცვავენ, რუსეთი თუ მოგვიბრუნდა, საზღვარგარეთ მოკურცხლავენ და იქ ნაქურდალითა და ნაძარცვით განცხრომით იცხოვრებენ თავიანთი ოჯახებით. ამდენად, ჩვენი ქვეყანა აღმოჩნდა საშინელი უფსკრულის პირას, როცა ლიბერალური ეკონომიკური სისტემა უკანასკნელ დღეებს ითვლის, ახალი ეფექტიანი ეკონომიკური სისტემის კონტურები არახილვადია,

[46] Зачем Евросоюзу нужна Украиеа? В чем игра и цели ЕС? ru/exrus/eu/Zachev-Yvrosoyuzu…

ევროკავშირი დაშლის პირასაა, ფინანსური იმპერია ლუკმა-ლუკმად გვჭამს, რომელსაც ნაჭრებად უთლის ჩვენი ხელისუფლება სამშობლოს სხეულიდან. ქაჯანას (მაგრამ არ არის ქაჯანა) დაძახება გვჭირდება: უსმინეთ მამაზეციერს, დაუბრუდით მართლმადიდებლურ ეკლესიას, წადით სახლებში.

ასოციაცია მეცნიერებისთვის
ASSOCIATION SCIENC

აზროვნება ლუციფერის ტყვეობაში

„ეკონომიკა არ მუშაობს ბაზრის თვითრეგულირებისას და ეთიკას საჭიროებს...ადამიანი უნდა იყოს ეკონომიკის ცენტრში, ეკონომიკა არ შეიძლება განისაზღვროს მხოლოდ მოგების მიღებით“.

ბენედიქტე XVI

სპეკულაცია მონეტის ორივე მხრიდან

სპეკულაცია ეკონომიკურ ლექსიკონში განმარებულია როგორც შუამავლების (ფიზიკური ან იურიდიული პირის) ყიდვის და გადაყიდვის საქმიანობა მოგების მიღების მიზნით. აქედან ისიც ჩანს, რომ სპეკულაცია სპეციალური შრომაა და საზოგადოებისთვის სასარგებლო. მისი მეშვეობით ხდება პროდუქციის მიტანა მწარმოებლიდან მომხმარებლამდე. ასეთი შრომის დაბადებას საკმაოდ გრძელი ისტორია აქვს, რომელიც ვაჭრობის ინსტიტუტს სხვადასხვა ასპექტით ახასიათებს. ერთის მხრივ, დადებითად აღიქმება სპეკულაცია, როგორც განსაკუთრებული შრომა, როგორც საწარმოო პროცესის გაგრძელება. მეორეს მხრივ, სპეკულაცია გაგებულია, როგორც მიმწოდებლის, ასევე მომხმარებლის მოტყუება ვაჭრების მიერ, თვალთმაქცობა, ჯადოქრობა. ასეთ თვალსაზრისს საფუძვლად ედება ჯერ ერთი ის, რომ ვაჭრობა სწრაფი პროცესია და ნაკლებად შრომა/და მეცნიერებატევადია საწარმოო პროცესთან დამოკიდებულებაში. მეორეც, ვაჭრები ხშირად სწრაფად მდიდრდებიან მეწარმეებთან შედარებით, რაც ამ უკანასკნელთა მორალურ უკმაყოფილებას იწვევს. განვითარების თანამედროვე პირობებში ვაჭრობა ინდუსტრიული დარგია და მომსახურების მსოფლიო სისტემის ნაწილია.

კაპიტალიზმი წარმოუდგენელია სპეკულაციური საქმიანობის გარეშე. მხედველობაშია ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობა, საქონლის გაყიდვა, ვალუტის გადაცვლა და სავალუტო კურსების კოტირება, უძრავი ქონების გასხვისება. ეს ოპერაციები ბირჟებზე ხორციელდება[47]. ბუნებრივია, შეცდომა იქნება დავიყვანოთ სპეკულაციის გაგება მოტყუებასა და თვალთმაქცობაზე, მიუხედავად იმისა, რომ ასეთი ამორალური გამოვლინებები მისთვის ნიშანდობლივია. სოციალიზმის დროს სპეკულაცია კანონით ისჯებოდა. გასაგებია, ვინაიდან ვაჭრობაც სახელმწიფო სექტორი იყო და მატერიალური სფეროს პროდუქციაც დარგთაშორისი ბალანსის მიხედვით ნაწილდებოდა. მდგომარეობა სწრაფად შეიცვალა სოციალისტური ეკონომიკის მოშლის შემდეგ. როცა არა მარტო თავი აიშვა სპეკულაციამ, მას ძარცვა და ყაჩაღობაც მიიმატა, და ძალაუფლებაც გაიფართოვა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარეობს დასკვნა, რომ სპეკულაციური საქმიანობა, როგორც საქონლის გადაადგილება მწარმოებლიდან მომხმარებლამდე მოგების მიღების მიზნით კაპიტალიზმში საზოგადოებრივად აუცილებელი, პროფესიული შრომაა. სპეკულანტი, ვაჭარი აქ შუამავლის როლს ასრულებს მიწოდებელსა და მომხმარებელს შორის. ამდენად იგი, ერთის მხრივ, დამოკიდებულია მწარმოებელზე, ხოლო მეორეს მხრივ,-მომხმარებელზე ანუ პირველს პროდუქცია უნდა ჰქონდეს მეორემ რომ ბაზარზე გაიტანოს, მეორეს კიდევ-სურვილი და გადახდისუნარიანობა მოთხოვნა რომ დაიკმაყოფილოს. ბუნებრივია, რომ სპეკულაციას, როგორც ასეთ შუალედურ რგოლს ერთნაირად შეუძლია იმოქმედოს, როგორც მწარმობელზე, ასევე მომხმარებელზე თავისი ინტერესების სასარგებლოდ, თუმცა ყველაფერი უნდა გაკეთოს იმისთვის, რომ მათი ნდობა არ დაკარგოს, აკი მწარმოებლებს შეუძლიათ პირდაპირი კავშირი დაამყარონ მათი პროდუქციის მომხმარებლებთან. მაგრამ დღევანდელი საბაზრო ეკონომიკის პირობებში მწარმოებელი და მომხმარებელი ერთმანეთს დაშორებულია გაფართოებული სპეკულაციური ინსტიტუტებით. მდგომარეობას არსებითად არ ცვლის ის, რომ მეორადი ან მერამდენე გადაყიდვებიც სპეკულაციის სივრცეა და დამოუკიდებლობის ფართო თავისუფლებრივი არეალი გააჩნია. ეს შენიშვნა ვრცელდება სპეკულაციის ისეთ სახეებზე, როგორიცაა ვალუტის კურსების ფორმირება, ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობა, ოპციონი და სხვა.

სპეკულაციური საქმიანობის განვითარებამ აჩვენა, რომ ვაჭრებს შეიძლიათ გავლენა მოახდინონ როგორც წარმოების მოცულობის, მისი ნომენკლატურულ-სტრუქტურულ ცვლილებებზე, და ასევე წარმოებისადმი მომხმარებელთა მოთხოვნის მოცულობისა და გემოვნების პასიურობიდან მათი აქტივიზაციის გაძლიერებაზე. ნიშანდობლივია მეორე მომენტიც. მომხმარებელთა მოთხოვნის მოცულობის გაზრდა ფულადი შემოსავლების ხარჯზე, მწარმოებლებს საშუალებას აძლევს თვითონ გამოიწვიონ მოხმარება საქონლისა და მომსახურების ახალი სახეების მიწოდებით. ეს შესაძლებელია მაშინ თუ ფული საქონლისა და მომსახურების მომოქცევის ფუნქციას გასცდება და თვითონ შეიქმნება სპეკულაციის საგანი ანუ ფული თვითონ ეღირება ფული. „...ეკონომიკის სფეროში, არაფერია იმდენად არაბუნებრივი, რამდენადაც თვით საფინანსო სისტემა. ამიტომ ის, რომ ფული ქმნის ფულს, არა მხოლოდ არაბუნებრივია, არამედ აბსურდულიც. ლოგიკურია, რომ სიმდიდრის აღწარმოება ბუნების

---

[47] ბელგიის ქალაქ ბრიუგეში მე-18 საუკუნეში საცხოვრებლად გადავიდა ფეოდალი ბორჟა. მისი ოჯახის სახლი იყო ვაჭრებისა და გადამყიდველების მუდმივი შეხვედრის ადგილი. აქ ერთმანეთს უცვლიდნენ ახალ ამბებს, უფრო გვიან-საქონელსა და ფულს. ასე გახდა სახელი ბორჟე კომერსანების თავშეყრის ადგილი. როდე ე. ბანკები, ბირჯები და სავალუტო ოპერაციები კაპიტალისტურ ქვეყნებში. თარგმნა რ. ნამიჭეიშვილმა.გვ. 328. ქუთაისი, „სარანგი“, 1993.

მიერ ხდება, რომლის წიაღი ადამიანის მიერ ძალისხმევით განაყოფიერებული, ყველა კეთილდღეობას ქმნის. ბუნებრივია, რომ მინდვრიდან იბადება მარცვლეული, ხოლო ფაბრიკები უშვებენ სხვადასხვა პროდუქციას, მაგრამ ის, რომ ბანკები არაფრისაგან ქმნიან ფულს და კიდევ ამის გამო პროცენტებს ღებულობენ, ლოგიკის ფარგლებს სცილდება. ასევე არაბუნებრივია ისიც, რომ მცირე კაპიტალით შექმნილი ბანკები, რომელთაც არანაირი უზრუნველყოფა არა აქვს, ბოლოს და ბოლოს, ყველაფრის უფროსები ხდებიან...ეს ნიშნავს, რომ ფული არ არის საშუალება, იგი სიმდიდრისა და ხელისუფლების ძირითად წყაროდ იქცა, და ყველაფერი ეს თვითაღწარმოებადი უნარიანობის წყალობით, რომელიც ბანკირებმა აღმოაჩინეს“[48].

სპეკულაციას ფართო გასაქანი მიეცა მას შემდეგ, რაც ფულის კურსები მერყევი გახდა და იგი ეკონომიკის მომსახურებიდან მისი მამოძრავებელი ინსტიტუტი შეიქმნა. ადრე თუ სპეკულაცია წარმოების გაგრძელება იყო, ხოლო ვაჭრებს ვერ იტანდნენ, ითვალწუნებდნენ, ახლა სპეკულაცია დამოუკიდებელია და თვითონ წყვეტს თავის ბედს. თუ წარმოება მატერიალური ფასეულობების და მომსახურების შექმნის პროცესია მომხმარებლებისთვის, სპეკულაცია თავისთავს ემსახურება და მომხმარებელი მისთვის საინტერესოა იმდენად, რამდენადაც მისი საშუალებით უზრუველყოფს ფინანსური იმპერიის ძალაუფლების განმტკიცებას. უფრო მარტივად თუ ვიტყვით, აქაც ორმაგი მიდგომაა. ოლიგარქებს ფულზე კონტროლი სჭირდებათ მსოფლიოს ერთიანი მეურნეობის შესაქმნელად და მთავრობის ხელში ჩასაგდებად. მათი აზრით, ამისთვის საჭიროა მსოფლიო მოსახლეობის გადაქცევა მომხმარებლურ საზოგადოებად, სადაც ფული რელიგიის ფუნქციებს შეასრულებს[49]. თანამედროვე ადამიანი მატერიალური ხარბია და დაავადებულია გედონიზმით. პრივატიზებული აქვს სინდისი, სირცხვილი, ეროვნულობა, ოჯახის სიწმინდე, ადამიანის სიყვარული. პატრიოტობა, მემკვიდრეობითობა, მშობლებზე მზრუნველობა, ღვთიური რწმენა და იმედი, მთელი ცხოვრება ბანკის სესხზე არის დამოკიდებული და მისი მორჩილია. „ჩვენ უფრო ღარიბები ვართ, მნიშვნელოვნად უფრო ღარიბები, ვიდრე ოდესმე ვყოფილვართ“[50]. მთავარი გახდა იოლი მოხვეჭა, დიდი გამორჩენა, ხეირის მიღება.

მკითხველს შეიძლება გაუჩნდეს კითხვა: მოგების, ხეირის, სარგებლის მიღება ფულის მსოფლიო იმპერატორებს წარმოების განვითრებითაც შეუძლიათ, რატომ ირჩევენ ისინი სპეკულაციებს? ვიდრე ამ კითხვას ვუპასუხებდე, მანამდე უნდა შევნიშნო, რომ მოგება წარმოებაში კი არა, ფინანსურ სპეკულაციებში იქმნება. ამის შესახებ წერს კატასონოვი: თვით ფულის შინაარსიდან გამომდინარე ფასის წარმოების ხარჯებზე გადამეტება შესაძლებლია, თუ მყიდველებს დამატებითი თანხები ექნებათ. საიდან ჩნდება დამატებითი თანხები? მხედველობის გარეშე დავტოვოთ ყაჩაღობა, ქვეყნების ძარცვა და ომები. თუ ქვეყნის ეკონომიკის „დახურული“ მოდელიდან გამოვალთ, დამატებითი თანხების ერთადერთი წყარო არსებობს-მევახშეთა კრედიტი. კლიენტების სფერო საკმაოდ ვრცელია: სახელმწიფო, საოჯახო მეურნეობა, ეკონომიკის არასაფინანსო სექტორი[51].

ახალა გასაგებია, რომ მოგების მიღება მეწარმეობრივად რთული პროცესია, უმჯობესია ფულადი სპეკულაცია, როცა ბანკები ქმნიან ფულს და მომხმარებლებს ფულზე „შიმშილის“ ქრონიკული მოთხოვნა აქვთ. ბანკებს ისინი პულსის ცემაზე აქვთ აღრიცხვული. მათ კარგად იცვან, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდგომ უზარმაზარი მოცულობის ფიზიკური კაპიტალი წარმოიქმნა ფაბრიკა-ქარხნების, მანქანა-მოწყობილობების, საწარმოო და სოციალური ინფრასტუქტურის ობიექტების და საცხოვრებელი ბინების მასივების სახით. ნაცინალური ქვეყნების საკუთრებაში დარჩა ბუნებრივი რესურსები და წიაღისეული. აი, რაზე არის მიმართული ფინანსური იმპერიის ინტერესები. ამ სიმდიდრეების სპეკულაციური მიტაცების წინა პირობები უკვე შექმნილია. ძირითადი საწარმოო ფონდები, როგორც ქვეყნის სიმდიდრე საზოგადოებრივ აზროვნებაში შეცვლილია ფულის მასით, რომელიც სინამდვილეში მხოლოდ ქაღალდია მატერიალური უზრუნველყოფის გარეშე. ადამიანებმაც დაივიწყეს, რომ ისინი სინამდვილეში მიწის საკუთრებაზე დგანან და ფული მხოლოდ მატერიალური სიმდიდრის მოძრაობის საშუალებაა. ცალკე უნდა აღინიშნოს ნარკობიზნესის, აზარტული თამაშობების და წამლების ინდუსტრიის შესახებ.

ნარკობიზნესი ყველაზე შემოსავლიანი წყაროა და ამიტომ იგი მსოფლიო ფინანსური იმპერიის ეკონომიკის მონოპოლიური სექტორია. ყველაფერი კეთდება იმისთვის, რომ ნარკოტიკის მოხმარება

---

[48] https://yaunikum.ru/2161-dario-salas-i-fizika-morali.htm

[49] „ფული, როგორ ასეთი, რაიმე განსაკუთრებულ საშიშროებას არ წარმოადგენს. ფული საშიში მაშინ ხდება, როცა შეუძლია ძალაუფლების ყიდვა ან უშუალოდ, ან ეკონომიკურად სუსტი ადამიანების დამონების გზით, ვინც იძულებულია საკუთარი თავი გაყიდოს, რათა იარსებოს“. კარლ პოპერი. რჩეული ნაწერები. გვ. 327. თბ., „დოიგენე“, 2000.

[50] США ждет судьба Римской империи. situacion.ru/app/j art 196.htm

[51] Катасонов В.Ю. Капитализм. История и идеология Эденежной цивилизации. с. 880. М.: Институт русской цивилизации. 2013. с. 1071

ლეგალიზებული იქნეს მსოფლიოში, რათა ტრანსნაციონალური კომპანიები არალეგალურობიდან გამოვიდნენ და ნარკომომხმარებლების უზარმაზარი ბაზარი დაიმკვიდრონ. ყველაფერი კეთდება იმისთვის, რომ მშიერი მოსახლეობის შეგნებაში დამკვდრდეს ნარკოტიკების მოხმარების უვნებლობა...ადამიანური უბედურების ყველაზე საშიში ფორმაა, როცა საზოგადოებაში ყველა ერთმანეთს ებრძვის, როცა ცოდნა გაუპატიურებულია და უმცირესი ჯგუფის ოლიგარქების აზრი ბატონი ხდება. საზოგადოებაში მძლავრობს მომხმარებლობის ინსტიქტები, ნარკომანია, ლუდონამია, ტრეფიკინგი, გარყვნილება, პედოფილია, ზოოფილია, პროსტიტუცია, ტრადიციების სიძულვილი, ძალადობა, ჰომოსექსუალიზმი; მოჭარბებულია პრიმიტიული აზროვნება, ნიჰილიზმი. სპეკულაცია ყველაზე მეტად აზროვნებას ვნებს, რომელიც გამოხატულებას პოულობს ადამიანის ქცევაში, საუბარში, მიმართვებში, შრომაში, ახლობლებისა და უცნობებთან დამოკიდებულებაში, სიმღერაშიც კი. სპეკულაცია ფინანსური იმპერიის მასობრივი გლობალური მოძრაობაა, რომელც თავის ორბიტაში აქცევს და არარად ხდის ნაციონალური სახელმწიფოების ინტერესებს. როგორც რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო დუმის ეკონომიკური პოლიტიკისა და მეწარმეობის კომიტეტის თავმჯდომარე ამბობს ქონებრივი სამინისტროს ექვსსართულიანი შენობის მთელი მეექვსე სართული ამერიკელ მრჩევლებს ეკავათ. ისინი წყვეტდნენ ვინ უნდა ყოფილიყო ოლიგარქი, ვის ეყიდა საწარმოები. ისინი ნიშნავდნენ კადრებს...თითოეულ ოლიგარქზე მიმაგრებული იყო სამინისტროები...ეს საოჯახო შვიდბანკიანები ქმნიდნენ მთელ ხელისუფლებას ქვეყანაში...მინისტრები ამ შვიდი თუ რვა ოლიგარქის თანამშრომლები იყვნენ...ამერიკელი მრჩევლები პირველ რიგში აშშ ფინანსური ოლიგარქებისთვის მუშაობდნენ[52]. მსოფლიოს ეს ოლიგარქები ქმნიან „თამაშის წესებს“, სოციალურ ინსტიტუტებს, რომლის მოთამაშეები სხვის დაკრულზე ბუქნაობენ და თავი დამოუკიდებლად წარმოუდგენიათ. „ის, რაც რუსეთის, სომხეთის, საქართველოს, რომელიღაც პროვინციალურ ლატვიაში ხდება,-ყველაფერს ბარუხას და მისი მსგავსის თათი ადევს. მაგრამ სახალხოდ ისინი არსად არ ფიგურირებენ, ისინი თითქოსდა არც არსებობენ. მიუხედავად იმისა, რომ ისინი ძალიან ცნობილი არიან...გლობალური ხასიათის ზოგიერთი სიუჟეტის მოულოდნელი მობრუნების ძალით ადგილობრივი ბანკები და საფინანსო ჯგუფები შეიძლება მსხვრეპლი გახდნენ. მსხვერპლი დანარჩენი საფინანსო სისტემის საკეთილდღეოდ. ის, ვინც გლობალურად ხელმძღვანელობს საბანკო სისტემას, ადგილობრივი კერძო ფინანსური ჯგუფების მტერია. მხოლოდ გვეჩვენება, რომ მათ შორის სიმბიოზი არსებობს, სინამდვილეში ის არ არის და არც შეიძლება იყოს! აუცილებლობის შემთხვევაში „წვრილმანი“ შეიძლება მოიკვეთოს...რუსეთის ბანკირები ძალიან წინდაუხედავად იქცევიან. მათ იყენებენ, ხოლო ისინი ამას ვერ ამჩნევენ. ისინი ფიქრობენ, რომ მდგომარეობას ფლობენ. არა! სინამდვილეში მილიონერების, მულტიმილიარდერების და ტრილიონერების სისტემაში ისინი ისეთები არიან, როგორც მეეზოვე სახოვრებელი კანტორისთვის. ის შეიძლება გაათავისუფლონ, შეიძლება გალანძღონ, შეიძლება უბრალოდ არც შეიმჩნონ”[53]. ჰოდა, იქცევიან ისე, თითქოსდა ყველაფერი სწორია და ხელსაყრელი. ქვეყნის სასაზღვრო კარები ბოლომდე ღიაა ისევე, როგორც ამ უბედური ლიბერალების პირი, რომლებიც ხმის ჩახლეჩამდე გაყვირიან, რომ ტოლერანტობის საუკუნეა და საქართველოში ყველა მსურველს შეუძლია იცხოვროს. თურმე ამ ტოლერანტობის ძალით მოსულსა და შემოპარულ-შემოგზავნილს მტერსა და მოყვარეს ისე შეუძლია მოიქცეს, როგორც სურს, როგორც მეპრიანება, არც შენი წარსული აინტერესებს და არც შენი თვითმყოფადობა. რამხელა თავხედი უნდა იყოს გადამთიელი სტუმარი „ვეფხისტყაოსნის“ შემქმნელ ერს ტელევიზიიდან თითისქნევით ელაპარაკებოდეს სტუმართმოყვარეობაზე, ქალისადმი პატივისცემაზე, მეგობრობაზე.

საქართველოში ცხოვრება ნებისმიერი ადამიანისაგან მოითხოვს ერის ისტორიის საფუძვლიან ცოდნას. ქართველი მსოფლიოს ის უძველესი ხალხია, რომელმაც, როგორ დიდი აკაკი წერს, გამორჩეულად, განსხვავებით, სხვა დანარჩენი ერებისგან ქალი უმაღლეს სათაყვანებლად აქცია. ერთი უბრალო მოგზაური კაბადოკიელი ქალის წინაშე მუხლი მოიყარა მეფემ, დედოფალმა და კიდევ დიდებულებმა. ქრისტიანული სჯულისა და ეროვნებისთვის ეწამა დედოფალი ქეთევანი, რომელიც ქართველის უდიდესი სიყვარულია. მე-12 საუკუნეში ქართველმა სამეფო ტახტზე დასვა მეფეთა მეფე

---

[52] Катасонов В.Ю. Капитализм. История и идеология «денежной цивилизации». с. 778-779. М.: Институт русской цивилизации. 2013. с. 1071

7Саттон Э. Власть доллара. с.156. М.: Фэри.

8აკაკი წერეთელი. თამარ მეფე.თხზ. ტ. XXIV, თბ. 1961

თამარი და ერთგულება აღუთქვა მას[54]. ნაცვლად იმისა, რომ ამას ჩვენგან სწავლობდნენ, თავიანთ შეთხზულ უნიჭო ზღაპრებს აქეთ გვიკითხავენ. ამას კიდევ, როგორც იტყვიან, გაუძლებს კაცი, მაგრამ საიდან ამდენი კაცთმოძულე და სხვა ქვეყნის მონა-მორჩილი ქართულგვარიანი ლიბერალი ხელისუფალი, რომელსაც სამშობლო გაწყობილი სუფრა ჰგონია...როგორ მოერია ყველაფერს სპეკულაცია, რომელიც თავის ძალაუფლებას ფინანსურ მაქინაციებში პოულობს და ფიზიკურ ეკონომიკაზე მაღლა დგება, რომელიც სხვა საზოგადობრივი სფეროებისთვის მისაბაძ მაგალითად იქცევა. სპეკულაცია ყველაფერს მოედო, აზროვნებაშიც შეაღწია და ნოვატორობის, შემოქმედების ნიჭი და უნარი შეავიწროვა. ყველა ფიქრი და ოცნება ერთ ფოკუსში იყრის თავს: როგორ გააკეთოს ფული ჰაერიდან, როგორ აისრულოს მოთხოვნილებები. რომელიც ნდობისა და სურვილის სიმრავლეთა უსასრულობაა. ასეთი ადამიანები ნარცისებად იქცევიან და მხოლოდ თავიანთი თავი უყვართ. ისინი ადამიანში მხოლოდ საშუალებას ხედავენ და სახელისუფლო თანამდებობებს იქეთ დარჩენილი პერსონები მდაბიო არსებებად მიაჩნიათ, რომელთა მოტყვილება/დაჯერება იოლად შეიძლება და რომლებიც უკეთესი ცხოვრების ღირსნი არ არიან. ტელევიზიებიდან და მასმედიის სხვა საშუალებებიდან დამშეული ქვეყნის გასკდომამდე გამძღარი ლიბერასტი ხელისუფლება მოსახლეობას კვების რეცეპტებს უკითხავს, ჭკუას არიგებს, როგორ იყოფინონ დღეში 1,18 ლარი. თურმე ოპოზიციონერები ისე არიან გაბოროტებულები, რომ ვერ ამჩნევენ ფაქტს-ხალხი კარგად რომ არ ცხოვრობდეს, გამხდრები იქნებოდნენ, თურმე ყველა ტყუის, როცა მოსახლეობის სიღარიბეზე საუბრობს, როცა ქვეყნის უმძიმეს მდგომარეობაზე წერს, როცა ქვეყანა დღითიდღე წინ მიდის და ვიღაცები განგებ ამუქებენ სინამდვილეს. ამას კადრულობენ ისეთი ჭკუის ადამიანები, რომელთაც მაღალპროფესიული ცოდნა არა აქვთ, მორალი და ზნეობა არ გააჩნიათ, საქმის ხეირიანი გაკეთება არ შეუძლიათ და საერთოდ არ იციან რა არის საქვეყნო საქმე, არც ხალხის ცხოვრება გაეგებათ, პრიმიტიულად აზროვნებენ. არადა, თვალი და ყური თუ მაინც აქვს ადამიანს, როგორ ვერ ხედავს, რომ ქუჩები სავსეა მათხოვრებით, ქვეყნის ჯანსაღი ადამიანები უცხოეთში გარბიან ლუკმა პურის საშოვნელად, სამშობლო უზარმაზარ ბორდელად გადაიქცა, უპატრონო და დაუძლურებული ავადმყოფები მშივრები იძინებენ და სიკვდილს ნატრობენ...არ ამოდის მეხსიერებიდან რამდენიმე წლის წინ ამერიკელი მეცნიერის წიგნში ამოკითხული სტრიქონები-სპეკულაცია ადამიანს ართმევს ყველაფერს და არ უტოვებს მას დროს სიყვარულისა და მეგობრობისთვის. საშინელებად მეჩვენა მაშინ სპეკულაციის ასეთი ფორმულირება და რა ვიცოდი თუ რამდენიმე წლის მერე ეს აზრები ჩემს თვალწინ ცოცხალ სხეულებად იქცეოდა.

ყველაფერი სპეკულირდება, ადამიანი დაკავებულია ერთი აზრით-ისარგებლოს მისი ქვეყნის დღევანდელი მატერიალური სინამდვილით, მიითვისოს, გამორჩეს, წაართვას ვისაც რა გააჩნია, გამოიყენოს მომენტი, ჩაუსაფრდეს მოვლენას, სიტუაციას, პროცესს, დაისაკუთროს რაც შეიძლება მეტი. საქართველოში კერძო მფლობელობის მილიონზე მეტი რაოდენობის მანქანაა. ამის სტატისტიკა ღამის მოსვენებას უკარგავს ლიბერასტებს, და იწყება ფრონტალური შეტევა მანქანების კერძო მესაკუთრეთა არმიაზე ფულის გამოძალვის ველური ინსტიქტების გაღვივებით. ჯერ მანქანის მართვის მოწმობის შეცვლა, მერე მართვის უფლების დამადასტურებელი ახალი ფორმატი, დაბოლოს ჯარიმების სეტყვა: ღერძულა ხაზის გადაკვეთა 200 ლარი, შესახვევში ციმციმას ჩაურთველობა 50 ლარი და ა.შ. არავის აინტერესებს, რომ „გენიალური აზროვნების“ კონსტრუქტორებიდან, საერთოდ ფიქრადაც არ მოსდით, რომ ამ დარღვევებს საავტომობილო საავარიო სიტუაცია არ გამოუწვევია, უბრალოდ გზის გამყოფი მუქი ხაზი გადაკვეთა. აქ „მთავარი“ მათთვის ის არის, რამენაირად დაჯარიმდეს ყველა, ვინც ავტომობილს მართავს, ეს კი საბიუჯეტო შემოსავალია და ვიღაცების ჯიბის გასქელება. ვის აინტერესებს ის, რომ ჯარიმის გადამხდელს ამ რაოდენობის თანხა რესტრუქცია გადახდისუუნაროს ხდის და მისი ოჯახი ეკონომიკური კოლაფსის სივრცეში გადადის. ამ „პროექტის“ გამოტვინებული ავტორი გიპასუხებთ, რომ: არ დაარღვიოთ მოძრაობის წესები და არ დაჯარიმდებითო. ნამდვილად უტვინოს არ უსწავლია, რომ ჩვეულება ხელისუფლებაა და მის გადაჩვევას მარტო დრო კი არა, გრძელვადიანი სახელმწიფო პროგრამა უნდა ჰქონდეს. რა ღვთიურია და ზეადამიანური ბიბლიური დავალება: არ იპარო, არ იცრუო...სასჯელი ხვალ კი არა, მომვალში გელოდება ანუ ადამიანს მონანიების დრო ეძლევა, მას დრო აქვს ფიქრის, დრო თავისთან დარჩენის-კათარზისის. ამ ნეოლიბერალების თუ ლიბერასტების „მორალი“ მარტივია: თუ დღეს არ მოასწარი, ხვალ გვიან იქნება. უფრო მეტი: რაც მეტად გაჭირვებულია ადამიანი, მითუმეტეს თუ შენი ახლობელი და ქვეყნის მოქალაქე არის, მით უფრო იოლია დიდი ტყუილის გავრცელება, ვინაიდან შენი ქვეყნის ადამიანები უფრო გენდობიან, როგორც ლინდონ ლარუში წერს, და რაკი შენ უტიფარი მატყუარა ხარ-გაგიმართლა, დაგიჯერეს.

ახლა რაღაც ერთ საგრანტო კონკურსი ვმონაწილეობ. განაცხადი დადგენილი პერიოდის წინა დღეს შევიტანე. პირველი ვიყავი. აღშფოთდა უნიჭო ტვინი და დაერია ქვეშემდომვრებს-რას გამოშტერებულახართ, დავიღუპეთო. მე რაღაცები ახალი მოთხოვნები წამომიყენეს გრანტის განაცხადში რომ არ იყო, ხოლო ძალით გააქტიურებულებს პროექტის წარდგენის ვადა სამი დღით გადაუვადეს, და შეიქმნა ალიაქოთი-იწყო წერა და გადაწერა და გაიხსნა გაუხსნელი ტვინი-მოაწყდა „პროექტების“ კორიანტელი. ამან იმას დაურეკა, იმან კიდევ იმას და წამოვიდა ქაღალდების წვიმა. პროექტების განახადების მიმღები ფსიორა გოგონა კლიენტებს ვეღარ აუდის. თურმე რა მალე იხსნება გაუხსნელი გონება. აქამდე რომ ერთფურცლიანი კვლევითი შრომა არ შეუქმნია, ახლა ქაღალდების ფუთა ამოუჩრია იღლიაში და რიგს ელოდება ამ ფსიორასთან. მთავარი წინაა. ამ ქაღალდების შეგროვების შემდეგ, დაინიშნება ე.წ. კომისია, რომელიც ზედა საფეხურების ორფეხებისაგან დავალებას მიიღებენ და ამ ქაღალდებიდან მაკულატურას თავის ჭკუაზე გადაარჩევენ და გადასცემენ ექსპერტებს, ღმერთმა უწყის-ვის. ისინი კიდევ ერთხელ გაივლიან ზომბირებას მეპატრონეთაგან და მათი ხელით შეკვეთილი გამარჯვებული გამოვლინდება. ფულები გაიცემა, გადანაწილდება, საქმე? მეტი საქმე რაღა გვინდა: „გაუმარჯოს გიგილოს“.

სპეკულანტი მართლა პრიმიტივია და საკუთარ ჩრდილს იქეთ ვერ იხედება. იგი თავისი ქცევით თავის თავსაც ღუპავს. განა დიდი სპეკულანტი მასზე უფრო დიდი სპეკულანტის მსხვერპლი არ არის? თუ საქართველოს სხვები დაეპატრონებიან ქართველი კაცი აქედან რაიმე ხეირს ნახავს? ანდა, სანამ გაგრძელდება სპეკულაციური საქმიანობა დაგროვილი სიმდიდრის ხარჯზე, თუ ახალი მატრიალური ფასეულობები არ შეიქმნება? სპეკულაციური აზროვნებისას „სული ავადდება, მისი მსოფლმხედველობა და აზროვნება მახინჯდება-მას ეჩვენება, რომ კმაყოფილებას ღებულობს თავისი ცხოველქმედებით. მაგრამ სინამდვილე ის არის, რომ იგი ღუპავს თავის თავს“[55]. ჩვენი დღევანდელი ცხოვრების სარკისებური ასახვაა. ახლა ამ სტრიქონებს რომ ვწერ, თბილისში აქციებია-ლგბტდ ნარკოტიკების გავრცელებაზე სახელმწიფო ზედამხედველობის წინააღდეგი არიან, წესრიგის მოთხოვნებს თავიანთი უფლებების შელახვად აცხადებენ, ღამის კლუბებში აღვირახსნილობის და თავაშვებულობის კანონმდებლურ შეზღუდვებს აპროტესტებენ და მიტინგებს აწყობენ. ტელევიზიები ერთმანეთს უპირისპირებენ გეების მომხრეებსა და სამართალდამცავ ორგანოებს. ყველაფერი ეს აშშ გასული საუკუნის კულტურული რევოლუციის გამოძახილია, როცა პოლიტიკური ელიტის მხარდაჭერით ტელევიზიის, თეატრის, კინომეტოგრაფიის, ჟურნალების, მუსიკის მეშვეობით შეიცვალა საზოგადოებრივი ცნობიერება, გზა გაეხსნა თავისუფალ ცხოვრებას, დაჩლუნგდა ადამიანის შინაგანი აკრძალვები, დაიკარგა ცოდვის გრძნობა, ოჯახი ისტორიულ კაზუსად იქცა, მკვთრად დაეცა შობადობა, გახშირდა იმიგრაციული ნაკადები არაბული ქვეყნებიდან და აფრიკიდან, რომელიც დღესაც გრძელდება, და რომელიც იწვევს ცივილიზებული ქვეყნების ელიტური ეროვნული ინტელექტუალების აღშფოთებას. საუბედუროდ ისინი ამ სატანური მოვლენების წინააღმდეგ ვერაფერს აღწევენ[56].

ხალხი სხვადასხვა განათლების, ზნეობის, პოლიტიკური შეგნების, შეხედულებების, ხასიათის, მიდრეკილებების, კეთილისა და უკეთურის, მოყვარე და მტრული ადამიანების რაოდენობრიობაა. ხელისუფლებას აკისრია პასუხისმგებლობა გზა გაუხსნას ნიჭს, გასაქანი მისცეს ცოდნას, უმთავრეს ამოცანად ჰქონდეს ადამიანის კეთილდღეობა, გაუძღვეს ქვეყნის მომავალს. ეს მხოლოდ ეროვნულ ხელისუფლებას შეუძლია. მაგრამ როცა მდგომარეობა ისეთნაირად რომ შეიცვალა, როგორც როკფელერს სურდა-თქვენ ფულის მოჭრის უფლება მომეცით და კანონები ვისაც უნდა წეროს-ხელისუფლება ფორმით ეროვნულია, ხოლო სულით ფინანსურ იმპერიაზე მიყიდული, რომელსაც კომფორტი მიზნად და ერთადერთ რწმენად ექცა, ხოლო-ლუციფერი ღმერთად. ამის გამო არის, რომ ვერ იქნა და ვერ გავიდა ნიჭი და ტალანტი, ეროვნული პასუხისმგებლობა სამშობლოს მეთაურ აზრად.

როცა პ. ბიუკენენის „დასავლეთის სიკვდილს“ კოთხულობ თვალწინ საქართველო წარმოგიდგება შენდა უნებლიედ, ვინაიდან ის, რაც მოხდა აშშ და გრძელდება დღესაც, ჩვენს ქვეყანაში ახლა სწრაფად იკიდებს ფეხს. „...გაიზარდა ახალი თაობა, რომლისთვისაც კულტურული რევოლუცია, სულაც არ არის რევოლუცია, კულტურაა, მასთან ერთად ისინი დაიბადნენ და გაიზარდნენ. ჰომოსექსულიაზმი, პორნოგრაფია, უხეში გინება ტელეეკრანებიდან და კინოფილმებში, დედის გინება სიმღერის ტექსტებში-ყველაფერი ეს ყველაფერი მათ აკვნიდან მოჰყვებათ. არასაკვირველია, რომ ამ თაობის ბევრი წარმომადგენელი სრულ რწმენაში არიან: ადრინდელი ამერიკა ბოროტების შუაგული იყო. ტრადიციული კულტურა მათთვის უბრალოდ გაუგებარია. მათ დაამთავრეს სკოლები და კოლეჯები,

---

[55] Спекуляция мышления и мировозрения. luhekonomy. ucoz.org/load

[56] ამის შესახებ მასალებს მკითხველს შეუძლია ფართოდ გაეცნოს პატრიკ ბიუკენენის ბესტსელერში „დასავლეთის სიკვდილი“ (П. Бьюкенен. Смерть запада. М.; изд-во АСТ, 2003)

აითვისეს ყველაფერი, რაც ასწავლეს, და ირწმუნეს თეორია, გაუხამსეს და შეურაცხყვეს ჩვენი წარსული. „ჩვენ მოვიტაცებთ თქვენს ბავშვებს!“-ყვიროდნენ სამოციანელი ექსტრემისტები. ასეც მოხდა[57]. ეს ყველაფერი ჩვენთვის ახლა მიმდინარე პროცესია. ლიბერასტები და დაქირავებული აგენტები ტელევიზიებიდან, გაზეთებიდან, ჟურნალებიდან, ინტერნეტიდან გვიტევენ და როგორც მათი სულიერი მამა ჯორჯ სოროსი მოძღვრავს, შეკამათებაზე ტყვიასავით მოგაყრიან იარლიყებს „რუსოფილე“, „ექსტრემისტი“, „ჩამორჩენილი“, „ბოლშევიკი“, „სტალინისტი“, „ქსენოფობი“, „ნაცისტი“, „მარქსისტ-ლენინელი“ და ა.შ. ხელისუფლება თავისთვის არის, თითქოსდა ეს ყველაფერი მისი საქმე არ იყოს. პ. ბიუკენენი დასახელებული წიგნის მე-9 პარაგრაფის ბოლო თავში წერს, რომ არსებობს ორი ამერიკა. ორი საქართველოც არსებობს. ერთი საქართველო ლიბერასტებს უჭირავს კბილებით, ხოლო მეორე საქართველო ინტელექტუალების, პატრიოტების სიმდიდრეა, რომელთაც ქვეყნის მართვაზე ხელი არ მიუწვდებათ და მხოლოდ ჩუმი პროტესტის გამოხატვა თუ შეუძლიათ.

სპეკულაციამ შეიწირა სსრკ. დიდი ხანია მუსირებდა ზრი, რომ სოციალისტური მეურნეობა ჩამორჩენილობაა და რომ იგი კაპიტალიზმთან შედარებით უკან გადადგმული ნაბიჯია. დაიჯერეს და დაიწყო იმპერიის კაპიტულაცია: თვითონ დაიჩოქა მუხლებზე კოლოსმა. 1994 წელს რუსეთის ფედერაციის საწარმოების დაახლოებით 60% გახდა არასახელმწიფო, ხოლო 40 მლნ. რუსი-აქციონერი. სახალხო საკუთრების განკერძოების ასეთი მაღალი ტემპებისა და არნახული მასშტაბების იქეთ გამოიკვეთა ის, რომ სახელმწიფო ქონება მუქთად გაიყიდა. რუსეთის 500 უმსხვილესი საწარმო, რომლის ღირებულება 200 მლრდ. დოლ. იყო, 1994 წელს კერძო პირმა 7,2 მლრდ. დოლ. შეიძინა. საიდუმლო ინსტიტუტი, რომელმაც პლაზმური მუხტების ასპროცენტიანი ეფექტიანობის ტექნოლოგია შექმნა, გაიყიდა, შენობა იმპორტული სასმელების და სიგარეტის შესანახ საწყობებად გადააკეთეს. ლიხაჩოვის სახელობის ქარხანა 1 მლრდ. დოლ. ღირებულების საწარმოო ფონდებით 4 მლნ. დოლარად გაიყიდა. ქიმიური მრეწველობის ხელმძღვანელი მუშაკებისა და სპეციალისტების კვალიფიკაციის გადამზადების მოსკოვის ინსტიტუტი 100 მლნ. დოლ. ღირებულებით 8 მლნ. რუბლად გაიყიდა. ქონების სახელმწიფო კომიტეტში უცხოური ფირმების 35 მრჩეველი იჯდა, რომელიც ყოველგვარ ინფორმაციას ფლობდა თუ სად, რა და როგორ უნდა გაყიდულიყო, როგორ ჩატარებულიყო აუქციონი. ასე გაიყიდა უნიკალური ალუმინის ქარხანა[58].

სპეკულაცია ქართული ეროვნული აზროვნების ჩრჩილია. ახლობელ ყასაბს სამხიარულო სუფრა ჰქონდა. სოფლის მაცხოვრებლებიდან სამი ოჯახი ამოარჩია-კალატოზის, დურგლის და მონტიორის. დანარჩენი ადამიანებად არ ჩაუთვლია. არც იქვე მცხოვრები ერთაერთი პროფესორი გახსენებია და არც შესანიშნავი ინჟინერი თავისი მაღალპროფესიონალი მეულლით. ბავშვობა მომაგონდა, ლხინის სუფრა განათლებული კაცებით იქმნებოდა. იყო ლხენა და ქეიფი, ლექსები, მოქნეული სიტყვა, სიმღერა და ცეკვა, ითქმოდა მონატრება და სიყვარული, ხსოვნა და არდავიწყება. ყასაბს ყასაბური სუფრა ჰქონდა: ჭამეს, დალიეს, იცინეს, ვიღაცებს დასცინეს, იყაყანეს და გამსკდარ-გალეშილები გვიან დაიშალნენ. რისი სიმღერა, რისი ცეკვა და თამაში, რისი მახვილსიტყვაობა. ყასაბი სახლს აშენებს და საძმაკაცოს ეძებს. რაში სჭირდება პროფესორი და ვინ არის იგი, როცა ყასაბი კვირაში იმაზე მეტს შოვნილობს, რასაც პროფესორი თვეში ვერ ღებულობს. აგერ ქათმების გადამყდველს დღეში 30-50, არც თუ იშვიათად 100 ლარი რჩება. ვინ რა თავში იხლის ცოდნას, განათლებას, პროფესიას. ქვეყანას, სადაც მეცნიერის, მასწავლებლის და პროფესიონალის ცოდნა უპატივცემულოა, მომავალი არა აქვს.

სპეკულაცია ცოდნის ინსტიტუტებსაც გამორჩენის თვალით უყურებს, სარგებლად აქცევს. ამიტომ არის ასეთი ბიუროკრატიული განათლების ობიექტების ავტორიზაცია. რა საჭიროა ყოველ 5-7 წელიწადში ავტორიზაციის უცილობელი ვალდებულება. დიდი თანხები სჭირდება ავტორიზაციის პროცედურას, სასწავლებლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზისადმი მოთხოვნების კონდიციამდე მიყვანას, რომელიც ყოველთვის იცვლება და რთულდება. თვით სასწავლებელს უჭირს მისი პერსპექტივების განსაზღვრა, ვინაიდან განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ხარისხის მართვის სამსახურზე არის დამოკიდებული. განათლების ობიექტიც სპეკულირებს და გამორჩენის ყველა ხერხს მიმართავს. იწერება უხარისხო შრომები და იქმნება არაფრის მომცემი დისერტაციები, ხელწამოსაკრავია სამეცნიერო წოდებები და თანამდებობები. თვალებს არ გინდა დაუჯერო, როცა უყურებ, როგორ იკინძება 10 წლის წინანდელი უხეირო ნაწერი ახალი თარიღით საკონკურსოდ, ზოგი სხვის წიგნს უცვლის გარეკანს და თავის სახელსა და გვარს აწერს, ზოგი კიდევ საზღვარგარეთ პოულობს „ორეულს“, რომელიც აქაურ „მეცნიერს“ შრომას უწერს და უქვეყნებს უცხოურ ჟურნალში. აქ კიდევ საკონკურსო კომისიები იქმნება, რომელსაც წინასწარ შეარჩევენ შინაურობის პრინციპით.

---

[57] იქვე პარაგრ. 9. запуганное обществою

[58] Приватизация в России стала оружием развала страны. webnovosti. info/новости/…

ისინი კიდევ თქვენი შრომების სიას გადახედავენ, ზოგს მოიწონებენ, ზოგს არა, ქულებს მოგანიჭებენ და იმ დღეში აღმოჩნდები, რომელშიც მარტოხელა და სოციალურად დაუცველი მოხუცები რჩებიან აგენტების მიერ სოციალური დახმარების ქულებით განსაზღვრის მოლოდინში. ვის მოაფიქრდა. რა ტვინმა მოიაზრა პროფესორის სამეცნიერო თანამდებობის ქულებით განსაზღვრა, თანაც კონკურსანტი ავტორის შრომების წაუკითხავად. მეცნიერების დოქტორის აკადემიური ხარისხზე გამოდევნება და პროფესორად ასარჩევი კონკურსები აზნაურობის მაძიებლობას დაემსგვსა. „კრიზისული, პირონისტული ნეოლიბერალიზმი ბოლონიის პროცესის მეშვეობით გამალებით ცდილობს განათლების საქონლად ქცევას. მან უნივერსიტეტი და სკოლა უკვე აქცია ბაზრის ნაწილად. მან პედაგოგიური პროცესი დაუქვემდებარა საბაზრო ფუნდამენტალიზმს“[59].

სპეკულაციურია სახელმწიფოს ეკონომიკაში ჩაურევლობის ყბადაღებული თეორია. თუ სახლმწიფოს გავიგებთ, როგორც ერთიანი სოციოკულტურული ინტერესების საზოგადოების ორგანიზაციას განსაზღვრულ ტერიტორიაზე, რომელსაც აქვს მართვის საუთარი სისტემა და შიდა და გარე სუვერენიტეტი[60], მაშინ ცხადია, რომ იგი ეკონომიკის განვითარებაში ჩარევის ინსტიტუტია. ასევე სპეკულაციურია აზრი, რომ სახელმწიფოს როლი „ღამის დარაჯის“, კანონშემოქმედების, კანონების აღსრულებაზე ზედამხედველობის და ქვეყნის დაცვის ფუნქციებით შემოიფარგლება. განა შესაძლებელია მართო ის, რომლის შესახებ ცოდნა რა გაგაჩნია? მაგრამ აქ საქმე იმაში არის, რომ ჭეშმარიტება მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობისთვის დაფარული უნდა იყოს სიამოვნების, ნდობის გამომწვევი ფრაზებით. სახელმწიფო ერევა კი არა, მკაცრად მართავს ეკონომიკას, მაგრამ მხოლოდ ფინანსური ოლიგარქების სასარგებლოდ, ვინაიდან ხელისუფლებას ისინი ირჩევენ ხალხის მეშვეობით. ჩვენვის, საქართველოს მოსახლეობითვის ეს თვალხილული სინამდვილეა. ხელისუფლება მტკიცე ბასტიონად უდგას ყველა ჯურის ადამიანს ქართველის გარდა. ახლახან ინტერნეტით ვრცელდება ინფორმაცია, რომ ერაყელებმა თბილისში მცირეწლოვანი გააუპატიურეს. ამას გაბედავდა ვინმე იმ საუკუნეში? ანდა საზოგადოება ამას მოითმენდა? მაშინდელი მილიცია უცხოელს რაიმეს შეარჩენდა? ცვედანი, დამონებული, უთავმოყვარო, გაუბედავი საზოგადოება. ჯერ კიდევ რამდენი უბედურება გველოდება წინ, ვინაიდან ქვეყნის ხელისუფლება კინტოსავით გვამს ათამაშებს უცხოთა საამებლად.

დიდი სპეკულაციაა გლობალიზაციის პარადოქსი, რომელსაც ბევრი ეკონომისტი იზიარებს და მიიჩნევს ღარიბი ქვეყნების განვითარების ხელშეწყობის მექანიზმად, მაშინ როცა სინამდვილეში მდიდარი ქვეყნები ღარიბ ქვეყნებს ღია ბაზრებით ძარცვავენ. ფაქტი ის არის, რომ მსოფლიოს მესამე სამყაროს ცხოვრებას რამდენი ხანია ხეირი არ დასტყობია. ჩინეთის, ინდოეთი და სამხრეთ კორეის წარმატებებს ასევე სპეკულაციურ შეფუთვას უკეთებენ გლობალიზაციის დოქტრინის მასებისთვის მომხიბვლელობად წარმოჩენის მიზნით. „თუმცა რატომღაც არავის უჩნდება კითხვა: ღებულობდნენ თუ არა ეს ქვეყნები მათთვის რეკომენდებულ წამალს-სწრაფ ეკონომიკურ ინტეგრაციას? ამ კითხვის პასუხია-არა. ჩინეთიც, ინდოეთიც და სამხრეთ კორეაც 50 წლის განმავლობაში პოლიტიკის სხვადასხვა ვარიანტებს ირჩევდნენ, რომელსაც ახლა მსოფლიო ბანკი და სსფ უკრძალავს ღარიბ ქვეყნებს“[61].

არანაირ სპეკულაციას იმდენი ზარალი არ მოუტანია საქართველოსთვის, რამდენიც ღია ბაზრის ხალხის კეთილდღეობად გასაღების საზღვარგარეთულმა სპეკულაციამ. დღემდე იმომღვრებიან ტელევიზიებიდან, მასმედის სხვა საშუალებებიდან და მაღალი ტრიბუნებიდან, რომ საბაზრო ეკონომიკა თავისუფალი შემოქმედების ინსტიტუტია და ჩვენს ქვეყანას იმიტომ უჭირს, რომ ჯერ კიდევ ბევრი ობიექტი რჩება სახელმწიფო საკუთრებაში, რომელიც სასწრაფოდ უნდა გაიყიდოს და კერძო მფლობელობაში გადავიდეს. ეკონომიკურ ლიტერატურაში კაი ხანია ცნობილია, ჯერ ერთი ის, რომ განვითარებული ქვეყნების წარმატებები განპირობებულია პროტექციონისტული პოლიტიკით, მეორე კიდევ ისიც, რომ ეს ქვეყნები თავიანთი წარმატებების გამოცდილებას სამყაროს დანარჩენ ქვეყნებს უმალავენ და ხელში იმას აჩრიან, თავს ახვევენ, რაც მათ გამოთაყვანებული ხელისუფლების მეშვეობით ეროვნული სიმდიდრეების მითვისების გზებს გაუხსნის. „თავისუფალი ვაჭრობა ურთიერთხელსაყრელია თანაბარი დონის განვითარების ქვეყნებისთვის“[62].

---

[59] Laissez-faize capitalism-ის დასასრულისთვის.

[60] Что такое государство. daz.zu/nash-otvet/politika/8/

[61] Парадоксы спора о глобализации. Как богатые страны стали богатыми. econ.wikireading.ru/27940

[62] Фридрих Лист-экономист-геополитик: Первым, кто стал широко...economylit.online/obscie

არა მხოლოდ ეკონომიკური პროფანაცია

ხელისუფლების უზურპირებული ნარჩენებისაგან, დასავლეთის ინსტიტუტებში გამოზრდილი ანტიქართველებისაგან არ წყდება ზარების რისხვა: გამოფხიზლდით, გაიგონეთ: ჩვენი ბედნიერება ნატოში შესვლაა, ევროკავშირში გაწევრიანებაა, ამერიკა ჩვენი პარტნიორია. გულუბრყვილობაა პარტნიორი უწოდო მას, ვისთანაც არანაირი თანაბრობა არა გაქვს, მარტო მიუსაფარი, დაუცველი და მშიერ-მწყურვალი ხარ. არ არის საკმარისი ის, რომ შენს კარმიდამოს სხვას დაუთმობ და შენ მეზობლების აკლებას დაიწყებ იმ იმედით, რომ ცხრა მთას იქეთ მრისხანე პატრონი „გყავს“, გაიგებენ, და აგერიდებიან. ძლიერები სუსტებისთვის ერთმანეთს არ დაერევიან. ან ერთი მეორეს დაუთმობს შენს თავს, ან შუაზე გაგინაწილებენ, როგორც პოლონეთი გაინაწილეს 1939 წელს და სხვებს დაანახეს, რომ ისინი სათამაშო ფიგურები არ არიან.

ევროკავშირში ვერ მიგიღებენ და არ მიგიღებენ. იმიტომ, რომ პარტნიორის არანაირ პირობას ვერ აკმაყოფილებ და საკუთარ თავს არ ეკუთვნი. როგორადაც არ უნდა ამტკიცო ევროპელი ხარ, არაფერი გამოვა, ვინაიდან მასთან საკმაოდ ბევრი შეუთავსებლობა გაგვაჩნია (ანდა რა უბედურება შეგვეყვარა ისეთი, რომ ევროპელი ვარო იძახოდე, როცა თურმე ევროპელები საქართველოდან ოდესღაც წასული ტომები ყოფილან).

საქართველოდან თუ ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკებიდან ევროპის კიდით კიდემდე სამუშაოს საშოვნელად მორბენალი ადამიანები აღფრთოვანებული არიან იქაური წესრიგით, სამსახურის პოვნის შესაძლებლობებით, მაღალი პენსიებით, კანონის უზენაესობით, შრომის პირობებით და ცხოვრების მაღალი სტანდარტებით. ერთის მხრივ ყველაფერი სწორია. მშიერ კაცს თვალები იმისკენ გაურბის, სადაც ყველა დასაქმებული და მაძღარი არის. ვერ ამჩნევს, რომ იქ მატერიალურმა უკვე გადაიყოლა სულიერება. ადამიანს ყველფერი სულიერებისთვის სჭირდება და არა პირიქით, ჯერ მატერიალური და მერე სულიერება. სულიერებაში კი მთავარი რელიგიაა. გერმანიაში ლუთერანული თემის სიობრივი რიცხვი დაახლოებით 2 ათას კაცს შეადგენს, მაგრამ ღვთისმსახურებაზე 50 კაცი თუ მოვიდა, დიდი შეღავათი იქნება. საეკლესიო მომსახურებისთვის კი სამსახურში დასაქმებული გადასახადს იხდის[63]. დასავლეთში ძალზე მცირეა ქორწინების რიცხვი, იზრდება განქორწინებები და ჩნდება წყვილთა ერთად ცხოვრების ახალი ფორმები. ძალზე მაღალია ქორწინების გარეშე შობადობა. ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა ისლანდია, ნორვეგია, შვეცია, ესტონეთი და ყოფილი გდრ ქორწინების გარეშე შობადობა შობადობის საერთო დონის 50%. ოჯახის ინსტიტუტი ევროპაში სუსტია. იქ დაბალია შობადობის დონე, საკმაოდ დიდია ქორწინების საშუალო ასაკიც, რომელიც 29-35 წლის ასაკში შუალედში მერყეობს. მასობრივი სახე მიიღო ნუკლიარული ოჯახების რაოდენობამ. პენსიონერთა სახლებად იქცა მოხუცთა თავშესაფარი. რატომ?

კაპიტალიზმის მისწრაფება მოგებისაკენ ადამიანს მიზანს უცვლის და მომხმარებელ ინდივიდად აქცევს მას. ყველაფერი სურს ჰქონდეს, ყველა სურვილი აიხდინოს. ახლა ამისთვის ყველაფერი პირობაა შექმნილი-აიღებს სესხს, ოღონდ კაბალურს, იმოგზაურებს ყველგან, სადაც სურს, გაყიდის ყველაფერს სხეულის ორგანოების ჩათვლით; საზღვარი არა აქვს მის გარყვნილებას-პედარსტიის, ტრეფიკინგის, ზოოფილიის, პედოფილიის, ჰომოსექსუალიზმის ჩათვლით. იგი დამოუკიდებელი ინდივიდია და წინ არაფერი უდგას ნორმატიული კანონის გარდა. თავის სიცოცხლეს მხოლოდ თავითავს უძღვნის. თუკი არ სურს ხელყოფს კიდევაც. ფული ყველაფერია და ღმერთის ადგილს იკავებს. საქართველომ მოკლე დროში მოახერხა დასავლეთის ამ უხეირო ფასეულობების თავისთავზე მორგება და ყველაფერი უკუღმა გაიგო. ჰგონია, რომ უღმერთობა, უზნეობა, ოჯახის ინსტიტუტის მოშლა, ქორწინების რიტუალად გადაქცევა მას ევროპული სტანდარტის ცხოვრების დონეს მოუტანს და არ იცის, რომ კაპიტალიზმმა და კერძოდ ლიბერალურმა ეკონომიკამ მიიყვანა იგი ქრისტიანული ფასეულობების დევალვაციამდე, რომელიც მისი აღსასრულის მიზეზია. საქართველოში მასმედიის ყველა საშუალება ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა მომაკვდავ ევროპას საფლავში მიყვეს. მაგრამ საქმე არც ისეა, როგორც ბავშვური აზროვნების უზნეო ლიბერალი ფიქრობს. ევროპის მოაზროვნე ჯანსაღი უმცირესობა აცნობიერებს იმას, რომ არ შეიძლება რუსეთის ჯიბრზე ეკონომიკურად დავრდომილი ყოფილი რესპუბლიკები ევროპულ სივრცეში მოაქციოს, უზრუნველყოს იგი ეკონომიკურად და დაიცვას მოსალოდნელი საფრთხეებისაგან, მითუმეტეს, რომ თვითონ უმძიმესი კრიზისის ფაზაშია.

ჩვენ აქამდე განუკურნებელი ისტორიული ავადმყოფობა გვჭირს. ლამის ნებისმიერ ქართველის ქვეყნის პირველკაცობა უნდა და იმ მძიმე ჯვრის აკიდებას კი არ აპირებს, რომელიც სამშობლოს საჭემპყრობელის ხვედრია, სახელისუფლო იერარქიის უმაღლესი ტახტის ბრწყინვალება იპყრობს და

---

[63] Кризис христянства в Западной Европе. evangelie.ru

ათრობს, სადაც თურმე მოსვენებით დაჯდება, ელვის კვერთხს დააქნევს და განცხრომაში იქნება. მაგრამ როცა ტახტს დაიჭერს და სახელისუფლო კვერთხს დაარისხებს, გეენიაში ჩავარდება და ახლა კეთილი მეზობლის ძებნას იწყებს, რომელიც ვერ იქნა და ვერ უპოვია, ვინაიდან ასეთი ახლობელი კი არა, შორებელი მეზობელიც არ არსებობს. თუ ვიმნმეს გაახსენდება და რაღაცას მოგიგდებს, იმასაც მხოლოდ თავის სასარგებლოდ. ახლა მდგომარეობა უფრო უარესისაკენ შეიცვალა-ოკეანისგაღმელი მსტოვრების კარნახით მოქმედებენ, რომელთაც სამშობლო ჩვენი სასინჯ ქვად სჭირდებათ, წითელ ნაჭრად მეზობელი რუსეთის ცხვირწინ ასაფრიალებლად. ვიდრე წითელ ნაჭრად ვფრიალებდით და მრისხანე ბატონის იმედზე ვიყავით, რუსეთი, თურქეთი, ირანი, სომხეთი და აზერბაიჯანი საერთო ინტერესებით გაერთიანდა და საქართველო რკალის შიგნით აღმოჩნდა.

წყევლა-კრულვამ და აუგად მოხსენებამ ოჯახების საუკუნოდ მტრად გადაკიდება იცის, რაც დაბალი განათლების გამო ხდება. მეზობელი სახელმწიფოების აწყვეტილი ყოველდღიური ლანძღვა-გინება უკულტურობის ნიშანია, რომელიც ხეირის მომტანი არასდროს ყოფილა. სახელმწიფოები ერთმანეთს შორის ურთიერთობისას დიპლომატიის, პოლიტიკის და იდეოლოგიის ენაზე საუბრობენ ღიად ან დახურულ კარს მიღმა. არასაომარი მდგომარეობის პირობებში სახელმწიფოთაშორის პოლიტიკის მოსახლეობის განწყობად და პოზიციად გადაქცევა, უბედურების მომტანია. მეორე მსოფლიო ომის პერიოდშიც კი საბჭოთა ხელისუფლებას გერმანელი ხალხი არასდროს მოუხსენებია აუგად.

ჰო, ახლა ყველაფერი მღვრიეა და არეულ-დარეული. დამშვიდება, დაწყნარება გვმართებს, რისი მეთაურობა არც ხელისუფლებას და არც რომელიმე პარტიას არ შეუძლია. ამის შესრულება მხოლოდ მართლმადიდებლურ ეკლესიას ძალუძს, რომელსაც მარტო დიდი მრევლი კი არ ჰყავს, მის მხარეს არის ჩვენი სამშობლოს ინტელექტუალების, კრეატიული აზროვნების ადამიანების აბსოლუტური უმრავლესობა. საჭიროა მისი საგანმანთლებლო ქსელის გაფართოება და თანამდეროვეობის შესატყვის სასწავლო პროგრამებზე გადასვლა, სამეცნიერო ცენტრების შექმნა და მართლმადიდებლური მეურნეობის გაფართოება, რათა მოსახლეობაში თანდათან დამკვიდრდეს მართლმადიდებლური აზროვნება, რომელიც ერთადერთი გზაა სულიერის მატერიალურზე გამარჯვებისაკენ. ამაზე მიანიშნებს ზ. ბზეჟინსკი (ამ სტატიის დასაწყისში აღვნიშნე). კაპიტალიზმის კრიზისისაგან დასაცავად იგი მორალური კრიტერიუმების შემოღებას გვთავაზობს, რომელიც თვითკონტროლის ფუნქციებს შეასრულებს გამდიდრებაზე, როგორც თვითმიზანზე. მაგრამ ბაზარი რომ ამორალურია? „საბაზრო სისტემას რომ სინდისი არა აქვს“ (ლინდონ ლარუშის სიტყვებია). ბაზარი რომ დაუნდობელი და სასტიკია? ბზეჟინსკი სათქმელს არ ამთავრებს, რაღაცას მალავს ან ჯერ კიდევ ბოლომდე ვერ გაწვდენია იმ აზრს, რომელიც მოვლენას ბოლომდე გასაგებს გახდიდა. შეიძლება ეს საზოგადოებრივი აზრის მოსინჯვაა, ხალხის შემზადებაა ახალი უპრეცედენტო მსოფლიო წესრიგის მოსალოდნელობისადმი.

ASSOCIATION SCIENC

ფულის რელიგიის ეკონომიკური კატასტროფები

ცოდნასა და არცოდნას შორის ფსევდოცოდნაა, როცა ფულის გამო ყველაფერს აკეთებ სხვისი ბრძანებითა და მითითებებით. ცოდნის ტრეფიკინგი უფრო სწორი სახელდება ხომ არ იქნებოდა?

ფული როგორც ყველა საზომი ერთეული, კაცობრიობის უდიდესი გამოგონებაა, რომელიც საქონლისა და მომსახურების გაცვლისა და გადაადგილების ყველაზე საუკეთესო საშუალებაა. მაგრამ როგორც ჩილელი პუბლიცისტი და ფილოსოფოსი დარიო სალასი წერს, არ არსებობს იმაზე უფრო მეტი არაბუნებრივი საზომი ერთეული ვიდრე ფულია-თვით საზომი ერთეული ღირებულების მომტანია.

ახლა მსოფლიოს ბანკები მართავენ, ისინი ფინანსურ იმპერიად ჩამოყალიბდნენ და ქვეყნების სათავეში მათთვის მორჩილი ხელისუფლება მოჰყავთ, ისეთი ხელისუფლება, რომლის აზროვნება საშუალო დონეს არ შორდება, ვერ წვდება პატრიოტიზმისა და ტრადიციების, სამშობლოსა და მისი ხალხი სამსახურის ღირებულებებსა და ფასეულობებს, სამაგიეროდ ფულზე არიან დაგეშილები და არა მარტო ქვეყანასა ზედა ცოცხალი და არაცოცხალი ბუნება არ ჰყოფნით, მიწისქვეშეთსაც არ ტოვებენ და თხუნელებივით ქვემიმვრობიან. ამათი შეჩერება ან ხელისუფლებიდან გამოგდება დემონსტრაციებით, შეუძლებელია. უნდა გაჩნდეს მსოფლიოში ძალა, რომელიც ფინანსურ იმპერიას დაეტაკება და მის კვალს ჩვენსც ავედევნებით. აქ ჩემს აზროვნებას წინ გავექეცი და უკან უნდა დავბრუნდე.

თავიდან ფეხებამდე რეგალიებით შევსებულ, აკადემიურად გამოწკეპილ დიპლომირებულ ეკონომისტს ვუსმენდი ტელევიზიით. ღმერთო ჩემო, როგორ ვერ გაგვიგია, რომ სხვა სამყაროში ვართ და თავი ისევ ძველი სახურავის ქვეშ გვგონია. როგორ, ხელისუფლებას შეუძლია ბანკებზე ზეგავლენა მოახდინოს? განა არ ვიცით, რომ მსოფლიოს ბანკები მართავენ? რომ არსებობს ბანკების დიქტატურა? არც ის, რომ ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენლები საბანკო სექტორების შტამპები არიან? ჰო, რა უნდოდა საბანკო სექტორის სტაჟიან მენეჯერს განათლების მინისტრის თანამდებობაზე? გასაგებია, მარტივად, განათლების რეფორმის პროექტს თანხები მოჰყვება აუცილებლად, რომელსაც ნაფინანსარი ერბოს მოხდის და საბოლოო ანგარიშით კაბალაში მოაქცევს ქვეყნის საგანმანათლებლო სისტემას.

უკვირს რეგალიანს, რომ ქვეყნის ხელისუფლება არაფერს ეკითხება არც მეცნიერებათა აკადემიას, არც უნივერსიტეტებს, არც მოსახლეობას. ძველმა ხელისუფლებამ მოწყვიტა საზოგადოებრივი ელიტა მასას, ხოლო ახალმა ხელისუფლებამ მიიღო იგი. რაში სჭირდება ქვეყნის ძარცვას მეცნიერება. ამიტომ ხელისუფლება თვითონ ატარებს კონფერენციებს, მეცნიერულობს, იწვევს ბიზნესმენებს, ინვესტორებს და არის ევროპაში გაწევრიანების, ნატოში შესვლის, უვიზო რეჟიმების ფორმალიზების ეიფორიების კორიანტელში.

ქვეყანას ინვესტორები ააყვავებენო, ბიზნესმენები გვიშველიანო. ინვესტორი, მითუმეტეს უცხოელი, შენს სამშობლოში იგი თვითონ უნდა მართო, გამოიყენო იგი შენი ინტერესებისთვის ისე, რომ მან თავი შენში ქვეყნის პატრობი დაინახოს, მითუმეტეს, რომ ეროვნული ინვესტიციური მიმზიდველობები ინვესტიციურ მიწოდებაზე ყოველთვის უპირატესია. ბიზნესმენებსაც მართვა სჭირდება, თორემ სამშობლოს გაგვიფქვცვნიან, ვინაიდან ბიზნესი მოგებაზე გამოდევნებული ინტერესია. ერთია დაფინანსება, მეორეა, საქმიანობა მოგების მიღების მიზნით. ამიტომ არის ქვეყნისთვის გადამწყვეტი განათლება და მეცნიერება, როგორც შემოქმედებითი აზროვნების განვითარება, როგორც ახალი იდეების წარმოება, ინკუბაცია, და ტირაჟირება, მაგრამ ყველაფერი ხალხის სამსახურში.

ასეთია დასკვნა: არსებული ხელისუფლება ხალხის ცხოვრების დონის ამაღლების პერსპექივებს ვერ შექმნის, ვინაიდან მას ასეთი მიზანი არ აქვს. მისი მიზანი კონკრეტულია და ცნობადი-პირადი კეთილდღეობის ზრდა მოსახლეობისა და ქვეყნის ბუნებრივი რესურსების ექსპლუატაციის ხარჯზე. ასეთი სტერეოტიპი ყალიბდებოდა წლების მანძილზე, რომელიც ახლა თავის სიხარბის მაქსიმუმს უახლოვდება. ადამიანი, რომელიც ხელისუფლებაში პირადი გამდიდრების სურვილით მოდის, საქვეყნო საქმეს არ და/ვერ გააკეთებს. არა და ახლა ყოველი ჭკვიანი ადამიანი ხელისუფლებაში მოხვედრაზე თავს შეიკავებს, ვინაიდან იცის, რომ ქვეყნის გაძღოლას უზარმაზარი შრომა სჭირდება და ცოდნა იმისა, რა მეთოდებითა და რესურსებით შეიძლება მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესება, საერთაშორისო არენაზე ქვეყნის ადგილისა და როლის განსაზღვრა.

საშინელებაა აბსულუტური ძალაუფლების შეგრძნება, რომელიც სინამდვილეში არ არსებობს და მირაჟია, პიროვნების ტრაგედიაა. ბანკები ახლა ამის ეიფორიაში არიან, ისინი საფრთხეს ვერ გრძნობენ. ისეთი დიდი ფინანსისტიც კი, როგორიც ჯორჯ სოროსია, მსოფლიოს ემუქრება-ღმერთი ვარ და დაგაქცევთიო. მას არ უნდა დაიჯეროს და გაიხსენოს, "არ გამოსცადო უფალი ღმერთი შენი" (სახარება ლუკასი. 4:12). რას ვიზამთ, მას ბოროტი სული მართავს. საქართველოსაც ზნეობრივი კრიზისი უდგას. სამსახური ადამიანური შესაძლებლობების გამოვლენა კი არა, ფულის შოვნის ადგილია, მითუმეტეს სახელისუფლო და სამთავრობო ადგილები. ამ ბოლო 25 წლის მანძილზე ჩამოყალიბდა ე. წ. სახელისუფლო კასტები, რომლებიც ერთმანეთს ეჯიბრებიან თანამდებობების დაკავებაში. ქვეყნისა და ხალხის კეთილდღეობის მათი საარჩევნო დაპირებები ალიბია მოკლევადიანი ნდობის მოსაპოვებლად. პარტიული მეტოქეობის ეს მახინჯი სტრუქტურა დამკვიდრდა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ. ახლადშექმნილმა ხელისუფლებამ ხელის ერთი მოსმით ჩამოიშორა და მტრად გადაიკიდა ის საზოგადოებრივი ელიტა, რომელმაც იგი ხელისუფლებაში მოიყვანა. მათი ადგილები სწრაფად და მასობრივად შეივსო გამოუცდელი, კარიერისტი პარტიელებით, რამაც გამოიწვია სამოქალაქო ომი და ქვეყნის ეკონომიკის გაჩანაგება. შევარდნაძემ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ სწრაფად აღადგინა ურთიერთობები საზოგადოებრივ ელიტასთან, რომელიც ტრადიციულად ეროვნულ ინტერესებს იცავდა, ეს კი მსოფლიო საბანკო დიქტატურის ინტერესების საწინააღმდეგო მოძრაობა იყო, და ვერ უშველა ცოდნამ და გამოცდილებამ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა ყოფილ პირველ პირს და აიძულეს პოსტი დაეტოვებინა. სააკაშვილს მაკიაველის ბოროტი გონი აღმოაჩნდა და საზოგადოებრივი ელიტა მიწასთან გაასწორა, ძირი გამოუთხარა განათლებასა და მეცნიერებას, ახლა ჩვენს სამშობლოში იმდენი უმაღლესი სასწავლებელია, რომლის მეცნიერული უზრუნველყოფის რესურსები ქვეყანას არ გააჩნია, ხოლო მათი რაოდენობა გაცილებით მეტია, ვიდრე ქალაქების რიცხვი ქვეყანაში. თანამედროვე გაგებით ქალაქი არის იქ, სადაც უნივერსიტეტია, ხოლო უნივერსიტეტი ქალაქის ინტელექტუალური ძლიერების ფუნდამენტური საფუძველია, რომელიც მის სოციალურ და ეკონომიკურ კეთილდღეობას განაპირობებს. ჰო, ეს ასე უნდა იყოს, მაგრამ ჩვენს სინამდვილეში უმაღლესი სასწავლებლები ბიზნესს წარმოადგენენ და ბიუჯეტის შევსების წყაროებია. ამიტომ არავის აინტერესებს ამ სასწავლებლების არც მიზნები და არც მათი მისიები. მეცნიერებას მხოლოდ რამდენიმე მათგანი თუ ავითარებს.

ხელისუფლებას საქართველოში, ისევე როგორც მსოფლიოში, ბანკები ირჩევენ მოსახლეობის აზროვნების მანიპულირებით. ჩვენს ქვეყანაში ჯერ კიდევ არსებულ ღონიერ საზოგადოებრივ ელიტას არა აქვს ორგანიზებული მთლიანობა და ისინი ხელისუფლებას ვერ აკონტროლებენ, არც ხელისუფლებას აწუხებს რაიმე პასუხისმგებლობა მათ მიმართ...ქარავანი მიდის, ხოლო მომავალი თაობები იმ სტანდარტებით იზრდებიან, როგორც საბანკო სისტემას უნდა-არამართლმადიდებლური, არატრადიციული, არაეროვნული, უთვისტომო, ვიწრო პროფესიული სტანდარტით, მსოფლიო მოქალაქის სტატუსით; ფულს ხომ სული არა აქვს, ხოლო ცხოვრება იქ სჯობს, სადაც მეტი ფულის შოვნა შეგიძლია. ამ იდეის გაგრძელება ჩვენი სამშობლოს გაქრობას ნიშნავს, ეს ჩვენი ეროვნული ტრაგედიაა. ვის ესმის „ვერცხლისმოყვარენი ნუ იქნებით" (ებრაელთა მიმართ 13:5), „ნუ შეავიწროებ შენს თვისტომს, და ნუ გაძარცვავ"(ლევიანნი. 19.13), „გამდიდრების მოსურნენი საცდურის მახეში ებმებიან, და მრავალი შლეგური, მავნე და კაცთა დამღუპველი და წარმწყმედი გულისთქმის ტყვენი ხდებიან, რადგან ყოველი ბოროტების ფესვი ვერცხლისმოყვარეობაა, რომლითაც გულშეძრულნი ზოგ-ზოგი შეცდა, რწმენას განუდგა და თავს დაიტეხა ურიცხვი ჭირი" (პირველი ტიმოთეს მიმართ. 6: 9,10).

ადამიანმა დაკარგა თავის თავი, გაექცა ღმერთის სიყვარულს, სამშობლოსა და ხალხის სამსახურს, საკუთარი თავის მოსამსახურედ იქცა და სურს სხვებიც მას მსხაურებდნენ. ეს ღმერთის გამოწვევაა, რაც გადაგვარებულთა წარხოცვით მთავრდება. წაღმა შებრუნება ქვეყნის გაერთიანებით შეიძლება, რასაც ახლა ქართული მართლმადიდებლური ეკლესია მეთაურობს. მან უნდა მოახერხოს დაიბრუნოს თავისი კუთვნილი ადგილი ხელისუფლებაში მონარქიის აღდგენის მეშვეობით. პროფესიონალიზმი არა მარტო არასაკმარისია, ხშირად ბოროტების ძლევამოსილებაა მორალის, ტრადიციების, ზნეობის გარეშე, რომელსაც მართლმადიდებლური ეკლესია იცავს და ავითარებს. მძიმე ჯვარი მიაქვს ჩვენს ეკლესიას ქვეყნის ერთიანობისაკენ და ფეხდაფეხ გადაგვარებული ბრბო მისდევს და ცდილობს უკან დააბრუნოს, რათა საშუელი არ მისცეს ქვეყანა გაერთიანდეს ერთი რწმენით და იმედით. ეკლესიური ადამიანი ახლა გაცილებით მეტია, ვიდრე 20-30 წლის წინათ იყო, მაგრამ ურჯულოთა და ფულზე ჯვარდაწერილები არა მარტო რაოდენობრივად ბევრნი არიან, ფულითაც მძლავრობენ და იმონებენ მასებს, შიმშილისა და სიღატაკის მორევში უმოწყალოდ ერეკებიან, მაშინ როცა მათ იმდენი ფული აქვთ, რომლის ნახევრის ხალხისთვის მოხმარება მთელ საქართველოს ფეხზე სწრაფად წამოაყენებდა. მაგრამ ეს ჩემი უხეირო შემოთავაზებაა, ფულზე შეყვარებულები ხალხის გაძარცვაზე ფიქრობენ და არა

მათ კეთილდღეობაზე. ძნელია ადამიანის აღზრდა ღვთის სიყვარულით, მართლმადიდებლურად, იოლია მისი ლუციფერად ფორმირება, განსაკუთრებით ახალგაზრდა ასაკში, როცა მას უგინებენ სამშობლოს წარსულს, ულანძღავენ წმინდანებს, ირონიულად უხსენებენ გმირებს, ოჯახს ტირანიად უხატავენ, სიყვარულს ჰედონიზმში უფუთავენ, თავისუფლება სურვილების აღსრულებად და თავაშვებულობის ფორმებით მიეწოდება; ცხოვრება სმა-ჭამა და სიამოვნებაა, სამსახური-ფულის შოვნის ადგილი, ეკლესია სარიტუალო დაწესებულება, სამშობლოსა და ხალხის კეთილდღეობაზე ზრუნვა-სისულელე, მთავარი დევიზი-ერთხელ გავჩნდი ამქვეყნად და როგორც მინდა ისე უნდა ვიცხოვრო. ამ პრინციპებს და იდეოლოგიას ატარებს მსოფლიო ფინანსური იმპერია, რომლის მორჩილებაშია პლანეტის მოსახლეობის დიდი ნაწილი. ამიტომ ძნელია ჩვენში ქართველი მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობის მართლმადიდებლურ აზროვნებაზე მოქცევა. ეს პრობლემა მართლმადიდებლურ სამყაროსთან ერთიანობაში შეიძლება გადაიჭრას.

ფული ადამიანის დამონების ყველაზე სარგებლიანი საშუალებაა, მიუმეტეს თუ იგი, უღმერთო, ანგარებიანი და ხარბია. იგი შენ რომ გინდა იმ საქმეს შენს სასარგებლოდ იმაზე უკეთესად გააკეთებს, ვიდრე თვითონ გააკეთებდი, ვინაიდან გაიძვერაა და კაი ხანს შეუძლია ისე მოაჩვენოს საკუთარ ხალხს თავი, ვითომცდა მისი კეთილდღეობისთვის იბრძვის. ამიტომ არის ყველაზე საშიში შინაური მტერი. ამ ორ ათეულზე მეტი წლის განმავლობაში ყველაფერი ეს საკუთარ მხრებზე ვიწვნიეთ. მაგრამ ყველაფერს აქვს დასასრული და შეურაცხყოფილმა ნაციონალურმა თავმოყვარეობამ უნდა იფეთქოს. დიდი ხანი აწუხებდათ აშშ პატრიოტ ინტელექტუალებს საზოგადოების ზნეობრივი დაკნინება, გადაგვარება, ქრისტიანობის დასუსტება, ჰომოსექსუალიზმის მოჭარბება, ნაციონალური წარმოების შემცირება და ინვესტიციების პირითქცევა განვითარებად ქვეყნებში, ოჯახური ტრადიციების დევალვაციის პროცესები, ემიგრაციული პროცესების მოჭარბება და სხვა. ეს პრობლემები მთელი სიცხადით აისახა პოლიტიკურ, სოციალურ და ეკონომიკურ ლიტერატურაში. განსაკუთრებული სიმწვავით მეჩვენება ლინდონ ლარუშის „ფიზიკურ ეკონომიკასა“ და პატრიკ ბიუკენენის „დასავლეთის სიკვდილში“, რომელიც მკითხველისათვის ხელმისწვდომია ინტერნეტითაც.

აშშ მოსახლეობამ მაღალი ეკონომიკური ცნობიერება და პოლიტიკური გამჭრიახობა გამოიჩინა და მხარი თავისი ქვეყნის ეროვნული დამოუკიდებლობის აღმავლობას დაუჭირა 2016 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში. შეიძლება ითქვას, რომ საქართველო ბეწვზე გადარჩა: გლობალისტებს რომ გაემარჯვათ, ქვეყნის გამოცოცხლების იმედი ბოლომდე გადაიწურებოდა, ვინაიდან ჩვენში ძალიან ბევრი რადიკალური გლობალისტი და ქვეყნის დამაქცევარი არის, რომელთაც არა მარტო უზარმაზარი თანხები აქვთ, მსოფლიო მოქალაქეობის ავადმყოფური აზროვნებით არიან შეპყრობილი. არა, რა თქმა უნდა, ამერიკის სახელმწიფო კურსის ცვლილება უკეთესი ცხოვრებისაკენ ჩვენი შებრუნების პანაცეა არ არის, მაგრამ ის სიკეთეა, რომელიც ამ გლობალისტებსა და ლიბერალებს საყრდენს გამოაცლის, მხილებული იქნებიან და ქვეყანაში და მის გარეთ მხარდაჭერის გარეშე დარჩებიან.

ამ ჩვენს პატარა ერს თავისი შინა აშლილობისა და გაუტანლობის მიუხედავად, ისეთი აკუმულირებული, როგორც ბატონი გერონტი ქიქოძე ბრძანებდა, ნაციონალური ენერგია აქვს, რომელიც მაშინვე აფეთქდება, როცა ერს მისი აუცილებლობა გაუჩნდება.

INTERNATIONAL ASSOCIATION SCIENC

ეკონომიკური კატასტროფისაკენ

ზნეობის დაკარგვამ რომ დააქცია ერთ დროს ძლევამოსილი სახელმწიფოები, მეცნიერულად კარგად შესწავლილი საკითხია, თუმცა აზროვნება, ჯერ კიდევ, არ მისულა ამ გაგების ერთადერთ მნიშვნელამდე. თანამედროვე დასავლური ცივილიზაციის გადაშენების მიზეზებიც არ დარჩენილა კრიტიკული აზროვნების მიღმა. დასავლეთ ევროპის დაცემის შესახებ გასული საუკუნის 20-იან წლებში დაწერა ო. შპენგლერმა. დაცემის ძირითად მიზეზებად მიაჩნდა ტექნიკის სულიერებაზე,

ელიტარული ქალაქების პროვინციულებზე გამარჯვება და პლებეური მორალის აღზევება. 2002 წელს დასავლეთ სამყაროს გადაშენების ფაქტობრივი მასალები წარმოადგინა პ. ბიუკენენმა თავის ბესტსელერში „დასავლეთის სიკვდილი“. შეძლება ითქვას, რომ ო. შპენგლერის ფილოსოფიურ ხედვას რიცხვობრივ სტატისტიკურ ინტერპრეტაციას აძლევს პ. ბიუკენენი.

დასავლეთ ევროპას მე-20 საუკუნის 60-იანი წლებიდან სწრაფად გაუუარესდა დემოგრაფიული სიტუაცია, მაშინ როცა შობადობა რამდენჯერმე გაიზარდა ისლამურ ქვეყნებში, ინდოეთსა და ჩინეთში. ოცდამეერთე საუკუნე დასავლეთისთვის კატასტროფულად მძიმეა. ევროპის დასავლეთ ნაწილში შობადობა საშუალოდ ერთ ქალზე 1,3 არ აღემატება, მაშინ როცა მოსახლეობის დემოგრაფიული კვლავწარმოებისთვის შობადობის საშუალო მაჩვენებელი 2,1 მაინც უნდა იყოს. მდგომარეობა დღითი დღე უარესდება. ასეთი ვითარებაა აშშ, იაპონიაში, კანადაში. პ. ბიუკენენი დასავლეთის უკიდურესად ტრაგიკულ სიტუაციას რელიგიურობის დაკარგვით ხსნის. ევროპაში ქრისტიანობის პოზიციების დათმობას მოჰყვა შობადობის დაცემა. რაც უფრო მეტია ადამიანში რწმენა, იქნება ეს ქრისტიანი, მუსულმანი თუ იუდეველი, მით უფრო მაღალია შობადობის დონე[64]. უკვე ფაქტია, რომ მთელ ცივილიზებულ დასავლეთში სწრაფად კლებულობს თეთრკანიანი მოსახლეობის რაოდენობა, ძალიან მცირდება მრავალშვილიანი ოჯახების რიცხვი და იზრდება ერთშვილიანი ოჯახებისა, ასევე მატულობს იმათი რაოდენობაც, რომელთაც არ სურთ ტრადიციული ოჯახის შექმნა და მარტოდ ყოფნას არჩევენ, თვლა აღარ არა აქვს განქორწინების შემთხვევებს, ჰომოსექსუალიზმს, პედოფილიას, ზოოფილიას, კოტრაცეპციას, ევთანაზიას. უკვე ძალაშია სოციალური მოძრაობა, რომელიც აყალბებს ისტორიას, დასცინის ტრადიციებს, ამასხრებს ქრისტიანული რელიგიის წმინდანების ცხოვრებას, აყალბებენ ისტორიულ გმირებს. „მილიონობით ადამიანი თავს უცხოდ გრძნობს თავის ქვეყანაში. ისინი ზურგს აქცევენ ცხოველური სექსის და გედონისტური ფასეულობების მასკულტურას. ისინი ამჩნევენ ძველი დღესასწაულების გაქრობას, და ადრინდელი გმირების მივიწყებას. ისინი ხედავენ, როგორ ქრებიან მუზეუმებიდან დიდებული წარსულის არტეფაქტები და მათ ადგილს ავსებენ რაღაც მახინჯი, აბსტრაქტული ამერიკულით; როგორ ქრებიან ადრეული ბავშვობის წიგნები სასკოლო პროგრამებიდან, და ადგილს უთმობენ ახალ ავტორებს, რომლის შესახებ უმრავლესობამ არაფერი იცის; როგორ ითელება ჩვეულებრივი წინაპრისეული მემკვიდრეობითი მორალური ფასეულობები; როგორ კვდება ამ ადამიანებში აღნიშნული კულტურა იმ ქვეყანასთან ერთად, რომელშიც ისინი გაიზარდნენ“[65]. „სექსი, დიდება, ფული, ხელისუფლება-აი, ამერიკის ახალი ღმერთები“[66].

ზემოთაღნიშნულიდან რამდენიმე კითხვა ჩნდება: პირველი, რატომ დაეცა ქრისტიანობა აშშ; მეორე, ვინ დგას იმ მოძრაობის უკან, რომელიც ქრისტიანობას ებრძვის; მესამე, რას აკეთებს ხელისუფლება იმისთვის, რომ ქრისტიანულ ქვეყანაში ქრისტიანობა არ დაიღუპოს, რომელმაც მსოფლიო არნახული სოციალური პროგრესის სიმაღლეზე აიყვანა.

დასავლეთში ქრისტიანობის დაცემას, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ხელი შეწყო სულიერის მატერიალურით ჩანაცვლებამ. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევები ადამიანის ცხოვრების პირობების სწრაფი გაუმჯობესების საშუალებად იქცა. იმძლავრა მასში გამდიდრების სიხარბემ და ჰედონისტურმა ინსტიქტებმა. ეკონომიკა თანდათან შეიცვალა ქრემატისტიკით, რომელმაც გაიყოლია ქრისტიანული რელიგია, ვინაიდან იგი მას ხელს უშლიდა. უფრთხოდა მაცხოვარს, რომელიც ფულის მონობას უკრძალავდა. ვინაიდან ერთ ადამიანში ორი რელიგია ვერ იქნება, ქრისტიანული რწმენა ლუციფერის რწმენაზე გადავიდა. ცხადია, რომ ასეთი ცვლილება ავტომატური ვერ იქნებოდა. მას თავისი იდეოლოგები ჰყავდა და დღესაც ჰყავს. იმათ კარგად იციან, რომ ქრისტიანული რელიგიის რწმენას ადამიანს ძალით ვერ წაართმევ. ამისთვის დრო და საშუალებებია საჭირო. რწმენა ადამიანის აღზრდის პროდუქტია. ა. გრამშს უთქვამს, რომ ადამიანებს უნდა წაართვან რწმენა. როგორ? როგორ და ინსტიტუტების საშუალებით, რომლებიც განაპირობებენ ახალი თაობების სულის ჩამოყალიბებას, ეს არის სკოლა, კოლეჯი, კინომეტოგრაფია, მუსიკა, ხელოვნება, მასმედია ცენზურის გარეშე, რადიო და ტელევიზია, ინტერნეტი მაშინ იქნება მიღწეული დექრისტიანიზაციაო[67]. ამას ახლა მივუმატოთ ლაგამაშვებული თავისუფლების და ქალთა უფლებების ჭკუის ამბნევი ქარტიები.

ქრისიტიანობის დაკარგვას პ. ბიუკენენმა ზემოთ დასახელებულ თავის წიგნში სპეციალური თავი მიუძღვნა, სათაურით „დექრისტიანიზაცია“, სადაც იგი მწუხარე სტრიქონებით მოგვთხრობს, თუ როგორ კარგავს ქრისტიანობა პოზიციებს არა მხოლოდ ამერიკაში, არამედ მთელ ცივილიზებულ

---

[64] Бьюкенен П. Смерт запада. с. 240.
[65] იქვე, с. 8.
[66] იქვე. с.11.
[67] იქვე. с. 238.

დასავლეთში. იტალიაში, მხოლოდ 15% თუ დადის საკვირაო მესაზე, ჩეხეთში საკვირაო ქადაგებაზე მოსახლეობის 3% ძლივს იკრიბება. ამერიკის დექრისტიანიზაციის კულტურულმა რევულუციამ იპოვა კონტრაცეპტივები. თუკი ადრე ამერიკაში სჯეროდათ, რომ ისეთი მმართველობა უნდა შექმნილიყო, რომელიც ღვთის ნების შესაბამისი იქნებოდა, კულტურული რევოლუციის აქტივისტებს მიაჩნიათ, რომ იგი-აშშ არასდროს ყოფილა ქრისტიანული ქვეყანა. უზენაესი საბჭო თვლის, რომ ამერიკის საზოგადოების შესაცვლელად საჭიროა იკითხონ მარქსის, კარსინის, ფრიდმანის ან ელ გორის თხზულებები და არა მათეს, მარკოზის, ლუკას და იოანეს სახარებები. კონგრესს ფედერალური კანონით ეკრძალება რელიგიის მიმართ რაიმე გადაწყვეტილების მიღება. მან პატივი უნდა სცეს „აღმსარებლობის თავისუფლებას“. საჯარო და სასკოლო ბიბლიოთეკებიდან ამოღებულია ბიბლია, ქრისტიანული სიმბოლოები. გაუქმებულია საეკლესიო დღესასწაულები, ყოველდღიური ურთიერთობებიდან გაქრა ქრისტეს გამოსახულებები, პასკა; დაივიწყეს ქრისტიანული მცნებები. 1963 წელს არაკონსტიტუციურად გამოცხადდა ბიბლიის შესწავლის დამატებითი მეცადინეობები. 1980 წელს კენტუკის შტატის კანონით უკანონოდ გამოცხადდდა და წაშალეს სკოლის კედელზე ამოკვეთილი ათი მცება. 1985 წელს ალაბამაში კონსტიტუციურად შეუსაბამოდ ჩათვალეს „წუთიერი დუმილი“, რომლითაც იწყებოდა სასკოლო მეცადინეობები. 2000 წელს აიკრძალა ლოცვები და პირჯვრის გარდასახვა სასკოლო და სტუდენტური სპორტული შეჯიბრებისას. 1996 წელს მეცხრე ოკრუგის სასამართლომ დაადგინა, რომ ორეგონას შტატის ქალაქ ოჯონში დაღუპული მეომრების მემორიალზე აღმართული დიდი ჯვარი არ იყო კოსტიტუციური. 1999 წელს მეექვსე ოკრუგის სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება, რომლის თანახმად კლივლენდის საგანმანათლებლო საბჭოს აეკრძალა სხდომის გახსნა ლოცვით. 2001 წელს უმაღლესმა სასამართლომ მხარი დაუჭირა სააპელაციო სასამართლოს გადწყვეტილებას ინდიანას შტატის ქალაქ ელკჰარტის მერის წინ გრანიტის სტელას აღებას, რომელზეც ამოკვეთილი იყო ქრისტეს ათი მცნება. აშშ სკოლებში ასწავლიან, რომ ქრისტიანობა გამოგონილია და მისი დრო ჩავლილია. გამოდის, რომ ქრისტიანობამ დაკარგა მებრძოლი სული და ასპარეზი მოწინააღმდეგეს დაუთმო. პ. ბიუკენენს მიაჩნია, რომ ამერიკის დექრისტიანიზაცია 21-ე საუკუნეში დამთავრდება. „სკოლებში სასწავლო პროცესს ისე აწყობენ, როგორც მათ უნდათ, არ ითვალისწინებენ მშობელთა სურვილებსა და გადამხდელთა ინტერესებს. ისინი ორიენტირებული არიან სასმართლოების მითითებებზე, რომლებიც ავრცელებენ კალიფორნიის უნივერსიტეტისა და „ჰუმანიტარული უნივერსიტეტის“ თეზისებს[68]. მისურის შტატის ქალაქ რიპაბლიკში რევოლუციის აქტივისტებმა მიაღწიეს იმას, რომ საქალაქო ფოსტიდან მოაშორეს თევზის ფიგურა, რამდენადაც იგი ქრისტიანობის სიმბოლოა. პ. ბიუკენენი ფაქტობრივ მასალებზე დაყრდნობით აცხადებს, რომ საზოგადოებრივი აზროვნებიდან ღმერთის ამოფრენა ხდება არა ხალხის სურვილით, არამედ დიქტატორულად, რომელიც სასამართლოს ხელით ტარდება და რომელსაც კონგრესიც კი ვერ ეწინააღმდეგება. ახლა პრაქტიკულად ხდება ისე, რომ ამერიკას ხალხი კი არა, ერთი მუჭა ფინასური უმცირესობა მართავს.

ამერიკის დექრისტიანიზაციას, როგორ ავტორი მიიჩნევს, მოჰყვა ეთიკის დაცემაც. თუ ადრე აბორტი დანაშაული იყო, ახლა სრულად დასაშვები შესაძლებლობაა. გაკვეთილის წინ ლოცვა საკანონმდებლო შესწორების დარღვევაა, ხოლო შიშველი გოგონები ღამის კლუბებში თურმე არანაირად არ რყვნის ახალგზრდობას. ჰომოსექსუალიზმი თუ ადრე ავადმყოფობად ითვლებოდა, ახლა ინდივიდუალური განსაკუთრებულობა გამხდარა, ამიტომ ტელევიზია პროპაგადას უკეთებს ჰომოსექსუალიზმს, რაც სიმადვილეში დექრისტიანიზაციის წინმსწრები მოვლენაა. სადაც რელიგიურ, ქრისტიანულ თავისუფლებას ენაცვლება თავაშვებულობა, რწმენას-ურწმუნობა, ზნეობას-უზნეობა და საზოგადოებას ფული ექცევა რელიგიად. ეს ფაქტია და ახლა ზნეობის დაცემა ამერიკის მახასითებელია[69].

რა მოიტანა ზნეობის დაკარგვამ?-კითხულობს პ. ბიუკენენი და ასეთ სტატისტიკურ მასალას იძლევა. ყოველი მეოთხე თეთრკანიანი ახალშობილიდან ერთი ქორწინების გარეშეა. აშშ ტრადიციული ოჯახები შეადგენენ ერთად მცხოვრები ადამიანების არაუმეტეს მეოთხედს. ოთხი თეთრკანიანი ქალიდან 19 წლის ასაკში სამი უკვე არაქალწულია. აშშ წელიწადში 1,2-1,4 მლნ. აბორტი კეთდება. ქორწინებაში დაბადებული ბავშვების რიცხვი აშშ 1960 წლის 4 მლნ.დან 1996 წლის 2,7 მლნ. მდე შემცირდა. გაიზარდა განქორწინებების რიცხოვნება. როგორც მინიმუმი, ამერიკელი ბავშვების მესამედს მხოლოდ ერთი მშობელი ჰყავს. კანადაში 1960-2000 წლებში ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვების რიცხვი 4-დან 31%-მდე გაიზარდა, დიდ ბრიტანეთში-5-დან 38%-მდე, ხოლო საფრანგეთში 6-დან 36%-მდე.

---

[68] იქვე, c. 250
[69] იქვე,c. 177

უზნეობა მჟღავნდება საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა მხარეებშიც. 1980 წელს აშშ ნახევარი მილიონი პატიმარი და 6 მლნ. ნარკომანი ჰყავდა.

ამერიკა ჩვენთვის საზოგადოებრივად ცნობიერია, როგორც ემიგრანტების მიმღები. მაგრამ ბოლო დროს ისე გაიზარდა მისი მასშტაბები, რომ ქვეყანას პრობლემები შეექმნა. „უმართავი იმიგრაცია განადგურებით ემუქრება იმ ქვეყანას, რომელშიც გავიზარდეთ, და გადააქცევს ამერიკას ხალხების ქაოტურ ნაკრებად, რომელთაც ფაქტობრივად ერთმანეთთან არაფერი საერთი აქვთ, არც ისტორიის, არც ფოლკლორის, არც ენის, არც კულტურის, არც რწმენის და რაც წინაპრების მიხედვით“[70].

ყველაფერი ქრისტიანობის საფუძველზე დგას. მართლმადიდებლურმა რელიგიამ შექმნა უდიდესი კულტურა, რომელიც მისი არსებობის მიზეზია. ვერც რელიგია იქნება კულტურის გარეშე. ეს იმას ნიშნავს. რომ რელიგიის დაღუპვა კულტურის დასასრულია, ხოლო კულტურის დაცემა მართლმადიდებლური რელიგიის დაღუპვა. „რამდენადაც შორეული არ უნდა იყოს ჩვენი თვალთახედვა, აღმოჩნდება, რომ ნებისმიერი დიდი სახელმწიფოს, ნებისმიერი საზოგადოების საფუძველი, რელიგიაზე იდგა. იქნება ეს ინდოეთი, ჩინეთი, პალესტინა, საბერძნეთი, კართაგენი, აფრიკა თუ ცივილიზებული სამხრეთი და ცენტრალური ამერიკა, ყველგან ერთი და იგივე ხდებოდა. ცივილიზაცია რელიგიიდან იქმნებოდა, ხოლო როცა ტრადიციული რწმენები ამა თუ იმ მიზეზებით კარგავდა საზოგადოებაზე გავლენას, ნაცია იღუპებოდა“[71]. ჩვენთვის ყველაზე მთავარი ეკლესიაზე შეტევა იყო. ჩვენ შევაღწიეთ კათოლიკურ ეკლესიაში. თქვენ როგორ ფიქრობთ, რატომ ახურავს მღვდელს, და ყველა კარდინალსა და ეპისკოფოსს იამაკა (კეპი, ერმოლკა-ებრაული რელიგიური ქუდი)[72]?

როგორც პ. ბიუკენენი მოგვითხრობს, ამერიკაში ლიბერალიზმი აყვავდა. კონგრესს ფედერალური კანონით ეკრძალება რელიგიების მიმართ რაიმე გადაწყვეტილების მიღება, მან პატივი უნდა სცეს „აღმსარებლობის თავისუფლებას“. უფრო შორს მიდის შეტევა სახელმწიფოს ნაციონალურობაზე. საჯარო და სასკოლო ბიბლიოთეკებიდან ამოღებულია ბიბლიური ლიტერატურა, ქრისტიანული სიმბოლოები; გაუქმებულია საეკლესიო დღესასწაულები, დაიკარგა ქრისტიანული მცნებები, პასკა, აღარსად ჩანს ქრისტეს გამოსახულებანი. „რომის კლუბის წყალობით ჩვენი ტექნოლოგიური პოტენციალი იაპონიისა და გერმანიის დონეებს ჩამოცილდა-ქვეყნებისა, რომლებზეც მეორე მსოფლიო ომში თითქოსდა გავიმარჯვეთ. ეს როგორ მოხდა? დოქტორ ალექსანდრე კინგის ტიპის ადამიანებისა და ჩვენი თვალისმომჭრელი მდგომარეობის გამო გონიერებმა დროზე ვერ მოახერხეს განათლებისა და სწავლების ჩვენი სისტემის ნგრევის შემჩნევა. ჩვენი სიბრმავის შედეგად უკვე აღარ ვამზადებთ ინჟინრებს და მეცნიერებს საკმარისი რაოდენობით, რათა შევინარჩუნოთ ადგილი მსოფლიოს ინდუსტრიულ ქვეყნებს შორის. დოქტორი კინგის წყალობით, ადამიანისა, რომელსაც აშშ ძალინ ცოტა თუ იცნობს, აშშ განათლების სისტემა უფრო დაბალია, ვიდრე 1786 წელს იყო. უმაღლესი განათლების სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ კითხვისა და წერის ჩვევები აშშ უფროს კლასებში ახლა უფრო დაბალია, ვიდრე 1786 წელს იყო“[73]. მკითხველი იოლად მიხვდება, რომ თუ ამ ციტატაში აშშ საქართველოთი შევცვლით, სინამდვილე იგივე დარჩება. ჩვენც თითქმის მოვსპეთ ინჟინრების მომზადება, მეცნიერება მიატოვეს უყურადღებოდ, დისერტაციები ხომ ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს. პროფესორობას ხომ ხელაღებით არიგებენ. ჩვენ კიდევ ისეთი ხალხი არ გველევა ტელევიზიებიდან, რომ გვმოძღვრავენ-გვშია, მაგრამ დამოუკიდებლები ხომ ვართო. ისევ ჯ. კოლემანს უნდა მივმართო. „წინამდებარე წიგნი-ეს არის მცდელობა აუხილო თვალი ამერიკელ ხალხს საშინელ სიმართლეზე, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ არ ვითვლებით დამოუკიდებელ ქვეყნად და დამოუკიდებელ ხალხად, ასეთი ჩვენ არასდროს ვყოფილვართ, რამდენადაც ჩვენ გვმართავდა უხილავი მთავრობა-300 კომიტეტი“[74].

პ. ბიუკენენი რაღაცნაირი მორცხვობით იმაზეც იძლევა პასუხს, რომ ყოველივე ამის უკან დგას მსოფლიო ტრანსნაციონალური კომპანიები, რომელთაც ხელთ უპყრიათ ფინანსური სადავეები და მსოფლიო ერთიანი მეურნეობის კონსტრუქციას ამონტაჟებენ. პირველი გამსვლელი პაიკი მსოფლიო რეფორმაციის საჭადრაკო დაფაზე უკვე წარმოჩნდა-ერთიანი მსოფლიო რიცხვული ფული-კრეპტოვალუტა, რომელიც კაი ხანია მომზადებულია, მაგრამ მოთამაშეებმა პარტია დროებით გადადეს დამატებით მოფიქრებისთვის. მსოფლიო ფინანსური იმპერია ძლიერია ისე, როგორც არასდროს ყოფილა იგი. მის აქტივშია ათასწლოვანი გამოცდილება ფინანსური უპირატესობისთვის ბრძოლაში. ახლა მას ღმერთთან ბრძოლა უწევს, რომელიც მისი დასასრულის დასაწყისია. აკი

---

[70] იქვე,c.8

[71] იქვე, c.266

[72] Интервью с раввином (Абрахам) Абэ Филькенштейном...antimatrix.org…Books/Rabbi…Finkelstein_Interview…

[73] Колеман Дж. Комитет 300. Тайны мирового правительства...rishchuk.ru>pdf/dzon-koleman-komitet-300.pdf
იქვე, c.144

ცივილიზაციას მარადიულობა არ ახასიათებს, მისი მარადისობა ზენიტის წერტილში ქრება, როგორც ამას თვითონ წერს პ. ბიუკენენი.

ზემოთ მოტანილი მასალებით შევეცადე გამემეყოლებინა მკითხველი, თუ მოვახერხე და გამოვიყოლიე, რათა მისთვის მეჩვენებინა თუ როგორ დაეცა ზნეობა აშშ დექრისტიანიზაციასთან ერთად. ზნეობის პრობლემა მთელი სიცხადით დგას საქართველოშიც, რომელიც აშშ პარალელობას ქმნის, მაგრამ არის ისეთი გამონაკლისები, რომლებიც ქართული ზნეობრიობის სიმტკიცეზე მეტყველებს. ამერიკასთან ჩვენი უზნეობის პარალელი საკმაოდ გრძელია. მხედველობაში მაქვს როგორც აშშ, ასევე საქართველოს ხელისუფლება, შობადობის დაცემა, ოჯახების დაკნინება, ჰომოსექსუალიზმის ინდივიდუალურ განსაკუთრებულობად გამოცხადება, უმართავი მიგრაცია, სხვადასხვა რელიგიური უმცირესობებისადმი ერთნაირი შემწყარებლური დამოკიდებულება, სწავლებისადმი ზერელე მიდგომა, ისტორიის გაყალბება, ფულის რელიგია და ფულის ძალაუფლება, მასმედიის ჩაყენება ლიბერასტების ინტერესებში და ა.შ. 300-თა კომიტეტი და მასთან დაკავშირებული მრავალრიცხოვანი საიდუმლო ორგანიზაციები მსოფლიო მთავრობის შექმნაზე მუშაობენ, რომელსაც თავისი ლიდერები ეყოლება და არჩევნებიც საჭირო არ იქნება. მსოფლიო მოსახლეობის დღევანდელი რაოდენობა 1 მლრდ.-მდე შემცირდება, ვინაიდან მეტი რაოდენობა საჭიროდ არ მიაჩნიათ და უნდა გაწყდეს ომების, შიმშილის, ავადმყოფობების მეშვეობით. საშუალო კლასი აღარ იარსებებს (საქართველოსი ხომ უკვე აღარ არსებობს რ.ნ.), იქნება მხოლოდ მთავრობები და მოსამსახურეები. მსოფლიოში მხოლოდ ერთიანი კანონი იმოქმედებს, ერთი რელიგია იქნება, ქრისტიანობა განადგურდება. ქორწინება გაუქმდება, ერთ სულზე მხოლოდ ორი ბავშვის ნებაყოფლობა იქნება, ბავშვებს მოაცილებენ მშობლებს და თავიანთი წესით გაზრდიან, ურჩი ქალები დაისჯებიან და მესამე შვილზე ფეხმძიმეობის შემთხვევაში ნაყოფს ხელოვნურად მოაშორებენ. ფართოდ გავრცელდება პორნოგრაფია, ჰომოსექსუალიზმი, ლესბიანობა, ნარკომანია იძულებითი იქნება და ა.შ[75].

ფულის ძალაუფლება საქართველოში უფრო მეტ უზნეობად უნდა ჩავთვალოთ, ვიდრე აშშ. ჩვენთან ფული ქვეყანას გრიგალურ შემოტევებად ეცა, რომელიც თავისი მოძრაობის სიჩქარეს დღითიდღე უმატებს და საზოგადოებას ორ დაპირისპირებულ დანაყოფად-მდიდრებად და ღარიბებად თიშავს. მათ შორის ნაპრალი თანდათან ღრმავდება. ღარიბების ნაწილი ლუმპენთა არმიას ქმნის, ხოლო ნაწილი საზღვარგარეთ მიდის სამუშაოს საძებნელად. ადგილი უთავისუფლდება იმათ, ვისაც საქართველოში ცხოვრება სურს. ასე იქმნება მიგრაცია-იმიგრაციის პროცესები. თუ ყოფით ენაზე ვიტყვით, ეს გაქცევა-შემოსევის ორომტრიალია. ეროვნული მასა ამ მოძრაობას ვერ აჩერებს, რასაც ხალხის უმოქმედობას მიაწერენ. ფული მონობის ყველაზე ხელსაყრელი საშუალებაა, მითუმეტეს მაშინ, როცა იგი უმცირესობის მონოპოლიაა. პ. ბიუკენენს არც ის გამორჩენია, რომ ამერიკელ ხალხი არ უჭერს მხარს ტრადიციების დანგრევას, ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდას, ბიბლიის სასწავლო პროგრამებიდან ამოღებას, სექსუალურ რევოლუციას, მაგრამ ყოვლადძლიერი უმცირესობის-ფინანსური იმპერიის ინტერესების შეკავება არავის შეუძლია. ფული ერთდროულად საშუალებაცაა და იარაღიც. ამას ყოველდღე თავისთავზე გრძნობს ნებისმიერი რიგითი ქართველი.

ხალხი რომ ძალად გადაიქცეს, მას დიდი მიზანი უნდა ჰქონდეს, შესაბამისი რესურსები გააჩნდეს. მიზანი ხალხში პარტიულ ჯგუფებს შეაქვს, მაგრამ ჩვენს პრაქტიკულ ცხოვრებაში ასეთი ჯგუფების მიმართ ხალხი არ ერთიანდება, ვინაიდან ყველა ისინი სახელმწიფოდან ფინანსდება და სახელისუფლო პარტიიდან რეგულირდება, მარტივად თუ ვიტყვით, ფულის ძალაუფლება თავისას აკეთებს. ამდენად, ქვეყნის შიდა ეროვნული რესურსები გაფანტულია და ერთიან ძალას არ წარმოადგენს (დანართი ფიქრები ტელეკომპანია „რიონში“ საქართველოს ახალი პარლამენტის გახსნისადმი მიძღვნილი გადაცემის დასრულების შემდეგ). ვთქვათ პირდაპირ, რომ იგი მკაცრად კონტროლდება ფინანსური კლანების მიერ. ფაქტები ჯიუტი რამაა, მაგრამ საქმეს მარტო ფაქტები ვერ შველის. ჰო, პენსიონერთა დიდი არმია, უმუშევართა და უკმაყოფილოთა მასშტაბური სოციალური ჯგუფები უძლური არიან შეცვალონ სახელისუფლო არჩევნების კლიმატი. პ. ბიუკენენის ამერიკისაგან განსხვავებით საქართველოში მართლმადიდებლური საეკლესიო ცხოვრება არ კნინდება, მძლავრობს. მრევლიც თანდათან მატულობს. ახალგაზრდობის დიდი ნაწილი რწმენით ცხოვრობს. ეს კარგად იციან ლიბერასტებმა და ამიტომ მიდის მრავალმხრივი შეტევა ეკლესიაზე. ჩემი დაკვირვებით, საეკლესიო მოძღვართა საკმაოდ დიდი რაოდენობა ანაფორიის ქვეშ მალავს უსჯულოებასა და უზნეობას, ქრისტეს სამსახური პირადი გამდიდრების საქმედ აქციეს. სხვა საეკლესიო კონფესიების ფონზე ისინი კარიკატურებს ჰგვანან. მეზობლის გასვენებაში წესის ასაგებად მოსულმა მღვდელმა 80 ლარი მოითხოვა სამსახურისთვის. თან დაიბარა: ორმოცზე მომაკითხეთ თქვენი მანქანით, 30 ლარი დამახვედრეთ, საგზალიც მომიმზადეთო (ამ მღვდელს სახლში ორი ახალი მანქანა უდგას და ძველის

[75] იქვე, c.106-107.

ნაცვლად ახალ უზარმაზარ სახლს აშენებს). ეს ერთეული შემთხვევა არ არის, საკმაოდ გავრცელებული უზნეობაა. მაგრამ ამით არ შეიძლება უზნეობის სივრცეში მოვაქციოთ მთელი მართლმადიდებლური ეკლესია. ძალიან დიდია ისეთი მღვდელმსახურების რიცხვი, რომლებიც ქრისტიანულად ცხოვრობენ, ხალხის სამსახურში არიან, შრომობენ, ქართული ტრადიციების შენარჩუნებაზე არიან გადაგებულნი. მათ გამორჩევით ებრძვიან უზნეონი და ლიბერასტები, მსოფლიო ერთიანი მეურნეობის მიმდევრები და ურჯულოები. მაგრამ ქრისტესმიერი ეკლესიის მსახურები არ შეშინებულან, წარბიც არ შეუხრიათ ბოროტების წინააღმდეგ. ქრისტიანული რელიგიის წიგნები გამოდის ფართო ტირაჟით, სატელევიზიო არხებზე მომრავლდა გადაცემები რელიგიაზე, უწყვეტ რეჟიმში მუშაობს საპატრიარქოს არხი. ზნეობა უფრო ვრცლად ცნობიერი ხდება საზოგადოებისთვის.

ძალიან ბევრ ადამიანს სურს იცხოვროს ქრისტეს მცნებებით, მაგრამ ცხოვრებაში არის მომენტები, როცა მას უზნეობა მატერიალურად წარმატებულს ხდის, ასეთ ადამიანს მაშინვე რწმენაც ეცვლება და იმედიც. არ ჩაუღრმავდით საფუძვლებში ჩვენი ქვეყნის 25 წლის წინადელ მდგომარეობას და მატერიალური სიმდიდრე ქვეყნის კეთილდღეობისთვის სასიკეთო გამოყენების ნაცვლად, პირადი განცხრომისთვის გამოვიყენეთ, რომლის ფაქტობრივი გამოხატულება თანამედროვე ეკონომიკური კატასტროფა. მაგრამ ახლა ჩვენთან გაცილებით უკეთესი მდგომარეობა, ვიდრე დასავლეთ ევროპისა. პ. ბიუკენენისათვის დასავლეთ ევროპის მომავალი ოპტიმიზმის საფუძველს არ იძლევა, ვინაიდან უკვე გვიანია-დაკარგა ქრისტიანული რწმენა, რომლის გარეშე შეუძლებელია მატერიალურის პრიმატის დამარცხება და სულიერების გამარჯვება. „უეჭველია, კაცობრიობა ტრაგედიის ბოლო ფაზაშია, რომელიც ხუთასი წლის წინათ დაიწყო. მაშინ მართლმადიდებლურად და კათოლიკურად გაყოფილი, რეფორმებით შებარბაცებული ქრისტიანობა ევროპის საზღვრებიდან გამოვარდა და მსოფლიოს დასაპყრობად მიეჭრა. მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისს წარმოიქმნა ახალი, უფრო სერიოზული გამოწვევა არა მხოლოდ რომის, არამედ მთელი ქრსიტიანობის, აგრეთვე კულტურული და პოლიტიკური წესრიგის წინააღმდეგ, რომელიც თვითონ შექმნა...

საფრანგეთმა შეისმინა მჯღაბნელთა მოწოდება. მონარქია დაემხო. ლუდოვიკ მეთექვსმეტე, მარია-ანტუანეტა და ფრანგული არისტოკრატია გილიოტინაზე გაგზავნეს. ეკლესიას ქონება წაართვეს და გაძარცვეს. გონებამ იზეიმა რწმენაზე და სექტემბრის სისხლიანი კალო, ტერორი, რობესპიერი და დიქტატურა, ბონაპარტის იმპერია გამოიწვია, აგრეთვე პანევროპული ოთხსაუკუნოვანი ომი, რომლის შემდეგ საფრანგეთს ძალა გამოეცალა და დანაწილებული დარჩა“[76]. პროცესი ამით არ დამთავრებულა და მას გაგრძელება მოჰყვა ისეთი ავტორიტეტებისაგან როგორებიც იყვნენ დარვინი, მარქსი, ნიცშე. პირველმა ადამიანი ევოლუციის პროდუქტად ჩათვალა და ღმერთს ჩამოცილა. მეორემ გამოაცხადა, რომ „რელიგია ხალხის ოპიუმია“, მესამემ საზოგადოებას ახარა, რომ „ღმერთი მკვდარია“. მე-19 და მე-20 საუკუნეების ევროპა გიგანტური მასშტაბის ომების ნახანძრალია. თანამედროვე დასავლეთ ევროპა სულამომავალ ავადმყოფს ჰგავს, რომელსაც ისეთი მძიმე დაავადებები სჭირს, როგორიცაა ფიზიკური დეგრადაცია და გადაშენება, მიგრაცია, პარაზიტიზმი, სქესობრივი თანანსწორობა, მტრებთან ბრძოლის უძლურება, კანონის დეგრადაცია და უმოქმედობა, ხელოვნების დაცემა[77]. ცივილიზაცია ადამიანს სულს ართმევს, ეგოისტურს და მომხმარებლურს ქმნის. ამდენად მისთვის ქორწინება და ოჯახი მრავალნაირი დისკომფორტია, ვინაიდან ხელი ეშლება კარიერულ წინსვლაში, ერუდიციის გაფართოებაში, გართობასა და დასვენებაში. ამიტომ არის, რომ ევროპაში ქორწინების საშუალო ასაკი 30 წელს შეადგენს. ამაში ასახულია ისიც, რომ სექსუალურმა რევოლუციამ ქალიშვილობის ინსტიტუტი ჩამორჩენილობად ჩათვალა და ქორწინებამდე სექსუალური ცხოვრება ლამის წესად აქცია. ამას მოჰყვა აბორტები, გარყვნილება და უნაყოფო ინდივიდების წარმოქმნა. მდგომარეობა იქამდე მივიდა, რომ ცივილიზებულ ევროპას შრომითი რესურსების შესავსებად სხვა ქვეყნების მოსახლეობის მოზიდვა დასჭირდა. ანგელა მერკელის მოხსენებაში აღნიშნულია, რომ გერმანიაში 100 ქალზე საშუალოდ 160 ახლშობილი მოდის, მაშინ როცა მოსახლეობის ნორმალური დემოგრაფიული კვლავწარმოებისთვის 100 ქალზე 210 ბავშვი უნდა მოდიოდეს. ცოცხალი ძალის ბალანსის შესავსებად გერმანიას წელიწადში 300 ათასი მიგრანტის მუდმივი ნაკადი ესაჭიროება, რაც მას საშუალებას მისცემს შეინარჩუნოს მოსახლეობის ახლანდელი დონე 2060 წლისათვის. 2016 წლის მონაცემებით გერმანიაში 2,1-დან 4,7 მლნ. მდე მუსულმანი ცხოვრობდა, რომელთა ნახევარი თავს მორწმუნედ არ მიიჩნევს. მიგრანტებისთვის ცივილიზებული ევროპა „გამალღობელი ტიგელის“ ფუნქციას ვერ ასრულებს. ისინი ევროპაში თავისი ყოფაცხოვრების წეს-ჩვეულებებით და ტრადიციული ნორმებით

[76] იქვე, c. 355

[77] Европа гибнет на наших глазах. **politrussia.com**›История›Европа гибнет на наших глазах

ცხოვრობენ და იშვიათად ასიმილირდებიან აბორიგენულ მოსახლეობასთან. სააგენტო EC Frontex-მონაცემებით 2015 წელს ევროკავშირში 1,8 მლნ. მიგრანტი შესულა.

ფაქტობრივი მასალებიდან ირკვევა, რომ აზიისა და აფრიკის ქვეყნებიდან ევროპაში მიგრანტები მიდიან არა სამუშაო ადგილების შესავსებად, არამედ კომპაქტური დასახლებების დასამკვიდრებლად. მათთვის მიუღებელია ევროპული ცხოვრების წესები და სტანდარტები. ამიტომ არის ასე ხშირი კონფლიქტები ევროკავშირის თითქმის ყველა ქვეყანაში. განსაკუთრებით მწვავე კონფლიქტები არის პარიზში, ბრიუსელში, მარსელში, გერმანიაში, ნორვეგიაში, ნიდერლანდებში საერთოდ. მოსახლეობა იძულებულია აიყაროს ფუძიდან სხვა ადგილებში ან საზღვარგარეთ ეძებოს საცხოვრისი. თუ ევროპის მოსახლეობა ეკლესიურობას თანდათან სცდება, მუსულმანური მიგრანტები თავიანთი რელიგიური რწმენის ერთგულია. ნორვეგიაში 126 მეჩეთია, დანიაში-140, შვეციაში-120, ფინეთში-დაახლოებით 80. იგლისში 100 მეჩეთია, საფრანგეთში ხუთი დიდი მეჩეთია (პარიზში და მის რეგიონში, ლიონში და მარსელში) და 1500-ზე მეტი ჩვეულებრივი მეჩეთი და იმპროვიზებული სალოცავი. გერმანიაში 100-მდე მეჩეთია, 120-ზე მეტი-მშენებარე. ჰოლადიაში 380 მეჩეთია და მათ შორის ევროპის ყველაზე დიდი მეჩეთიც ჰოლანდიაში მდებარეობს. ნიდერლანდებში 120 მეჩეთია. თუ მეჩეთების რიცხვი თანდათან მატულობს, ქრისტიანული ეკლესიების რიცხვი მცირდება. მაგალითად, გერმანიაში, 200 წლიდან 400-ზე მეტი კათოლიკური ეკლესია და 100-ზე მეტი პროტესტანტული ეკლესია დაიხურა. 700 კიდევ დახურვის პროცესშია.

როგორც არსებული მასალებიდან ირკვევა, ევროპაში მიგრანტთა და ლტოლვილთა მიდრეკილება გამოწვეულია არა ერთი რომელიმე ფატორით, არამედ რამდენიმე სხვა რამდენიმე მათგანით. როგორიცაა ცხოვრების პირობების გასაუმჯობესება, ევროპული მოთხოვნილება დამატებით სამუშაო ძალაზე, იდეოლოგიური და პოლიტიკური ინტერესები. ცხოვრების პირობების გაუმჯობესების მაძიებელი პირები ადგილობრივ მოსახლეობას პრობლემებს იშვიათად უქმნიან. აგრესიულია უფრო დაბალი კულტურის მასობრიობა თავისი რელიგიური აღმსარებლობით, რომლებიც კომპაქტურად მოსახლეობენ და ადგილობრივ პირობებს კი არ ეგუებიან, თავიანთი ცხოვრების წესს ამკვიდრებენ. ფრანგებმა სკოლებში არაბული ენის სავალდებულო სწავლება შემოიღეს, რათა მიგრანტებთან და ლტოლვილებთან ურთიერთობა გაიადვილონ. განსაკუთრებით დიდი აგრესია აქვთ იდეოლოგიურად და პოლიტიკურად მოტივირებულ ხიზნებს. მათ უკან მსოფლიო საიდუმლო ორგანიზაციების პოლიტიკური მიზნები ილანდება, რომელიც დექრისტიანიზაციას კვალდაკვალ მიყვება.

დასავლეთის დემოგრაფიული სიტუაცია ექსტერნალური და ინტერნალური ფაქტორების შერევის, ურთიერთგადანასკვულობის შედეგია. ფაქტია, მიგრანტები და ლტოლვილები ქვეყანას პრობლემას ვერ შეუქმნიან თუ იგი ძლიერია, როგორც რელიგიური ნაციონალური სახელმწიფო. საქართველოში მრავალი ეროვნების ხალხი ცხოვრობდა ასული წლების მანძილზე, მაგრამ სახელმწიფოსთვის მწავავე პრობლემები არ გასჩენია, ვინაიდან ზნეობა იყო მაღალ დონეზე, ოჯახი მტკიცე, რწმენა-ქცევების მიმმართველი ცეცხლი და ენერგია. უზნეობა ათავისუფლებს ადამიანს პასუხისმგებლობისა და ვალდებულებისაგან და პირადი სურვილებისა და ცხოველური მისწრაფებების მორჩილი ხდება, რომელიც მერე მას შინაგან ხელისუფლებად ექცევა. „2016 წლის საახალწლო დღესასწაული შემდეგ გაზეთები ახმაურდნენ კიოლნში სეირნობისას თუ როგორ ავიწროებდნენ ახალგაზრდა მუსლიმები გერმანელ გოგონებს. როგორ გამოეხმაურნენ მას გერმანელი ქალები? მათ შექმნეს მიგრანტების სექსუალური დახმარების საზოგადოება. ახლახან გაჩნდა შეტყობინება ინგლისში არალეგალური ემიგრანტების ბანაკის შესახებ. იქ, ეკალმავთულის გადაღმა დაიწყეს გადაპარვა ინგლისელმა ქალებმა. სამართალდამცავები შეაშფოთა იმან, რომ ინგლისელი ქალები არასრულწლოვანი 13 წლის მუსულმან ბიჭებთან ეწეოდნენ გარვნილებას“[78]. გარყვნილების უფრო უარესი მაგალითების მოტანა შეიძლება დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებიდან, რომელიც ყველასთვის ხელმისაწვდომია ინტერნეტიტაც და იმდენად ცნობილია საზოგადოებრივად, რომ ჩვენი საკითხის დამატებითი ილუტრირებისთვის ზედმეტად მიმაჩნია. ზნეობრივი ადამიანი, ისევ როგორც მორალური, აღზრდის პროდუქტია, ხოლო როგორც ცხოვრებისეული ნორმები-ქრისტიანული. ამიტომ არის აუცილებელი ბიბლიის სკოლის ასაკიდან შესწავლა, სასკოლო პროგრამებში შეტანა. დასავლეთ ევროპაში მიმდინარე პროცესების, რომლის შესახებ ზემოთ უკვე ვისაუბრეთ, გაგრძელება ნიშნავს მისი ცივილზაციის დასასრულს, ეროვნულობის დეგრადაციას და გადაგვარებას. ნავარაუდევია რაღაც ახალი, ევროპულობას შერეული რასის წარმოქმნა.

ბუნებრივად ჩნდება კითხვა: დასავლეთ ევროპული ცივილიზაციის დასასრულის წინკარში შესვლა ნუთუ არ აღშფოთებს ევროპის ქვეყნების ხელისუფლებას?

---

[78] Христианская Европа заканчивается. Что потом? evreimir.com>123482/123482

დასავლეთის ცივილიზებულ ქვეყნებში ხელისუფლება კაი ხანია ფორმალურია, ვინაიდან მას მსოფლიო ფინანსური მაფია ირჩევს და თოჯინად აქცევს. უკვე საყოველთაოდ ცნობადი გახდა, რომ კანონები ყოველთვის მოძალადეთა სასარგებლოდ მოქმედებს, პარაზიტების მხარესაა. კურიოზულად მეჩვენება: გერმანიაში არასრულწლოვანის გაუპატიურების გამო, მშობელმა სასამართლოში იჩივლა, დამნაშავე დააპატიმრეს, მაგრამ მისი საპატიმროში შენახვის ხარჯების გასტუმრება დაზარალებულის მშობელს დააკისრეს. ყველაფერ ამას ზუსტად ახსნა მოუძებნა. ფილკენშტეინმა: "მთავრობის დაპყრობა-ძალიან იოლია თუ თქვენ ბანკი ხართ. როგორც კი ისინი ფულს ისესხებენ, როგორც ჩვენს წიგნებში წერია, ისევე როგორც თქვენს წიგნებში, ის ვინც ფულს სესხულობს-კრედიტორის მონა ხდება, ისევე როგორც ეს ხელისუფლება აქ, ამერიკაში, არის ფედერალური სარეზერვო სისტემის მონა, რომელიც როტშილდის ბანკია"[79]. აქ საჭიროდ ვთვლი იმის აღნიშვნასაც, რომ 300-თა კომიტეტი უძლიერესია, როგორც ფინანსურად, ასევე სტრუქტურულად, მობილურია და ყველანაირ ინფორმაციას ფლობს, თავის გუნდში ჰყავს უნიჭიერესი, მაგრამ ლუციფერული რწმენისა და ბოროტი გენიის კადრები, რომელთაც ადამიანების სიცოცხლე არაფრად უღირთ. „ამ ძალამ განახორციელა ბოლშევიკური რევოლუცია და ტერორი დაამყარა რუსეთში, გააჩაღა პირველი და მეორე მსოფლიო ომები, ომი კორეაში, ომი ვიეტნამში, მოაწყო კრიზისები როდეზიაში, სამხრეთ ამერიკაში, ნიკარაგუაში და ფილიპინებში. ეს საიდუმლო ზემთავრობაა, რომელმაც განახორციელა აშშ ეკონომიკის მიზანმიმართული ნგრევა და საბოლოო დეინდუსტრიალიზაცია ქვეყნისა, რომელიც ოდესღაც მსოფლიოს უზარმაზარი ინდუსტრიული ხელისუფლება იყო"[80].

ზემოთ მოტანილი მსჯელობებიდან ლოგიკურად ისმის კითხვა: თუ დასავლური ცივილიზაცია დასასრულის პირას დგას და სიცოცხლის ბოლო წუთებს ითვლის, საქართველო რატომ ესწრაფვის დასავლეთთან ინტეგრაციას?

ერთის მხრივ, მსოფლიო ფინანსურ იმპერიას საქართველო სჭირდება, როგორც სტრატეგიული ინტერესების სივრცე, მეორეს მხრივ, როგორც ქრისტიანობის ფორპოსტი, რომელიც დასავლეთ ევროპასთან ერთად უნდა დასამარდეს. ამის რეალიზაციისათვის ჩვენთან უკვე შექმნილია არაეროვნული ხელისუფლება და სახელისუფლო რეზერვები, რომელთაც უკვე გვარიანი მოცულობის სამუშაოები შესრულებული აქვთ. განათლების სისტემა მოშლილია და ახლა ნარჩენების გადასუთავება მიმდინარეობს. ხალხს უკიდურეს გაჭირვებაში ამყოფებს, რომ ქვეყნიდან გააქციოს, არც ამჩნევს, რომ მასმედია და ბეჭდური ლიტერატურა გარყვნილებას ემსახურება, მშიერი გოგონები სხეულით ვაჭრობას მიეტანენ და ქვეყანა ბორდელებით აივსო. სამართალი უპოვარია ხალხისთვის, მეცნიერებს არა თუ არაფერს ეკითხებიან, არც უსმენენ, თითქოსდა ისინი არც კი არსებობენ. იზრდება გადასახდები ელენერგიაზე, გაზზე, საწვავზე, უტევენ ქვეყნის მართლმადიდებლურ ეკლესიას გარედან კომპრომენტირებით, შიგნიდან ფარისეველთა მეშვეობით.

ევროპა ზნეობრივი თავაშვებულობისაკენ, ზნეობიდან თავის დასაძვრენად საუკუნეები იბრძოდა და ისიც თანდათან იქამდე დაშორდა ქრისტიანობას, ვიდრე უმცირესობის რიტუალობამდე არ დაიყვანა იგი. დღევანდელი საქართველო ერთბაშად აღმოჩნდა ევროპის არაქრისტიანული ფულის რელიგიის ჭრელა-ჭრელა სამყაროში და შიშველ-ტიტველი თავით ჩაიძირა მასში. მშიერი ქართველი მაძღარ ევროპას ხარბი თვალებით უყურებს და ვერ ამჩნევს, რომ ჭამა-სმაზე გადაგება, ხორციელი ნეტარება მომხმარებლურ-ქრემატისტულ პირუტყვად აქცევს და ის ფასეულობები, რითაც იგი მსოფლიოში იდენტიფიცირებულია, როგორც ერი, სწრაფად ჩამოერეცხება ხასიათიდან, ვინაიდან ქართული ეროვნული სულიერება მართლმადიდებლური რელიგიის ქრისტესეული მარადიული მცნებების ისტორიის გრძელი ქარცეცხლიდან თაობათა ზღვად დანთხეულ სისხლში ნაბანი ღირებულებებია, რომელმაც მისი ეროვნული ფენომენი შექმნა. გაწყობილ სუფრასთან მშივრებს თვალი საჭმელ-სასმელისკენ გაურბის და საერთოდ არ აინტერესებთ, თუ რამდენად ზნეობრივია მასპინძლის ოჯახი.

სულ რაღაც 25 წელიწადი საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ ქართველობა მთელ მსოფლიოში ებრაელებივით გაბნეულიყო. თუკი ებრაელობა ორგანული მთელიდან გაიფანტა და და მას ცენტრისკენული მისწრაფება თან გაჰყვა, რომელიც თვითოეულ ებრაელს საუკუნეები ეწეოდა გაფანტვის ადგილის დედისაკენ, ქართველობა არაორგანული მთლიანობიდან გაიფანტა და მას ცენტრისკენული მისწრაფების მთლიანი ნაციონალური ენერგია არა აქვს, მითუმეტეს, რომ იგი

---

[79]Интервь с раввнином (Абрахам) Абэ Финкельштейном.
antimatrix.org>…Books/Rabbi…Finkelshtein_Interview...

[80] Колеман Дж. Комитет 300. Тайны мирового правительства...rishchuk.ru>pdf/dzon-koleman-komitet-300.pdf
იქვე, c.56

ეკლესიურად ერთიანი რამდენიმე თაობა არ ყოფილა. ეს პროცესი ახლა იწყება საზღვარგარეთის ქვეყნებში ქართული მართლმადიდებლური ეკლესიების მეშვეობით. თუმცა ასეთი ეკლესიების ერთიანობა ცალკე განხილვის პრობლემაა.

...

ქართველი ერის ხსნა მხოლოდ მართლმადიდებლობას შეუძლია, რომელსაც დასავლეთის დაუძლურებულ კათოლიციზმთან შედარებით აბსოლუტური უპირატესობა აქვს, მაგრამ ეს მაინც არ არის თვითრეალიზაციის გარანტია, ვინაიდან ფინანსური იმპერია მისი ძლევამოსილების ზენიტშია, რომელსაც მხარს უჭერს ქართულგვარეზიანი ლიბერასტულად აღზრდილი სახელისუფლო ვასალები. ბევრი მათგანი იმათი მომხრე და მხარდამჭერია, რომლებმაც აღზარდეს. ასევე, ბევრი კიდევ, ფულზე დახარბებულია და სამშობლო მისთვის მხოლოდ გამდიდრების საშუალებაა.

ქართული ეკლესია მონარქიის გარეშე ვერ იხეირებს იმ სიმაღლემდე, რამდენიც ქვეყანას სჭირდება ისევე, როგორც მონარქიას გაუჭირდება რუის-ურბნისის კრებისნაირი ახალ სიმაღლემდე აყვანილი კათარზისებული მართლმადიდებლური ეკლესიის გარეშე. აქ ევროპის კონსტიტუციური მონარქიის პარალელები არ გამოდგება. იგი ჩვენთვის აცდენილი ხაზებია. ქართული მონარქია მის ტრადიციებზე და ეკლესიასთან მჭიდრო თანამშრომლობის საფუძველზე უნდა მოეწყოს. აქვს მნიშვნელობა იმასაც, რომ 200 წლის მანძილზე ჩვენს სამშობლოს სამეფო ხელისუფლება არ ჰქონია, მაგრამ ისიც ხომ არის გასათვალისწინებელი, რომ საქართველოს 13 საუკუნე ბაგრატიონთა სამეფო დინასტია მართავდა, რომელიც უძველესია მთელს ევროპაში. არ ეტყობა ქართველ საზოგადოებას მართლმადიდებლური რელიგიისადმი მასობრივი გულგრილობა და შუმი, „მამალი“ ათეიზმი. მართლმადიდებლობა მარადიულ ჭეშმარიტებას ქადაგებს და ადამიანს ნამდვილი ცხოვრებისთვის ამზადებს, რომელიც სხვებისთვის სამსახური და თავდადებაა. ამიტომ ვერ იტანს ზეციდან მიწაზე დანარცხებული ზნედაცემულობა-ლუციფერი. მართლმადიდებელი ქართველი ადამიანი ყოველგვარ მატერიალურზე ამაღლებულია. ამიტომ არის მასში უმთავრესი სულის სიმაღლე და როცა იგი მას ჰკარგავს, ქართული იდენტურობაც ხელიდან ეცლება.

ეკლესიას მონარქიის აღდგენაში უმთავრესი ადგილი უჭირავს სამშობლოს ინტელექტუალურ ელიტასთან და მართლმორწმუნე მოსახლეობასთან ერთად. მათი თანამშრომლობის ეფექტიანობაზე არის დამოკიდებული მომავალი საქართველოსთვის ადეკვატური პოლიტიკური და ეკონომიკური მოწყობა.

დამღუპველად მოქმედებს ქვეყანაზე ფსევდო ცოდნა და „დასავლური„ განათლება. დღემდე ვერ გაგვიგია, რომ ეკონომიკის საბაზრო პრინციპებზე მოწყობა, საცხოვრისის გაღლეტვა და შენი ხალხის ძარცვაა. მიწის ეროვნულ საკუთრებაზე ხელშეუხებლობაც საკამათოდ აქციეს: უცხოელი ზურგზე ხომ არ მოიკიდებსო. ზურგზე კი არა, მიწაზე იკიდებს ფეხს და მერე იქედან ადგილს არ იცვლის. მოვიდა აფსუა და აფხაზი ვარო. ცოტა ხანში იქედან მართლა აფხაზი გამოდევნა და მის სამშობლოში უმცირესობდ აქცია. ასეთი მოსალოდნელობა ილანდება დღევანდელი გასახედიდან, რაც ყოველდღიურად ფიქრებს და აზროვნებას ამძიმებს (დანართი მტანჯველი აზრები). განათლება თავისი ზოგადსაკაცობრიო ხასიათის მიუხედავად, ეროვნულ ნიადაგზე იზრდება და იქედან მისი მოწყვეტა ქვეყნის კატასტროფაა.

INTERNATIONAL SCIENCE

ASSOCIATION SCIENC
ასოციაცია მეცნიერებისათვის

მოპარული ეკონომიკის ეროვნულ სივრცეში დაბრუნების შესაძლებლობები

ეკონომიკური არჩევანი

ლიბერალური ეკონომიკა აგონიაშია. საჭიროა ახალი ეკონომიკური მოდელის მიგნება არა სადღაც კაბინეტურ აზროვნებაში, არამედ წარსულის სიღრმისეულპლასტებში, ერის სულიერ საგანძურში, კაცობრიობის ინტელექტუალური სიმდიდირის სალაროში, ვინაიდან ყოველი ახალი ძველის წიაღიდან ისახება, როგორც მისი უარყოფა აღმასვლით. ხდება ზოგჯერ ისე, რომ ძველი შობადობისაგან სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზეა, მაგრამ რაკი იგი, ჯერ კიდევ, სიცოცხლის ნიშანწყლის მატარებელია, ახალს კლავენ იმ იმედით, რომ დედა ფერტილობის ასაკს არ გასცდენია და წინ შობადობის მოლოდინის რიგი სიგრძივია.

მეოცე საუკუნის დასაწყისის კაპიტალისტურად გაჭირვებული რუსეთი საოპერაციო მაგიდაზე ძალით შეიტანეს, მაგრამ უნაყოფო მშობიარობის ნაცვლად, ჰერაკლე დაიბადა, 12 წლისამ იშიშვლა მახვილი და თავები დააყრევინა უხეირო ქირურგებს. 30-ე წელს ნაბიჭვარმა სხვისი წაქეზებით შხამი შეაპარა და როცა საიქიოს დაიგულა, მერე საფლავი ამოუთხარა და მსოფლიოს სუპერ ქვეყანა ააოხრა. ტყუილად გაისარჯა გარდაცვლილის დის ექიმბაში-უდღეური აღმოჩნდა ტყუპისცალიც და სამოც წელს გადაცილებული ჭაღარაშერეული შვილებიც. მემკვიდრე არსად ჩანს, ნაბუშრებს დარჩათ ქვეყანა სათარეშოდ. ისიც კი არ იცოდნენ, რისი პატრონებიც იყვნენ. დიდი მოაზროვნე და სატანისტი ზბიგნევ ბზეჟინსკი წერდა, რომ თანამდეროვე კაპიტალიზმი თავისი სიცოცოხლისუნარიანობით ბევრად დავალებულია სოციალიზმისაგან, საიდანაც შესძლო სოციალური პოლიტიკის ზოგიერთი ფორმის გადაღება. იქვე აგრძელებს, რომ „უძლიერეს სოციალურ აფეთქებებში“ მოხვდება ის ქვეყნები, სადაც ტოტალიტარიზმის დამხობის შემდეგ გულუბრყვილო ენთუზიაზმით ეფოფინებოდნენ დემოკრატიულ იდეალებს[81].

ზემოდასახელებული ავტორები გამოსავალს იმაში ხედავენ, რომ უნდა შეიცვალოს დღვანდელი კაპიტალიზმი. კერძოდ, სახელმწიფო მკაცრად უნდა ჩაერიოს ეკონომიკის რეგულირებაში, დააწესოს კონტროლი ბანკებზე (კი, მაგრამ როგორ?), გახდეს უფრო მორალური, გაზარდოს ინვესტიციები ინფრასტრუქტურაში, მეცნიერებაში, კვლევებზე, ადამიანური კაპიტალის გაფართოებში. ეს ყველაფერი თეორიულად რომ შესაძლებელია, გასაგებია, მაგრამ შეისმენენ კი ამას ფინანსური იმპერიის საჭეთამპყრობელნი[82]? კრიზისი მარტო გაღატაკებულ უმრავლესობას კი არა, მთელი საზოგადოების გაბატონებულ სტრუქტურებს და კლასებს ეხება. თუკი პირველებს არაფერი აქვთ დასაკარგი და მათთვის დღვანდელი სიცოცხლე სიკვდილის ყოველდღიურობაა, მეორენი მოსალოდნელი დანაკარგებისაგან შეშფოთებულ;ები თავიანთი უპირატესობების შესანარჩუნებლად არაფერზე დაიხევენ უკან. რუსეთის 1917 წლის რევოლუცია, სამოქალაქო ომი, მეორე მსოფლიო ომი, თანამედროვე ლოკალური და რეგიონული ომები ამისი ნათელი ილუსტრაციებია. განა ფინანსური იმპერია არ უდგას სათავეში გენმოდიფიცირებული პროდუქტების წარმოებას და გავრცელებას, ეკოლოგიური დაბინძურების, ფალსიფიცირებული წარმოების პროცესებს, ზნეობისა და მორალის, ქორწინებისა და ოჯახის ინსტიტუტის აპოკალიფსურ კატასტროფებს? ვინ მისცა თავს უფლება „ოქროს მილიარდის“, ხოლო მეორე შესწორებით ოქროს ორი მილიარდის „თეორია“ წამოეყენებინა. ვინ რა უფლებით დაისაკუთრა დედამიწის 7 მლრდ.-ზე მეტი მოსახლეობის ერთ ან ორ მილრდ.-მდე სეკვესტრირების უფლებები?

ამ ფონზე განსაკუთრებით მძიმეა სსრ კავშირის ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკების კერძოდ, საქართველოს სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა. ჩვენი მოლოდინი მთლიანად აგებული იყო ლიბერალური ეკონომიკის უმაღლეს ეფექტიანობაზე სოციალისტურთან შედარებით და იმ მხარდაჭერაზე, რომელიც თითქოსდა დასავლეთ ევროპიდან და აშშ გველოდებოდა. ახლა უცხო პოლუსზე აღმოვჩნდით სრულიად გაუგებარ სიტუაციაში. ქვეყანა გაძარცვული და გაპარტახებულია, მოსახლეობის უმრავლესობა ქვეყნიდან გაქცეული, ხელისუფლება არა ეროვნული და მოხვეჭაზე გადაგებული. ბზეჟინსკის და სტიგლიცისა არ იყოს-აქაც არის მდგომარეობის გაუმჯობესების თეორიული შანსი: ინვესტიციები წარმოებაში, სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში, განათლებაში და ინფრასტრუქტურაში. მაგრამ სინამდვილეში ყველაფერი საქმე პირიქითაა. იმდენად განვითარებული იყო წარმოება, განათლება, მეცნიერება, კულტურა, ხელოვნება, სპორტი, ინფრასრუქტურა, რომ მათი მითვისების, მიტაცების და ფარული რეალიზაციის წყალობით შეიქმნა საქართველოში ფინანსური მაგნატების კლანი, რომელთაც უზურპირებული აქვთ ქვეყნის ხელისუფლება და ახლაც მთელი სიმკაცრით აგრძელებენ სამშობლოს სიმდიდრეების ძარცვას და მოსახლეობის ექსპლუატაციას.

---

[81] Фельдблюм В. Конец капитализма неибежен. professor.blog2x2.ru/-b1-p103/htm

[82]იქვე.htt:/European.ge/rogor-amaxinjebs-tavisufali-bazris-ideologia-demokratiis-leqsikons/Cpyringht European. ge

განსხვავებით აშშ არსებული მდგომარეობისა, ხელისუფლება თვითონ არის კომპრადორული, უცხო ქვეყნების ხელისუფლებისა და მთავრობის წარმომადგენლები, დასავლეთის ფინანსური იმპერიის ყურმოჭრილი მონები. ამიტომ ისინი ქვეყნისა და ხალხის წინაშე არა მარტო პასუხისმგებლობას არ გრძნობენ, მორიდებაც არა აქვთ, არც მათი ცხოვრების მდგომარეობა აინტერესებთ, არც ის ვინ და როგორ იცხოვრებს მათ ქვეყანაში. „ნაციონალური თვითშემეცნება ეფუძნება რწმენას იმისას, რომ ქვეყნის მომავალი პატრონი ადამიანი არ შეიძლება გულგრილი იყოს მისი ბედისადმი, რომ მისი ძალით, ჩვენ ყველა კორეელი ვატარებთ მის პასუხისმგებლობას, არავის შეუძლია ჩვენი დაყოფა ხელოვნური ბარიერებით“.

ფინანსური იმპერია ბურჟუაზიასთან შედარებით უფრო სასტიკი მძარცველი აღმოჩნდა, ვინაიდან იგი ფულზეა ორიენტირებული და ამიტომ სპეკულაციური მონსტრია, რომელიც საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მხარეს განსმჭვალავს. „საშუალოდ, მდიდრები ნაკლებად იჩენენ თანაგრძნობას, ნაკლები პატივისცემით ეპყრობიან წესებს და ზოგჯერ კანონებსაც, უფრო მეტად კი მიდრეკილნი არიან თაღლითობისაკენ, მათთან შედარებით, ვისაც ეკონომიკურ კიბეზე უფრო დაბალი საფეხური უკავია...აიღეთ ვინმე, ვისი პიროვნებაც ჩვეულებრივ გარემოში შეიძლება მცირედ უსამოვნოა, და მიეცით მას იმგვარი ქონება, რომელიც საშუალებას მისცემს მას შემოიკრიბოს გარშემო მლიქვნელები და როგორც ყოველთვის მიიღოს ის, რაც მოესურვება. ძნელი არ იქნება იმისი შემჩნევა, თუ როგორ შეიძლება მან სახე იცვალოს და გახდეს ლამის პათოლოგიურად ეგოისტი და სხვების მიმართ გულგრილი. ამგვარად, რა მოუვა ერს, რომელიც მზარდ პოლიტიკურ ძალას გადასცემს ყველაზე მდიდრებს?[83]. ქართველ მკითხველს კარგად ემახსოვრება უახლოესი წარსული, როცა „ოცნება“ სახელისუფლო ჩინოსნების ხელფასების მატების საკითხებს იხილავდა. იმ დროს ხელისუფლებაში ახლადმოსული "ტვინები" იმოძღვრებოდნენ-სახელმწიფო მოხელეებს დიდი ხელფასები უნდა დავუნიშნოთ, მოპარვაზე თვალი არ გაექცევა და ქვეყნის აღმშენებლობაზე დღე და ღამეს გაასწორებენო. ეს აბსურდი ხალხის სატყუარად იყო მოფიქრებული. ჯერ ერთი, ქურდი იმიტომ არის ქურდი, რომ უნდა იპარავდეს, რამდენიც არ უნდა ჰქონდეს მოპარული. მეორე, სახელისუფლო კაცი ფულზე კი არ უნდა იყოს დაგეშილი, ქვეყნის აღმშენებლობაზე იყოს თავგადაკლული, იყოს თავისი საქმის გამოცდილი და წარმატებული პროფესიონალი. მესამე, ფულზე დახარბებული კაცი სახელოსუფლო სამსახურში არ გამოდგება, არც გამომდგარა. მეოთხე, მაღალხელფასიანი უცოდინარი მისი ზემდგომის ყურმოჭრილი მონაა და იგი მისთვის ძაღლზე ერთგულია. მეხუთე, ფულზე სულმიყიდული მაღალხელფასიანები ბანკებიდან დიდი რაოდენობის სესხებს ღებულობენ და ქვეყნის ეროვნული სიმდიდრეებს მუქთად ითვისებენ ან სხვებზე ჰყიდიან პირადი სარგებლობის გამრავლების მიზნით. აი, რას ნიშნავს, როცა ხელისუფლებაში გაუნათლებელი, ხარბი და უპასუხისმგებლო ორფეხები მომრავლდებიან. სახელისუფლო პერსონებს მაღალი ხელფასები უნდა დავუნიშნოთ და მოპარვაზე არ იფიქრებენო. არც უფიქრიათ და ისე დაუნიშნეს პენსიონერებს 160 ლარი, რომელიც არჩევნების წინ 20 ლარით გაუზარდეს. ადამიანი არ არის ახლა ზნეობრივი ფენომენი, იგი ფულზე გამოდევნილი პერსონაა. თუმცა სხვა რაიმეს თქმა მსურდა. ჰო, ვის უნდა ვანდოთ ხელისუფლება და ვინ ვართ ჩვენ-ხალხი. პირველ კითხვაზე ნობელიანტები პასუხს ვერ იძლევიან. გასაგებია, ვიდრე ვინმეს აირჩევდე, მანამ უნდა გაარკვიო ეკონომიკური სისტემა. კაპიტალიზმი იმ დღეშია, რაც მას საუკუნის წინ განუსაზღვრეს ზნეობრივმა ინტელექტებმა და მის ადგილმონაცვლედ სოციალიზმი დაამკვიდრეს, რომელიც ფინანსურმა იმპერიამ ზუსტად ისე მოგუდა, როგორც რაკოვსკიმ დაახასიათა მისი დაკითხვისას და რაც თავად იწინასწარმეტყველა სოციალიზმის კონსტრუქტორმა[84].

ბზეჟინსკი ზემოთდასახელებულ თავის 1993 წლის შრომაში წერდა, რომ კაპიტალიზმი თავისი არსებობის ხანგრძლივობას უნდა უმადლოდეს სოციალიზმს, საიდანაც მან მისგან საკმაოდ ბევრი სოციალური პროგრამა გადაიღო. უფრო კონკრეტულია ცნობილი უნგრელი ფილოსოფოსი გაშპარ ტამაში ჩეხ პოლიტიკის პროფესორ იაროსლავ ფიალასთან ინტერვიუში: დღეს რაც ლიბერალურ დემოკრატიას აკლია, არის სოციალიზმი. დღესდღეისობით, არ არსებობს მაკომპენსირებელი ძალა, რომელიც ლიბერალურ დემოკრატიას დემოკრატიულობას შეუნარჩუნებს. დღევანდელი მმართველი კლასები უსაფრთხოდ არიან სისტემის შიგნით. ამგვარად, მათ შეუძლიათ გააკეთონ ის, რასაც თვით ფაშისტებიც ვერ გაბედავდნენ. ისინი ამცირებენ რეალურ ხელფასებს, პენსიებს, კეთილდღეობის სისტემებს, საჯარო სკოლებს, უფასო ჯანდაცვას, იაფ საზოგადოებრივ ტრანსპორტს, საცხოვრებელზე ხელმისაწვდომობას და ა.შ. ვინ გააჩერებს მათ?[8586] ეს არ არის ძველი და ცუდი ბურჟუაზიული

---

[83] პოლ კრუგმანი: პრივილეგია, პათოლოგია და ძალაუფლება. European.ge/krugman-privilege-patology-and-pawer.

[84] Красная симфиония (Откровение троцкиста Раковского).antimatrix.org/Convert/Books/Red

სისტემა. ეს უარესია-ამბობს იგი და 100%-იანი კაპიტალისტური საბაზრო უტოპიის ჩამოყალიბებაზე პასუხისმგებლობას თავის თაობას აკისრებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ სოციალიზმი (სტალინური პერიოდი იგულისხმება) იყო მოსახლეობის მასობრივი კეთილდღეობის სისტემა, რაც მოასწავებდა კაპიტალიზმის შეცვლას მსოფლიო მასშტაბით. ამას უკვე ნათლად ხედავდნენ და თავიანთ თავზე გრძნობდნენ ფინანსური იმპერიის ყველა დონეზე. კატასტროფის საფრთხე, როცა ის გათავისებულია, ყველანაირი რესურსის სწრაფი კონცენტრაციის იმპულებს იწვევს, განწირული დაუნდობელია და სასტიკი, მითუმეტეს თუ იგი უზნეო და ამორალურია, თუ მასში მატერიალური სულიერებაზე მაღლა დგას, უფრო უარესია თუ ვერაგი და გამოცდილია. მერე გამოჩნდება, რომ მსხვერპლის გაღებას, ოცდაათ ვერცხლს სჯობდა დახმარების ხელი გეთხოვა. კაპიტალიზმი მაშინ დაბერდა თავი რომ მოწიფულ ასაკში ეგონა. სულს ღაფავს და უმემკვიდრეოდ რჩება. ახლა უფრო საშიშია სულამომავალი. ბოლოშიც ისეთია, რაც თავში იყო: თუ მე არ ვიქნები, ყველაფერი წყალს წაუღია. რას მოიმოქმედებს ფინასური კაპიტალი, როგორი მასშტაბის კატასტროფა იქნება მისი უკანასკნელი გაბრძოლება, ძნელი წარმოსადგენია. გამოსავლი არ არის სოციალიზმთან მიბრუნება, ვინაიდან ფინანსური იმპერია რაიმე წვრილმანსაც კი არ ტოვებს ცეცხლითა და მახვილით არ გადაუაროს, რაც სოციალიზმის წარსულსა და მომავალს შეეხება. მეორეს მხრივ, არ არსებობს რაიმე პოლიტიკური მოძრაობა, რომელიც მოსახლეობას სოციალიზმისაკენ გაიწვევდა. საქართველო ხომ ამ მხრივ გამონაკლისი არ არის. მთელი მასმედია და 200-ზე პოლიტიკური პარტია ფეხის წვერებზე დგას, რათა მხედველობიდან არ გამორჩეს სოციალიზმის სასარგებლოდ ნათქვამი რაიმე სიტყვაც კი.

საქართველოს დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის საკმარისი რესურსი გააჩნია. პირველ ყოვლისა ეს არის ინტელექტუალური საგანძური, ბუნებრივი პირობები, გეოგრაფიული მდებარეობა, უძველესი ისტორია, ქრისტიანული მართლმადიდებლური რელიგია, მიწათმოქმედების ტრადიციები. მაგრამ ყველაფერი ეს რომ მატერიალურ და სულიერ სიკეთედ იქცეს, არ ჰყოფნის ადამიანური კაპიტალის ისეთი ფენომენი, როგორიცაა ეროვნული ენერგია, ქვეყნის მთლიანობის რესურსი. საუკუნეები გადის და ერთმანეთის გაუტანლობა, შინაამლილობა კვლავ რჩება ერის დაცალკევების, დაპირისპირების, დაჩაჩანაკების უმთავრეს ონკოლოგიურ დაავადებად, რომელსაც ყოველთვის მიჰყავს სამშობლო კატასტროფის პირას და მაშინ ქვეყნის დიდი მესაჭე იძულებულია დახმარებისთვის სხვა ქვეყანას მოუხმოს ან მის იურისდიქციაში გაერთიანდეს. ყივჩავყები მოიშველია დიდმა დავითმა, ევროპას მიავლინა მეფემან ქართლისამ ბერი სულხანი, ერეკლემ რუსეთს აღუთქვა ერთგულება მოკავშირედ, ნოე ჟორდანიას მთავრობა გერმანული და ინგლისური ჯარის იმედად იყო და ღმერთმა იცის რანაირ საქართველოს აშენებდა მისი ჭკუით. ამერიკის იმედზე იყო სოციალისტურიდან კაპიტალისტური საქართველოს დაბადება, რომელიც ახლა ამერიკის პროტექტორატია.

დამოუკიდებლობა არ არის იმპერიის სისუსტით მომენტალური სარგებლობა მოცემულ მომენტში და მისი ქვეშემდგომობიდან გამოქცევა, რომ ჯერ გინდა პოლიტიკური სუბიექტი იყო და მერე დაიწყო ქვეყნის ეკონომიკური მოწყობა. ამ გაუგებრობაზე მიანიშნებდა რაკოვსკი ზემოთდასახელებულ დაკითხვის ოქმში. პოლიტიკური და ეკონომიკური ერთი საქმის ორი მომენტია და არა განსხავებული მხარეები. ამდენად, დამოუკიდებლობა პროცესია, რომლის ბოლო შედეგია თვითუზრუნველყოფა. საქართველო სსრ კავშირის სახალხომეურნეობრივი კომპლექსის სტრუქტურული ერთეული იყო, მართალია, როგორც თვითუზრუნველყოფილი, მაგრამ მაინც ინტეგრირებული სუბიექტი. ამიტომ სსრ კავშირის დაშლა იყო იგივე საქართველოს ეკონომიკის მორღვევა, მითუმეტეს, რომ რუსეთის სავაჭრო ბალანსზე იყო დამოკიდებული ჩვენი ეკონომიკა. ხელისუფლება აბსოლუტურად უმეცარი აღმოჩნდა მისი ქვეყნის ეკონომიკის პრობლემებში, რომლის მძიმე შედეგებსაც ახლა ვიმკით. ყოფილი სსრ კავშირის მოკავშირე რესპუბლიკებიდან აბსოლუტური უმრავლესობა ჩვენთან შედარებით უფრო პრაქტიკული გამოდგა. მათ ძველი ეკონომიკური კავშირები შეინარჩუნეს და თანდათან გააფართოეს თავიანთი ეკონომიკა. არ ვართ მართალი ქვეყნისა და ხალხის წინაშე. გასაგებია, რომ სსრ კავშირში ყოფნა არ მოსწონდათ და დაიშალა, უფრო სწორად დაშალეს, მაგრამ იმავდრიულად რუსეთთან დაპირისპირება ხომ კატასტროფის ტოლფასი იყო. ჰოდა, ჩვენი ტრადიციული შიდადაპირისპირების ავადმყოფობით კარგად ისარგებლეს გარეშე ძალებმა (ძველი აზროვნებით ახალ სისტემაში ვერ იცხოვრებ).

ეკონომიკის მოშლა ჩვენში ახლა ასოცირდება საწარმოების, ორგანიზაციების, დაწესებულებების მასობრივ უმოქმედობასთან და მხედველობის გარეშე რჩება მასობრივი უმუშევრობა, რომელიც თავის მხრივ მარტო დაუსაქმებლობას ან შიმშილს არ გამოხატავს, დაუსაქმებელი ადამიანი აზრობრივად

85http://european.ge/interviu-gaspar-tamashi-vin-arian-evropis-mtrebi/

იფიტება, შემოქმედების უნარს კარგავს. ამას ემატება ისიც, რომ შრომისუნარიანი ადამიანების აბსოლუტური უმრავლესობა სპეკულაციურ საქმიანობას ეწევა, რომელიც უპირატესად პრიმიტიული აზროვნების მოთხოვნადია. ახლა ჩვენს საზოგადოებას უკვე შესამჩნევად ატყვია არა მხოლოდ შემოქმედებითი აზროვნების დეფიციტი, ჰუმანიტარულ-ფილოლოგიური, კულტუროლოგიული განათლება, მისგან გამომდინარე უნარები და ჩვევები. ახალგაზრდობა მოსწყდა წიგნებს, მსოფლიოში გამორჩეული წიგნიერი ქვეყანა უწიგნურობის უფსკრულისაკენ მიექანება. მოსახლეობა იმ დონემდეა დაშვებული, რომ იგი რეფორმებისთვის არ გამოდგება. საზოგადოებას ახალი აზროვნება სჭირდება.

ზემოთ აღვნიშნე საქართველოს ისტორიული ავადმყოფობა შინააშლილობა, გაუტანლობა, შური, ურთიერთმტრობა, ღალატი, შენ-ჩემობია, რომელიც დღეს სრული შესაძლებლობებით მოქმედებს, ლამის სიმაღლის ზენიტშია. ყველა რაღაც პარტიას ქმნის და ქვეყნის სათავეში უნდა მოქცევა. ასეთი არჩევანი ორ შემთხვევაში არის შესაძლებელი: ან უნდა შენი სამშობლოს ღვთისნიერი მოყვარული იყო, ან ეს ქვეყანა შენთვის გინდოდეს. ორივე მათგანს კი ის საერთო აქვს, რომ ქვეყნის ეკონომიკური მოწყობის მოდელი აქამდე ვერ გვიპოვია. მოდელი კიდევ ეპოქის პარადიგმიდან გამომდინარეობს. ამ ეპოქას, რომელსაც ამჟამად ინფორმაციულს უწოდებენ, სხვა სახელი აქამდე ვერ მოუძებნეს. მე, ეპოქის დასახელება „ინფორმაციული“, სწორად არ მიმაჩნია. ზოგადად ინფორმაციაში ფართო გაგებით ცოდნა იგულისხმება ანუ ინფორმაცია რაიმეს შესახებ მხოლოდ განსაზღვრულობა კი არა, ცოდნაა. საკმარისი არ არის იცოდე რომელი კურორტია მსოფლიოში ყველაზე საუკეთესო, საჭირო ხდება ყველა იმ ფასეულობათა ცოდნა, რომელიც იქ დასვენების საშუალებას მოგცემს. ან შეუძლებელია შექმნა, ვთქვათ ახალი ტიპის მანქანა თუ არ ვიცით შემქნილის ანალოგები. უფრო მეტი: შემქნილი საქონლის მოხმარებასაც ცოდნა უნდა. ცოდნა ადამიანის არსებობის წესი ხდება. დღის წესრიგში დგას ბუნების, ადამიანის მიერ შექმნილი ტექნიკური სისტემების და საზოგადოების არსებობისა და ფუნქციონირების მექანიზმების ცოდნა. და კიდევ, ადამიანს ზნეობრივი ცოდნა უნდა ჰქონდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი დაღუპავს თავის თავსაც და თვით სამყაროსაც. ზნეობრიობა კი ქრისტიანული რელიგიის, მართლმადიდებლობის პროდუქტია.

ზნედაცემული ადამიანი სამყაროს მტერია მისი განათლებისა და მეცნიერულობის მიუხედავად. კაცობრიობა გასცდა ქრისტეს გზას და მან არა მარტო სამყაროს მოსპობის საშინელი იარაღები შექმნა, არამედ ადამიანის გადაგვარების, გათახსირების, განადგურების საშუალებები და ეს ახლა იმ მასშტაბებს აღწევს, რომლის ატანა სამყაროს არ შეუძლია. მსოფლიო კატასტროფის წინაშე დგას. მაგრამ არ უნდა გავიგოთ ისე, რომ ყველაფერი ხვალ ან ზეგ, ან გაისად მოხდება და ქვეყნიერება თავისთავად დაიღუპება, რაკი ამას თვით ლიბერალური ეკონომიკის იდეოლოგები და მატარებლები აღიარებენ. ლიბერალური ეკონომიკის კრიზისზე ასეთი კატეგორიული განცხადებები ცნობილი ფინანსისტებისაგან და პოლიტიკოსებისაგან, რომლებიც რამდენიმე წლის წინათ საწინააღმდეგო აზრისანი იყვნენ, ერთი შეხედვით თითქოსდა გაკვირვებას უნდა იწვევდეს. მაგრამ სინამდვილეში საკვირველი აქ არაფერია. ლიბერალური ეკონომიკა მოძველებულია იმდენად, რამდენადაც მიზანი მიღწეულია-ფინანსურმა იმპერიამ უკვე მოიპოვა უმრავლესობაზე ძლევამოსილება. ისინი ფლობენ მსოფლიო სიმდიდრის უდიდეს ნაწილს, სრულად აკონროლებენ ფინანსებს, განათლებას, მათ ხელშია მასმედია, ზედამხედველობენ ინფორმაციის გავრცელებას და ზემოქმედებენ მოსახლეობის აზროვნებაზე, იწვევენ კრიზისებს და ქმნიან საომარ სიტუაციებს, ნაციონალურ ქვეყნებში ირჩევენ კომპრადორულ ხელისუფლებას, რომლებიც საკუთარი ხალხის ექსპლუატაციას ეწევიან უცხოელთა სასარგებლოდ, გრძელდება მოსახლეობის გაღატაკების ტენდენცია და ა.შ. მდგომარეობა თანდათან გაუარესდება, ვინაიდან მის ფონზე ფინანსური იმპერიალისტები ქმნიან მოსახლეობის დადებითი განწყობის სიტუაციებს მსოფლიოს ერთიან მეურნეობად გარდაქმნის მოსაზრებებიდან გამომდინარე, რომლის პრაქტიკულ რეალიზაციას ფუთავენ ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების ახალ საშუალებად. მითუმეტეს, რომ ერთიანი მსოფლიო მეურნეობის ფორმირების რამდენიმე წინაპირობა უკვე შექმნილია გაეროს, საერთაშორისო ვაჭრობის, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის, სსფ, ტრანსნაციონალური კომპანიების და სხვათა სახით.

მსოფლიო მეურნეობის თეორია გარეგნულად მიმზიდველად ჩანს, ვინაიდან აღარ იქნება საჭირო უზარმაზარი მოცულობის თავდაცვითი ხარჯები, არც სახელმწიფოთაშორისი საზღვრები, ადამიანი იცხოვრებს იქ, სადაც მოესურვება, ისწავლის მსოფლოს აღიარებულ სასწავლებლებში, სხვა დანარჩენი არაპრესტიჟული თავისთავად გაქრება, მსოფლიოს ეყოლება ერთიანი ცენტრალური მთავრობა და თითქოსდა აღარ იქნება ნაციონალური შუღლი და მტრობა და სხვა. სინამდვილეში მდიდრებს ხალხის ექსპლუატაციის, გაძვალტყავების მადა კი არ დაუკარგავთ, ავადმყოფობად ექცათ. მსოფლიო ერთიანი მეურნეობა ხალხის უმრავლესობაზე ბატონობის ყველაზე სრულყოფილი ინსტიტუტია, სადაც ადამიანს დაკარგულ აქვს ეროვნულობა, ტრადიცია, რელიგიული რწმენა, ზნეობა, პასუხისმგებლობა, სირცხვილი, სიყვარული, ოჯახური ბედნიერება და მხოლოდ დაქირავებული მუშაა, რომლის ბედს

მდიდარი ამა სოფლისანი განაგებენ. „არასდროს მდგარან ასე ახლოს ადმიანები ერთიანი მთავრობის მსოფლიო სახელმწიფოს შექმნის იდეასთან. თქვენ იცით, რომ მსოფლიო მთავრობა უკვე არსებობს, რუსეთიც შეიყვანეს მასში. როცა იკრიბება „დიდი რვიანი“, წამყვანი სახელმწიფოს ხელმძღვანელები,- ეს მსოფლიო მთავრობის პროტოტიპია, ანუ იმ ეშმაკისეული იმპერიისა, მსოფილო ბაბილონისა, რომელიც ამზადებს ეშმაკის შვილის-ანტიქრისტეს მოახლოებას.

ამის წინ იქნება ყველა პოლიტიკური ლიდერის სინათლეზე გაშიშვლება და სხვადასხვა რელიგიური სისტემებისა და რელიგიური ლიდერების მხილება. რა მაქვს მხედველობაში? ეშმაკის ამოცანა იქნება-ყველა პარტიის, ყველა რელიგიის კომპრომენტირება, რომ როცა ანტიქრისტე მოვა, ყველამ მხოლოდ მასში ერთში დაინახოს სიწმინდე, თუმცა სინამდვილეში მასში არანაირი სიწმინდე არ იქნება“[87].

ზემოაღნიშნულიდან ასეთი დასკვნა გამომდინარეობს. მსოფლიო ახალი გლობალური კრიზისის წინაშე დგას, რომელიც მსოფლიოს ძლევამოსილი ბანკოკრატიის მიერ არის შექმნილი ერთიანი მსოფლიო მეურნეობის დასამკვიდრებლად. ქართველი ხალხის უმრავლესობას, მართლმადიდებლურ ეკლესიას გათავისებული აქვს ამ მოსალოდნებლობის კატასტროფა, მაგრამ, ერთის მხრივ, იგი ვერ ერევა საკუთარი ქვეყნის დამაქცეველ უმცირესობას, მეორეს მხრივ, ფინანსური იმპერიის შემოტევის მარტო დაძლევა მას არ შეუძლია. დღის წესრიგში დგება მართლმადიდებლურ ქვეყნებთან გაერთიანება და მტკიცე თანამშრომლობის ჩამოყალიბება.

ქართული ეკონომიკის ბალავარი

ხშირად გვესმის კითხვები თუ რამ მოიყვანა საქართველო აქამდე, როგორ გადაურჩა იგი მრავალრიცხოვან უცხოელთა სასტიკ თავდასხმით ომებს. ათასნაირ ფაქტებს გამოიტანენ მიზეზებად, ღმერთიც კი არ ავიწყდებათ თვით უღმერთოებსაც. მაგრამ ღმერთი მაშინ შველის ადამიანებს და ქვეყნებს, როცა ისინი ღვთიურად ცხოვრობენ, ღმერთში არიან და ღმერთი მათშია. საერთოდ უჭირს ადამიანს ღვთის სიყვარულით ცხოვრება, როცა მასში ეგოიზმი, შური, მტრობა, ბოროტება დაისადგურებს. ეს განსაკუთრებით მოსახლეობის მდიდარ, მქონებელ ფენებს ეხება, რომლებიც მატერიალურის ტყვეობაში არიან და იმდენად ზნედაცემულები რომ მერე საკუთარ ღმერთებს იგონებენ. სულიერმა სიხარბემ იმსხვერპლა მეოცე საუკუნის რუსეთის იმპერია, მენშევიკების მიერ ქვეყნის ძარცვის გამო იყო მერე სასჯელი სამშობლოსა და ხალხისათვის. იმ საუკუნის 60-იანი წლებიდან მკაცრი უღმერთობისაგან იტანჯება დღევანდელი საქართველო. და თუ დღეს მაინც ვსულდგმულობთ, ეს იმიტომ რომ ბევრი ოჯახი დარჩა ღვთის მოყვარული და შეურყვენელი.

ოჯახები ქმნიან სახელმწიფოს, მაგრამ არა როგორც რიცხვობრიობა, არამედ როგორც ორგანიზმის შემადგენელი სტრუქტურული ერთეულები. ამიტომ სახელმწიფოს სიმტკიცე იმით კი არ გამოიხატება თუ რამდენად მრავალრცხვოვანია იგი, არამედ თუ რამდენად მტკიცეა მისი ფუნდამენტი ანუ როგორია მისი მთლიანობის ხარისხი. მთლიანობას ოჯახები ვერ შექმნიან, ეს ხელისუფლების ფუნქციაა, რომელიც, თავის მხრივ, იერარქიული სტრუქტურაა. ამაში მდგომარეობს ხელისუფლებისა და ოჯახის წინააღმდეგობრიობა. კარგი ოჯახები არ არის ძლიერი სახელმწიფოს გარანტია, ისევე როგორც სახელმწიფოს სისუსტე-მისი ოჯახების დაცემის მიზეზი.

მართლმადიდებლური სახელმწიფო არის ოჯახის ინსტიტუტის განვითარებისა და შენარჩუნების მექანიზმი. ამიტომ არის, რომ მტერი ყოველთვის სახელმწიფო ინსტიტუტის დასუსტებას ცდილობდა. იცვლებოდა სახელმწიფოებრივი წესრიგი, მაგრამ ეს არ ნიშნავდა ოჯახის საფუძვლების მონგრევას. უშლიდნენ ეკლესიაში სიარულს, მაგრამ ოჯახში მაინც ლოცულობდნენ, უშლიდნენ ჯვრისწერას, მაგრამ ჩუმად მაინც იწერდნენ ჯვარს, აიძულებდნენ ყოფილიყვნენ უღმერთოები, მაგრამ დილასა და საღამოს ლოცვებს კითხულობდნენ, გულით ღმერთთან იყვნენ, უშლიდნენ ნათლობას, მაგრამ მაინც ინათლებოდნენ, მამაპაპისეულ მიწებს „აჭრიდნენ“, მაგრამ მეორე თუ მესამე უტიფარი დაპატრონებას ვერ ბედავდა და ა.შ. ამან მოიყვანა აქამდე საქართველო და გადაურჩა იგი ათასი ჯურის სასტიკ დამპყრობლებს.

ისტორიულმა გამოცდილებამ ასწავლა კაცობრიობის მტრებს თუ როგორ დაშალონ ეროვნული სახელმწიფო და მისი ბალავარი-ოჯახი. ჩვენი გამოცდილება გვიჩვენებს, რომ სახელმწიფოს მტრობა ყველაზე უკეთ მის მოქალაქეებს შეუძლიათ. ამ მიზნით შესატყვისი ადამიანების პოვნა არასდროს ყოფილა ძნელი. მაგრამ უფრო „უკეთესია“ თუ ისინი პროფესიულ მომზადებას სუპერ სახელმწოფოში გაივლიან. მერე საკუთარი ქვეყნის მტრები სამშობლოს მტრებზე უარესად მოქცევიან. ამის ნათელი მაგალითია ნაციონალური მოძრაობა, რომელმაც თავისი ნაციონალობის ნიღბით სამშობლო

[87] Беседы еа Апокалипсис. apokalypsis.ru/.../besedyi-na-apokalihsis

დაანაწევრა და რუსეთის, აშშ ფეშქაშად აქცია, ეკონომიკა დაამხო, მოსახლეობის ლამის ნახევარი ქვეყნიდან გააქცია, მეცნიერება და განათლება მოშალა, მორალსა და ზნეობას წყალი შეუყენა, ოჯახსა და ეკლესიას ხომ კაი ხანია ძირს უთხრის.

ოჯახის მოშლის ორი მიდგომა გამოიკვეთა ჩვენს ცხოვრებაში. ოჯახური მეურნეობის დაცემა (ვგულისხმობ ოჯახს დამოუკიდებლად იმისაგან ოჯახური მეურნეობაა იგი, თუ მისი წევრები გარე სამუშაოს დაქირავებული აგენტები არიან) და განათლების ტრეფიკინგი. ოჯახი სამეურნეო და სოციალური ერთეულია. მისი მეურნეობრიობა დაფუძნებულია მორალსა და ზნეობაზე. შრომის დანაწილებას და შემოსავლების გაყოფას ათასწლოვანი ტრადიციის ღვთიური წესრიგი მართავს, რასაც აქამდე მამაკაცი ახორციელებს. საკმარისია მას სიყვარული გამოეცალოს, რომ ოჯახი სიმტკიცეს დაჰკარგავს.

უღმერთობამ დასცა ოჯახი როგორც ქვეყნის ბალავარი დასავლეთში, რომელსაც ეგოიზმი ჩაენაცვლა. საქართველოში ოჯახს უმძიმესი დარტყმა მიაყენა ქვეყნის ეკონომიკის მოშლამ. ქვეყნიდან გაქცეული ქალი შეიქმნა კერიის დამფინანსებელი. ამან ოჯახს ფორმალური მთლიანობა შეუნარჩუნა, მაგრამ მისი დანარჩენი წევრები წმინდა მომხმარებლებად აქცია, რომელთა უმრავლესობას დაკარგული აქვთ ეკონომიკური აქტივობის უნარი. გარედან მიღებულ თანხებს აქაური აბსოლუტური უმეტესობა მხოლოდ გართობაზე და კომფორტის მოწყობაზე ხარჯავენ, რომლის გამოხატულებაა იმპორტული პროდუქციის პრევალირება ეროვნულზე, როცა ეროვნული მეწარმეობრივი საქმიანობა პრაქტიკულად იშვიათი ხდება. ნაჩუქარი ფულით არც ქვეყანა შენდება და არც ოჯახი. ნაჩუქარი, მიძღვნილი ფული შრომის იმპულსების იშვიათი მუხტია. ფული სიყვარულის ეკვივალენტი არ არის. ფული სიყვარულზე ამხედრებაა. ერთი ღვთიურია, მეორე კი ლუციფერული. ფულის სიყვარული ოჯახის ნგრევის ყველაზე ეფექტიანი ენერგომუხტია. „თუ ქალი იმაზე მეტს გამოიმუშავებს, ვიდრე საკმარისია, თავი დამოუკიდებლად იგრძნოს, იგი არანაირად არ ეცდება ეძებოს ქმარი...ქმრების, ცოლების და ბავშვების ოჯახური ვალდებულებებისაგან გათავისუფლებით, ევროპელმა სოციალისტებმა ააცილეს კერიას ოჯახის საზოგადოებრივი მოთხოვნილება. ამ ინსტიტუტთან ერთად დაიწყო ევროპის დასასრული...ჰო, ჩვენ ვშორდებით ერთმანეთს არა მხოლოდ ფიზიკურად, არამედ სულიერდაც“[88].

რატომ ხდება ასეო, კითხულობს პატრიკ ბიუკენენი და ძირითად მიზეზად ქრისტიანობის დაცემას გულისხმობს, რომელშიც კათოლიციზმს, კერძოდ მის კონკრეტულობას-პროტესტანტიზმს გულისხმობს, და რაც მაქს ვებერს აშშ მეწარმეობის წარმატების მთავარ ფუნდამენტურ პრინციპად მიაჩნდა და რასაც ათეული წლების მანძილზე ენაზე იხვევდნენ კაპიტალიზმით აღტაცებული უმაღლესი სკოლების საგანმანათლებლო ეშელონები და ნაკლებად აინტერესებდათ ის, თუ როგორ და როდის აღმოჩნდებოდა დაჩოქილი პროტესტანტიზმი და კათოლიკობა ფინანსური იმპერიის ზრდის კვალობაზე. როგორც ირკვევა პროტესტანტიზმი კი არა, წარმატების საიდუმლოება თურმე ეკონომიკურ პროტექციონიზმში მდგომარეობს, რასაც ისინი დღემდე უმალავენ დანარჩენ ქვეყნებს. მხოლოდ ჩინეთმა, ინდოეთმა და სამხრეთ კორეამ გაიტანეს თავისი-ყურად არ მიიღეს მსოფლიო ფინანსური ინსტიტუტების რჩევები და აზიის „ვეფხვებად“ იქცნენ[89]. ჩვენთან მხოლოდ მართლმადიდებლობა შემორჩა მაცხოვრის ერთგული, რომელსაც რამდენი ასეული წელიწადია, რასაც ფულის რელიგიის მსახურები მახვილშემართული დევნიან მსოფლიოს ყველა კუთხეში მასმედიის ნებისმიერი საშუალებებით საგანმანთლებლო სტრუქტურის თითოეულ საფეხურზე და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში.

განათლების სფერო უკვე დააჩოქა ლიბერასტებმა, წლები გადის და იშტამპება არატრადიციული ორიენტაციის, ეროვნულობას მოწყვეტილი, განარცისებული თაობები. მსოფლიო მთავრობის იდეა ძალას იკრებს და შემოტევა გადაშენებას უპირებს „შეშინებულ საზოგადოებას“ (პ. ბიუკენენი) და ყოველგვარ ეროვნულს. საქართველო ამ ომს ვერ გაუმკლავდება, ისევე როგორც ვერც მთელი მართლმადიდებლური ქრისტიანული სამყარო, მას მხოლოდ ამ ქარიშხლის გადახდა, ქვეშგაძრომა შეუძლია, უნდა შეიფუთოს, დაფარული დარჩეს, ღვთის სიყვარულით იცხოვროს და გამოატაროს ოჯახი შეურყვნელად. მას ამისი გრძელი და მწარე გამოცდილება აქვს.

განათლების ეროვნული ხასიათი

[88] Бьюкенен П. Смерть Запада. с. 12,17, 20, 21.М.: АСТ, 2003.

[89] გლობალიზაცია, როგორც ღარიბი ქვეყნების განვითარების მუხრუჭი. PoiliticanolwordPRESSS.com

გავრცელებული აზრით განათლებაში იგულისხმება თეორიული ცოდნის ათვისებისა და პრაქტიკული ჩვევების გამომუშავების შემოქმედებითი მიზანდასახული პროცესი, რომელიც ხორციელდება საგანმნათლებლო სისტემის ვერტიკალური და ჰორიზონტალური განშტოების მეშვეობით და მოიცავს დროის, სწავლის პერიოდს ბაგა-ბაღის ასაკიდან დოქტურანტურის ჩათვლით. განათლების ცნების ასეთი განმარტება ნაკლოვანია იმდენად, რამდენადაც: ჯერ ერთი, განათლება უწყვეტი პროცესია და იგი მიყვება ადამიანს სიცოცხლის ბოლომდე; მეორე, განათლება ივსება პიროვნული ინტერესებისა და მისწრაფებების ზრდის ბაზაზე; მესამე, განათლების სივრცეში იჭრება მასმედიის საშუალებები; მეოთხე, განათლებაზე მოქმედებს პოლიტიკური და იდეოლოგიური, სოციალური და ეკონომიკური ინსტიტუტები თავიანთი ინტერესებიდან გამომდინარე. რა თქმა უნდა, აქ ვგულისხმობ, როგორც ლოგიკურ, ასევე დიალექტიკურ ურთიერთობებს მათ შორის.

განათლება არ არის თვითმიზანი, განათლება ეპოქას მიყვება. ამიტომ იგი ხან პიროვნების ჰარმონიულ აღზრდას, ხან მეომრულ, ხან პატრიოტულ, ხან რელიგიურ, ხან პროფესიულ აღზრდას ემსახურებოდა. თანამედროვე ეპოქას სჭირდება ისეთი განათლების ადამიანი, რომელსაც, ერთის მხრივ, ექნება თანამდრევე რთული სტრუქტურის სამყაროში ადაპტირების უნარი, ხოლო მეორეს მხრივ, დინამიკური ინოვაციური აზროვნება-არსებული ფიზიკური რესურსებისა და ინტელექტუალური ფონდების მასივებიდან შექმნას საქონლისა და მომსახურების ახალი სახეები. ეს ყველაფერი თითქოსდა ლოგიკურია, მაგრამ გამოტოვებულია ის, რომ განათლება მონოპოლიზებული და გაყოფილი-იდეოლოგიზირებულია, მიტაცებულია ფინანსური იმპერიის მიერ. წინა პარაგრაფებში ჯ. კოლემანის „300 კომიტეტიდან“ იმდენი მასალა მოვიტანე, რომელიც საკმარისია იმის საილუსტრაციოდ თუ როგორ ხდება ინტელექტის კონცენტრაცია ვიწრო კლანების ხელში და ცოდნის გამოყენება ტვინების გამოსარეცხად. აქ რამდენიმე ამონარიდს მოვიტან ნობელიანტ ჯ. სტიგლიცის გახმაურებული ნაშრომიდან „უთანაბრობის ფასი“. ეკონომიკის სახლმძღვანელოები სტუდენტებს აბრუებენ, მასმედია მოსახლეობას ტვინს უბურღავს, რომ ბაზარი რესურსების განაწილების საუკეთესო მექანიზმია, ხოლო საბაზრო ეკონომიკა-ყველაზე ეფექტიანი. ჰო, „ეფექტიანობა უნდა იყოს ბაზრის ზნეობრივი საფუძველი, მაგრამ ბაზრები აშკარად არაეფექტიანია“[90]. ბაზარი ხომ თავისთავად არ იქმნება „...ბაზრები თვისთავად არ მოქმედებენ, ისინი ფორმირდებიან ჩვენი პოლიტიკური მოღვაწეების მიერ, და როგორც წესი, იმ მიმართულებით, რომელიც მათთვის ხელსაყრელია“[91]. საყოველთაოდ ხელმისაწდომი ინფორმაციიდან ვიცით, რომ აშშ სიმდიდრის უმეტესი ნაწილი კონცენტრირებულია სახელისუფლო წრეებში, რომლებიც კოჰაბიტირებული არიან მსხვილ საფინანსო კორპორაციებთან. „ბანკირებმა და პოლიტიკურმა ლიდერებმა (როგორც ჩანს, საკმაო წარმატებით თანამშრომლობენ ერთმანეთს შორის) მიაგნეს როგორ შეიძლება შეიქმნას ფინანსური სისტემა, რომელიც დაამარცხებს წარმოქმნილ მზარდ რისკებს საბაზრო მანიპულაციებით და მძარცველობითი მოქმედებებით“[92]. „პოლიტიკას, ისევ როგორც ბაზარს, ფული მართავს“[93]. ჯ. სტიგლიცის დასახელებული ნაშრომიდან ირკვევა, რომ მოსახლეობა არც ხელისუფლებას აინტერესებს და მითუმეტეს არ აინტერესებს ბანკებს, ვინაიდან ისინი ერთ მთლიან სტრუქტურად იქცნენ და მოსახლეობის მხრებზე დგანან. ტექნიკის და ტექნოლოგიის განვითარებამ „ზედმეტი“ ადამიანების კვლავწარმოება გამოიწვია. პოტენციალური დასაქმების ობიქტებად რჩება ეკონომიკის ისეთი სექტორები, როგორიცაა მეცნიერება, განათლება, ჯანდაცვა, სააფთიქო ქსელი, საყოფაცხოვრებო ინფრასტრუქტურა. განათლებისა და ჯანდაცვის ინსტიტუტები სახელმწიფო ყურადღების ქვეშაა იმდენად, რამდენადაც ფინანსურად ხელსაყრელია იგი ზემდგომი პირებისთვის. ჯ. სტიგლიცს მოაქვს ფაქტობრივი მასალები თუ როგორ ერევა მთავრობა წამლებზე ფასების ხელოვნურად გაზრდაში, რათა მეტი მოგება ნახოს. სპეკულაცია და საბაზრო მაქინაციები უფრო საინტერესოა ხელისუფლების ზედა ეშელონებისა და ბანკებისათვის, ვიდრე წარმოება. ავტორის აზრით, მომავალში უკეთესობა ექნება იმ განვითარებად ქვეყნებს, რომელთაც აუთვისებელი ბუნებრივი რესურსები, იაფი მუშახელი გააჩნიათ.

მოსახლეობისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს ინფორმაციის ხელმისაწვდომობას, მის სიზუსტეს, უტყუარობას, ეკოლოგიურ სისუფთავეს. არ არის სწორი აზრი, თითქოსდა, მდიდარი ამერიკელი ინვესტიციების მიმწოდებელია. სწორია ჯ. სტიგლიცი იმდენად, რამდენადაც მართებულად მიიჩნევს: ფულს მაშინ აქცევენ ინვესტიციად, როცა მისგან მაღალ უკუგებას ელიან. ლიბერალური ლოზუნგებით გაბერილი ჩვენი ქვეყნის პოლიტიკანები ხმის ჩახლეჩამდე ყვიროდნენ, რომ თუ ქვეყნის

[90] Стиглиц Дж. Цена неравенства. ООО. Издатеьство «Эксмо». 2015. с.56
[91] იქვე, გვ. 23
[92] იქვე, გვ. 39
[93] იქვე, გვ. 77

სახელისუფლო ჩინოსნებს მაღალ ხელფასებს დაუნიშნავდნენ, კორუფცია არ იქნებოდა. კორუფციისა და ნეპოტიზმში ჭაობში იხრჩობა ჩვენი სამშობლო. ნებივრობენ და ურცხვად ირჯებიან ხელისუფლების სათავეში მოქცეული უნოჭოები და გაიძვერები. რაც უფრო დაბალია განათლების დონე, მით უფრო ადვილად მართვადია ხალხი. ყურსაც არა აპარტყუნებენ იმაზე, რომ 2 მილიონი ადამიანი ცხვრის ფარად მოეფინა მსოფლიოს, ბევრი კიდევ ჩემოდნებზე ზის. ჯანსაღი ქალების გარეშე რჩება ქალის უძველესი კულტის ქვეყანა. ბინძური და მონური სამსახურიდან აქეთ დარჩენილი ოჯახის წევრების სარჩენად გამოგზავნილ ფულს უნიჭო სახელისუფლო მოსამსახურეები მთლიან ნაციონალურ პროდუქტს უმატებენ და მასმედიიდან მოგვჩხავიან-ეკონომიკა ვითარდება, წინ მიდისო. **აი, ეკონომიკური ევრიკა: როცა ხალხი სამშობლოდან გარბის, ეკონომიკა აღმავლობისკენ მიდის. რაც უფრო მალე გაიქცევა ყველა შრომისუნარიანი აქედან და პენსიონერები მათ კვალდაკვალ დაიხოცებიან, საქართველო უქართველებოდ ეკონომიკური აღორძინების ზენიტში აღმოჩნდება!!!**

ზემოთ დასახელებული სამი ქვეყნის ეკონომიკური სასწაულის საიდუმლოდ პროტექციონიზმი მიიჩნევა, რომელიც გერმანელი მეცნიერის ფრიდრიხ ლისტის ეკონომიკური მიგნებაა, რომელმაც ინგლისისსა და სხვა ევროპული წვეყნების სტატისტისკური მონაცემების საფუძველზე დაასაბუთა, რომ ამ სახელმწიფოების წარმატებები პროტექციონიზმის პოლიტიკის შედეგი ყოფილა, რომელსაც ახლა ეკონომიკური თეორიის სახელს არქმევენ.

უცნაური ხალხი არიან ეკონომისტები. რას არ მოიფიქრებენ ხალხის გამოსათაყვანებლად. სახელის მოსაპოვებლად ზოგი ფარისევლობს, ბევრმა კიდევ ეშმაკს მიჰყიდა სული და სქელტანიანი წიგნებით საშუალო და დაბალ აზროვნებას ტვინს უწყალებს. ქვეყნის სიმდიდრის, მისი საზღვრების დაცვა მეცნიერებაა? „ეკონომიკური თეორიის 95 პროცენტი-ეს მხოლოდ ჯანსაღი აზრია, რომელსაც რთული სახე მისცეს სოციალური ტერმონოლოგიისა და მათემატიკის საშუალებით“[94].

ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარეობს დასკვნა. განათლება ქვეყნის აღორძინებისა და მისი მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესების ერთადერთი საუკეთესო საშუალებაა. ამავე დროს იგი ძლევამოსილი იარაღია ინტელექტუალური მონოპოლიის ხელში მასებზე ზემოქმედების მიზნით. მართვა შეუძლია მას, ვინც იგი იცის. 300-თა კომიტეტის მსოფლიო მეურნეობის პრეტენზიებიც აქედან გამომდინარეობს. განათლებას აქვს თავისი ანტიპოდი-ფსევდოგანათლება, რომელიც მსოფლიო ფინანსურ იმპერიას სჭირდება ხალხის გასაბრუელბლად. ამავე ცნებაში ვგულისხმობ უზნეო განათლებასაც, რომლის მიზანი მხოლოდ პირადი, კლანური, კერძო სარგებლიანობაა, ვიწრო ჯგუფების პრიორიტეტია. აქედან ისე გამოდის, რომ განათლებისადმი თანამედროვე მოთხოვნების აუცილებლობას უპირისპირდება განათლებაზე ხელმისაწვდომობის მანიაკური შეზღუდულობა.

განათლება თავისი ხასიათით ეროვნულია და ზნეობრივი. ხშირად მომისმენია კითხვა: განა ქიმია, ფიზიკა, ან მათემატიკა ეროვნულია? აქ ერთმანეთში არის არეული მეცნიერული ჭეშმარიტების ყოვლადობა და ერის მეცნიერული ტრადიციები. ეს უკანასკნელი ათასწლეული ცოდნისა და უნარ-ჩვევების კონცენტრაციაა, რომელსაც შინაგანი ენერგია (განათლების ცოდნად, უნარ-ჩვევბის მოძრაობად გარდაქმნა, რომელიც მოთხოვნად საქონლად და მომსახურებად იქცევა) ამოძრავებს სრულყოფისაკენ. ქართველმა კაცმა ათასწლეულების წინ შექმნა ვაზი და ამრავლა მისი ჯიშები. მისი შენახვის უნიკალური ეროვნული ჭურჭელიც გამოიგონა-ჭური (ქვევრი), რომელიც ახლა იუნესკოს არამატერიალური კულტურის საგანძურიც არის; ღვინის დაყენების, შენახვისა და დაძველების უნიკალური საშუალება, რომელიც სულ ახლახან გახდა საქართველოს საექსპორტო საქონელი ევროპის მეღვინეობის ქვეყნებისთვის. მკითხველი იოლად მიხვდება იმას, რომ აქ მხოლოდ ნივთი კი არ არის მხედველობაში, არამედ მისი დამზადების ტექნოლოგია და ქართული ტრადიციული, ადამიანური კაპიტალი.

როგორც ვატყობ, შენიშვნის გაკეთება მომიწევს იმის გამო, რომ განათლებაში ვგულისხმობ არა მხოლოდ სასწავლო დაწესებულებათა ქსელს თავისი პროფესიონალური შემადგენლობით, არამედ იმასაც, რომელსაც ცალკეული ადამიანი აღწევდა/აღწევს თავისი აზროვნებით, ბუნებრივ და საზოგადოებრივ პროცესებზე დაკვირვებით. ის, რაც ადამიანმა შექმნა აზრის მოძრაობით, ცდებით და თვითდაკვირვებით, ასეული თუ ათასეული წლების მერე წერილობით, არამატერიალურ ფორმად, ყველასთვის ხელმისაწვდომ ცოდნად იქცა, პრინციპულად არ განსხვავდება ისეთი ცოდნისაგან, რომელსაც დღეს საგანმანათლებლო სისტემა იძლევა. საილუსტრაციოდ ისევ ქართული მაგალითები გამოგვადგება, როგორიცაა ძაფის წარმოების უძველესი ტექნიკა, ოქროს მიღება, მეტალურგია და ღვინის დაყენების ქართული ტრადიციები.

განათლების ეროვნულობა გამომდინარეობს არა მარტო იქედან თუ რამდენად გრძელი ისტორიისა იგი, არამედ იქედანაც, რომ ეროვნული პროდუქციის „ინტერნაციონალიზაცია“ და იმპლანტაცია სხვა

---

[94] Джун Чаг Ха. Как устроена экономика. с. 6

ქვეყნებზე მოუხერხებელია ან ეკონომიკურად არახელსაყრელია. მაგალითად, ჩურჩხელა, მაყვალი, ხილი, სასმელი წყალი და ა.შ. ახლანდელი ეკონომიკის პირობებში, როცა ქვეყნებს შორის საერთაშორისო ურთიერთობების მასშტაბები სწრაფად იზრდება, წარმატებები იმ ნაციონალურ პროდუქციაზე არის დამოკიდებული, რომელიც ეროვნული განათლების ბაზაზე იქმნება. პროდუქტიულობასა და შრომისნაყოფიერებას მნიშვნელობა კი არ დაუკარგავს, ორიგინალურმა და ეროვნულმა პროდუქციამ აიმაღლა ფასი. გამოდის, რომ ეროვნულობის ფენომენი მიწიდან მოდის, მიწაზე დგას და ჩაბუდებულია ქვეყნის აბორიგენი მოსახლეობის ცხოვრების წესებში.

ეროვნულობა არ არის აბსტრაქცია. ეროვნული ვერ იქნება ქვეყანა, რომელმაც არ იცის ისტორია და კერძოდ მისი ქვეყნის ისტორია, სამეურნეო ცხოვრების წარსული, ბუნებრივი რესურსები, ენა, ლიტერატურა, ხელოვნება და კულტურა, რელიგიური თავისებურებანი, ერის სულიერი მოღვაწეობის ფენომენები, პატრიოტიზმი. განათლება, განსაკუთრებით ბოლო ათწლეულის მანძილზე, ეროვნულობის გაქრობის მექანიზმად იქცა, რომელიც სწრაფად ასუფთავებს ეროვნული მეხსიერების სალაროებს და მის ადგილზე ამკვიდრებს სექსუალურ აღზრდას, სოციალური ჯგუფების უფლებამოსილებებს, ეროვნულ ნიჰილიზმს, ტრადიციების ჩამორჩენილობას, ემანსიფიკაციას, ევთანაზიას, ეკუმენიზმს, ხვალინდელი დღის უიმედობას, დექრისტიანიზაციას. უკვე თვალში საცემია საშუალო და ახალგაზრდული ასაკის ადამიანების ეროვნული ფასეულობების დეფიციტი. მასმედიის საშუალებებით ქუჩაში შეჩერებული ადამიანების გაკვირვებები თუ ვინ არის ვაჟა ფშაველა ან სად არის დამარხული ბაში აჩუკი, არაფერია იმასთან შედარებით, რომ მესამე და მეოთხე კურსის სტუდენტთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ არ იცის თავის ქვეყნის ისტორიის უმნიშვნელოვანესი თარიღები, გამოჩენილი პიროვნებები, არ გაუგონია დავით გურამიშვილი, ტიციან ტაბიძე, გიორგი ლეონიძე, ნიკოლოზ მუსხელიშვილი, აკაკი შანიძე, მედეა ჯაფარიძე და სხვა. ამ დაკვირვებას უკვე ათი წელიწადია ვაწარმოებ. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ წელიწადში მინიმუმ 300 სტუდენტს მაინც ვხვდები, გასაგებია თქვენთვის თუ რამდენად წარმომადგენლობითია სტუდენტთა პასუხები. ჩემს კითხვაზე, რომელიც ისე შეპარვით იყო ნათქვამი, რომ დაბნეულობა არ გამოიწვია, თუ რას აპირებენ ისინი სრული კურსის დამთავრების შემდეგ, ორი პასუხი გამოიკვეთა. უმრავლესობამ არ იცის, რას გააკეთებს მომავალში, ხოლო დანარჩენები უცხოეთში წასასვლელად ემზადებიან. სამშობლოსა და ხალხს ვემსახურებიო არავის გახსენებია. ბებია-ბაბუა კი არა, დედ-მამაც ფიქრების იქით დარჩა. ასე აცლის ეროვნულ სულს ახალგაზრდობას განათლების ახლანდელი სისტემა.

ზნეობა ეროვნულობის სიმტკიცეა, ღვთიურია. ამიტომ ზნეობრივი ვერ იქნება უღმერთო, უიმედო, ურწმუნო, ლუციფერი. განა ზნეობრივ ქართველს აზრად მოვუა სამშობლოს მიწის სავარგულების გაყიდვა? რაკი უზნეოა, მას არ აინტერესებს, არაფრად მიაჩნია მიწის სხვა ქვეყნის მოქალქეებზე მიყიდვა. ყველაფერში ფულს ხედავს. მიწა მისთვის ეროვნული საგანძური, სიმდიდრის, ადგილის დედა კი არ არის, ფულის მომტანია. ფული კიდევ ქონება ჰგონია. რამხელა ძლევამოსილება მოიპოვა ფინანსურმა იმპერიამ აზროვნებაზე-ადამიანები სიმდიდრედ ფულს აღიქვამენ და არც ახსოვთ, რომ ფულის უკან არანაირი მატერიალური სიმდიდრე არ იმალება, რომ ფული, რომელიც დოლარის შვილობილია, ეროვნული ღირებულებების ჩრჩილია, სიყვარული და მეგობრობა ამოაქვს სულიდან. ამას ახლა უკვე ყველა ქართველი უნდა გრძნობდეს.

ეროვნულობა ერისგან ნაწარმოები სიტყვაა. „ერი არის ისტორიულად ჩამოყალიბებული ადამიანთა მყარი ერთიანობა, წარმოქმნილი ენის, ტერიტორიის, ეკონომიკური ცხოვრების და ფსიქიკური წყობის ბაზაზე, რომლის გამოხატულებაა კულტურის ერთიანობა“[95]. ამ ოთხი ნიშნით განსაზღვრულია ერის ნომენკლატურა. ამ ცნებაში მოქცეულია ერის არსებითი მახასიათებლები. ეროვნულობა კი ერის რომელიმე ნიშნით დახასიათებაა. თუ ასეთი კუთხიდან შევხედავთ ქართველი ერის მდგომარეობას, გამოდის, რომ ერის გადაშენების მრავალმხრივი სიმპტომი არსებობს. განვიხილოთ ერის ზემოთ მოტანილი განსაზღვრულობის ოთხივე ნიშანი.

ენა ერის თვითმყოფადობაა, მისი ისტორიის, განსწავლულობის, ეკონომიკური და კულტურული განვითარების გამოხატულებაა. ამავე დროს ენა ზნეობრიობის მატარებელია. კულტურის სიმაღლის მეტრია. მიუხედავად იმისა, რომ ქართული ენა ერის საგანძურია, მაინც შეირყვნა ენა ქართული, დაბინძურდა, არისტოკრატიულობა წაერთვა და პირზე მომდგარ სიტყვებად იქცა. თუკი აქამდე ჩვენ ენაში ვეძებდით სიტყვებს სამკაულებად, ახლა ენა მდაბიურობამდე ჩამოიქცა და ბარბარიზმებით გაივსო. უფრო მეტიც, რაღაც განსაწავლულობის ნიშნადაც კი აღიქმება სხვა ენებიდან კალკირებული სიტყვები, რომლის ქართული შესიტყვება ლექსიკურად ცნობილია.

ქართულ ენას აქვს თვისი შინაურული, ფამილიარული სამყარო, კუთხური წარმომავლობა და კუთვნილება, რომლის დაღვინებაა ლიტერატურული მოქალაქეობა, განსაზღვრული სახელმწიფოს

[95] Сталин. Марксизм и национальный вопрос. с. 296-297

სპეციალური სამსახურის მიერ. ამდენად არის ენა კულტურის ფენომენი, ეროვნული გარკვეულობა. არ შეიძლება ოფიციალური წერილები იწერებოდეს ლიტერატურული ნორმების დაუცველობის გარეშე. არც მასმედიას აქვს იმისი უფლება ისე წერდეს და საუბრობდეს, როგორც მოეხასიათება. ენა, როგორც ეროვნულობის მახსაიათებელი მძიმე დღეშია, ირყვნება და უფასურდება, სცილდება იგი ზნეობის ფარგლებს. მოზომილი, აწონილი სიტყვები დეფიციტი გახდა.

ტერიტორია ერის საცხოვრისია, მისი ერთიანობის სიმბოლოა. მიწას, წყალს, ბუნებრივ რესურსებს, ადგილის დედას მოვლა და დაცვა სჭირდება. ლიბერასტულმა იდეოლოგიამ შექმნა მახინჯი აზროვნება, რომლის მიხედვით სახელმწიფოს ეროვნულობა მოძველებული ცნებაა, გადმონაშთია წარსულიდან და ამიტომ ყველაფერი უნდა გაიყიდოს, სინდისის გარდა. არადა, ყველაფრის გაყიდვა რომ მოიფიქრო, მანამდე სინდისი უნდა დაკარგო, რომელიც ზნეობის შინაგანი ინსტრუმენტია, მისი მაკორექტირებელი და მაკრისტალებელი. ტერიტორიები დავკარგეთ და ამაში დამნაშავე ჩვენ თვითონ ვართ. არ ეყო ხელისუფლებას ჭკუა და გონება, ზნეობრივი სიმაღლე. ახლანდელ ხელისუფლებასაც ეტყობა, რომ ქვეყნის დაკარგული ტერიტორიებისთვის სულ არ სცალია, რაც საკმარისია მისი პირადი ცხოვრებისთვის ხელთ უპყრია და განცხრომაშია.

არაფერი არ ამჟღავნებს ადამიანს ისე ცხადად, როგორც ცუდი აღზრდა და განათლება. სამშობლო, რომლის ტერიტორიაზე მტკაველ მიწას ვერ იპოვის კაცი წინაპართა სისხლით არ იყოს მორწყული და ოფლით გაპოხილი, არაფრად ეპიტნავებათ სადღაც ტრენინგით ტვინგადმობრუნებულებს და ისე წამოისვრიან მიწა-წყლის გაყიდვას, ვითომცდა უცხოელთაგან ანდერძით ჰქონდეს დატოვებული. არ ეკუთვნის აზროვნების სფეროს განცხადება იმისა, რომ რუსეთის ხელისუფლებას მანამ არ შეხვდებიან, ვიდრე იგი აფხაზეთსა და სამაჩაბლოს საქართველოს იურისდიქციაში არ დააბრუნებს. ეს, ალბათ, უაზრობაზე უფრო მეტია და რაღაც ახალი. არა და მხოლოდ აფხაზეთისა და სამაჩაბლოს კი არა, არამედ საქართველოს დარჩენილი ტერიტორიის შენარჩუნების პრობლემაც დგას.

მასების ეკონომიკური ცხოვრება ვერ შეიქმნა საქართველოში. ჩვენ შუა საუკუნეების დესპოტურ, ველურ საზოგადოებას უფრო ვეკუთვნით, ვიდრე თანამედროვეობას. ლამის ნახევარი საქართველო გაიქცა კერიიდან და იაფი მუშახელის რიგებს შეერია. ეროვნული სიმდიდრეები კლანების ხელში გადავიდა. ქვეყანა სავსეა მათხოვრებით, სოფლები დაიცალა, მიტოვებული სახლკარი ტურა-მგლებით აივსო, პენსიონერები ლუმპენ მასებად იქცნენ, ეპიდემიური ხასიათი აქვს გარყვნილებას, ყველაფერი კეთდება იმისთვის, რომ განათლებას ეროვნული ფასეულობები მოუშალონ, ქვეყანა უცხოელების სათარეშოდ გახადონ. სიხარბე მიტაცების მადას აღვივებს და არც აინტერესებთ თუ რამდენად მძიმდება ხალხის მდგომარეობა. სიმდიდრე ხალხის უბედურებად იქცევა, როცა იგი მიტაცების, ძარცვის, წაგლეჯვის გზებით არის მოპოვებული. ძნელია იპოვო საქართველოში ისეთი მდიდარი, რომელმაც წარმატებას ზნეობრივი საქმიანობით მიაღწია, ქვეყნის ეკონომიკის მეწარმეობრივი დარგები განავითარა, გაჭირვებულებს დაეხმარა, სოფლები აღორძინა. პირიქით მოხდა, ეკონომიკა აგებულია სპეკულაციაზე, გადასახადების, ჯარიმების გაზრდაზე, ქვეყნის ეროვნული სიმდიდრეების გაჩანაგებაზე. ხელისუფლებას უკვე რამდენიმე წელიწადია საერთოდ არ ახსოვს, რომ მას სამშობლოს წინაშე პასუხისმგებლობა აკისრია-არჩეულია ხალხის მიერ ხალხის კეთილდღეობისთვის.

ერის შემოქმედებითი აქტიურობა, გაბედულება, ნება, სულიერება, კეთილსინდისიერება, კომპეტენტურობა, დისციპლინა, მოთმინება, თავშეკავება, პარიება, მიზანდასახულობა, კავშირი ტრადიციებთან და გამოცდილებასთან, ისტორისათან, კულტურასთან ვლინდება ნაციონალურ წყობაში ანუ ერის ნაციონალურ ფსიქოლოგიაში.

თითქოსდა არალოგიკურია-ერი, რომელიც ვერანაირმა ვერაგმა მტერმა მასობრივად ქვეყნიდან ვერ გააქცია, აგერ ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისს თვითონ აიყარა მამაპაპისეული კერიიდან და სხვა ქვეყნებს მიეკედლა ლუკმა-პურის საშოვნელად. მაგრამ გასათვალისწინებელია ის, რომ იმ საუკუნის 70 წლის მანძილზე ადამიანებს ჩამოუყალიბდათ სტერეოტიპი, რომლის მიხედვით ადამიანს ჰქონდა შრომითი მოწყობის სახელმწიფო უზრუნველყოფა. როცა იგი მყისიერად აღმოჩნდა ველური საბაზრო ეკონომიკის პირობებში, იმ გზაზე გავიდა, რომელიც მისთვის უკვე სტაჟიანი ჩვეულება იყო-არა თვითრეალიზაცია, თვითშემოქმედება და თვითორგანიზაცია, არამედ ნებისმიერი სახის სამუშაოს ძებნა.

დასავლეთის ცივილიზაციას კაი ხანია, შრომითი რესურსების დეფიციტის გამო, იაფ შინამოსამსახურეებზე დიდი მოთხოვნა აქვს და ორმილიონიანმა ქართველმა მიგრანტმა პურის ტალონი გაიჩინა და ოჯახის წევრებსა და ახლობლებსაც შიმშილისაგან მხსნელად ექცა. ოფიციალური მონაცემებით მიგრანტების მიერ სამშობლოში გადმორიცხული თანხა 1,3 მლრ.დოლარს შედაგენს, რაც მშპ 9%-ზე მეტია. რამდენი ოჯახი, მარტოხელა და უდედმამოდ დარჩენილი შვილი მიგრანტების იმედით იღამებს და ითენებს. ეს ყველაფერი მსხვერპლია და შეხიდება საქართველოს მომავლისათვის, მაგრამ ამ კეთილშობილებას დაემგზავრა ანტიქართული ინსტიქტების განვითარება, რომელიც

ხვალინდელი დღის იმედებს ძირს უთხრის. მონობაში შოვნილი ვალუტების მხოლოდ მეხუთედსა თუ მეექვსედს იტოვებენ მიგრანტები, ხოლო დანარჩენს აქეთ დარჩენილებს უგზავნიან. ამათი უმრავლესობა კი ამ თანხებს გასართობად იყენებენ და უსარგებლოდ ხარჯავენ. რამდენიმე დღის წინ ახლობელს სტუმარი ეწვია და მთხოვა მეც თან ვხლებოდი. ასე, რვა საათი იქნებოდა. წამოვიწყეთ რესტორნების ოდისეა. ოცამდე რესტორანი დავიარეთ და ვერსად ადგილი ვერ ვიშოვნეთ-ყველა რესტორანი დაკავებული იყო. არა და ქუთაისში იმდენი რესტორნებია აშენებული, რომლის მსგავსიც აქამდე არ გვინახავს. სულ რაღაც 30 წლის წინათ ქუთაისი, რომლის მოსახლეობა 200 ათას ცოტათი აჭარბებდა, ათიოდე რესტორნით ახერხებდა მასპინძლობას. ახლა ქუთაისში მაშინდელი მოსახლეობის ნახევარიც არ იქნება. მისი მესამედი პენსიონერია. ქუჩები სავსესა მათხოვრებით, შემაწუხებელია უმუშევრობა. ჰოდა, ქალაქი ქეიფობს. ერთ რესტორანთან 103 მანქანა იდგა. ტაქსებიც სწაფად მოძრაობდნენ. ჩვენც ვიქეცით მომხმარებელ საზოგადოებად. ეს კი ისეთი ტიპია საზოგადოებისა, რომელშიც მოჭარბებულია მოხმარების ინსტიქტები. იგი ყველაფერს კადრულობს იმითვის, რომ იყიდოს ის, რისი სურვილიც გაუჩნდა, რაც სხვებს არა აქვს და ამით მათგან გამორჩეული იქნება. ჭამოს და სვას კომფორტულ ბარებსა და რესტორნებში. მისთვის არ არსებობს ინტელექტუალური ავტორიტეტი, ზნეობრივი ფასეულობები, სირცხვილი, სინდისი. მას მხოლოდ ვიღაცების მოგონილი კანონი აშინებს[96]. და ეს ყველაფერი მასში იმდენად მაღალია, რამდენადაც დაბალია მისი ცოდნა, ეროვნულობა, განათლების დონე, სულიერი კულტურა, ზნეობა და სინდისი, პასუხისმგებლობა. სწორედ ამის გამო უტევენ განათლებასა და მართლმადიდებლობას მსოფლიოს ერთიანი მეურნეობის მეთაური კლანები. მათი მიზანი ცხადია და არც მალავენ იმას, რომ მსოფლიოს ჭარბი მოსახლეობა აწუხებს და იგი „ოქროს მილარდამდე“ უნდა შემცირდეს ფსევდო განათლებით, მომწამვლელი პროდუქტებით, ხელოვნური ვაქცინებით, ფარმაცევტული პროდუქტების მანიპულირებით, დაავადებების გავრცელებით. ჩვენ ამას დღევანდელი ადამიანები ყოველდღიური ცხოვრებიდან საკუთარ თავზე ვგრძნობთ. ხალხი, თანამედროვე მეცნიერების პირობებში, მსოფლიო მეურნეობის ელიტარული კონსტრუქტორებისთვის მართვადი სისტემაა, და ტვინების გამორეცხვა ხილული სინამდვილე.

ეპიდემიური გავრცელება აქვს გარყვნილებას, სხეულით ვაჭრობას და პორნოგრაფიას. ჩვენისთანა პატარა ქვეყნის მომავლისთვის ამას გამანადგურებელი ზემოქმედების ხასიათი აქვს ისტორიის ძალზე მოკლე პერიოდში. მითუმეტეს, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ერთად თავი მოიყარა ისეთმა ფაქტორებმა, როგორიცაა სექსის თავისუფლება და პროპაგანდა, ნარკომანია, უმუშევრობა და სიღარიბე, ფულის გაღმერთება, ოჯახური სიწმინდის დეგრადაცია, ერის სულიერი ფასეულობების ჩამორჩენილობად გამოცხადება. როცა ახალგაზრდების, მათ შორის საშუალო ასაკის ადამიანების საუბარსა და ქცევას ისმენ და ხედავ, მაშივე გახსენდება მეხსიერებაში მოურჩენელ ტკივილად დარჩენილი სტრიქონები. „გლობალური პრედიქტის კონცეპტუალური ანალიტიკოსების ჩანაფიქრის თანახმად, გოი დაყვანილი უნდა იქნეს სრული გონებადაბნელების მდგომარეობამდე და სრულიად არაკონცეპტუალობამდე, გაუმაძღრობამდე და ამორალურობამდე ამ უკანასკნელის დაცემამდე ცხოველური დონის დაბლა-„ქვეცნობიერი ორგანიზმის სტატუსამდე“(რ. ზაინდებერგი) შინაგანი ეშმაკისეული ძალისხმევით.

გათვალისწინებულია მათთვის სპეციალური საერთაშორისო ჟარგონის (მიმართვის უნივერსალური საშუალების) შექმნა მინიმალური ენობრივი საშუალებებით, რომელიც საკმარისია მხოლოდ პრიმიტიული გრძნობების და აზრების გამოსახატავად.

გოიმ სრულად უნდა დაკარგოს ქალაქსა და სოფელს, ფიზიკურ და გონებრივ შრომას, ელიტასა და ბრბოს, მართვასა და მორჩილებას, დამოუკიდებელ აზროვნებასა და ავტორიტეტულ მსჯელობას, ოპორტუნიზმსა და „ცხოვრებისეული გარემოების ენას“, „მე“ და „ჩვენს“, თავისუფლებასა და მონობას , მართალსა და ტყუილს, კეთილსა და ბოროტს, ზედასა და ქვედას შორის განსხვავების უნარი და ა.შ“[97]. აი, რას გვიმზადებენ და რა გზაზე დაგვაყენეს გლობალისტებმა და ჩვენ როგორ მორჩილად მივყვებით მას.

ზემოთ მოტანილი ამონარიდიდან და პ. ბიუკენენის დასახელებული წიგნიდან გამომდინარეობს, რომ საქართველო ახლა კულტურული რევოლუციის ისეთივე ფაზაშია, რაშიც აშშ იყო წინა საუკუნის 60-70- იან წლებში და ზნეობრივად იმაზე უარეს დღეშია ახლა, ვიდრე აშშ. შეტევა მიდის კულტურის მატერიალურ და სულიერ ფასეულობებზე, წარსულსა და აწმყოზე. ფორმალური თუ არაფორმალური საზოგადოება, ერთ მიზანს ემსახურებიან-კულტურის დევალვაციაზე, დეგრადაციაზე არიან მიმართული, ვინაიდან მათ უკან ფულიანი პერსონები დგანან. იძარცვება მუზეუმები, ბიბლიოთეკები,

---

[96] ვოლტერის თანამედროვე ფრანგ ვოვენარს უთქვამს: ვისაც ადამიანების ეშინია, კანონები უყვარს.

[97] «Психический склад» сталинского оределения нации...planet-kob.ru>Аналитика>844

განძსაცავები, იყიდება ისტორიული არტეფაქტები, ფარულად ცეცხლს უკიდებენ ისეთ შენობებს, ნაგებობებს, რომელთაც ეკონომიკურად მომგებიანი ადგილი უკავიათ და რომელსაც მერე თვითონ ისაკუთრებენ. აფეთქებენ ან ადგილს უცვლიან ისტორიულ ძეგლებს, ქანდაკებებს და მათ ადგილზე უსახურ კონსტრუქციებს ქმნიან. დავიწყებას აძლევენ ისეთი ისტორიული და ლიტერატურული წყაროების წარმოჩენას, რომელიც ერის სულიერების ფორმირებაზე და თვითმყოფადობაზე ახდენენ გავლენას. სპონსორები უჩნდება ყოვლად უხამს და უგემოვნო ლიტერატურულ ნაცოდვილარს, გამოფენებს, საესტრადო კონცერტებს, უფერულ წარმოდგენებს; მასმედიის მთელი სივრცე უკავია სექსუალობის და გარყვნილების პროგრამებს; ნეპოტიზმი და კორუფცია მოქალაქეობად იქცა; ენა...აქ ზემოთმოტანილი ციტატა გამახსნედა...უკვე ჩვენთან დამკვიდრებას იწყებს სპეციალური ჟარგონი პრიმიტიული გრძნობებისა და აზრების გამოსახტავად. გააქრეს საზღვარი წერილობის ცენზურასა და ქუჩურ უცენზურობას შორის. ის, რითაც მშვენიერი იყო ჩვენი ყოფითი ურთიერთობები, ერთმანეთს შორის მიმართვები, თითქოს და ცარცით დაწერილივით წაიშალა. იშვიათია მიმართვები ქალბატონო, ძვირფასო, გეთაყვა, შენი ჭირიმე, პატივცემული, გთხოვთ, თუ შეიძლება, მაპატიეთ, ბოდიში, ხომ არ გაწყენინეთ, დაბრძანდით, გმადლობთ...გაფრინდა სულიერება ცოცხალი ჭურჭლიდან და ახლა მხოლოდ ფშვინავს სტომაქი. ფაქტებიც სახეზეა. გაუპატიურტება, მკვლელობები, თვითმკვლელობა, ქურდობა, სადიზმი, ნიჰილიზმი, ძალადობა, გულგრილობა, უპასუხისმგებლობა, ფამილიარობა, გარყვნილება, უსირცხილობა, უპატივცემულობა, უმეთვალყურეო, მიტოვებული ბავშვები, დაბალი შობადობა, ხშირი განქორწინება, უპატრონო მოხუცები, სინდისის დეფიციტი...

ეს მერამდენედ დადგა ქვეყანა სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე. ახლაც თითქოსდა უხილავ ძაფს უჭირავს და ბედისწერის საათზე წამის ისრის მოძრაობას ადევნებს თვალებს. მშობელს შევკადრეთ უპატიობა და ახლა სხვები გვითვლიან დღეებს. ახლა ფიქრის შეჩერებაც კი ღალატის ტოლფასია.

...

საქართველოს აქვს ყველაფერი იმისთვის, რომ მაღალი დონის კეთილდღეობა ჰქონდეს, მაგრამ მთავრი გვაკლია-საკუთარ თავს არ ვეკუთვნით, როგორც ეს ზემოთ მოტანილი მასალებიდან ირკვევა. ჩვენი ყოველდღიურობა, არ მინდა ვთქვა ეკონომიკური ცხოვრება, იმ სცენარით მიდის, რომელიც კაი ხანია დაწერილია მსოფლიოს უმრავლესი ქვეყნისათვის. რუსეთი ბუნებრივი რესურსებით მსოფლიოს ყველაზე მდიდარი ქვეყანა, მაგრამ მოსახლეობის უზრუნველყოფა არა აქვს. მაშინ როცა „რუსეთი არა მხოლოდ პლანეტის ტერიტორიულად ყველაზე დიდი სახელმწიფოა, არამედ ბუნებრივი რესურსებით ყველზე მდიდარიც. რუსეთში თავმოყრილია ნავთობის მსოფლიო მარაგების 10%-ზე მეტი, გაზის 33%, სარგებლო წიაღისეულის დაახლოებით 25%; ფლობს მსოფლიო მიწის სავარგულების 9%, ტყეების მსოფლიო ფართის 20%-ზ ემეტს, სასმელი წყლის უმსხვილეს მარაგებს. მარტო ბაიკალში მოქცეულია მსოფლიო სასმელი წყლის მარაგების დაახლოებით მეხუთედი. რუსეთი ფლობს ბუნებრივი რესურსების მსოფლიო მარაგების 20%-ზე მეტს, რომელიც შეადგენს მისი ეროვნული სიმდიდრის 95.7%[98]. მართლა კურიოზულად გამოიყურება-ბუნებრივი რესურსებით ღარიბი იაპონიის მოსახლეობა უზრუნველყოფილია, ხოლო ბუნებრივი რესურსებით ყველაზე მდიდარი რუსეთის მოსახლეობა-ღარიბი. რამდენიმე ეკონომიკური მახასითებელი ასეთია. რუსეთში მინიმალური ხელფასი 100 ევროც არ არის, მაშინ როცა იგი ბულგართში 123 ევრო არის, რუმინეთში-153, პოლონეთში 281. დაბალია შობადობა, მაღალია სიკვდილიანობა, რუსეთის ფედერაციიდან ყოველწლიურად მიგრანტებად გადის კრასნოიარსკის მოსახლეობის ტოლი რაოდენობა. ქურდობა, პროსტიტუცია, უმუშევრობა ყოველგვარ საზღვარს სცდება. მდგომარეობის გაუმჯობესების თაობაზე საკმაოდ ბევრი მოსაზრება არსებობს, მაგრამ ყველა მათგანს ის საერთო აქვს, რომ მიგნებულია თუ რა და როგორ უნდა გაკეთდეს, მაგრამ ვინც გაკეთება შეუძლია, ის ჯერ არ სჩანს, ვინც ახლა ხელისუფლებაშია ის არ/ვერ აკეთებს, გაკეთების არც სურვილი, არც ნება არა აქვს. ეს მაშინ, როცა ქვეყანას 500-ზე მეტი მილიარდერი ჰყავს (ნორვეგიას არ ჰყავს მილიარდერი, არც კუბას). არ არის მთლად მართებული ეკონომიკური ტერმინი, მაგრამ ფაქტები გვაიძულებს ვთქვათ პირდაპირ-რუსეთს პატრონი არ ჰყავს და მას ოლიგარქები მართავენ მსოფლიო საფინანსო იმპერიის კარნახით და მათი უშუალო მონაწილეობით. ასეთივე მდგომარობაა საქართველოშიც. ქვეყანა, რომელსაც საკმაო მოცულობის ბუნებრივი სიმდიდრეები გააჩნია ძალიან მძიმე მდგომარეობაშია. ტერიტორიითა და ბუნებრივი რესურსებით მასთან უფრო მცირე ნორვეგიის 5 მლნ. მოსახლეობა 370 მლრდ. დოლარის მშპ აწარმოებს. ჩვენი სამშობლო ნაჭრებად გადაინაწილეს ოლიგარქებმა და ხალხი, რომელიც თავიანთი კერძო სამსახურებისთვის სჭირდებათ, მათხოვრულ ხელფასებს ღებულობენ, ხოლო „ზედმეტი“ ხალხი ქვეყნიდან იდევნება. ნორვეგიელების ამბობენ, რომ მათი ქვეყანა ადამიანებს ეკუთვნის და არა ოლიგარქებს.

---

[98] **Почему Россия-«богатая страна» и имеет «нищии народ». simbiblis.livejournal.com>Почему Россияplanet-kob.ru>Аналитика>844**

ნორვეგიის ეკონომიკური და სოციალური აღმავლობის მიზეზებიდან უმთავრესია ხელისუფლების მიერ ქვეყნის მართვის პასუხისმგებლობა, მისი საპარლამენტო კანონით სახელმწიფოს ბუნებრივი რესურსების, მათ შორის წყალქვეშა რესურსების ექსკლუზიური მართვის და კონტროლის უფლება. ტრანსნაციონალური ნავთობკომპანიების მოგების 78% ნორვეგიაში რჩება. აღიარებულია, რომ მართვის ეფექტიანობაზე გადამწყვეტ როლს ასრულებს ადამიანური კაპიტალი. ამიტომ მთელი ყურადღება მიპყრობილია უფასო მაღალხარისხიან განათლებაზე, უფასო ჯანდაცვაზე, სოციალურ შეღავათებსა და საპენსიო უზრუნველყოფაზე, ქვეყნის რეგიონების ეკონომიკური და სოციალური განვითარების გამოთანაბრებაზე. სასკოლო განათლების სისტემაში ჩვენთვის ცნობილი დისპლინების გარდა ისწავლება ქრისტიანული რელიგია, ქვეყნის ისტორია, ეთიკა, მორალი და ზნეობა, პროფესიები დარგების მიხედვით, უნივერსიტეტებში ჩარიცხვა ხდება საშუალო სკოლაში მიღებული შეფასებების საფუძველზე. განათლების ეროვნულობა არის თვით ქვეყნის ნაციონალური განსაზღვრულობა.

ასოციაციები ეროვნული

საქართველოს არაეროვნული ხელისუფლების შეცვლის ეკონომიკური მიდგომები

სწორია ჩვენს ხალხში მბრუნავი აზრი, რომ ქვეყანას პატრონი არ ჰყავს. საქართველო კლანების მეტროპოლიაა. აქ ყველა მსხვილი ბიზნესი ვიღაცის საკუთრებაა ანუ ეს ქვეყანა სახელმწიფოებრივი წარმონაქმნების კონგლომერატია და მას მთლიანობის ფუნქცია უკვე აღარ გაჩნია. ამიტომ არის, რომ საზოგადოებრივი კეთილდღეობის პრობლემები სახელისუფლო სტრუქტურების ინტერესებში არ/ვერ ექცევა. მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობა თანდათან უარესდება. ამდენად იზრდება დაძაბულობა კლანურ-მაფიოზურ ჯგუფებსა და საზოგადოებრივ ელიტას, ღარიბ და უღარიბეს მასას შორის. ქვეყნისჭამიებმა მდგომარეობის შესამსუბუქებლად გამოძებნეს მოსახლეობის საცხოვრისიდან იძულებითი ემიგრაციის ვარიანტი. რაც მეტი იქნება ლტოლვა გარედან ჩვენი ქვეყნის მიმართ, მით უფრო მეტი საშუალება ჩნდება იმიგრაციისათვის. ეს ბინძური ნააზრევი ვარიანტი კლანური მაფიოზური სტრუქტურებისთვის არჩევნებში გამარჯვების გარანტიაა. ამ მდგომარეობის შეჩერება მხოლოდ ხელისუფლების გადარჩევით არის შესაძლებელი. რაც საკმაოდ რთული პრობლემაა.

„ჩვენი“ ხელისუფლება ფინანსურად ძლიერია და მას საზოგადოების ელიტარული ნაწილის, ღარიბი და ღატაკი მრავალრიცხოვანი არმიების, ახლადშექმნილი პარტიებისაგან შემოტევის შიში არა აქვს. არც ელოდება მათგან სერიოზულ წინააღმდეგობებს, მითუმეტეს, რომ რომელიმე პარტიის გამოკვეთილი მოწინააღმდეგე პოლიტიკური ლიდერი ჯერ არსად ჩანს. მეორეს მხრივ, ისიც კარგად უწყიან, რომ თანამედროვე პირობებში პოლიტიკური მოძრაობა სერიოზული ფინანსური რესურსების გარეშე არჩევნებში ადგილს ვერ დაიმკვიდრებს. ამდენად, ქვეყნის შიგნით ეროვნული აზროვნების სახელისუფლო ახალი ჯგუფების ფირმირების შესაძლებლობები პრაქტიკულად უმნიშვნელოა.

ახლა სამშობლოს გარეთ იმდენი ქართველი ცხოვრობს, რამდენიც არასდროს ყოფილა. მათ შორის ბევრია ძალიან ნიჭიერი, პატრიოტი, ქვეყნის კეთილდღეობისთვის შეუპოვარი მებრძოლი ადამიანი. რომელიმე/რამდენიმე მათგანმა (ვგულისხმობ რამდენიმე განვითარებულ ქვეყანაში აღიარებულ და წარმატებულ ქართველს) უნდა იტვირთოს ეროვნული მოძრაობის პასუხისმგებლობა ადგილებზე შერჩეული ღირსეული ადამიანების მეშვეობით (ასეთი ადამიანების დეფიციტი ქვეყანას ნამდვილად არა აქვს), ან პირიქით, ჩვენ შევქმნათ ორგანიზაცია ქვეყნის ტერიტორიის ყველა ადმინისტრაციული ერთეულის მომცველობით და მათი ხელმძღვანელობა იქეთ შევთავაზოთ იმათ. სამშობლოს გარეთ მაცხოვრებლებს, ჩვენთან შედარებით, გაცილებით მეტი თავისუფლება აქვთ მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესების სახელმწიფოებრივ იძულებაზე. ისინი რაოდენობრივადაც სერიოზულ ძალას წარმოადგენენ. მათთან ერთად უფრო იოლია ხალხთან და სოციალურ ჯგუფებთან მუშაობა.

ჩვენი ხალხი პოლიტიკური პარტიების მოწოდებებისაგან გადაღლილია, მოაბეზრეს კიდეც თავი დაპირებების ამდენი ნაირგვარობითა და რიცხვოვნობით. ისინი ან საერთოდ გაურბიან პარტიულ ჯგუფებთან შეხვედრებს, ან ამ შეხვედრებზე უკიდურესად აგრესულად იქცევიან, მათი მოსმენაც კი არ სურთ, თვითონ უნდათ ყველაფერზე ილაპარაკონ და გაძაღლებული ცხოვრებისაგან ჯავრი პირველ

შემხვედრზე ამოიყარონ. დრო მოჭამა ხალხთან საუბრის მეთოდებმა. მიტინგიც დაძველდა როგორც პროტესტის მასობრივი ფორმა, ხალხი არც გრანტებსა და კონკურსებზე რეაგირებს[99].

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საჭიროდ მიმაჩნია რეგიონული სოციალური ჯგუფების შექმნა უმწიკვლო რეპუტაციის მაღალი დონის პროფესიონალებისაგან, რომლებიც იმუშავებენ, როგორც ბიზნესის გაფართოებაზე, ასევე ბიზნესის ახალი სახეების შექმნაზე. პირველში ვგულისხმობ უკვე მოქმედ ბიზნესს, რომელსაც თავისი საქმიანობის გაშლის ინტერესები ამოძრავებს, ხოლო მეორეში-იმათ, რომელთაც მეწარმეობის წამოწყება უნდათ და ამიტომ პერიოდული მოკლევადიანი კურსების მოსმენა სჭირდებათ. ასეთი სტრუქტურები მომავალში კვლევით ცენტრებად უნდა გარდაიქმნას და ხელი შეუწყოს შემოქმედებითი აქტივობის განვითარებას.

ამგვარი რეგიონული სტრუქტურების მიმდინარე ამოცანები უნდა იყოს ინვესტორების და ბიზნესმენების მოსახლეობის შრომისუნარიან ნაწილთან შემოქმედებით საქმიანობაში ჩართვა. საქმის ერთი მხარეა, როცა ინვესტორი მოქმედ ბიზნესს აფინანსებს ორმხრივხელსაყრელი ინტერესების გავალისწინებით, ხოლო მეორე, როცა ინვესტორი აფინანსებს მეწარმეობრივ საქმიანობას ან მომსახურების რომელიმე სახეს მიწოდებული იდეის კრიტიკული ანალიზის საფუძველზე. აქ მთავარია, როგორც ინვესტიციური სარგებლიანობა, ასევე მასებთან თანამშრომლობა ბიზნესის ფრონტალურობიდან გამომდინარე...ჩვენს ქვეყანას იმდენი ბიზნესმენი ჰყავს, რომელსაც მთელი ტერიტორიის დასაქმება შეუძლიათ. სტატისტიკის თანახმად საქართველოში 150 მილიონერია ანუ ქალაქზე საშუალოდ 3 მილიონერი მოდის. სამ მილიონერს საშუალო ქალაქის აღორძინება თავისუფლად შეუძლია. გამოდის, რომ ჩვენ თვითდაფინანსების საკუთარი რესურსები გაგვაჩნია, მაგრამ სინამდვილეში მისი რეალიზების არანაირი ინტერესი არ არსებობს, მილიონერები ამაზე არ ფიქრობენ, ისინი მხოლოდ ფულის გამრავლების პრანაში არიან. იმათ კიდევ იმისი შიშიც აქვთ, რომ ქვეყანაში შეიძლება ხელისუფლება შეიცვალოს და მიტაცებული რესურსების სამართლიანობა მოიკითხონ. სხვა ვითარებაც რეალიზებადია-ისეთი ხელისუფლებრივი მეტამორფოზა, როცა მილიონერებს ეკისრებათ ფულის ხარჯვა საკუთარი ქვეყნის კეთილდღეობის აღმავლობისთვის. მაგრამ ამისი წინაპირობები არ ჩანს, პირიქით, მდგომარეობა დღითი-დღე უარესდება, რომელსაც მოსახლეობის აგრესიული განწყობა კრიტიკულ ზღვრამდე მიყავს.

მოსახლეობასთან მისვლა და თანამშრომლობის შეთავაზება, როგორც ზემოთ აღვნიშნე, ნაცადი მეთოდებით თითქმის შეუძლებელია, ვინაიდან პრაქტიკულად დაკარგული აქვს ყველაფრისადმი რწმენა სახელმწიფოებრივის ჩათვლით. ამას წინათ ნაცნობმა შემომჩივლა, რომ რამდენიმე სოფელი შემოუვლიათ, ხალხს უპროცენტო სესხს სთავაზობდნენ, ერთი მსურველიც ვერ უპოვიათ, უარესიც, ლანძღვა-გინებით დაუფრენიათ, თქვენი არაფერი დაიჯერებაო. შარშან ჩემთანაც იყვნენ რომელიღაც მოძრაობის წარმომადგენლები, ისინი 2%-იან სესხებს გვპირდებოდნენ, მერე თვალით არ გვინახავს. არადა, თხოვნა შევუსრულე-20-მდე ორგანიზაცია მოვუძებნე, რომელსაც სესხის დროზე გასტუმრების 100%-იანი გარანტია ჰქონდა. გამოვიდა, რომ ეს 20 ორგანიზაცია მოვატყვილე. როგორც შემდგომ გავარკვიე, სწორად ვერ შეარჩიეს შემოქმედებითი გუნდი-ფულზე შეყვარებულებმა დაიმარტოხელეს, ფულის მუქთად მითვისება მოინდომეს; ბანკების წინააღმდეგობა ხომ ცალკე თემაა.

ხალხთან ჩატეხილი ხიდის აღსადგენად ჯერ ზნეობრივი პროფესიონალები უნდა მოვიძიოთ, რომლებიც ე.წ. დაზვერვით სამუშაოებს ჩაატარებენ ანუ მოძებნიან ინოვაციური აზროვნების ადამიანებს, მათთან ერთად ითანამშომლებენ: შეადგენენ პროექტებს, ბიზნეს-გეგმებს, დაასაბუთებენ მის ეფექტიანობას და დაიცავენ ინვესტორის წინაშე. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს პირველად წარდგენილი პროექტების განხილვას. ისინი იმ დონემდე უნდა იქნეს შესრულებული და ცხადი იყოს მისი რეალობა, რომ ინვესტორებმა დააფინანსონ ისინი. მერე მისი გასაჯაროება და საინფორმაციო ქსელებში გაშვება ხალხის ინტერესს მასობრივ აჩქარებას მისცემს. რა თქმა უნდა, მხედველობაში მაქვს უპროცენტო და 2-3%-იანი კრედიტები, გრანტები და სესხები.

მეცხრამეტე საუკუნეში ჩამორჩენილი აზროვნებისაგან ერის ხსნა მისმა განმანათლებელმა მამებმა იკისრეს იმპერიისაგან უკიდურესი შევიწროების პირობების მიუხედავად. ლექსმა და პროზამ კულტურულად აამეტყველა ქართველი კაცი და სიმღერად მოეფინა მთელ საქართველოს, ოჯახებში ჩაუსახლდა და სუფრასთად დაუჯდა მოსალხენად. სწავლის სურვილი ინტერესად ექცა ქვეყანას. ცოდნა ძალა გახდა და ტექნიკურ აზროვნებასაც შეეჭიდა: ააშენა ფაბრიკები და ქარხნები, ააგო ჰესები, გაიყვანა გზები და განავითარა სოფლის მეურნეობა...ახლა ყველაფერი იავარქმნილია: ხალხი უმუშევარია, უზურპირებულ ხელისუფლებას ანუ მოსახლეობის 6-7%-ს საქართველო ჯიბეში უდევს და ეროვნულ ხურდა ფულზე ცვლის სამშობლოს მიწა-წყალს. ისევ დადგა ერის განათლების ახალი მოთხოვნილება, ოღონდ არა წერა-კითხვის გავრცელებისა, არამედ უფრო მაღალი საფეხურის-

[99] იხ. წინა პარაგრაფი „ეკონომიკური გადაღლილობა“.

მოსახლეობის შემოქმედებითი უნარიანობის აღორძინებისა. გარეგანი ხედვით უცნაური სიტუაციაა- ყველაფერი გვაქვს მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის, მაგრამ ძლიერნი ამა ქვეყნისანი ყურდახშული არიან და აზრადაც არ მოსდით ფიქრი სამშობლოზე. ამის შეგნებამ მიმიყვანა ქვეყნის მორჩილების გარეთ მყოფი ქართველი პატრიოტების მხსნელის როლის აღიარებამდე.

ქართველი ერის განმანათლებელმა მამებმა ახალგაზრდობიდანვე შეისისხლხორცეს უმაღლესი პასუხისმგებლობა სამშობლოს სამსახურისადმი. მათ კარგად ესმოდათ, რომ სამშობლოს სამსახური რომ შესძლო სათანადო ცოდნა უნდა გქონდეს და მერე ჩადგე ერის კეთილდღეობის ბატალიებში. ასეთი განწყობით გავიდნენ ქვეყნიდან „ბრძენი ილია, ცეცხლი აკაკი, გმირი ვაჟა“, დიდი ნიკო, დედა ენის ავტორი იაკობი, დიდი კონსტანტინე, „ხევის ბეთჰოვენი“-ალექსანდრე ყაზბეგი და სხვები. არც ერთ მათგანს სამშობლო სხვა ქვეყანაზე არ გაუცვლია, პირიქით, სადაც არ უნდა ყოფილიყვნენ მხოლოდ ერთი საგანი აწუხებდათ-ქვეყნისთვის სამსახური, ქვეყნისთვის სარგებლობის მოტანა[100]. რომ სამშობლოს მთები მათთან ერთად განუყრელად ივლიდა, ვინაიდან გულთან ერთად იყო შედუღაბებული. თქვეს და მსხვერპლადაც გაეგნენ ქვეყანას. ერის მამა ილია, მოკლეს, აკაკი და ვაჟა სიღარიბეში ცხოვრობდნენ, ყაზბეგი მწყემსად შეეხიდა სოფელს და ცეცხლოვანი სტრიქონები წიგნებად აკინძა და აზრები დაუვარცხნა თავის ხალხს. დიდი ნიკო უფრო შორს წავიდა და არა მარტო განათლების უმაღლეს მწვერვალებს დაეუფლა, იგი მეწარმეობრივ უნარიანობად გარდაქმნა, ჩაჰყარა ვაზი, ამრავლა ხილი და საქონელი, ყიდდა ნამატ პროდუქტს, და უცხოურ ჯიშებს სცდიდა თავის ქვეყანაში. შექმნა ჰესების, რკინიგზის პროექტები, აღაშენა ქალაქი ფოთი და შეაბა ქვეყანას საზღვავო ჭიშკარი...ისინი სამშობლოს სამსახურში დაილიენ, თორემ პირად ცხოვრებაზე რომ ეფიქრათ, ზღაპრულ სიმდიდრეს შექმნიდნენ (ეჰ, რა ზნედაცემული ვჩანვართ იმათ ფონზე ჩვენ ყველა თანამედროვენი, რა შორსა ვართ ამ გენიალური ადამიანების სულიერი ცხოვრებისაგან. ვერც ის გაგვიგია, რომ მიტინგებით ცხოვრება არ შეიცვლება). როგორ, ილია, აკაკი და დიდი ნიკო დემონსტრაციებს ვერ მოაწყობდნენ? ისინი ხალხთან მიდიოდნენ, ხალხს ეხმარებოდნენ, მათი ცხოვრებით ცხოვრობდნენ. ნიკო ნიკოლაძემ ხალხს თავისი მაგალითით უჩვენა თუ როგორ უნდა უშველო საკუთარ თავს, რომ ყველაფერი დამოკიდებულია ცოდნის განახლებაზე, პროგრესულისადმი მიბაძვაზე, შენი წარსულის კრიტიკულ გადაფასებაზე. რად ვერ გაგვიგია, რომ მიტინგები საქართველოში პროტესტის მოძველებული ფორმაა, მხიარული გასეირნებაა. გაუკვირდა ამასწინ ერთ პოლიტიკოსს, რომელმაც მოსახლეობა მიტინგზე მიიწვია, რომ ვიღაცამ დაურეკა როგორ იქნებოდა მგზავრობა თბილისამდე, უფრო ცხადად რომ ვთქვათ, ვინ დააფინანსებდა მიტინგს. ჰო, მიეჩვია ხალხი მიტინგებზე ფულით დაპატიჟებას, უფასო მცირე წახამსებას და დროებით გართობას. ფულით ახლა უზარმაზარ მიტინგებს მოაწყობ და მასში უამრავი ისეთი ადამიანი აღმოჩნდება, რომელსაც საერთოდ არ ესმის მიტინგის არსი და არც ის გაეგება თუ ვინ ატარებს მას და არაფრად აინტერესებს რა მოჰყვება ამ მასობრივ მსვლელობას. ამდენად, ხალხმრავალი მიტინგი მასობრივ მხარდაჭერას არ გამოხატავს.

ეკონომიკური განვითარების კაბინეტური კონსტრუქციები და მოდელები იშვიათად თუ იქცევა სახალხო საქმედ, საჭიროა ცოცხალი ურთიერთობები შემოქმედებით ადამიანებთან, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობის ნოვატორებთან. პირადი კონტაქტები წარმოსახვის იმ სიღრმესა და მასშტაბებს ქმნის, რომლის იმპულსური სოციალური ენერგია ვერ იპოვება ვერანაირ სტატისტიკურ მასალებსა და მეცნიერული შრომების კრებულებში. ბავშვობიდან მახსოვს, როგორი ინტერესით ესწრებოდნენ ჩვენი სოფლის კოლმეურნეობის კრებებს შვებულების პერიოდში ქალაქიდან თავიანთ სოფლებში დასასვენებლად ჩამოსული პროფესორები.

ადამიანებთან მასობრივი წვდომის ეფექტიანი საშუალებაა ტელევიზია და ინტერნეტი, მაგრამ ისინი მაინც ვერ ცვლის ცოცხალი კონტაქტების გულახდილობას და უშუალობას. არის კიდევ ერთი უკიდურესობაც. მეცნიერულმა კარჩაკეტილობამ (ვგულისხმობ ჩვენს უმაღლეს სასწავლებლებს შორის მეცნიერულ ფსევდოთანამშრომლობას, იზოლაციას და პროფანაციას, როცა ადმინისტრაციულ თანამდებობებზე წამოწიმული უნიჭოები გზას უღობავენ ნიჭიერ მკლევარებს და რაღაც კასტის მსგავს ჯგუფებს ქმნან). ჩუმად შეიკრიბებიან, მოილაპარაკებენ და დაიდგმება თანამშრომლობისა თუ გარიგების სცენარი ან რაღაც საკონფერენციო რიტუალი. არანაირი სარგებელი ამას, თვით მონაწილეთა ვიწრო წრის გარდა, არაფერი გააჩნია. სამაგიეროდ გამოცხვება „პროფესორი“, გაჩნდება რაღაცნაირი დეპარტამენტი, ე.წ. სასწავლო პროგრამის ხელმძღვანელი, იმ უბედურს მხოლოდ იმის „ნიჭი“ აქვს, რომ რომელიმე უნივერსიტეტიდან პროგრამას/პროგრამებს და სილაბუსს/სილაბუსებს გადმოწერს. მერე ტარიელ გოლუასავით განტოტვილ მუხას „დაემსგავსება“ და სათავეში ჩაუდგება რაღაც უხეირო სასწავლო პროგრამას. არა, ისეთი მნათეებიც არიან ზარებს რომ არისხებენ, მაგრამ

[100] ნიკოლაძე ნ. თხზ. ტ.4. გვ. 362

სხვებს ყური დახშული აქვთ დარისხებაზე და იმის მოლოდინში არიან, თუ როდის დაუძახებენ, სადილზე გამოდიო.

ვერ გავითავისეთ, რომ ხალხი მასაა, პოტენციალურად ფეთქებადი ენერგომუხტია, ოღონდ ის გვრჩება ყურადღებიდან, რომ მასის აჩქარება თვითრეალიზებადი კი არა, გარეგანი მბიძგავი ენერგიის იმპულსია. განა საქართველო სსრკ ავტომატურად გამოეყოფოდა? ან დღევანდელი ჩვენი ქვეყანა უკეთესი ხალხის გულისწყრომით გახდება? მასამ თავისი მოძრაობის ლოკომოტივი უნდა გამოიწვიოს. ერთი ელმავალი ეშელონეს მიარბენინებს, მაგრამ არ არის პირიქით, როცა ეშელონი ლოკომოტივს მიარბენინებს. არ უნდა შემოგვედაონ ბელადომანიის მიმდევრები, ვინაიდან ბელდომანია სხვაა, ხოლო მეთაურის მოძებნა, კიდევ უფრო, სხვა. ბელადომანია მოლოდინია მასის უძლურობის გამო, მესიის პრანაა, ხოლო მეთაურის, წინამძღოლის შერჩევის დამჯდარი გონება ერის სახელმწიფოებრივი აზროვნების კულტურა და ეროვნული თვითშეგნებაა. ერთია ქვეყნის ხელისუფლებაში პირადი განცხრომის ინტერესებით შემოპარული მოძალადე, ხოლო მეორე-ხალხის მიერ გამორჩეული პასუხისმგებელი წინმავალი...გრიგოლ რობაქიძის გებელსთან კონფიდენციალური საუბარი გამახსნედა. ჩვენს სამშობლოს ისტორიულად მძიმე პერიოდებში, ზეციურიდან ევლინებოდა ქვეყნისა და ხალხის უკეთესი მომავლისათვის მებრძოლი, სიკვდილის თვითარჩევანის ლომგული რაინდები. ასე იყო სხვა ქვეყნებში. პაკ ჩონ ჰის „აღორძინებული კორეა: ეკონომიკური მოდელი“, ლი კუან იუს „მესამე სამყაროდან-პირველში“, მაჰამად მაითჰირის „წინ სრული სვლით“ წიგნების გაცნობისას ცნობიერი ხდება, რომ ქვეყნასა და სამშობლოს შორის ტოლობის ნიშანი არ არის, მათი ერთმანეთთან გაიგივება არ შეიძლება. სამშობლოს ეკონომიკის აღორძინებას საფუძვლად უდევს ხალხის სიყვარული, პატრიოტიზმი, ისტორიული ტრადიციები, ეროვნული პასუხისმგებლობა, ახალ ეკონომიკურ მოდელზე გათვლილი სტრატეგიული პროგრამა, ხალხისა და ხელისუფლების ერთიანობა, რწმენა და იმედი. სამხრეთ კორეის რეფორმებს 16 წელიწადი უხსნიდა გზებს პაკ ჩონ ჰი და მსხვერპლადაც შეეწია თავის სამშობლოს, 31 წელიწადი დღე და ღამეს ასწორებდა ლი კუან იუ სინგაპურისთვის, ხოლო მაჰამად მაჰათჰირი მალაიზიას 22 წელიწადი ექაჩებოდა ეკონომიკის მაღალი მწვერვალებისაკენ. შორს თუ არ წავალთ, აგერ ბელარუსის მაგალითიც გვერდით გვაქვს-ლუკაშენკო მეხუთედ აირჩიეს პრეზიდენტად. იმ ქვეყანას გეძელვადიანი სვლაგეზი აქვს.

ნუთუ ქართველები ისე დაგვიმონა სიხარბემ და გაუმაძღარობამ, რომ ლამის 30 წელიწადი ვერ გავძეხით სამშობლოს სისხლისმით, ერთმანეთის მტრობით, უძველესი აბორიგენის ფუძიდან აყრით და მამაპაპისეული მიწის უცხოლებზე მიყიდვით. უტიფრობა და უსირცხვილობა ხელისუფლების საქმიანობის წესად იქცა, ხოლო ტყუილი და ფარისევლობა-მეთოდად.

დრო მიდის და ქვეყანა კრიზისიდან ვერ გამოდის, პირიქით, უფრო და უფრო ძლიერდება და ტოტალურ ფრონტალობად იქცევა. „ჩვენი“ ხელისუფლება კი მანიაკური ავადმყოფია, დაავადებულია პირადი გამდიდრების ვირუსებით, იმის წარმოდგენაც არა აქვს, ღმერთმა დაგვიფაროს და ასე რომ გაგრძელდეს, რომ აღარც ქვეყანა იქნება და აღარც თვითონ იქნებიან. საოცარია ყოფილა ფულის გაღმერთება. სახარებაში იესო ქრისტე მხოლოდ ერთხელ იქცევა სასტიკად, როცა ვაჭრები გამოყარა ტაძრიდან და მეკერმეები გააშოლტვინა. აკი ყველაზე მეტად მან იცოდა, რომ ფული მამა ღმერთის ადგილს დაიკავებდა. ახლა ქვეყანაში პირისპირ დგას მართლმადიდებლური ეკლესია და ფულის რელიგია. ეს უკიდურესი დაძაბულობაა. ფულის რელიგია მძლავრობს მსოფლიო მასშტაბით, ამიტომ გაგვიჭირდა ლიდერის მოძებნა, ვინაიდან ფულიანებმა ცრუ ლიდერის როლი ადვილად მოირგეს და ხალხი დაპირებებზე დაიყოლიეს. ბოლოს ყველაფერი გაცხადდა და ვხედავთ, რომ ხელისუფლება შიშველია, რასაც თვითონაც კარგად გრძნობს. ამიტომ თვითგადარჩენის უკიდურეს გზაზე დადგა-გაუყიდოს ხალხს მიწა და ბუნებრივი სიმდიდრეები, აიძულოს იგი ქვეყნიდან გაიქცეს, ხოლო მიტოვებულ ადგილებზე უცხოელები ჩამოასახლოს და ამით უმრავლესობა ერთგული ამომრჩეველი შეიქმნას. ამისი პრაქტიკული გამოხატულებაა დოლარის კურსის მატება, ტარიფების ზრდა, მრეწველობისადმი უყურადღებობა, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გამწვავება, პენსიების საცხოვრებელი მინიმუმის მესამედით განსაზღვრა და მოსახლეობის ყურადღების მიქცევა უმთავრესიდან მეორეხარისხოვანზე. განა დაცინვა არ არის ქვეყნის გაჭირვებული მოსახლეობის 80%-ზე მეტს ხარებად უქციო ევრო ვიზოლიბერალიზაციის ლეგალიზება? ხელისუფლება თავისი ფსევდო ოპოზიციით თანდათან ჩამოყალიბდა სახელმწიფოდ თავის სახელმწიფოში, უფრო ზუსტად: რამდენი დაწესებულებაა, იმდენი თუ არა ცოტა მეტი ან ნაკლები სახელმწიფოა. სტატისტიკა ცხადია: ხალხი დღითიდღე ლუმპენირდება, ხოლო სახელმწიფოთა ლიდერები ფულში იხრჩობიან. ეს ამავე დროს არის ნამდვილი ლიდერის წარმოჩენის პირობა, როცა ისტორია აფეთქებს ერის გონებრივი საგანძურის სიღრმისეულ პლასტებში აკუმულირებულ მისი თვითგადარჩენის ნაციონალურ ენერგიას, რომლის ამოფრქვევა გამოაღვიძებს დაბინდულ გონებას და თავის გზას გაუყენებს ქვეყნის კაცთმოძულე ხელისუფლებას. აქ რამდენიმე კითხვა ჩნდება, რომელთაგან პირველი ასეთია: როგორ მოხდება ეს?

მარტივი ლოგიკით პასუხი მარტივია. ქვეყნის მოსახლეობის 80%-ზე მეტი ღარიბად ცხოვრობს. ქვეყნიდან მსოფლიოს „შავ ბაზარზე“ იძულებით მიდრეკილია 2 მლნ. კაცი. 800 ათასზე მეტი პენსიონერი 180 ლარს ღებულობს ყოველთვიურად, სოციალურად დაუცველია ათასობით ადამიანი, ასევე სოციალურად დაუცველია 50 ათასზე მეტი ბავშვი, ანალიტიკოს დ. გიორხელიძის მონაცემებით კარგად ცხოვრობს მხოლოდ ქვეყნის მოსახლეობის 6%. მაშინ როგორ ხდება ის, რომ ეს 2 მლნ. კაცი, ნახევრად მშიერი პენსიონერი, სოციალურად დაუცველი ათასობით ოჯახი, დღიური ლუკმისთვის შრომის ბირჟაზე შემთხვევითი სამუშაოს იმედად გამოსული პროლეტარები სახელისუფლო არჩევნებში ხმას აძლევენ იმ ადამიანებს, რომლებმაც ცხოვრების ასეთ პირობებში ჩააყენეს, ხოლო თვითონ ქვეყნისა და ხალხის ძარცვით მილიონები დააგროვეს და კიდევ მილიონებს იჯიბავენ?

ალფრედ მარშალი თავის „ეკონომიკის პრინციპებში“ წერდა, რომ ადამიანებს ყველაზე უფრო რელიგიური და ეკონომიკური ინტერესები ამოძრავებს, მაგრამ ეკონომიკური რელიგიურზე უფრო ძლიერიაო. ხალხი ახლა ისე არის დამშეული, რომ ლუკმა პური სიზმარშიც ელანდება. ერთია, როცა პიროვნებას თვითონ ჰშია და შეიძლება შიმშილით სიკვდილს უშიშრად შეეგებოს, ხოლო მეორე, როცა შვილებს ჰშიათ და პურს ითხოვენ და იძულებული ხარ საკუთარ თავს აჯობო. აქვე უნდა აღვნიშნოთ ისიც, როგორც მაცხოვარი გვაფრთხილებდა, რომ არ შეიძლება ღმერთსაც ემონო და მამონასაც. უარესი მოხდა-ღმერთი განვდევნეთ და ფულით ჩავანაცვლეთ. აქ სამი მომენტია მხედველობაში. უღმერთოა ის, ვინც ფულებში ბანაობს და ქვეყნისა და ხალხის წინაშე პასუხისმგებლობა არ გააჩნია, ისევე როგორც უღმერთოა ისიც, ვისაც ხელის განძრევა არ შეუძლია, ვინაიდან არ იცის, რა გააკეთოს; კიდევ უფრო საცოდავია ის, ვინც უძლურია და შველას ითხოვს. გამოდის, რომ მოსახლეობის უმრავლესობა თავისი თავის მტერია, მაგრამ ეს მხოლოდ პრობლემის ფორმალური მხარეა. ფინანსური იმპერიის მესვეურებს მხოლოდ ფულის ინტერესები ამოძრავებთ და მათთვის არანაირი მნიშვნელობა არა აქვს ეროვნულ ფასეულობებსა და ღირებულებებს, ტრადიციებს, ეკლესიურობას, პატრიოტიზმს. ფულს მსოფლიო მოქალაქეობა სჭირდება. მისთვის ნაციონალობა და ეროვნული სახელმწიფოს საზღვრები მხოლოდ ბერლინის კედელია, რომლის მოშლა მოლაპარაკებებით იოლად შეიძლება. მას არა აქვს სიბრალულის, შეცოდების, თანაგრძნობის, სინდისისა და ღვთიური სიყვარულის გრძნობა. ფული მისთვის ძალაუფლებაა. მეორე მხარეს არის ფინანსური იმპერიის სამსახურში კაბალურ პირობებში მომუშავე პერსონალი, რომელიც სამსახურს მაშინვე დაკარგავს, თუკი მათ პოლიტიკურ ბატალიებში მხარს არ დაუჭერს. პენსიონერთა არმიას არჩევნების წინა 20 ლარს მიუმატებენ საპენსიო განაკვეთზე და მათი უმეტესობა მხარდამჭერი გაუხდება. სოციალურად დაუცველებს საარჩევნო კამპანიის წინ ზოგს 10, ზოგს 50 ლარს აჩუქებენ, სახლებში მიაკითხავენ, ტკბილეულსაც მიართმევენ, და დამშეულებს მაშინვე დაავიწყდებათ თავიანთი უმძიმესი ყოფა, აკი იქვე მომავალი ცხოვრების დაპირებებსაც დაუტოვებენ სადილად. სამართებელივით ჭრის ძველი ანდაზა: დღევანდელი კვერცხი სჯობია ხვალინდელ ქათამსა. მაგრამ ხვალ ფულზე დახარბებული ხელისუფლება დაიწყებს სესხების გაძვირებას, ტარიფების ზრდას, ფასებს აუწევს საწვავს, მოიფიქრებს სამსახურების შეკვეცას, სოციალური დახმარებების სეკვესტრს და ცხოვრება უმრავლესობისთვის იმაზე უარესი გახდება, ვიდრე ხელისუფლების არჩევნებამდე იყო. ამას კიდევ მიემატება მეორე-ჯიბის ინტერესი-ბიუჯეტის შევსებისაკენ ხარბი მისწრაფება. იწყება „ახალი ეკონომიკის ინოვაციური“ ვარიაციები: გადასახადები მანქანის მფლობელობის გამო, ეკოლოგიური გადასახადი, ჯარიმები საგზაო წესების დარღვევისათვის, ქუჩაში ნამწვი სიგარეტის გადაგდების გამო, მოწევის აკრძალვა ყველგან სახლისა და საპატიმროების გარდა, ქუჩაში ხმაურის გამო. „სწორია მიგნება“-ჯერ უნდა წაუყრუო, რომ ყველა სიგარეტის წევას მიეჩვიოს, ქუჩაში ნაგვის გადაყრას, მანქანის არაფხიზელ მდგომარეობაში მართვის თავაშვებულობას, ანტისანიტარიას და მერე უცბად მიახლი ჯარიმებს და ბიუჯეტი შეივსება და მეორე ჯიბეც გაევსება ვამპირებს. ცოტა მოვლენებს წინ გაუსწრებ... ცოტა ხნის მერე დადგება ბორდელების საგადასახადო სივრცეში მოქცევის დღის წერიგი, მერე მარიხუანს მოწევის, აბორტების აკრძალვა. აი, პოლიტიკა, ჯერ მიაჩვიე, მერე დააჯარიმე, ვიდრე გადაეჩვეოდეს. ასეთი გზებით მოაქცევ მეტ ფულს ჯერ ბიუჯეტში, მერე-ჯიბეში. კიდევ რას მოიფიქრებენ, თუ დასცალდათ, ღმერთმაც არ იცის, მაგრამ ღმერთმაც და ჩვენ კარგად ვიცით, რომ ხეირიანს-არაფერს.

მკითხველს პატიებას ვთხოვ ამ სიტყვის გამო, ხელისუფლების უტიფრობა ყველანაირ საზღვარს სცილდება-ამ კვარტალში მშპ 6%-ით გაიზარდაო. ფასების მატება, რომ პროდუქციის მოცულობას ზრდის, ვინმესთვის გაუგებარია? ამას ჰქვია ხელისუფლება და პასუხისმგებლობა?

საზოგადოებრივი ელიტა, რომლის შესახებ ხშირად ვწერ, პრაქტიკულად არ არსებობს. ისინი ხელისუფლებამ დაანაწევრა და ინდივიდუალურ, განმხოლოებულ ერთეულებად აქცია. მასაში გააბნია და ამიტომ მათი მთლიანობა ვერ იქმნება ორი მიზეზით: 1. დანაზოგები არა აქვთ, რაც ასეთ მოძრაობას ყოველთვის სჭირდება. 2. სოციალური მოძრაობის თავისუფლებას მაშინვე მოყვება სამსახურებრივი დევნა და აქტივისტთა უმუშევართა არმიაში იძულებითი გადადინება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარეობს დასკვნა, რომ საქართველოს ხელისუფლება ფინანსური იმპერიის ვასალია, რომლის ჩამოცილება ხალხს მხოლოდ ქვეყნის შიდა ფაქტორების და რეზერვების ამოქმედებით არ შეუძლია. არადა, რაც დრო გადის, მით უფრო ფინანსურად ძლიერდება ფორმალური და არაფორმალური ხელისუფლება, იზრდება მოსახლეობის ქვეყნიდან გადინება და დარჩენილი ნაწილის ლუმპენიზაცია.

ზემოთ აღვნიშნე, რომ ჩვენი ქვეყნის ახალი კურსის ამძრავი ენერგია ქვეყნის გარეთ ბუდობს სახლიდან გაქცეული ეროვნული ჯიშის ადამიანებში, მაგრამ არ მითქვამს, რომ ამ პოტეციალური ენერგიის მიმმართველი-პოლიტიკური ვექტორია, რომელსაც პროგრესული აზროვნება ქმნის. ახლა ამ პროგრესულობის მედროშე აშშ ახალი პრეზიდენტია, რომელიც თავისი ნაციონალობის აღმაფრენით ეროვნული სახელმწიფოების კოალიციის ენერგომუხტია, რომელიც ერთპოლუსიან მსოფლიოს მეორე პოლუსს უხსნის. მართთლია, ტრამპი თავისი ნაციონალურობით კაპიტალიზმის გარეთ არ გადის და ვერც გავა, მაგრამ ლიბერასტების საპირისპიროდ ხისტად დგება. ეკონომიკის ნაციონალურობის და ერთიანი მსოფლიო მეურნეობის კონცეპტუალური დაპირისპირება უდიდესი საფრთხის შემცველია. ტრამპი თითქოსდა კაპიტალიზმს წარსულში აბრუნებს, მაშინ როცა ერთიანი მსოფლიო მეურნეობა სტარტზე გასული ახალი ფორმაა კაპიტალიზმისა. ამ დაპირისპირებიდან თუ რა გამოვა, ეს უკვე ჩემი ინტერესების გარეთ რჩება. ჩემთვის მთავარი ის არის, რომ ტრამპის ნოვატორობა საფრთხედ ექცა ლიბერასტებს და თავხედობის ენერგია დაუსუსტა. ეს საქართველოს ეროვნულ ძალებს საშუალებას აძლევს უფრო ღიად დაუპირისპირდეს მსოფლიო მეურნეობის ფერხულში ჩაბმულ დაქირავებულ ანტიეროვნულ მოძალადეებს, რომლებიც ახლა ისე არიან გაბოროტებულები, რომ სიფრთხილის გრძნობა დაკარგეს და მოსახლეობას დღითიდღე უმძიმებენ ცხოვრებას. ახლა, როცა ამ შრომას ვქმნი, 2017 წლის დიდი ხუთშაბათია, ქუთაისში სამარისებრი სიჩუმეა, ყველაფერი ძვირია, ტრანსპორტით მგზავრობაც კი. ლიბერთი ბანკის სალაროებთან გრძელი რიგები დგას 180 ლარის მისაღებად, რომელიც ათასჯერ უნდა გადათვალოს პენსიონერმა, რომ აღდგომას ლოცვის აღსავლენი სუფრა გააწყოს და თავი ღმერთს შეავედროს. უღმერთოები კი ყველაფერს უზომოდ ყიდულობენ და ჭამით ვერ ძღებიან.

უნებლიედ ჩნდება კითხვა: ნუთუ 150 მილიონერი ქართველიდან 5 კაცი მაინც არ აღმოჩნდა ისეთი, რომელიც თავის მშობლიურ ქალაქსა თუ სოფელში წარმოებას განავითარებდა, დაასაქმებდა ხალხს, მეურნეობის გაძღოლის მაგალითს უჩვენებდა, მიმდევრებიც გაუჩნდებოდა. მაგრამ ასე იმიტომ არ ხდება, რომ ახლა სიმდიდრეს მატერიალურ ფასეულობებს, ძირითად საწარმოო ფონდებს კი არ უწოდებენ, არამედ ფულს. ამის გამო არის თვალი და გულისყური მიპყრობილი იმაზე თუ რისი გაყიდვა შეიძლება შენი თვალსაწიერიდან. გაიჩეხა ხე-ტყე, იჩეხება ახლაც, აგურებად დაყიდეს ჩვენი წინაპრების მიერ აშენებული საწარმოები, საყოფაცხოვრებო ობიექტები. წყალი შეუყენეს ოჯახის სიმტკიცეს, სხეულით ვაჭრობა და გარყვნილება ლამის მოდაში შემოვიდა, ცოდნას დაეკარგა ფასი. მთელი უბედურება კიდევ ის არის, რომ ვისაც ძალიან უჭირს, იგი საერთოდ არ ამჟღავნებს პროტესტს, არც აქტიურობას იჩენს თავისი ინტერესების დასაცავად. ქუთაისში ტრანსპორტით მგზავრობის ტარიფები გაიზარდა. მოსახლეობამ გაძვირება ისე მიიღო თითქოს რაღაც ხარვეზი გასწორეს და ეს მათ ცხოვრებას თითქოს არც დასტყობია. არადა ქალაქელები გაძვირებით ორმაგად დაზარალდნენ: მგზავრობაში მეტის გადახდა უწევთ და პროდუქტებსა და მომსახურებაზე ფასები უკვე აწეულია. ყველაფერი ისეა, როგორც ნეკრასოვის ლექსში-„ფიქრები საპარადო მისასვლელთან“-ყველა პირქუშ ძილს მისცემია. არ არის ისეთი ადგილი მშობლიურ მიწაზე, სადაც რუსი გლეხი არ იტანჯებოდეს. გამოსავალი მხოლოდ ერთია-იპოვოს საკუთარ თავში ძალა გამოფხიზლებისთვის. ვერ იპოვა რუსმა გამოსავალი საკუთარ მიწაზე. ცოტა ხანში, იმ საუკუნის 20-ინ წლებში, უარესეც დაემართა, მერე აპოვნინეს გამოსავალი, მაგრამ ახლა ისევ ისე გმინავს, როგორც ნეკრასოვმა დაუწერა. ამაში არის ერის ტრაგედია, საკუთარი უბედური მდგომარეობიდან გამოსავალს ვერ პოულობს. რუსული იმპერია რუსის კი არა, ქართული გენიალური გონის კონსტრუქციაა. ჩვენი უბედურების შესახებ პოემად მოგვითხრო დავით გურამიშვილმა, მაგრამ ვერ ვისწავლეთ მისგან. ერთმანეთის მოქიშპეობაში ვღუპავთ ქვეყანას. მერე გვიკვირს, რომ ვკარგავთ ტერიტორიებს, გვილანძღავენ წარსულს, გვართმევენ ისტორიას, ზურგში მახვილს გვცემენ. როდის იყო ერთი სახელმწიფო მეორეს კეთილდღეობისთვის იბრძოდა, ეცოდებოდა იგი და გაჭირვებულს დახმარების ხელს უწვდიდა. ჩვენს საზოგადოებაში დამკვდრდა ორი უკიდურესი აზროვნება. ერთის მიხედვით ჩვენ იმიტომ ვართ ასეთ ცუდ ყოფაში, რომ სპარსელებმა რაოდენობით გვაჯობეს, არაბებმა სისხლი გვადინეს, თურქებმა აგვიკლეს, მეზობელი სახელმწიფოები გვაწიოკებდნენ, მონღოლებმა გაგვანადგურეს, რუსებმა დაგვიპყრეს, გერმანელებმა და ინგლისელებმა გვიმტყუნეს, სომხები ისევ არ გვეშვებიან და აფხაზეთს ეპატრონებიან, ჯავახეთზე თვალი უჭირავთ, „მეგობარი“ აზერბაიჯანი საინგილოს გადარჯულებას არ ეშვება. მეორე უკიდურესობას გადამთიელების იმედი აქვს-თურქეთი ჩვენი ისტორიული მეგობარია,

ამერიკა-სტრატეგიული პარტნიორი, რუსეთი-უფროსი ძმა და ქვეყნის ხსნა მხოლოდ რუსეთთან გაერთიანებაში მდგომარეობს. ორივე ეს მხოლოდ უკიდურესი აზროვნება კი არ არის, სტარტზე გასული იმპულსებია. კონსტანტინე ბატონისა არ იყოს (ასე მიმართა პოეტმა შოთა ნიშნიანიძემ კონსტანტინე გამსახურდიას) ბოლოს მაინც იქ დავეცემით, საიდანაც გაგვისრო;ეს. საქართველოს გამთლიანებაში გადამწყვეტ ძალას ქვეყნიდან იძულებით გაქცეულები წარმოადგენენ. ჩვენ აქაურები ამ ძალებთან უნდა გავერთიანდეთ. ისინი არა მარტო მრავალრიცხოვანი არიან, თავისუფლების მეტი ხარისხი აქვთ, გეოგრაფიულადაც ვრცელ ტერიტორიას იკავებენ, ლამის ყველა განვითარებულ ქვეყანაში შეაღწიეს. ბევრი მათგანი საკმაოდ მაღალი გავლეთით სარგებლობს იმ ქვეყნებში და ინფორმაციების გავრცელებაც ხელეწიფებათ. ერთმა ქართველმა ამერიკელმა შემახსენა: აქეთ თუ ვინმე ჩამოვიდა, უკან დაბრუნებაზე არავინ ფიქრობს, ქართველის გარდა. ქართველს, როგორც წესი, არსად ცხოვრება არ შეუძლია, სამშობლოს გარდა. ეს ის ძალაა, რომელიც ქვეყნიდან იძულებით გაქცეულ 2 მლნ. კაცს ერთ მუშტად აქცევს. საკმარისია მათი გაერთიანება ერთი იდეის-საქართველოს კეთილდღეობის ამაღლების ინტერესების ირგვლივ...ამ კვალზე დგას საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა „ქართული იდეა“, რომელსაც შეუძლია ქართული სათვისტომოების მეშვეობით ერთ პატრიოტულ ორგანიზმად გაერთიანება და სამშობლოს კეთილდღეობისთვის მებრძოლ ადამიანებთან ერთად ამ ხელისუფლების მორალურ-ზნეობრივი, მაღალი კვალიფიკაციის, პატრიოტული ადამიანებით ჩანაცვლება. ლუმპენები და პროლეტარიატი ძალა არ არის. იმათ ფინანსური იმპერია, ბანკოკრატია იყენებს სოციალური მოძრაობის მასობრივი აჩქარებისთვის და მის მოწინააღმდეგე ჯგუფებზე სისხლისმღვრელი შეტაკებისთვის. როგორც წესი, გაუნათლებელი აღზევებული დაუნდობელი, სასტიკი და ვერაგია, რომელიც არის მისი ტრაგიკული დასასრულის მიზეზი. ასეთი მასა იყო 1917 წლის რუსეთის ოქტომბრის რევოლუციის მასობრივი ძალა, რომელმაც დაანგრია ქვეყანა და ამოჟლიტა მესაკუთრე და მწარმოებელი კლასი, მართლმორწმუნე ქრისტიანები, მოშალა ეკონომიკა და ინფრასტრუქტურა. მკვლელობა პროფესიად იქცა, რაც 1937 წელს უკან მოუბრუნდათ სასტიკ რეპრესიებად. ხეირი მხოლოდ იმათ ნახეს, რომლებმაც რევოლუცია ჩაიფიქრეს და დღეს ძლევამოსილი ფინასური იმპერიაა.

ახლა საქართველოში საუკუნის წინანდელი კლასობრივი დაპირისპირებაა. გაჩნდა პარაზიტული კლასი ნეოლიბერალების სახით, რომელიც ვამპირივით ზურგზე მოჰკიდებია საკუთარ ხალხს და სისხლს წოვს ხარბად. მიწაც უნდა გამოაცალოს ფეხებიდან და სამშობლოში უცხოელთა დაქირავებულ მუშებად აქციოს. ეს უკვე ეროვნულობის დასასრულია. თუკი მოხდება ისე, რომ საქართველო იქნება დიდი ქვეყნის სტრატეგიული არჩევანი, როგორც ქრისტიანობის შემაკავებელი ზღუდე ევროპიდან აზიას შორის მუსულმანური შეტევის საპირწონედ, მაშინ ქვეყანას ეროვნული აღორძინების ახალი პერსპექტივა გაეხსნება. ისტორიას უნდა ჩამოვხსნათ ახლანდელი ხელისუფლების ჟანგიანი ეშელონი.

ორიენტაცია კრეატიულ ეკონომიკაზე

კრეატიულობა ქართული ეკონომიკის აღორძინების გენერატორად მიმაჩნია. ოღონდ ამისთვის საჭიროა ახალი აზროვნება დაეუფლოს ხალხს, ქართველი კაცი ქვეყნიდან გაქცევის ინტერესიდან თავის თავს უნდა დაუბრუნდეს, ირწმუნოს, რომ პიროვნებაა და ყველაფერი შეუძლია. თავის სამშობლოში მას არსობისთვის მატერიალური თავსაყრელი აქვს, მაგრამ სულის სიმაღლე აკლია. განა სრულყოფილია კაცი, რომელიც იქ არის, სადაც მისი ადგილი არ არის, არაფრის გაკეთება შეუძლია, მაგრამ იმდენად არასრულყოფილია, რომ მისი ცვედანობა არ ერხცვინება, ქვეყნის და ხალხის სიმდიდრის ქურდია. ნაქურდალს ხელფასებს ამატებს და სტომაქს ეფერება. იქ არის, სადაც არ უნდა იყოს. იმდენად უძლური არის-იმის ნაცვლად, რომ მშიერი დააპუროს, იმის წილ ლუკმასაც იპარავს. რა ჰქვია ამას. როგორ, ქუთაისის უკეთესი ცხოვრების საშუალებები არა აქვს? (ჩემი პროექტის შემცირებული ვარიანტი ამ წიგნს ერთვის), მაგრამ იმდენად ზნედაცემული, გაუთლელი და ზეპრეა ხელისუფლება, რომ თუ რა აკისრია, არაფრად აინტერესებს, არც იმისი რცხვენია, რომ მხოლოდ არაფრის გაკეთება შეუძლია. ცვედანი და სკაპეცია. თავმოყვერობა პიროვნების ღირსებაა. შენ, გაქსუებულ ვითომ ქვეყნის პატრონს, სოფელში მარტოდ, ღმერთის იმედად დარჩენილი ას წელს მიხრწნილი მოხუცი გჯობია.

კრეატიული ეკონომიკა საზოგადოებრივად ცნობიერია, როგორც განათლების, ცოდნის ეკონომიკა, უფრო სწორად ეკონომიკა, რომლის მამოძრავებელია მუდმივად განახლებადი ცოდნა,

რომელიც მას განვითარების ენერგომუხტებს აძლევს[101]. ამ განმარტებაში სიახლე მართლაც და არაფერია, ვინაიდან ეკონომიკას ყოველთვის ცოდნა და გამოცდილება ამოძრავებდა. რაც თავის დროზე სწორად შეამჩნია ა. მარშალმა. არც ის ჩაითვლება მეცნიერულ ნოვაციად, რომ თითქოსდა კრეატიულ ეკონომიკაში მთავარია იდეა ანუ მეთაური ცოცხალი აზრი, როგორც უარყოფის უარყოფა საბოლო მატერიალური ინსტანციით, რომელიც აგრეთვე იდეის დემიურგია. იდეა, რომ მატერიალურზე პირველადია, ამის შესახებ ყველა ჩვენთაგანმა ბიბლიიდან, კერძოდ იოანეს სახარებიდან ვიცით. ამიტომ კრეატიული ეკონომიკის ცნების, როგორც იდეის მამოძრავებლის განმარტება მეცნიერულ ორიგინალობად ვერ ჩაითვლება. აქ მხედველობის მიღმა სხვა რაიმე რჩება.

დიდი ხანია, რაც ეკონომიკა ნატურალური მეურნეობაზე დამოკიდებულოებას გამოსცდა და არტეფქტებით გამდიდრდა. ეკონომიკური ისტორიის გრძელ მანძილზე კაცობრიობამ ღვთიური ბუნებისაგან ბევრი რამ ისწავლა და თავის მხრივ, შემოქმედების ხელი დაატყო და მასთან ერთად ახალი სამყარო შექმნა, რომელიც ბუნებრივისა (ღვთით ბოძებულისა) და ადამიანური შემოქმედების თვისებრივად ახალი მატერიალურად ვრცელი და განუყოფელი მთლიანობაა, რთული სტრუქტურული კომპლექსია, რომლის ფუნქციონალურ ურთიერთობებში გარკვევა თანამედროვე ადამიანისაგან არა მხოლოდ ღრმა პროფესიულ, არამედ სისტემურ, დინამიკურად განახლებად ცოდნას მოითხოვს. ტრადიციულისაგან განსხვავებით, კრეატიული ეკონომიკისათვის მთავარია არა მხოლოდ საწარმოო რესურსები, მათი ეფექტიანი გამოყენების გზებისა და მეთოდების ცოდნა, არამედ მთელის სისტემური ცოდნა, ღირებულებათა ვრცელი მასივები, რომლის ტრანსფორმაციული გამოხატულებაა ტექნოლოგიური ნოვაციები, პიროვნული ტალანტი, ტოლერანტობა, რომლებიც ინტელექტუალური ფონდების სახით არსებობენ. თუ საწარმოო რესურსები შეზღუდულია, საკაცობრიო ცოდნა, ინტელექტუალური რესურსი არა მხოლოდ რაოდენობრივად ვრცელია, არამედ იდეური და ტექნიკური ნოვაციების მათემატიკური განუსაზღვრელობის ვარიაციული რიგია. ცხადია, ადვილი მისახვედრია ისიც, რომ ასეთი რესურსების გამოყენება ადამიანისაგან ეკონომიკის შესახებ ვრცელ და სიღრმისეულ, სისტემურ ცოდნას მოითხოვს, რაც მართლაც და, პირველი რიგის საკითხია, მაგრამ ამის გამო საკმარისი როდია. აქ მთავარი ისა, რომ პიროვნებამ იდეას მიაგნოს, რათა ინტელექტუალების მიმზიდველობის ინტერესი შექმნას, გუნდური პრინციპით რომ იმოქმედოს. ეს ისეთი მდგომარეობა, როცა წინა პლანზე გამოდის კოლექტიური შემოქმედებითი ფენომენი. მაგალითად, პურის, როგორც კვების პროდუქტის წარმოება ჩვენი სინამდვილისათვის პრობლემა არ იყო და არც ახლა წარმოდგენს. არც მისი რეალიზაციაა რთული, თუმცა მიწოდების კანონის თანახმად მისი თავისუფლება ზღვარდებულია, მიუხედავად იმისა, რომ სიცოცხლისათვის აუცილებელი ყოველდღიური მოხმარების პროდუქტია. მართალია, რომ პურის ბაზარი მოთხოვნა-მიწოდებით წონასწორდება, მაგრამ სახეობრივად განუსაზღვრელია. სწორედ ასორტიმენტული უსასრულობა არის კრეატულობის იმპულსი, რაც მწარმოებელს საშუალებას აძლევს ბაზარზე თავისი ნიში იპოვოს და კონკურენციაში ჩაერთოს, როგორც ნოვატორი. ასეთი სახის პურის (ბრენდის) ბაზარზე შემოტანა მომხმარებლის არჩევანის სივრცეს აფართოებს.

მწარმოებელი აქ მარტო ვერაფერს გახდება მიუხედვად იმისა, რომ იგი იდეის ავტორია. მას სჭირდება ეკონომისტის, ტექნოლოგის, მარკეტოლოგის, ფინანსისტის, დიზაინერის და სხვათა თანამშრომლობა. იგივე ითქმის სხვა დანარჩენი წარმოებისა და მომსახურების სახეებზე. ამის ლოგიკურ გაგრძელებას მივყავართ იმის გაგებამდე, რომ კრეატიული ეკონომიკისთვის ჩვენი ქვეყნის განათლებისა და მეცნიერების მოქმედი სისტემები თვისებრივ განახლებას საჭიროებს. თუ აქამდე უმაღლესი სასწავლებელი ამა თუ იმ დარგის სპეციალისტს ამზადებდა, ახლა მან კრიტიკული. ნოვატორული, დიალექტიკური აზროვნების, მუშა დინამიკური სტერეოტიპი უნდა შექმნას, რომლის საქმიანობის მთავარი მამოძრავებელი პრინციპი იქნება მუდმივი გაუმჯობესებისაკენ სწრაფვა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ კრეატიული ეკონომიკა შემოქმედების ეკონომიკაა, იდეის ეკონომიკაა, რომელიც საცდელი ნიმუშიდან ინკუბაციების გავლით საწარმოო ტირაჟირების მეშვეობით მოხმარების საგნად, საშუალებად და მეთოდად იქცევა. აქედან ცხადი ხდება ისიც, რომ კრეატიული ეკონომიკა ინვესტიციატევადია, რომლის საწყისი რგოლია სასკოლო განათლება, რომელზეც ბაზირებულია საშუალო და უმაღლესი პროფესიული განათლების ინსტიტუტები მზარდი ინვესტიციებით, რომლის დამამთავრებელი რგოლია მეცნიერება. გამოდის, რომ იდეა ინვესტირებული ცოდნაა, საიდანაც იგი იბადება იმ გამოწვევებიდან, რომელსაც საზოგადოებრივი ცხოვრება ქმნის და რომელსაც საბაზრო ღირებულება გააჩნია მისი პოტენციალური ეფექტიანობისაგან

[101] ტერმინი "კრეატიული ეკონომიკა" ლექსიკურ ხმარებაში შემოვიდა 2000 წლიდან, ხოლო თვით ასეთი ეკონომიკის ეპისტოლარული აღწერის ავტორია ინგლისელი მკლევარი ჯონ ჰოკინსი, რომლის შრომა "კრაეტიული ეკონომიკა" დიდი ხანია, რაც ბესტსელერად ითვლება.

დამოკიდებულებით. იდეათა ბაზარი საქონლური ბაზრის უმაღლეს სახესხვაობად უნდა მივიჩნიოთ, ვინაიდან ცნობიერების სივრცეში მოძრაობს და გეოგრაფიულ მდებარეობაზე დამოკიდებული არ არის.

სრულიად მართებულია მსჯელობა იმის შესახებ, რომ ფული თანამედროვე სამყაროში, როგორც პრობლემა არ არსებობს, მთავარი პრობლემა არის იდეური ნოვაცია, რომელსაც ფულის მიმზიდველობა აქვს და რომელიც ფულის მომტანია. თანამედროვე სახელმწიფოს ეკონომიკური და სოციალური წარმატებები განსაზღვრულია იმით, თუ რამდენად მიზანმიმართულია მისი ქვეყნის ხელისუფლება განათლებისა და მეცნიერების თანმიმდევრული სტრუქტურული განახლებისადმი, რამდენად ეფექტიანია ინვესტიციების სტრატეგიული ეშელონირება კრეატიული ეკონომიკის ისეთ კლასტერებზე, როგორიცაა:

-განათლების დაფინანსება;

-უნივერსიტეტის სუბსიდირება;

-სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების მატერია.

ამ კლასტერების ინვესტირების ეფექტიანობის გამოხატულებაა:

-გამოგონებების, პატენტების, საავტორო მოწმობების, სავაჭრო ნიშნების რაოდენობრივი ზრდა;

-მეცნიერთა და ინჟინერთა რიცხვის ზრდა 100 ათას მოსახლეზე;

-მხატვრების, მწერლების და მსახიობთა რიცხვობრივი მატება.

ორივე მიმართულება ერთმანეთთან დიალექტიკურ მთლიანობაში ქმნის ახალი ტიპის ეკონომიკას, რომელსაც კრეატიულს ვუწოდებთ, ხოლო მის აქტივისტებს-კრეატიულ კლასს.

ზემოაღნიშნული ბოლო ორი აბზაციდან ჩანს, რომ კრეატიული კლასის მომზადება ინვესტიციური რისკის მატარებელია და ამდენად იდეა საკმაოდ ძვირად ღირებული ნოვაციაა, რომლის ეკონომიკურ კეთილდღეობად გარდაქმნა კრეატიული ადამიანების თანამშრომლობას საჭიროებს. ამით პრინციპულად უპირისპირდება იგი პოსტინდუსტრიულ საზოგადოებას, რომელიც უპირატესად დაქირავებულ შრომას ეფუძნებოდა. დაქირავებული შრომა (1930-1953 წ. სოციალიზმის სახელმწიფო დაქირავებას არ ვგულისხმობ) მიუხედავად თავისი მაღალი ანაზღაურებისა, მაინც შრომითი საქმიანობის მკაცრი რეგლამენტაციის სფეროა, სპეციალისტი ორგანიზაციის კონსტიტუციური რეჟიმების მორჩილებაშია. შემოქმედებითი აქტივობების სტიმულატორებია ანაზღაურების ფორმები და სისტემები, ვინაიდან მიზანი ფულია. ლიბერალური, იგივე საბაზრო ეკონომიკა ფულის რელიგიაა. ასეთ პირობებში კი ადამიანი თავისუფლებას კარგავს და თავს იტყვილებს იმით, რომ კანონის უზენაესობას აღიარებს. არანაირი კანონი არ შეიძლება უზენაესი იყოს, ვინაიდან იგი ყოველთვის უმცირესობის სასარგებლოდ იქმნება. უზენაესი მხოლოდ ღმერთია. თავისუფლება კი იმ პასუხისმგებლობათა აღსრულებით რეზულტატია, რომლითაც თავისუფლება სინამდვილეა. არ არის თავისუფლება პასუხისმგებლობის გარეშე. ამიტომ არის თავისუფლება, როგორც ნ. ბერდიაევი წერდა, არისტოკრატიული. მაღალპროფესიული განათლება და მორალურ-ზნეობრივი ინსტიტუტები ანიჭებს ადამიანს შემოქმედებითი თავისუფლების ხარისხს.

მე-20 საუკუნის დასასრულს ჩვენს სამშობლოს ჰყავდა მსოფლიო კლასის სამეცნიერო და საინჟინრო კადრები, რომლებიც უმაღლესი სასწავლებლის გარდა 200 სამეცნირო-კვლევით ინსტიტუტის პერსონალს შეადგენდა. მაშინდელ საქართველოს 25 ათასზე მეტი მეცნიერ-მუშაკი, უმაღლესი ტექნიკური განათლების 285,4 ათ. ინჟინერი ჰყავდა. მათ მიერ 1980 წელს გამოგონებაზე და რაციონალიზატორულ წინადადებაზე შეტანილი იყო 31 ათ. განცხადება, რომელთაგან საწარმოო გამოყენება ჰპოვა 440 ერთეულმა. საქართველოს 146 პროფესიულ ტექნიკურ სასწავლებელში ირიცხებოდა 29 ათ. მეტი მოსწავლე, რომლებიც სასწავლებლის დამთავრების შემდეგ საწარმოებსა და ორგანიზაციებში იგზავნებოდნენ თავიანთი პროფესიების შესაბამისად. ქვეყანა აწარმოებდა ისეთ რთულ ნაკეთობებს, როგორიცაა თვითმფრინავები, ელმავლები, ავტომობილები, ლითონმჭრელი ჩარხები და ა.შ[102]. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ პარტიული და სამეურნეო ელიტა ისე იყვნენ დაავადებული სახელმწიფო ქონების მიტაცებით, რომ ქარხნებისა და ფაბრიკების რეკოსტრუქციასა და განახლებაზე ვინ იფიქრებდა და უზარმაზარი ფიზიკური კაპიტალი ჯართის ეშელონებად აქციეს და ფოთის პორტიდან მსოფლიო ექსპორტად გარდაისახა. ამგვარად გაძარცვული საწარმოების მომუშავეები უმუშევართა არმიას შეუერთდნენ არა მხოლოდ მაღალი პროფესიის უმუშევრად დარჩენილი საინჟინრო კადრები, არამედ ფუნდამენტური და დარგობრივი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების შემოქმედებითი პერსონალი, რაც მოკლე ხანში საგრძნობლად დაეტყო ქვეყნის მოსახლეობის ტექნიკურ აზროვნებას.

---

[102] Народное хозяйство Грузинской ССР в 1980 г. Статистический ежегодник. С. 27,28,45, 145, 147. Тб., 1981 г.

მოსახლეობა, საზოგადოებრივი აზროვნება თავისი ხასიათით კონსერვატიულია და ხშირად ტრადიციული ინსტიტუტები დაუსრულებელ პერსპექტივად გვეჩვენება. მართალია, ქართული საშუალო ასაკის საზოგადოება გრძნობს, რომ თანამედროვე ცხოვრებას განათლებული ადამიანი სჭირდება და ამიტომ ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ შვილებს განათლება მისცეს, მაგრამ სიღრმემდე ვერ წვდება იმ აზრს, რომ სამყარო შეიცვალა და ადეკვატურ ეკონომიკურ აზროვნებას საჭიროებს. საზოგადოებრივი ცნობიერება უნდა განახლდეს. ჩვენი ქვეყნის მერკატილურად მოაზროვნე და ხელისუფლებაში მოქცეული ელიტად გარდასახული საზოგადოება ქართველი კაცის ამ ჩამორჩენილ განწყობას თავის სასარგებლოდ იყენებს. ფორმალურად თავის ქვეყანაზე ზრუნვის იმიჯის იქმნის, თითქოსდა ახალ სასწავლო პროგრამების, ლიტერატურის, აკადემიური პერსონალის არჩევნების კონკურსის ნოვაციებს ამუშავებს, სინამდვილეში უნიჭო და დაბალი ინტელექტის პერსონებს ხელოვნურ გზებს უხსნის, რომელიც პროფესორის თანამდებობების დასაკავებლად ყველაზე კონსპირაციულია და ფინანსურად სარფიანი. უმაღლესი სასწავლებელი ფულის შოვნის "ცეხად" გადაიქცა. ეს უკვე ფარული, მაგრამ ძლიერი კორუფციულ-მექრთამეობრივი სტრუქტურაა, რომლის ფულადი მოძრაობის ნაკადები მსხვილ მასშტაბებს იღებს. თითქოსდა, უმაღლეს სასწავლებლებში მისაღებ გამოცდებზე ქრთამი გამოირიცხა, მაგრამ ეს ხომ ერთჯერადი პროცესი არ არის, მექრთამეობა საზოგადოების სოციალური მანკიერებაა, ამიტომ იგი ვერ გაქრებოდა და არც გამქრალა, მარშრუტი შეიცვალა მხოლოდ. უფრო დახვეწილი, შენიღბული ფორმა მიიღო, ვრცელ სივრცეში შთაინთქა. სადაცაა ათ წელიწადს მიუახლოვდება, რაც უმაღლეს სასწავლებელში მოქმედებს სტუდენტთა სწავლებისა და კონკურსის წესით პროფესორის თანამდებობაზე ასარჩევი ახალი დებულება თუ წესდება, რომელიც არანაირი საქვეყნო სიკეთის მომტანი არ არის, მაგრამ მაინც ხელუხლებელია, იმიტომ რომ განათლებისა და მეცნიერების სუფთა წყალი რაკი ერთხელ აიმღვრა, ისევ იმღვრევა და იოლად იჭერენ იმას, რაც უნდათ.

ყველა ჩვენთაგანი მოწმეა იმისა, რომ უმაღლეს სასწავლებელში ამჟამად არსებული სტუდენტთა შუალედური შეფასებების ვიღაცების მიერ თავსმოხვეული სისტემა უვარგისია, უარყოფითად მოქმედებს დამოუკიდებელი აზროვნების განვითარებაზე, ორგანიზაციულად ძალიან დააზარალა სასწავლო პროცესი. სწავლებამ დაკარგა შემოქმედებითობის ხარისხი და რაღაც სპორტული მარათონის სახე მიიღო. ერთი ნაბიჯის წინ გადადგმა მაინც მოხერხდა-ორი შუალედური გამოცდის ნაცვლად, ერთი დატოვეს, ალბათ იმ ერთის გაქრობის დროც დადგება. შეიძლება რომელიმე მეცნიერებას მართლაც სჭირდება საგამოცდო ცენტრებში ჩატარება, მაგრამ ეკონომიკაში, მხოლოდ წერითი გამოცდა, სადაც სტუდენტი კრიტიკულ აზროვნებას უნდა ამჟავნებდეს, არაფრის მომტანია. არ შეიძლება პროფესორთან სტუდენტის ზეპირი გამოცდა შეიცვალოს წერით იმ მოტივით, რომ ქრთამი გამოირიცხება. ადამიანის შრომის, მითუმეტეს, მეცნიერისა ტექნიკით შეცვლა მხოლოდ კეთილშობილური, ზნეობრივი საქმე უნდა იყოს და არა მხოლოდ შრომის ეკონომია.

თანამედროვეობისთვის მიუღებელია, როცა სტუდენტს სავალდებულოდ უხდება იმ წიგნების შეძენა, რომელიც მისმა ლექტორმა დაწერა თუ გადაწერა, რომელსაც არც მეცნიერული და არც მეთოდური ღირებულებები არ გააჩნია, გაუმართავია და ლოგიკურად დაულაგებელი. მართალია, ასეთი "შრომა" სტუდენტისთვის აზრობრივად თავსატეხი სატანჯველია, სამაგიეროდ საგნის ლექტორისთვის დამატებითი შემოსავლის წყაროა.

რას ნიშნავს ყოველ მესამე თუ მეოთხე წელს აკადემიური პერსონალის თავიდან არჩევა. 5 თუ 6 წლიანი პერიოდით პროფესორის კონკურსი თანამადებობის დასაკავებლად. ეს ხომ მისი მეცნიერული საქმიანობის ანგარიშია თავისი ფაკულტეტისა თუ უმაღლესი სასწავლებლის სამეცნიერო საბჭოს წინაშე. იგი უნდა იყოს ღია პროცესი, სადაც ყველა დაინტერესებულ მეცნიერს ექნება დასწრების უფლება. პროფესორის ამ ყველაზე პრესტიჟული თანამდებობის დაკავებისთვის მთავარია პიროვნების მეცნიერული დონე, მისი კვლევის პრობლემურობა და მასშტაბები, მისი ლექციური სააუდიტორიო მოღვაწეობა. ჩვენ საპირისპირო რაღაც ანგარიშსწორებისა და ნათესავების პროფესორიზაციის მექანიზმები დავამკვიდრეთ. ჩვენი მხედველობის არეალის უნივერსიტეტები საოჯახო მეურნეობას უფრო ჰგავს, ვიდრე უმაღლეს სასწავლებელს. იშვიათია მკლევარს მეცნიერულობა საჯაროდ მოუწონონ. მთავარია ე.წ. ავტორს რაღაც ნაწერები ჰქონდეს გამოქვეყნებული ჟურნალებში და უცხოური სამეცნიერო კონფერენციების მასალების კრებულებში. აბსოლუტურად უმრავლეს შემთხვევაში, სტატია ან გადაწერილი იქნება ან უაზროდ დაწერილი, მაგრამ ამას კაცის კაცისთვის რაიმე უარყოფითი მნიშვნელობა არ ექნება. არ დაიჯერებს, ვერ დაარწმუნებ საარჩევნო კომისიას უნიჭოსთან თქვენს უპირატესობაში. საქმეში შემოვა მასალები, რომელიც შენთვის სიახლეა, მაგრამ უნიჭოსათვის კაი ხნის-ძველი, ვინაიდან ეს საარჩევნო ხაფანგი რამდენიმე წლის წინ ისე იწყობოდა, რომ ფეხი შენ ჩაგეკრა და არა შენს კონკურენტს. თქვენ არ გექნებთ გრანტი, რადგან არ მოგცემენ, ვინაიდან სიის (სია უმაღლესი სასწავლებლის ადმინისტრაციის

მიერ იმ პირების ჩამონათვალია, კონკურსში რომ აუცილებლად უნდა გავიდნენ) გარეთა ხართ და იმიტომ. თქვენ არ იქნებით რამდენიმე ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის წევრი, მიუხედავად იმისა, რომ გამოგონილმა კონკურენტმა გამართული არც წერა იცის და არც კითხვა. თქვენ ხომ არ გექნებათ სტაჟირების დამადასტურებელი სერთიფიკატი, ვინაიდან აქაც იმ სიის გარეთა ხართ. თუ მოინდომეს უარესი დაგემართება: საჩვენებელი ლექცია უნდა ჩაატარო, მერე რა, რომ შენმა კონკურენტმა ამის შესახებ ორი თვის წინ იცოდა. შეიძლება ამანაც არ უშველოს მის გაჭირვებას, მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს, მაინც შენს ლექციას დაიწუნებენ. აი, თურმე სანამდე შეიძლება მივიდეს ადამიანის უტიფრობა, საჩვენებელი ლექცია მოსთხოვო ავტორიტეტულ მეცნიერს, რომელიც არა მარტო მაღალი ხარისხის მკლევარია, არამედ ცნობილია, როგორც შესანიშნავი ლექტორი არა მხოლოდ შიდა საუნივერსიტეტო, არამედ სატელევიზიო აუდიტორიისათვის. ვინ დაგიდევს იმას, რომ საკონკურსო კომისიის წევრებს იმ ლექციის შეფასების კომპეტენცია აქვთ თუ არა. უმაღლესი სასწავლებლის ადმინისტრაციამ თვითონაც ყველაფერი კარგად იცის, ვინაიდან სტუდენტებს იმათი მრავალჯერადი ანკეტური გამოკითხვებით თქვენთვის მხოლოდ უმაღლესი შეფასება მოუციათ, და რაკი კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ, გამოსავალი იპოვეს-სტუდენტები ხშირად მართლები არ არიანო და თავისივე ნაჯახირები სანაგვეში მოისროლეს.

ზემოთ მოტანილი მასალები, ყველა უსიამოვნების მიუხედავად, იმისი მაჩვენებელია, რომ ჩვენ ახლა ტექნიკური აზროვნებით თანამედროვეობას, თუ მას გვერდს აუვლით, გასული საუკუნის 80-იანი წლებს შესაბამისი მაჩვენებლებითაც ჩამოვრჩით. იმედის ნაპერწკალი გამოჩნდება თუ გავიხსენებთ იმას, რომ ეკონომიკის კრიზისული მდგომარეობიდან გამოსვლის ყველა იმპულსი ტრადიციებში უნდა მოიძებოს. აღმოვაჩენთ, რომ ქართველ ხალხს ტექნიკური და აგროტექნიკური აზროვნების არა მარტო უმდიდრესი, უძველესი ინტელექტუალური ფონდები აქვს. ისტორიული წყაროებიდან ცნობილია, რომ კოლხები ძვ. წ. მე-7-6 ს. აწარმოებდნენ სელსა და სელის ქსოვილებს, ბეწვეულს, ტყავს, სამშენებლო მასალებს ბზისაგან, ოქროსა და ოქროს ნაკეთობებს, რკინის იარაღებს, რომელიც ბერძნებს საუკეთესოდ მიაჩნდათ მთელ მსოფლიოში. განთქმული იყო ხალიბური რკინა, რომელიც ვერცხლისაგან ძნელად გასარჩევი ყოფილა და ჟანგიც არ ეკიდებოდა. კულტურული მცენარეებიდან გამოყოფენ ვაზს, რომელიც არაჩვეულებრივ ღვინოს იძლევაო. მითითებულია, რომ კოლხეთში ხარობდა მრავალგვარი ჯიშისა და კარგი ხარისხის მსხალი და ვაშლი, ბროწეული, ლეღვი. მსოფლიოში საქართველოდან გავრცელებულად მიაჩნიათ ბალი. ხორბლის მთავარ სამშობლოდაც კოლხეთი უთვლება, სადაც აღრიცხულია მისი 12 სახეობა და 130 სახესხვაობა; ორი სახეობა, მახა და ზანდური მსოფლიოში საქართველოს გარდა არსად არ გვხვდება[103]. აქვე უნდა აღვნიშნოთ მშენებლობისა და არქიტექტურის მაღალი კულტურა და მიწათმოწყობის უძველესი ტრადიციები და ისიც, რომ ასეთი კულტურა და ტრადიციები ერთმანეთისაგან საკმაოდ განსხავებულია ქართული სოფლების, კუთხეებისა და მხარეების მიხედვით. ქართველი კაცი თავის თვითმყოფადობას, თავის იდეას ეძებდა და პოულობდა. ისტორიიდან, რანაირი ძველიც არ უნდა იყოს იგი, შესაძლებელია ტრადიციების გამოწვევა და მისი გარდაქმნა თვისებრივად ახალ ფორმაში. აქაც ზემოთ მოტანილი მსჯელობებიდან გამომდინარეობს, რომ ჩვენს ქვეყანას კრეატიული ეკონომიკის განვითარების, გამორჩეულად მნიშვნელოვანი, ორი სახის რესურსი გააჩნია: უძველესი ისტორიული ტრადიცია და სოციალიზმის დროინდელი, ორი თაობისა მაინც, მეცნიერული და ინჟინრული კადრები, რომელთაც ჯერ კიდევ შესწევთ უნარი თავიანთი წვლილი შეიტანონ კრეატიული ეკონომიკის განვითარებაში. აქტუალურად დგას განათლებისა და მეცნიერების რეფორმირების პრობლემა. მძიმე კრიზისულ მდგომარეობაშია განათლების სისტემა. მან წინა პლანზე გამოიტანა მსოფლიო თუ ევროპულ შრომით ბაზარზე დამკვიდრების ამბიციები და მხედველობიდან გაუშვა ქვეყნის კვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფის ვალდებულებები. საჭიროა ჩვენი სამშობლოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული გეგმების დამუშავება უმაღლესი სასწავლებლების მეცნიერთა მონაწილეობით, რეგიონალური პრიორიტეტების გამორჩევა, რომელთა საფუძველზე უნდა განისაზღვროს პროფესიული, საშუალო პროფესიული და უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალობები პროფესიული კოლეჯების, საზოგადოებრივი კოლეჯების და უნივერსიტეტების მიხედვით. "იმის მიუხედავად, რომ პროგრამებსა და ფორმულებში მოტანილია სასარგებლო ცნობები, მათი სათავე აქედან არ იწყება. მათი წყარო ადამიანები არიან. ამოსავალი ინტელექტუალური საკუთრება-ის, რაც რეალურად მოდის მიწის, სამუშაო ძალისა და კაპიტალის სანაცვლოდ უფრო ფასობრივი ეკონომიკური რესურსის სახით-ადამიანის კრეატიულ უნარებში მდგომარეობს[104].

---

[103] ბერძენიშვილი ნ., ჯავახიშვილი ი., ჯანაშია ს. საქართველოს ისტორია. ნაწილი I. თავი II. ანტიკური ხანის მონათმფლობელური სახელმწიფოები საქართველოში. თბ., 1948.

[104] ფლორიდა რ. ადამიანები, რომლებიც ცვლიან მომავალს. კრეატიულობის პირველწყარო. გვ. 30. ელექტრონული ვერსია. თარგმნა რ. ნამიჭეიშვილმა. 2016.

უნივერსიტეტი სასწავლო-აღმზრდელობითი და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მთლიანი სისტემაა, მეცნიერული პროდუქციის წარმოება და მოხმარებაა, და პირიქით. აქედან გამომდინარე, გაუგებარია მისი ახლანდელი დაყოფა, სასწავლო პროგრამების აკრედიტაციის საფუძველზე, სასწავლო უნივერსიტეტად და უნივერსიტეტად. სახელმწიფო უნივერსიტეტი მეცნიერების განვითარების პერსპექტივებზე უნდა მუშაობდეს ქვეყნისა და მისი რეგიონულ (სამხარეო) ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით, რომლის რეზულტატი იქნება ფუნდამენტური და გამოყენებითი მეცნიერული კვლევების ეფექტიანობა-რეალიზაცია საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროებში.

მეცნიერებათა აკადემიას უნდა ეთხოვოს დაამუშაოს პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე ასარჩევი კანდიდატის დებულების შედგენა და განახორციელოს მის შესრულებაზე კონტროლი. ეს ახლა აუცილებლობად მეჩვენება, რაკი ასეთი უხეირო დრო დაგვიდგა-მეცნიერებას დაცვა სჭირდება. განათლებითა და მეცნიერებით იწყება და მთავრდება ქვეყანის დამოუკიდებლობა.

ASSOCIATION OF SCIENCE

დასკვნა

ფინანსისტებმა ფულის მსოფლიო იმპარია შექმნეს, ეკონომიკა მთლიანად მიიტაცეს და თავიანთი ვულკანური ამოფრქვევის არქიპელაგში მოსამხურედ მოაქციეს. იწარმოება ის, რაც ფულით მდიდარ უმცირესობას სურს, რაც მათ კერძო სარგებლის გაზრდას უკავშირდება. იმათ უკვე ჰყავთ მთელ მსოფლიოში განფენილი თავისი მილიარდერების, მილიონერი ფულიანი მორჩილი ჯარისკაცების არმია, ბანკები, კორპორაციები, პოლიტიკოსები, სწავლულები და ფულზე დაგეშილი, მიტმასნილი წვრილფეხობაც. მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა უმდიდრესი უმცირესობის მორჩილი და მის მოსამსახურეთა ცოცხალი კატალოგია. ისინი, ერთის მხრივ, მონები არიან და ხელზე მოსამსახურეები, მეორეს მხრივ, მომხმარებლები იმ პროდუქციისა, რომელიც მხოლოდ მოგების მიღების მიზნით იქმნება და მნიშვნელობა არა აქვს, რამდენად აუცილებელი და სასარგებლოა საერთოდ ადამიანის ჯანმრთელობისთვის. მათთვის მთავარი ის კი არ არის, რომ წამალი თუ საწამლავი განკურნებადი იყოს, მთავარია მასზე მოთხოვნა შეიქმნას პიარტექნოლოგიით, ავადმყოფების ცნობიერებაში განმკურნებელ ბრენდულ საშუალებად იქცეს, დეფიციტი გამოიწვიოს ხელოვნურად.

ნაციონალურ მეწარმეობრივ კაპიტალიზმს ის დადებითი თანხვედრილობა ჰქონდა, რომ მას მოგების მისაღებად სჭირდებოდა არა მხოლოდ ადგილობრივი ეროვნული მუშათა კლასი, მაღალი დონის პროფესიონალები, კვალიფიციური მმართველები და ადმინისტრაციული პერსონალი, არამედ გადახდისუნარიანი მომხმარებლებიც. ფასეულობები შეიცვალა და ამჟამად მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი ტრანსნაციონალური კორპორაციების უპირატესობაა. ისინი კარნახობენ ეკონომიკურ პოლიტიკას გლობალური მასშტაბებით, ნაციონალური წარმოება არსებითია იმდენად, რამდენადაც ტრანსნაციონალური კორპორაციებისთვის მისაღებია. არანაციონალური რობოტიზებული წარმოება და კომპიუტერული მართვა უმაღლესი კვალიფიკაციის ადამიანების მხოლოდ მცირე რაოდენობას საჭიროებს და მნიშვნელობა არა აქვს თუ რომელ ქვეყანაში გაიზრდებიან ისინი. გენიალური ნიჭი და ტალანტი მსოფლიო ფინანსური იმპერიის დივერსიფიკაციის აქტივირებული იმპორტია.

მე-20 საუკუნის დასასრულს რუსეთის ფედერაციის და საქართველოს პოლიტიკურ ელიტას გულუბრყვილოდ სჯეროდათ, რომ სსრ კავშირის დაშლა ქვეყნის ეროვნული დამოუკიდებლობის და ცხოვრების მაღალი დონის გარანტია იყო. არ ეეჭვებოდათ, რომ თვითონ დამოუკიდებელი ქვეყნების სათავეში აღმოჩნდებოდნენ. წარმოდგენაც არ ჰქონდათ, რომ მერე თავიანთი ქვეყნები უკვე მიჩვეული იმპერიიდან მსოფლიო ფინანსური იმპერიის მარწუხებში აღმოჩნდებოდნენ და მათი მოსახლეობის

უმრავლესობა უკიდურეს სიღარიბეში დაიძირებოდა, ხოლო წარსული მომავლის სანატრელი სიზმარი გაუხდებოდა.

ახლა საქართველო მსოფლიო ფინანსური იმპერიის ვასალია, რომლის დამოუკიდებლობა იმაში გამოხატება, რომ ქართულგვარიან მთავრობის წევრებს სხვისი კარნახით მოძრაობა ეროვნულ საქმედ ეთვლებათ. არჩევნებში ხალხს ფულით იზიდავენ და იმასაც ავალებენ, ვის უნდა მისცეს ხმა. საზოგადოებრივი აზროვნება აბურდულია და ვისაც რა სურს, იმას იჯერებს. აყოლილია ინფორმაციის ნომინაციებს და კრიტიკულ აზროვნებას მოკლებულია. ამან შექმნა საზოგადოებრივი ატომიზაცია და ინდივიდებს შორის იზოლაციის ატმოსფერო. ჩვენი მთავრობა ნეოლიბერლიზმის მორჩილებაშია, რაც გამოწვეულია, ერთის მხრივ, ქვეყნის გარედან მასზე მკაცრი მეთვალყურეობით, ფინანსური ვალდებულებებით, რომელიც მათ შორის გარიგებებით იქმნება, და მატერიალურისადმი მონური მორჩილებით, რომელიც მათთვის სიცოცხლის ტოლფასია. ქვეყანა სწრაფად კარგავს ისეთ ეროვნულ იმპერატივების კუთვნილებას, როგორიცაა ფულზე კონტროლი, ოჯახის ინსტიტუტი, ქორწინების საიდუმლოება, ტრადიციები და პატრიოტიზმი, სამშობლოსა და ადამიანზე ზრუნვის მორალურ-ზნეობრივი პასუხისმგებლობა, ქრისტიანული სიწმინდეები. უარესდება ცხოვრების პირობები, რომლის გამოხატულებაა უმუშევრობა და სიღარიბე, მკვლელობების გახშირება, სირცხვილისა და სინდისის დევალვაცია, ქურდობისა და ძალადობის ზრდის სტატისტიკა, რასაც მატების ტენდენცია აქვს.

ცოდნასა და უცოდინარობას შორის ფსევდო ცოდნაა, როცა იმას აკეთებ, რასაც გიბრძანებენ ან რაზედაც მიგითითებენ.

ნეოლიბერალური ავადმყოფური აზროვნების ხელისუფლება მოწყვეტილია იმ მოსახლეობას, რომლის ნაწილიც თვითონ იყო რამდენიმე წლის წინათ. ამის გახსენება მას ხელს არ უშლის ეკონომიკური გენოციდის მოწყობაში, რომლის ძირითადი მიმართულებებია: მასობრივი, პრაქტიკულად უწყვეტი მიგრაცია, შობადობის მკვეთრი დაცემა, ფასების სწრაფი ზრდა, გადასახადების მატება, მიწების, ხე-ტყის მასალების უცხოელებზე მიყიდვა, გარემოს ეკოლოგიური დაბინძურება, პენსიებისა და სოციალური შეღავათების მინიმიზაცია, წამლების სიძვირე, მასობრივი უმუშევრობა, პროტექციონიზმის უგულებელყოფა, განათლების მოშლა, სოფლების დაცარიელება და გაუკაცრიელება. მასობრიობის თვალის ასარიდებლად ეკონომიკურ გენოციდს წინ დემოგრაფიულ კრიზისს უფარებენ. გამოდის რომ შვეიცას, ფედერაციულ გერმანიას და საქართველოს ერთნაირი დემოგრაფიული პრობლემა ჰქონია, მათ შორის ცხოვრების დონის უდიდესი განსხვავების მიუხედავად. დემოგრაფიული პრობლემა ხშირად მდგარა ჩვენი სახელმწიფოს წინაშე, მაგრამ გადაულახავს ქვეყანას მობილიზაციური ეკონომიკის ბაზაზე. ახლა ჩვენი ეკონომიკა მიტაცებულია და უმოწყალოდ იძარცვება. საქართველოს დღევანდელი ფართომასშტაბიანი ეკონომიკური გენოციდი ხელისუფლებების შეგნებული მოქმედებით ფორმირდება, ქვეყანა კატასტროფის ნაპირზეა მიმდგარი და დემოგრაფები დასასრულის წლებს და დღებს უთვლიან. ზერელე დაკვირვების ნაყოფია აზრი, რომ თითქოსდა ხელისუფლების შეცვლა მდგომარეობის გაუმჯობესებას გამოიწვევს.

ხელისუფლების შეცვლის ორგვარი გაგება არსებობს. პირველი გულისხმობს მოქმედი, არსებული ხელისუფლების უკეთესით შეცვლას, ხოლო მეორე-ხელისუფლების, როგორც ტრადიციული კონსტრუქციის შეცვლას ახალი პრინციპების და სტრუქტურების ინსტიტუტით. პირველი შემთხვევა გამოხატავს სახელისუფლო პერსონების როტაციას ქვეყნის მოწყობის ერთი პრინციპის ფარგლებში, მეორე-თვით ქვეყნის ხელმძღვანელობის ორგანიზაციული სტრუქტურის რღვევას და ნაცვლად ახალი სტრუქტურის კონსტრუირებას და მის კომპლექტაციას სახელმწიფო ინოვაციური, კრეატიული აზროვნების მაღალზნეობრივი პროფესიონალებით. დამოუკიდებელმა საქართველომ კატასტროფა სახელისუფლებო ინსტიტუტის რღვევისაგან რამდენჯერმე განიცადა, ხოლო მერე სახელისუფლებო არჩევნების უხერო სერიალებიდან ფეხზე ვერ წამოიმართა, წელში ვერ გასწორდა. აქ რევოლუციები და რეპრესიები სიკეთეს ვერ მოიტანს. ამით ისევ ქვეყნის დამაქცევრები იხეირებენ და უფსკრულში გადაჩეხვამდე დემოგრაფების მიერ დათვლილი ჩვენი ეროვნული თვითმყოფადობის წლები ნულამდე დამოკლდება. აუცილებელია, ჩვენი ქვეყნის ინტელექტუალური ელიტა მშრომელ ხალხს მიუბრუნდეს და მასთან ერთად იმ გზაზე გავიდეს, რომელიც დიდმა ნიკო ნიკოლაძემ გაიყვანა. ეს არის სოციალური მოძრაობა ყოველგვარი პარტიების გარეშე. მოძრაობა საზოგადოებრივი აზროვნების განახლებითვის, რომლის შედეგია ახალი იდეების ინკუბაცია, რომელიც იმავდროულად უნდა იყოს მატერიალური ინოვაცია. ამ მოძრაობის საწყისები უკვე ხილვადია როგორც მასმედიის ზოგიერთი საშუალებიდან, ასევე მეცნიერული კვლევებიდან, რომელიც სამშობლოს მაღალი დონის ინტელექტუალების კერძო ინიციტივაა, მაგრამ სახელმწიფო უზრუნველყოფა არა აქვს. გასაგებია, რომ ამ ინტელექტუალების სოციალურ მოძრაობაზე გასვლა რისკის ფაქტორების შემცველია, მაგრამ მაღალი მორალური ნაციონალური პასუხისმგებლობის პირისპირ რისკები მორცხვი შემაკავებლები

ხდებიან. ქვეყნის მთლიანობა მისი არსებობის ენერგოიმპულსია. ქართველი ხალხის მთლიანობა არის მისი ეროვნულობის გარანტია, მისი მარადისობის ფუნდამენტი. ისტორიულად ქვეყნის მთლიანობას მართლმადიდებლობა იწყებდა. ქვეყანა ბევრჯერ დაშლილა, მაგრამ ქრისტიანობა არ დაშლილა. ვერც რუსეთის ერთმორწმუნე ეკლესიის უბედურმა მტრობამ წააქცია იგი. მატერიალურად დააზარელეს, გაძარცვეს, მაგრამ სულიერად ვერ გატეხეს და ვერ დაიმორჩილეს.

რუსული მართლმადიდებლობა მხოლოდ საქართველოს მიმართ კი არა, საკუთარი ქვეყნისადმიც იყო მტერი. ძარცვა ხალხი და სიმდიდრით აავსო ეკლესიები, მონასტრები, ლავრები, რომლებიც მერე ხელისუფლებაში მოსულმა იუდეველებმა მიითვისეს, წაართვეს, წაგლიჯეს, ხოლო ეკლესიის მსახურები ამოხოცეს, გადაასახლეს ან ციხეებში ჩასვეს. ეკლესიის როლი უდიდესია, როცა ქვეყნის მოსახლეობა მშიერია, უიმედო და რწმენადაკარგული, როცა ხელისუფლება პარაზიტი და ქვეყნის მძარცველია. ჩვეი ქვეყნის ხელისუფლებამ მიატოვა ხალხი, მაგრამ დაავიწყდა, რომ ხელისუფლების ზემოთ ყოველთვის იდგა და ახლა, მითუმეტეს, დგას ქართული ეკლესია, როგორც ხალხის სულიერი თავშესაფარი, სადაც ყველას ერთი მფარველი ჰყავს და სადაც ყველა თანაბარია. რენეგატი ხელისუფლება ახლა მიხვდა, რომ ქართულ ეკლესიასთან მიმართებაში სუსტია და არანაირი უპირატესობა არ გააჩნია. ამიტომ დაიწყო შეტევა ეკლესიაზე და მასზე მაკომპრომენტირებელი მასალების შექმნა, იუდეველთა და ფარისეველთა ჩანერგვა; ასპარეზი გაუხსნა მცირერიცხვოვან კონფესიებს, რომლებიც გარედან ფინანსდებიან და ცდილობენ საფუძველი გამოუთხარონ ქვეყანას, გადააქციონ იგი რელიგიების თავშეყრის ადგილად. ეს ხომ ეკუმენიზმისაკენ მოძრაობის წინა პირობაა. შემოტევა გარედან ჩვეულებრივი მოვლენაა, ერთი სახელმწიფო ყოველთვის ებრძვის მეორე სახელმწიფოს, ერთი რელიგია-მეორეს, ერთის აზრი მეორისას. აქ მთავარია შეგეძლოს თავის დაცვა, იყო მართალი. მართლმადიდებლური ქრისტიანობა სამართლიანია და ამდენად ძლიერი, მაგრამ დედამიწაზე ღვთის მსახურებს ხშირად უჭირთ უზენაესისაგან ნაკარნახევი წმინდა წერილების დაცვა და შენარჩუნება, რომელიც არა იშვიათად მრევლს აბნევს და აფრთხობს, ეკლესიას გაურბის. რწმენა და იმედი უცრუვდება. ცოდვა ყველასათვის მძიმე ტვირთია, მაგრამ ღვთის მსახურს არა აქვს უფლება თვითონ სცოდავდეს და მერე მრევლს ავედრებდეს ღმერთთან. ახლა ის დროა ქართული ეკლესია ემზადებოდეს რუის-ურბნისის ტოლფასი კრების ჩასატარებლად, ვინაიდან თანდათან ცხადი ხდება საკმაო დიდი რიცხვის ანაფორიანი მსახურების არა თუ ფარისეველი, არამედ ანგარებიანი საქმიანობა. რუსის-ურბნისის მსგავსი ახალი საეკლესიო კრებამ არა მხოლოდ უნდა მოკვეთოს ეკლესიიდან ფარისევლები და არამზადები, მიტმასნილები, შეგზავნილები, არამედ განსაზღვროს ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის მონაწილეობა ქვეყნის მართვაში და დაადგონოს მისი სამეურნეო საქმიანობის პრინციპები და დაფინანსების წყაროები. ეს სასწრფოდ გადასაწყვეტი საკითხია, ვინაიდან ეკლესიის მსახურები თვითონ აწესებენ „მოსაკრებელებს“ საქორწინო და სხვა სახის რიტუალების შესრულებაზე. ისინი არა მარტო ძვირადღირებული ავტომანქანებით გამოირჩევიან, არამედ ფეშენებელური და საუკეთესოდ მოწყობილი რამდენიმე შენობით და საცხოვრებლით. აქ ერთმანეთს ენასკვება ორი წინააღმდეგობა, რომელიც მართმადიდებლობის მოწინააღმდეგეთა სასარგებლოდ იმოქმედებს. ჯერ ერთი, ყველაფერს ფხიზლად მაყურებლობენ ეკლესიის მტრები და საჭირო მომენტში კომპრომატების ზღვა ფაქტობრივ მასალებს დაალაგებენ და ყველაფერს თვალსაჩინოდ გახდიან მასმედიის საშუალებით. შეიქმნება ეკლესიისადმი მასობრივი ანტიგანწყობილება, ბევრი რამ ჩაითვლება კერძო გარიგებებად და გამოძალვად მოსახლეობის მასობრივი სიდუხჭირის ფონზე. მორწმუნეთაგან ბევრი განერიდება ეკლესიას. ფული სულიერებას აქაც დაუფრთხობს და უზნეობის პირველ საფეხურზე გადაინაცვლებს.

საქართველო სოფლის მეურნეობის ქვეყანაა. ამაში მდგომარეობს მისი უნიკალობა და ერის სახელმწიფოებრივი ბედნიერება. მით უფრო, რომ სოფელი არა მარტო კვების პროდუქტების წარმოების ადგილია-კურორტების, სამკურნელო და დასასვენებელი სახლების უმრავლესობა სოფლებში მდებარეობს. ამიტომ მოაწყდა ქართულ სოფლებს უცხოელი კლიენტები და კომპაქტურად დაიკავეს საკმაოდ ბევრი ქართული საცხოვრისი. ფულზე დახარბებულ ხელისუფლებს იმდენი ჭკუა აღარ დარჩათ იმაზე იფიქრონ, რომ რამდენიმე წელიწადში საკუთარ ქვეყანაში უმცირესობა და იმ უცხოელებზე მატერიალურად დამოკიდებული იქნება, სამუშაოს სათხოვნელადაც მათთან მოუწევს მისვლა. ფულის გაღმერთებამ, ისედაც მცირე ჭკუის სახელისუფლო პერსონებს, ელემენტალური აზროვნებაც გადაურეცხა და საკუთარი ქვეყნის მტრად აქცია. სხვა ქვეყნის მოქალაქეზე მიწის მიყიდვის უფლება არა აქვს არავის, მეფეც რომ იყოს ის. ვინაიდან მიწა ეროვნული სიმდიდრეა, რომელსაც უხსოვარი დროიდან უვლიდნენ ჩვენი წინაპრები დ არა მარტო უვლიდნენ, არამედ სიცოცხლის ფასად იცავდნენ, სისხლით და ოფლით ნაპოხარია ყველა ნაჭერი ჩვენი საცხოვრისისა. მიწას უკავშირდება ქართველი ხალხის ცხოვრების წესი, ხასიათი, ქცევა, კულტურა, ტრადიციები, ორიგინალური მეურნეობრივი ინოვაციები, ადამიანთა მჭიდრო საზოგადოებრივი ურთიერთობები.

აქედან გამომდინარეობს ერთმანეთთან დაკავშირებული ორი პრობლემის ერთდროული გადაწყვეტის აუცილებლობა: კონსტიტუციურად აიკრძალოს მიწების გაყიდვა და დამუშავდეს სოფლის მეურნეობის აღმავლობის სტრატეგია, ხოლო მისი რეალიზაცია უმკაცრეს სახელმწიფო კონტროლზე უნდა იქნეს აყვანილი.

ფულისადმი სიხარბე ჩანს ინვესტიციებისადმი ჩვენს დამოკიდებულბაში. ინვესტიციები მატერიალური ფული კი არის, მაგრამ უფრო მეტად პოლიტიკაა, რომლის უკან რამდენიმე ოლიგარქის ინტერესი იმალება. აქედან გამომდინარეობს ინვესტიციების მართვის აუცილებლობა. ერთი მომენტია, როცა ინვესტორი მის ფულს აცოცხლებს, მეორე-კონკურენციული მაქინაცია, რომლის მიზანია მეტოქის ჩამოცილება საკონკურსო ობიექტის შესრულების ვარიანტზე დაბალი ღირებულების შეთავაზების გზით. ფულის გაცოცხლება ბინძური საქმიანობაა და დანაშაულის სივრცეში იწვევს მსუბუქ და ხარბ აზროვნებას. მეორე შემთხვევისას სინამდვილეში ინვესტორს დამატებით აფინანსებს დაინტერესებული კორპორაცია, რომლის განზრახვაში შედის მისი ქვეყნის მუშახელის დასაქმება მოცემული პროექტის რეალიზაციისას. ამას გარდა, უცხოელი ინვესტორი, კერძო ინტერესებიდან გამომდინარე, ბარბაროსულად ექცევა ჩვენი ქვეყნის ბუნებრივ სიმდიდრეებს, აჩანაგებს და აბინძურებს ეკოლოგიურ სტრუქტურებს. ზიანი მით უფრო დიდია, როცა ინვესტორთან გარიგებაშია ადგილობრივი სახელისუფლო ჩინოსანი თუ საქმესთან დაკავშირებული რომელიმე მოხელე. გამოდის რომ ჩვენი ქვეყნის ძარცვაში თვითონ ვუწყობთ ხელს უცხოტომელებს. აქ ერთად იყრის თავს უცოდინარობა, ფულის სიხარბე, ქვეყნისა და ხალხისადმი გულგრილობა და სიძულვილი. ნამდვილი სიმდიდრე ფული კი არა, როგორც გვაბრიყვებენ, ქვეყნის მიწისზედა და მიწისქვეშა მატერიალური რესურსებია, არტეფაქტები-ფიზიკური კაპიტალის სახით. ოლიგარქებმა მოახერხეს და გადაავიწყეს ხალხს, რომ ქვეყნის სიმდიდრე განისაზღვრება ბუნებრივი რესურსებით და ძირითადი საწარმოო ფონდებით. ეს ახლა არც ქართველ მილიონერს ახსოვს თუ გახსენება არ უნდა, თუ ფულზე არიან დაგეშილები. ამიტომ ხელიდან გვეცლება საკუთარი ქვეყნის სიმდიდრეები.

ზნეობრივი ცოდნის დეფიციტი ქვეყნის ტრაგედიაა. რაც უფრო მეტია ფულადი სპეკულაცია, მით უფრო უფასურია ის, რაც ასეთი ფულით არის შემენილი, უფრო თავგასული და შეუბრალებელია ფულიანი. ფინანსური იმპერია აწყობს ომებს და უდანაშაულო ადამიანებს სიცოცხლეს უსპობს შეუბრალებლად, დაუზოგავად. მათი მორალი უბრალოა: ყველაფერი დასაშვებია, რაც ფულის შოვნის საშუალებას იძლევა. ჯერ აზრობრივად უნდა შერყვნა ხალხი ან ვირუსის გავრცელების ეპიდემია გამოიგონო, ხოლო შემდეგ შექმნა მისი საწინააღმდეგო ვაქცინა. მაღალი ზნეობრივი პროფესიონალური სპეციალისტის მომზადების პროგრამებიდან თუკი ამოიღებ ზნეობრიობას, პატრიოტიზმს, ბიბლიის სწავლებას, მივიღებთ ჰედონისტურ ადამიანს, რომელსაც მხოლოდ ერთი საფიქრალი რჩება: რა ჭამოს, რა ჩაიცვას, რითი ისიამოვნოს. ბევრი გვაიმედებს, რომ ჩვენ ღირესული თაობა გვეზრდება, მომავალი საიმედოთა ხელშია. ჰო, ჩვენ მართლა გვყავს შესანიშნავი ახალგაზრდობა, როგორც ხშირად გვახსენებენ სატელევიზიო ეკრანებიდან და ინტერნეტსივრციდან. მაგრამ ეს არ არის თაობა, ეს მხოლოდ გამორჩეული ინდივიდუალური სოციალური სუბიექტებია, რომელიც საზოგადოებას არ წარმოადგენს. ესენი თავიანთ სახლს არქმევენ მას, სადაც უკეთეს თავშესაფარს იპოვნიან. ხომ ფაქტია, რომ თვით დღევანდელ ცხოვრებას არა აქვს მოთხოვნილება ზნეობაზე. ეს ერთია საკითხია, მეორე საკითხი გამოდის წინა პლანზე. ქართული ცხოვრება მართლმადიდებლურია. ზნეობრიობა ასულდგმულებდა ქართველი კაცის ყველა გასაჭირსა და ვაებას; ყოველთვის მაღლა იდგა მძიმე ეკონომიკურ ყოფაზე. წარმოდგენაც რომ არ ჰქონდათ ისეთი მძიმე მდგომარეობდან სფინქსივით მერამდენედ წამომდგარა ქვეყანა ფერფლიდან. მაშასადამე, ჩვენ ზნეობრივი ცხოვრების ტრადიცია გვაქვს. ეს იმას ნიშნავს, რომ ეს ზნეობრიობა ერის სულის საგანძურში დამარხული პოტენციალური ენერგიაა, რომელიც უმძიმესი შეჭირვების ჟამს, მისი სულიერი მაღაროდან ამოიფრქვევა და მასებს გადაედება, რომელიც ბინძურ ფასეულობებს ამოაცლის, ხალხს ტაძრისაკენ შეაბრუნებს. ეს გოლგოთას გზაა მარადისობისაკენ.

მარადისობისაკენ მიმავალი გზა ეკლიანია. ბინძური ცხოვრებიდან სიყვარულისაკენ მობრუნება მასას არ შეუძლია, მასას ტრადიციულიდან რადიკალური აზროვნებისაკენ შემობრუნება არ ეხერხება, იგი აჩქარების ამყოლია მხოლოდ. აჩქარება, აზროვნების განახლება დაღვინებული, დაძველებული ეროვნული საგანძურის გენეტიკური ფონდის გამოძახილია, რომლის მატარებელია უმაღლესი გონი, როგორც ახალი სიცოცხლის გამოცხადება. საქართველოში ახლა მისი მხოლოდ სუსტი ფეთქვა ისმის, გზა უნდა გავუხსნათ გონების წიაღიადან ახლი აზრის დაბადებას, თუ ერის მარადისობა გვწყურია, თუ მიხედული ვართ მომავლისაკენ, თუ შვილებში ჩვენი დაუმთავრებელი საქმეების გაგრძელების იმედებს ვხედავთ, თუკი ცისქვეშ ცხოვრება მარადისობის სამსახურის წინა პირობად მიგვაჩნია. ტვინის გამორეცხვა იანიჩარობაზე უარესია. ერთია წარსულის დავიწყება და ფესვებიდან მოწყვეტა. მეორე-წარსულის მიგდება, გათახსირება, უგულებელყოფა. მაშინ როცა წარსული ფუნდამენტია,

რომელზეც ვდაგავართ და ცოცხლობს მომავალი. წარსული, აწმყო და მომავლი განა დაპირსიპირებაა, ეს მთლიანობაა, ერთარსობაა.

საწყისს, როგორც წესი, რამდენიმე გაგრძელება აქვს, მაგრამ მომავალი, სიცოცხლის გაგრძელება საწყისების გარეშე შეუძლებელია. იყო სოციალიზმი, ნგრევა, შენება და ზნეობრივი იმპერატივები. რამდენად კარგი იყო, სხვა საკითხია. მაგრამ ასეთი არის ადამიანის ცხოვრება, მისი წარსული, რომლის ამოხაზვა მეხსიერებიდან მხოლოდ ავადმყოფ აზროვნებას მხოლოდ წარმოსახვაში თუ შეუძლია.

წარსული ამბავი არ არის, არც მოთხრობაა. წარსული მომავლის მკვებავი ენერგიაა. 1921 წელს ვერ გავითვალისწინეთ წარსული; არც 1991 წელს ვიცოდით, რა ძალის პატრონი იყო ჩვენი წარსული. ამიტომ წინ კი არა წავედით, უკან ვიჩქარეთ. ისიც დავკარგეთ, რაც გვქონდა და უახლოეს წარსულს დავშორდით. ქართველთა ქვეყანა, როგორც მთლიანობა, დაშლილია და ნაწილებად იქცა. ყველა ნაწილს მთლიანობის პრეტენზია აქვს. ამას შეიძლება ეკონომიკური აზროვნების სიღატაკე ვუწოდიოთ. ეს სახელმწიფოებრივი აზროვნების სიმახინჯეა. დიდი აზროვნების კულტურა უმაღლესი ინტელექტის თვისებაა. ზ. ბზეჟინსკიმ კაპიტალიზმის სიცოცხლის გახაგრძლივება სოციალიზმის არსებობით დააყვედრა. ბევრმა ჩვენთაგანმა სოციალიზმში იცხოვრა და ახლა მთელი ის პერიოდი არარაობად მიაჩნია, მათ შორის ლიბერასტებსაც, მიუხედავად იმისა, რომ სოციალიზმის ნაფუძვარზე გალაღდნენ და გამდიდრდნენ ისინი. ერის წარსული სალაძღავი არ არის. ჩვენ წარსულიდან მოვდივართ და თუ მასში დიდება ვერ გვიპოვია, ჭკუანაკლები ვყოფილვართ. არც წარსულის განდიდება გვმართებს. არც წარსულისაკენ მიბრუნებას იკადრებს ჭკვიანი გონი, ვინაიდან წარსულში არ ბრუნდებიან, იქედან მხოლოდ მოდიან.

წარსულიდან ღირსეული გამოსვლა და მერე ახალი სიმაღლის დაპყრობა ინტელექტუალურ გონს შეუძლია. ამისი წინა პირობა არის ეპოქის შესადარი განათლების დაუფლება, როგორც აზროვნების ახალ სიმაღლეზე მეტობა, რომლის ინოვაციური პროდუქტია აზრის მატერიალურ და მომსახურების სახეებად გარდაქმნა. აქამდე განათლება სახელმწიფოებრივი და კერძო შეკვეთა იყო წინასწარ შედგენილი პროგრამების საფუძველზე. შემკვეთები ითვლიდნენ, რა რაოდენობის და ხარისხის, კვალიფიკაციის რა დონის კადრები დასჭირდებოდათ, ვთქვათ ათი წლის, მერენდელ პერიოდში. ახლა სხვა სიტუაციაა. საზოგადოებრივ ცხოვრებას სჭირდება ახალი კრიტიკული აზროვნების, გლობალური პრობლემების ანალიტიკური ხედვის უნარების, კრეატიულობის მაძიებელი ადამიანები. მაგრამ თვით განათლების პროგრამები ჯერ კიდევ გაურკვეველია. განათლება ახალი გამოწვევის წინაშე დგას.

ASSOCIATION SCIENC

საქართველოს ეკონომიკის თანამედროვე პრობლემები ნიკო ნიკოლაძის შრომაში ”მამულის სიყვარული და მსახურება”[105]

გადმოცემულია ნიკო ნიკოლაძის კრიტიკული შეხედულებები საზოგადოებრივი განვითარების იმ პერიოდზე, როცა შესამჩნევი ხდებოდა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის გავლენა ცხოვრების პირობების გაუმჯობესებაზე. წარმოჩენილია დიდი ნიკოსეული თვისებრივი პიროვნული მახასიათებლები, რომლებიც პატრიოტს უნდა ჰქონდეს, რომ ქვეყნისა და ხალხის სამსახური შესძლოს. გამორჩევით განხილულია ნიკოლაძისეული თვალსაზრისის ის მიმართულებები, რომლებიც დღესაც პრობლემურია თანამედროვე საქართველოსთვის.

”ღვთის მადლით ფხიზლდება და იღვიძებს ნელ-ნელა ჩვენი ქართველობა, მოძრაობას იწყებს ცოტ-ცოტად ჩვენი ქვეყანა. როგორც იქნა ამ დღესაც მოვესწარით”-ასე იწყებს ნიკო ნიკოლაძე თავის შრომას და იქვე აღნიშნავს, რომ ბოლო 15-20 წლის მანძილზე ასეთი რამ არ შეინიშნებოდა და ყველა თავის თავზე ფიქრობდა-რა ვიშოვნო, რა შევიძინო და სამსახურში როგორ დავწინაურდეო. ამის შემდეგ ამნაირი დღე ჩვენს მამულს ღმერთმა ნუ მოასწროსო. დაწვრილებით აღწერს იმ პერიოდს, როცა ქართველს ოღონდაც პირადი კეთილდღეობისთვის მიეღწია და სამშობლოს გამყიდველთანაც კი იჭერდა საქმეს. ყველაფერს პირადი სარგებლის პრიზმაში უყურებდა. არც თავისი თვისტომის ჩაშვებასა და დაბეზღებას თაკილობდა, ქართულ ენასაც არაფრად აგდებდა-რაში გამომადგებაო.

ნიკო ნიკოლაძე განუმეორებელი ტალანტია ქვეყნის ისტორიაში, რომელსაც არა მარტო უზარმაზარი თეორიული განათლება ჰქონდა და სიცოცხლის ბოლომდე აფართოებდა მის ჰორიზონტს, არამედ შეეძლო ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება, ჰქონდა შორსმჭვრეტელური ინტუიციური ხედვა...როცა ის ზემოთ დასახელებულ შრომას წერდა, მაშინ მეცნიერება ტექნოლოგიების ციკლურ ხასიათს არ იცნობდა, რომელიც მეოცე საუკუნის 30-იან წლებში შეიქმნა ნ. კონდრატიევის მიერ. პირველი ტექნოლოგიური ტალღა 1790 წლიდან იწყება, როცა საქსოვი დაზგა გამოიგონეს, რასაც ევროპის საზოგადოებრივი აზროვნების მასობრივი გამოცოცხლება მოჰყვა. ნიკო ნიკოლაძე ხედავდა და გრძნობდა იმ ცვლილებებს, რომელსაც სტიქიურ ძალას უწოდებდა, რომლებიც დრომ გამოიწვია და რომელიც სკრუპულოზურ შესაწავლას მოითხოვდა, რათა იგი საზოგადოების სასიკეთოდ გამოყენებულიყო. თუ ქვეყანა პროგრესს ვერ მიხვდება და მის ბორტს მიღმა დარჩება, თვისტომობას ანუ დამოუკიდებლობას ვერ მოიპოვებს. თუმცა მისი შემჩნევა ძნელია და როგორც თვითონ წერს, მერე ქვეყნებს რთული გზის გავლა უხდებათ. ამის მაგალითად მას რუსეთი მოჰყავს და პეტრე პირველის და ეკატერინე მეორეს რეფორმებს იმოწმებს, რისი წყალობით მაშინ რუსეთი ფეხზე წამოიმართა და ევროპის ყურადღებაც დაიმსახურა. საქართველოში მას მ. ვორონცოვის რეფორმები ხიბლავდა, და მოსწონდა კიდეც მისი გატარების მეთოდები ერმოლოვთან შედარებით.

ბატონი ნიკო ხაზს უსვამდა იმასაც, რომ პროგრესს თავისი პიონერი და მიმდევარი ქვეყნები ჰყავს, რომლითაც განპირობებულია ამ ქვეყნების სოციალური და ეკონომიკური განვითარების ხარისხი. იგი იზიარებდა განვითარების სტადიების კლასიფიკაციას და ახასიათებდა მის ოთხ პერიოდს. პირველს უწოდებს ყრმობის პერიოდს, როცა ხალხი სხვაზეა დამოკიდებული და თვითშემოქმედებითობის უნარი დაკარგული აქვს. მეორე პერიოდს მიმბაძველობას არქმევს, როცა ქვეყანა უცხოელთა დაწინაურებას ხედავს და მონურად ბაძავს მას. მესამე ისეთი პერიოდია, როცა ხალხი დარწმუნდება, რომ მიბაძვა მნიშვნელოვან წარმატებებს არ აძლევს და ტრადიციული განვითარების გზებს უბრუნდება. მეოთხე პერიოდი ეს არის-самобытного творчества, რომელსაც იგი თავისებურ შემოქმედებად თარგმნის. ამ პერიოდს ახასიათებს უცხოური მიღწევების ეროვნულ თავისებურებებთან შეხამება, ინტეგრაცია.

ბატონი ნიკო აღნიშნავს, რომ მიბაძვის პერიოდი ერთობ ხანგრძლივი იყო ჩვენში, მტერი მოსვენებას არ გვაძლევდა, ერთს მეორე მოჰყვებოდა, მეორეს-მესამე და ედგა ქვეყანას გაუთავებელი რიგი ისტორიის გრძელ მანძილზე. ერთმანეთში აირია ეროვნული და უცხოური. ამიტომ იგი ამ შრომაში საჭიროდ მიიჩნევს წარსულის საფუძვლიან შესწავლას, რათა გაირკვეს რომელი ჩვეულება,

---

[105] შრომა პირველად 1880 წელს გამოიცა, მეორედ 1914 წელს, მესამედ 1985 წელს დაიბეჭდა ნიკო ნიკოლაძის თხზულებათა მე-7 ტომში. იმ წიგნის ბიბლიოგრაფიულ შენიშვნებში აღნიშნულია, რომ შრომას ჯეროვანი ყურადღება არ მოჰყოლია. 135 წელიწადი გავიდა მას შემდეგ და ბატონი ნიკოს ეს ნაჯაფარი კვლავ რჩება ჩვენი ცხოვრების უმთავრეს პრობლემად, რომლის გადაწყვეტაზე დამოკიდებულია ჩვენი სამშობლოს მომავალი.

წესი და ზნეობაა ქართული, როგორი უნდა იყოს ქვეყნის ეკონომიკური მოწყობა. არც მაშინ უსმინა და არც ახლა არავინ უსმენს ბატონ ნიკოს, უკან გახედვა არ გვინდა, წარსული საჭირო არ ყოფილა და თურმე მხოლოდ გაევროპელება გვიშველის. ერის სამომავლო ენერგია წარსულიდან გენერირდება. ეს არ ნიშნავს იმას, რომ ქვეყანა ჩაკეტილი და სხვებისაგნ იზოლირებული უნდა იყოს. ისევე როგორც არც იმასაც, რომ საზღვრები მოვშალოთ და ყველაფერი უცხოური მივიღოთ. ზარივით რეკავს ბატონი ნიკოს შეხსენება: "კერძო პირი ხშირად ვერც კი ხედავს, თუ თვითონ მას რა ისტორიული ძალა ამოქმედებს, რა ბუნების ძალას მიჰყავს ის ხან წინ, ხან უკან...ჩვენში ზოგიერთს ყმაწვილთაგანს ჰგონია, რომ ქვეყნის ისტორია მით იწყება და მითვე გათავდებაო..."[106]. რუსეთის მაგალითი მოაქვს სლავიანოფილობაზე და არჩევს მის ოთხ თვისებას. პირველ თვისებად მედიდური თავმოყვარეობა მიაჩნია, როცა ყველაფერი რუსული საუკეთესოა და უცხოური ბილწი და სძაგელი. მეორე თვისებად კარჩაკეტილობას თვლის, როცა სხვა ქვეყნების ცხოვრება და პროგრესი მისი ინტერესების სფეროში არ ექცევა, არაფრად მიაჩნიათ მათი ეკონომიკური და სოციალური პროგრესი. მეოთხე თვისება სლავიანოფილებისა უცხო ნაციონალობის დევნა იყო. ვერ იტანდნენ გერმანელებს, ფრანგებს, ინგლისელებს. მათი პროდუქციის ქვეყანაში შემოტანას არავის ანებებდნენ. ამის შედეგი იყო ის, რომ რუსეთი ევროპას ყველაფერში ჩამორჩებოდა. მაგრამ იმპერიალისტურ რუსეთს ჰყავდა ინტელექტუალები, რომელთაც კარგად ესმოდათ, თუ რა უნდა ეკეთებინათ ჩამორჩენილი რუსი ხალხის ცხოვრების აღმავლობისთვის. მათი საქმე და აზრი თანდათან იმარჯვებდა და ხალხშიც მათი პოპულარობა დღითიდღე იზრდებოდა, როგორც პატრიოტებისა. ამის გამო იყო, რომ საზოგადოებას თანაგრძნობა გაუჩნდა მამულის ბედზე. ჩამოყალიბდა ადამიანთა ჯგუფები, რომლებიც პატრიოტულ მოძრაობას მიეტმასნენ. ბატონი ნიკო იმათ ცრუ პატრიოტებს უწოდებდა. ვინც მე ადრე პატრიოტობის გამო სულელად მთვლიდა, ახლა პატრიოტობაში ათიათასჯერ გადამჭარბესო.

ცრუ პატრიოტს ბატონი ნიკო არქმევს იმასაც, ვისაც სამშობლო შესაძლებელია, მართლაც, უყვარს, მაგრამ მარტო იგი საკმარისად არ მიაჩნია, ვინაიდან ეს პატრიოტიზმზე, მამულის სიყვარულზე მცდარი წარმოდგენაა. მამული, ადგილის დედა ყველას უყვარს, ცხოველებსაც კი. სამშობლოს სიყვარული მათთვის ბუნებრივი მოვლენაა და მისი საჯაროდ კვეხნა სისულელედ მიიჩნია. მამულის სიყვარული, მისი აზრით, მოვალეობაა, რომელიც ბევრს არ ესმის-თუ როგორ შეიძლება მისი აღსრულება, და იქვე სვამს კითხვებს:

"მართლაც, რაში მდგომარეობს ეს მსახურება? რაში მდგომარეობს ის საზოგადო სიკეთე, რომელიც ჩვენს მამულს სჭირია? რა ხეირი უნდა მოუტანოს მამულს მისმა შვილმა, იგი მას რა ნაირად უნდა ემსახუროს?"[107].

ამ კითხვებზე პასუხების გაცემამდე, ბატონი ნიკო არკვევს, თუ რამ გამოიწვია სამშობლოს ჩამორჩენა დაწინაურებული ქვეყნებისაგან. თუკი ოცი საუკუნე საქართველო მაინც ახერხებად მრავალრიცხოვან მტრებზე გამარჯვებას, რომლებიც უწვეტ ნაკადად აწვიმდა, ამას თავისი ეპოქის საკადრისი განათლების წყალობით აღწევდა. მერე ქვეყანა მეცნიერების განვითარებას ჩამორჩა და მამული გადამთიელებმა ცხრა მთას იქედან დაგვინგრიეს. აქ დიდი როლი ქართველთა შინაგანმა დაპირისპირებამ, საკუთარი თავის რწმენის დაკარგვამ ითამაშა-წერდა დიდი ნიკო. მისი აზრით გამოსავალი იმაშია, რომ ქვეყანა მსოფლიო კავშირურთიერთობებში ჩაერთოს და მეცნიერება აითვისოს, ასწავლოს თავის ახალგაზრდობას სხვა ქვეყნების საუკეთესო სასწავლებლებში, რათა მერე იმათ თავიანთი ცოდნა სამშობლოს მოახმარონ.

ქვეყნისთვის დიდ უბედურებად მიაჩნდა მხოლოდ სხვა ქვეყნებისადმი მარტო მიბაძვითი ცხოვრება, მხოლოდ საკუთარ თავზე ფიქრი და ოცნება, როცა საქვეყნო საქმისთვის არა სცალიათ, მხოლოდ კერძო მადას იკმაყოფილებენ, განცხრომას ეძლევიან, მდიდრულ ცხოვრებას არ იკლებენ, ათასობით ფულს ფლანგავენ, უმიზნოდ ხარჯავენ, ბანქოში/კაზინოში აგებენ და გაჭირვებული ადამიანისთვის, საზოგადო საქმისთვის კაპიკი არა ემეტებათ, სამშობლო მხოლოდ თავისთვის უნდათ. "ხალხი მაშინ არის ძლიერი და ბედნიერი, როცა მისი ძალა, თანამედროვე მეცნიერებით აღჭურვილი, მის სასარგებლოდ იხმარება და მოქმედებს. მაგრამ როცა ხალხის ცხოვრებაში ისეთი წესი შემოდის, რომ ნახევარი ხალხი თავის ძალას უქმად მიწაში მარხავს, უმოქმედოდ ჰფლანგავს, და მეორე ნახევარი კი ორჯერ უფრო მომეტებულად შრომობს, როგორც თავის სარჩენლად, ისე თავისი პირველი ნახევრის სარჩენლად, რომელიც უმოქმედოდ და უქმად ცხოვრობს, მაშინ ხალხი იღლება, სუსტდება და სრულიადაც ქრება. მაშინ მარტო ხალხის ძალა კი არ იფანტება უხეიროდ, თვითონ ამ ხალხის ორ ნახევარს შუა ჩუმი, დაფარული ბრძოლა ატყდება, რომელშიაც ილევა ხალხის გონებითი და ფიზიკური ძალის უმჯობესი ნაწილი. ქიშპობა და სამდურავი იბადება, ერთობა იკარგება და ხალხი

---

[106] ნიკოლაძე ნ. თზზ. ტ. 7. მამულის სიყვარული და მსახურება. გვ.313

[107] იქვე, გვ. 323

ორ ბანაკად იყოფა, ორს ერთმანეთზე მტრად გადაკიდებულ ბანკად...რასაკვირველია, უმიზეზოდ როდი დაბადებულა ჩვენში, ძველად ეს უბედური განაწილება და განხეთქილება"[108]. ვისაც მამული უყვარს-აცხადებდა ბატონი ნიკო, იგი ვალდებულია აღმოფხვრას ხალხში ასეთი უთანასწორობა, უსამართლობა, ფულის უგუნური ფლანგვა და უსაქმური მასა საზოგადოებრივ შრომაში ჩართოს, ეკონომიკური სამართლიანობა შექმნას, ხალხს მდგომარეობა გაუუმჯობესოს, რათა ხალხი ერთ ძმურ ოჯახად იქცეს. "გაუადვილეთ ხალხს სხვისთვის შრომისგან თავის დახსნა, გამოიყვანეთ ის უსაქმო კაცების მონობისაგან, მიწა დაუმკვიდრეთ, და მუქთახორებისაგან დაიხსენით, ან ასწავლეთ, თუ რა გზით დაიხსნას თავი, სასარგებლო, გამოსადეგი რჩევა აძლიეთ, სიკეთე, ნამდვილი რეალური მოუტანეთ მას რჩევით ან საქმით, და მაშინ ნახავთ, რომ მარტო ამნაირი საშუალებით შესაძლებელი ყოფილა, როგორც ერთობის დაარსება, ისე ხალხის ნდობის მოპოვება...აი, მარტო მაშინ დაამტკიცებთ, რომ მამულიც გყვარებიათ და მისი მსახურებაც გცოდნიათ"[109]. ყოველივე ამის ჩვენს დღევანდელ ცხოვრებასთან ასოცირება იმაზე მიანიშნებს, რომ მდგომარეობა ახლა გაცილებით უარესია და ხელისუფლება თავისი ხალხის ახალი ხარისხის მტერია და მისი ხალხისთვის საერთოდ არა სცალია, პირიქით, ათასგვარი პიარებით ცდილობენ თავი ქვეყნის პატრონებად წარმოაჩინონ, ქვეყნის გარეშე მომხრეები იპოვნონ, რათა თავისივე თვისტომი დაამარცხონ და საჯაროდ განაცხადონ, რომ მისი ქვეყანა ანტიდემოკრატიულია, ვინაიდან მას არაევროპული ორიენტაციის ხელისუფლება მართავს, რომ ამ მთავრობას რუსეთთან ურთიერთობა სურს. ერთმანეთს ეჯიბრებიან იმაში, ვინ უფრო მეტად ასიამოვნებს გადამთიელებს, ვინ უფრო მისაღები იქნება ფულიანებთან, მათ უცხოელ დამფინანსებლებთან. იკარგება/დაიკარგა რწმენა, უტევენ რელიგიას, ცდილობენ არაფრად ჩააგდონ ეროვნული ტრადიციები, შეურაცხჰყონ წმინდანები, შეცვალონ ეროვნული აზროვნება, ხალხი სიბნელეში ამყოფონ, ახალგაზრდები ერთმანეთს გადაჰკიდონ, ქვეყანას მომავალი დაუკარგონ. "ნუთუ იქამდე დაეცა ჩვენი ხალხიც, იქამდი ბოლო მოელო საქართველოს, რომ ამნაირ უმომავლო და უიმედო ქვეყნად უნდა ჩავთვალოთ? ნუთუ მარტო იეზუიტური გზა დარჩენილა მის საშველად, მარტო ოინების, სიცრუისა და თვალების ახვევის გზა? ნუთუ ჩვენი ხალხი იმდენად დაცემულა, იმისთანა უიმედო მდგომარეობაში ჩავარდნილა, რომ ვეღარ აიტანს იმ შრომას, ვერ დაადგება იმ გზას, ვერ მოინელებს იმ საზრდოს, რომელიც სხვა ხალხს აბედნიერებს ან აძლიერებს?"[110]. იქვე იძლევა პასუხს თავისივე კითხვებზე და ამბობს, რომ ღვთის მადლით ჩვენი ხალხი შორს არის ამისთანა მდგომარეობისაგან, იგი ამისთანა მდგომარეობაში არ ჩავარდნილა, ის სხვანაირი სამსახურის ღირსია. მისმა მეთაურებმა, თუ მართლა ქვეყანა უყვართ, თუ მართლა სწამთ სამშობლოს მომავალი სამართლიანი და ზნეობრივი ეკონომიკა უნდა დააფუძნონ. ამიტომ "მარტო ჩვენი თავის იმედი ვიქონიოთ, მარტო ჩვენს ძალას მივენდოთ, მარტო ჩვენს გაძლიერებასა და განათლებაზე ვიშრომოთ-მაშინ მეგობარიც ბევრი გაუჩნდება და ჩვენს ხალხს და დამხმარებელიც"[111]. ბატონ ნიკოს ისევ სევდიანი განწყობილება უჩნდება და ეეჭვება, რომ მაშინდელი მთავრობა იმ საქმეს ვერ გაუძღვებოდა, ვინაიდან მიჩვეული იყო სხვის იმედად ყოფნას, გადაჩვეული იყო დამოუკიდებელ საქმიანობას. იმედი მხოლოდ ახალი თაობისა ჰქონდა, რომელიც ახალი ცხოვრებისთვის უნდა მომზადებულიყო.

საქართველოს ახლა ეკონომიკური და სოციალური კეთილდღეობის გაუმჯობესების საკმაო რესურსი გააჩნია, მაგრამ მსოფლიო იმპერიას ვაი ქართველთა დიდი არმია ჰყავს გაწვრთნილი ჩვენი ქვეყნის სამტროდ, რომელიც თავის ველურ ინსტიქტებზე ამხედრებული ლუკმა პურის გარეშე ტოვებს თავის ხალხს, არაფრად აღელვებს ქვეყნიდან ხელზე მოსამსახურეებად გაქცეული ორი მილიონი ადამიანი და დამატებით იმის ძიებაშია, დარჩა თუ არა კიდევ რამე წასართმევი. ისინი დღეს უტიფრად ბოგინობენ და ტელევიზებიდან გვებლაზებიან. მაგრამ ამის გამო უიმედობის განცდა არ უნდა გვქონდეს. ქვეყანას ჰყავს ინტელექტუალების მძლავრი არმია, რომელიც სამშობლოთვის არაფერს დაიშურებს, ოღონდ საჭიროა მათი მოსახლეობასთან ინტეგრაცია, მათთან ერთად ქვეყნის მშენებლობა. ხალხის შვილებისა და ქვეყნის მოსახლეობის მთლიანობას წინ ვერაფერი დაუდგება.

---

[108] იქვე, გვ. 329

[109] იქვე, გვ. 331
[110] იქვე, 336.
[111] იქვე, გვ. 338.

რეზიუმე

ქვეყნის ჩამორჩენა მსოფლიო პროგრესისაგან კრიზისული სიტუაციებით გამოიხატება, მაგრამ ის კატასტროფად ვერ გადაიქცევა თუკი კრიტიკულად გადასინჯავს გლობალურად მიმდინარე პროცესებს, მიაგნებს ხარისხობრივი ცვლილების გენერალურ პრინციპებს, განსაზღვრავს ინტეგრალურ რესურსებს და ეკონომიკის მობილიზაციას გამოიწვევს, რომლის მამოძრავებელი ძალაა ტრადიციული ინსტიტუტების გათავისუფლება მოძველებული მექნიზმებისაგან და თავისუფლების გაფართოების პირობების შექმნა იმ ბერკეტებისთვის, რომლებიც ინოვაციური ფრონტალური ცვლილებების გამო ტრადიციული ეკონომიკური წესრიგის პირობებში ფუნქციონალურად შეზღულები არიან. მდგომარეობიდან გასვლის ინიციატივას მაღალი კვალიფიკაციისა და პატრიოტების გუნდები კისრულობენ, რომელთა მთლიანობის სიმტკიცეს მორალურ-ზნეობრივი ტრადიციები განაპირობებენ. ამ ფენომენების გარეშე ფინანსური იმპერიის პროგრესულად დაწინაურებელ ქვეყნებს სხვა ქვეყნების თავის ვიწრო კერძო ინტერესებში მოქცევა იოლად შეუძლიათ.

ASSOCIATION OF SCIENTIFIC PUBLICATIONS

დანართი

ნიკო ნიკოლაძის ევროპელობა

ნიკო ნიკოლაძე ევროპული აზროვნების კაცი, ევროპულად აღზრდილი; ევროპული, ევროპული ცხოვრება...ისმოდა წამდაუწუმ სამეცნიერო კონფერენციაზე. ამან მიკარნახა ამ სტატიის დაწერა.

ჩემთვის აქამდე ხელმისაწვდომ ლიტერატურაში ჯერ არსად შემხვედრია ნიკო ნიკოლაძეს თავი ევროპელობით წარმოეჩინოს, პირიქით, იგი თავისი ქართველობით იწონებდა თავს. ამისი ნათელი მაგალითია სამშობლოსადმი მცხუნვარე სიყვარულით გამთბარი მისი ბრწყინვალე პუბლიკაცია...“მას აქეთ, რაც მე ჩემს თავს ვიცნობ, მე ერთი წადილის მეტი არა მქონია, ერთი ღმერთის გარდა სხვისთვის თაყვანი არ მიცია...მე შენ მიყვარდი, შენ მწამდი, შენ გემსახურებოდი, ავად თუ კარგად, როგორც შემეძლო, როგორც ჭკუა მიჭრიდა[112]“. იქვე აგრძელებს, რომ არც საფრანგეთის ამაღელვებელ და აღმატაცებელ ცხოვრებას, არც პეტერბურგის განსაცდელით მიმზიდველ საზოგადოებას, არც იტალიის მშვევბიერებას, არც შვეიცარიის თავისუფლებას არ მოუხიბლავს, არ მიუზიდავს მისი გრძნობა და გული. არადა ამას ევროპადავლილი ახალგაზრდა კაცი წერს, რომელიც მონატრებულ სამშობლოში ბრუნდება. ამ წერილამდე ერთი წლით ადრე პარიზში იბეჭდება მისი ბროშურა „ფრანგული პრესის დეკადანსი“, რომელშიც წარმოჩენილია მიზეზები თუ რამ დასცა ფრანგული პრესის ავტორიტეტი, და რომელმაც მოწინევე ფრანგული საზოგადოების ყურადღება მიიპყრო. ბროშურის მთელი რიგი ადგილები დაიბეჭდა ფრანგულ გაზეთში. ნიკო ნიკოლაძე ამ ბროშურაში ეხება არა მარტო ფრანგულ, არამედ მთელ ევროპულ პრესას და ამერიკულსაც. მისთვის ევროპა აღთქმული ქვეყანა და სამოთხე კი არ არის, როგორც ახლა ამას ტრენინგით განათლებულები წერენ და მასმედიიდან იმოძღვრებიან, იგი პროგრესის ტრიუმფატორია, რომლის საფუძველია განათლება და მეცნიერება, და მიზანი ის კი არ არის მუხლებზე დადგე და შენი სამშობლო ევროპას შეავედრო მის კალთაში შეიფაროს, არამედ კრიტიკულად შეაფასოს მისი წარმატებები, გაამდიდროს იგი როგორც უცხოელმა ინტელექტმა და იპოვოს გზები და პირობები მისი მიღწევების ინტერვენციისათვის თავის სამშობლოში. ცალმხრივ გახმაურებულია ლიტერატურაში ნიკო ნიკოლაძის ღვაწლი ფრანგი ინჟინრის და გამომგონებლის მარსელ დეპრეს ელექტროენერგიის ძაბვის მეშვეობით შორ მანძილზე გადაცემის დაფინანსებაში. ეს გამოგონება კაი ხანი იქნებოდა თაროზე შემოდებული რომ არა ნიკო ნიკოლაძის ნოვატორული გონება და აზროვნების შორსმჭვრეტელობა. ნიკო ნიკოლაძე როგორც ინჟინრული აზროვნების კაცი მიხვედრილი იყო იმ გამოგონების ჭეშმარიტებას, რამაც განაპირობა მისი წერილის დამაჯერებლობა იმ დონემდე, რომ ბანკირმა როტშილდმა მარსელ დეპრეს გამოგონება დააფინანსა. ეს, რა თქმა უნდა, უდიდესი საქმეა და ფრანგი ხალხისთვის ქმნილი სიკეთე, მაგრამ ბატონი ნიკოს როლი მხოლოდ კეთილგანწყობით არ ამოიწურება. მას უფრო მეტი აქვს ჩაფიქრებული, ვიდრე მკითხველმა შეიძლება, ერთი შეხედვით, წარმოიდგინოს. ელექტროენერგიის შორს მანძილზე გადაცემის ინჟინრული პრაქტიკული რეალიზაცია ნიკო ნიკოლაძისთვის მისი სამშობლოს კეთილდღეობის ზრდის ახალი პერსპექტივა იყო. სამშობლოში დაბრუნებული აღფრთოვანებას ვერ მალავდა და გაზეთ

[112] ნიკოლაძე ნ. თხზ., სალამი. ტ.4. გვ. 361

„ნოვოე ობოზრენიეში წერდა, რომ ჩვენს მთიან ქვეყანას ახლო მომავალში რევოლუცია ელოდებოდა, რომელსაც ელექტროენერგია გამოიწვევდა ეკონომიკურ სფეროში, ფინანსებში, მრეწველობაში, რომ ეს იქნებოდა მშვიდი, აუცილებელი რევოლუცია ყოველგვარი აფეთქებების, სისხლის ღვრისა, ტახტებისა და საკურთხევლების მსხვრევის გარეშე. რომ ქვეყანას ამისთვის საკმაოდ მდიდარი რესურსები გააჩნია. მათი ქვეყნის სიკეთედ გარდაქმნისათვის გაევროპელება კი არა, ტექნიკური პროგრესის მიღწევების გაზიარება იყო საჭირო. ერთი საქმეა მიჰბაძო სხვას, მეორე შემოქმედებითად მიუდგე ეკონომიკისა და სოციალური პროგრესის მიმართულებებს და შენს ეროვნულ უპირატესობებად აქციო ისინი, ხოლო მერე უკან დაუბრუნო მოწინავე ქვეყნებს ნაციონალური გამორჩეულეობის ნიმუშებად. ნიკო ნიკოლაძე ამ თვალსაზრისით დღემდე რჩება უნიკალურ შემოქმედად და ნოვატორად. ნიკო ნიკოლაძემ სწორად შეაფასა ფოთის პორტის პერსპექტივა ქვეყნის შემდგომი განვითარებისთვის. ფოთიდან შესაძლებელი იქნებოდა მარგანეცის, ქვანახშირის, ნედლი მერქანის, ღვინოს გატანა. ფოთში უნდა შემოსულიყო რკინიგზა სადგურ „პროხლადნაიდან“ კავკასიის მთავარი ქედის გავლით, რომლის პროექტიც თვითონ შეიმუშავა ისევე, როგორც ფოთიდან ირანის გავლით ინდოეთის ოკეანისაკენ მატარებლის მოძრაობის მარშრუტები. მასვე ეკუთვნის რკინიგზის გაყვანის ტექნიკური ვარიანტი ბზიფის ტყის ექსპორტული შესაძლებლობების ასათვისებლად, აგრეთვე მდინარე ბზიფის ჰიდროენერგიის გამოყენების ტექნიკური ნამუშევრები.

ნიკო ნიკოლაძე, რაც ფოთის მერად აირჩიეს, იგი მისი მშენებლობის ინიციატორი და მენეჯერი გახდა, პირადად ინახულა ევროპის 12 საპორტო ქალაქი, გაეცნო მათ საქმიანობას, რის საფუძველზე თვითონ მიიღო მონაწილეობა პორტის ნახაზების შექმნაში, ქალაქის ინფრასტრუქტურის მოწყობაში: ქუჩების დაპროექტება და გაყვანა, ხიდების მშენებლობა, ჭაობების დაშრობა, სასწავლებლების, საყოფაცხოვრებო და კულტურული დანიშნულების ობიექტების აგება. მან პირველმა შექმნა ობლიგაციის პრეცედენტი საქართველოში, საფუთო მოსაკრებელი მარგანეცისა და ქვანახშირის ჩასატვირთი ელევატორის ასაშენებლად. ქვეყნის გარედან სამშობლოში შემოჰქონდა მცენარეთა, ფრინველთა და ცხოველთა საუკეთესო ჯიშები, ეწეოდა მათ გამოცდებს ადგილობრივ პირობებთან შესაგუებლად. მერე იწყებოდა საპირისპირო პროცესი-ნიკოლაძისეული პროდუქციის ექსპორტი, რომელიც მოიცავდა არა მარტო საქონელსა და მასალებს, არამედ სამეცნიერო ნამუშევრებს, საინჟინრო ნახაზებსა და პროექტებს. მან შექმნა მუღანის უდაბნოს სარწყავი სისტემების პროექტი, ღვინის სარდაფის პროექტი ქუთაისის კირქვოვან მთებში ქართული ღვინის ევროპული მეთოდით დასაყენებლად. ბატონმა ნიკომ პალაშკოვსკითან ერთად დაამუშავა მუღანის უდაბნოს დაფინანსების გეგმა, რომლის თანახმად რამდენიმე მლნ ჰა ნასვენი მიწის მორწყვა შესაძლებელი იქნებოდა უმცირესი საბიუჯეტო დანახარჯებით. ნიკო ნიკოლაძემ შექმნა ეისკის რკინიგზის წესდების პროექტი, რომელშიც გამოიყენა თავისი ფორმულა ნაღდი ფულის გარეშე აქციებით გადახდაზე.

საქართველოში ნიკო ნიკოლაძის სახელს უკავშირდება ბზიფის, ენგურის, ლაჯანურის, ზემო ავჭალის მდინარეების პოტენციალური ენერგიის გამოყენების პროექტები და წინადადებები, ტყიბულის რკინიგზის მშენებლობა, ჭიათურა-შორაპნის რკინიგზის გაყვანა, რამაც შესაძლებელი გახადა ნაკლებმწარმოებლური და მოძველებული საჭაპანო ტრანსპორტის შეცვლა და სხვა[113].

ზემოთ მოტანილ მასალებს ის აზრობრივი დატვირთვა აქვს, რომ ნიკო ნიკოლაძე არც ევროპელია, არც ამერიკელი და არც აზიელი. დიდი ნიკო არაორდინალური უდიდესი ქართული ტალანტია, გენიალური მოაზროვნეა, რომელიც თავისთავში აქცევს მსოფლიო პროგრესულ მიღწევებს ქართულ ეროვნულ ტრადიციებთან, რომლისთვის უცხო და მიუღებელია ქართველის გაევროპელება თუ გაამერიკელება. ერის ჩამორჩენილობისაგან ხსნა მდიდარი მეზობლის ქვეშევრდომობაში კი არ უნდა ვეძებოთ, არამედ მასთან ურთიერთთანამშრომლობაში. საშუალო და უფრო დაბალი უზნეო აზროვნების ნაბოდვარია თითქოსდა საქართველოს უკეთესი მომავალი მხოლოდ ევროკავშირის და ნატოს სივრცეში იძებნება. გაჭირვების გამო მფარველისა თუ გავლენიანი პატრონის ძებნა სახელმწიფო იქნება იგი თუ ცოცხალი სუბიექტი, ინტელექტუალური სისუტის ნიშანია, ფსიქიური გაუწონასწორებლობაა. არ დაადგა ნიკო ნიკოლაძის კვალს აქამდე არსებული არცერთი ხელისუფლება ქვეყნისა. რასაც ერთი დიდი აზროვნება ნიკო ნიკოლაძე აკეთებდა ვერ ახორციელებს ქვეყნის კოლექტიური ხელმძღვანელობა, რომელსაც ვერ გაუგია, რომ ნამდვილი სუვერენიტეტი და დამოუკიდებლობა თანამშრომლობას ახასიათებს, აკი ინგლისიც იმიტომ გავიდა ევროკავშირიდან, რომ მის სუვერენიტეტის შეზღუდვა იგრძნო. სასაცილოც კია იმისი გაფიქრება, რომ თუ მდიდარი ქვეყნების სივრცეში მოხვდები, შენც გამდიდრებდი, ფრანგასა და ინგლისელს დაემსგავსები. „ცდილობდნენ, რომ რუსის ხალხი გაენემცებინათ ან გაეფრანცუზებიათ, და ქართველები-

[113] ნამიჭეიშვილი რ. საბაზრო ეკონომიკის ადამიანური განზომილებანი. 4. ნიკო ნიკოლაძე როგორ ფერმერი, მეწარმე და საქართველოს ყველა დროის საუკეთესო მენეჯერი. ქუთაისი, „სარკმელი საქართველოსი“, 2005.

გაერუსებიათ. ის ავიწყდებოდათ, რომ ყოველ ხალხს თავისი განსაკუთრებული ხასიათი და ზნე აქვს...როცა ამ ბუნებას ძალას დაატან, როცა მოინდომებ, რომ რუსმა ფრანცუზსავით იხტუნოს, ან ნემეცსავით იშრომოს...მაშინ ხიფათს შეეყრები, საქმეს წაიხდენ, ქვეყანას ავნებ...“[114]. (ვავნეთ და მერე როგორ, ვინ უსმინა ნიკო ნიკოლაძეს. თუმცა ვნება ახლა რომ არის, ისეთი არასდროს ყოფილა).

ნიკოლაძის დროინდელი მე-19 საუკუნისა და მეოცე საუკუნის დასაწყისის ევროპა არის მეცნიერებისა და ტექნიკის ინოვაციური რევილუციების ეპოქა. იმ პერიოდში შეიქმნა დინამომანქანა, გენერატორი, შიდაწვის ძრავა, დიზელის ძრავა, ვარვარების ნათურა, მიკროფონი, ტელეფონი, რადიო, ბესემერისა და მარტენის ღუმელები, დაიწყო ფოლადის მასიური წარმოება, გამოიგონეს ავტომობილი, რეზინის საბურავები, თვითმფრინავი, ელექტროენერგია და მანძილზე მისი გადაცემის ტექნოლოგია, ელმავალი, თბომავალი, ტრამვაი, ტრაქტორი და სხვ. კიდევ მრავალი, რომელიც შესაძლებელი გახდა მათემატიკის, ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის ფუნდამენტური აღმოჩენებით. მარტო მეცხრამეტე საუკუნეში შეიქმნა იმაზე მეტი აღმოჩენა, ვიდრე მანამდე არსებული საუკუნეების განმავლობაში. ამიტომ მას სამართლიანად ეწოდება მეცნიერების ოქროს საუკუნე. მაშინდელი საქართველო ამ მხრივ მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევების გარე სამყარი იყო, მაგრამ არავის მოსვლია აზრად აეყარა ხალხი ფუძიდან და ევროპისთვის შეერია. ევროპაში მიდიოდნენ უმაღლესი ცოდნის დასაუფლებლად, რომ მერე ცოდნა ქვეყნის სამსახურში გამოეყენებიათ ცხოვრების დონის ამაღლებისთვის.

თანამედროვე ევროპა მაშინდელის ანტიპოდია. თუ მე-19 საუკუნის დასარულის და მე-20 საუკუნის დასაწყისის ევროპა ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას ისახვდა მიზნად, ახლანდელი ევროპა მაძღარია, მაგრამ თანდათან კარგავს თავის იდენტურობას და არაბული, აფრიკული და მუსულმანური სამყაროდან მოსახლეობის მასობრივი მიგრაციის გამო. უფრო უარესი: იგი თავისთავს არ ეკუთვნის და „300 კომიტეტის“ ანუ მსოფლიოს საიდუმლო ორგანიზაციების მიერ იმართება. ჯერ კიდევ როდის განაცხადეს: „კათოლიციზმი, ჩვენი მარადიული მტერი, ტალახში წევს სასიკვდილოდ დაჭრილი“[115]. იქვე ვკითხულობთ: საუკუნეების მანძილზე დიდი სამუშაო გავწიეთ ტვინების გამოსარეცხად, და განსაკუთრებით უკანასკნელი რამდენიმე ასეული წლის მანძილზე. მათ ყველაფრის სჯერათ, რასაც ვეუბნებით...მერე აგრძელებს და პირდაპირ აცხადებს, რომ შეაღწიეს კათოლიკურ ეკლესიაში და ახლა ისინი მათი მსახურები არიან. მალე თეთრი რასა აღარ იქნება აშშ. ესპანელები, მექსიკელები და ზანგები დაწინაურდებიან და ამერიკა ყვეითელ რასად იქცევა. მათ არაფრის ეშინიათ, ვინაიდან ებრაელი ადამიანები წერენ კანონებს და მოსამართლეებიც მათი ადამიანები არიან. ამისი ნათელი მაგალითი ფილკენშტეინის ინტერვიუს დასაწყისში არის მოტანილი. მოლაპარაკების თანახმად ინტერვიუს სატელევიზიო გადაცემის ხარჯები პროგრამის წამყვანსა და რაბინ ფილკენშტეინს შორის თანაბრად უნდა განაწილებულიყო, მაგრამ ინტერვიუს შემდეგ ფილკენშტეინმა უარი განაცხადა ხარჯების გადახდაზე და საქმე სასამართლომდე მივიდა. ებრაელმა მოსამართლემ განაჩენი გამოიტანა: რაბინს არაფერი არ უნდა გადაეხადა, ვინაიდან აღასრულა კოლ-ნიდრეს ლოცვა, რომელიც ყველა ხელშეკრულებას და ვალდებულებას და დაპირებას აცხადებს ძალადაკარგულად. ეს აზრი რომ კერძო შემთხვევად არ ჩაითვალოს, სხვა წყარო მოვიშველიოთ. აი, რას წერს პატრიკ ბიუკენენი: საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა გვიჩვენებს, რომ კულტურული თვალსაზრით ადამიანები ტრადიციების მხარეზე არიან: ამერიკელები ქალების ჯარში გაწვევის, აბორტების და რასობრივი უპირატესობების წინააღმდეგი არიან. უნდათ სკოლებში დილის ლოცვების აღდგენა და ათი მცნების სწავლების დაბრუნება. აგრეთვე უკონტროლო ემიგრაციის ბარიერების შექმნა. მხარს უჭერენ აშშ ინგლისური ენის სახელმწიფო ენად დაკანონებას. მიუხედავად ამისა მაინც ეთიკურ, სოციალურ და კულტურულ ფრონტებზე რესპუბლიკელების, კონსერვატორების და ქრისტიანების გაერთიანებული ძალები აგრძელებენ უკან დახევას დანაკარგებით და დღეს ფაქტობრივად გარდაიქმნენ, თუ შეიძლება ასე ითქვას, შეშინებულ უმრავლესობად[116]. ფაქტები დაუნდობელი მორწმუნენი არიან. ევროპის ეროვნულობას მღვრიე წყალი შეუდგა-მესამე რასის წყარო იქმნა და თავის სასიცოცხლო ენერგიას კარგავს. „არ დაუშვათ ის, რომ ხალხი თვითონ წყვეტდეს თავიანთ ბედს, ამისთვის ხელოვნურად უნდა შეიქმნას სხვადასხვა კრიზისული სიტუაციები ამ კრიზისების მართვით. ეს შესასუსტებს და დემორალიზებას გაუკეთებს მოსახლეობას იმ დონემდე, რომ ძალიან ვრცელი შესაძლებლობების პირობებში ადამიანების მასა აპატიაში ჩავარდება“[117].

---

[114] ნიკოლაძე ნ. თხზ. ტ.7. მამულის სიყვარული და მსახურება. გვ. 307.

[115] Интервью с равнином Абэ Филкельштейном о еврейском контроле над миром. via-midgard.info/nevs/artikle

[116] Бьюкенен П. Смерть Запада. 9. Запуганное общество.

[117] Колемам Дж. Комитет 300. с.18.

მიმოიხედთ ირგვლივ, და თქვენ დაინახვთ, თუ რამდენად დემორალიზებული ვართ. ნარკოტიკები, პორნოგრაფია, როკ-„მუსიკა“, თავისუფალი სექსი, ოჯახის საფუძვლების პრაქტიკულად სრული მოშლა, ლესბიანობა, ჰომოსექსუალიზმი და, ბოლოს, დედებისაგან მილიონობით უდანაშაულო ჩვილის საშინელი მკვლელობები. არის კი, უფრო საზიზღარი დანაშაული, ვიდრე მასობრივი აბორტებია?[118].

რასაც ბიუკენენი გვიხატავს აშშ თანამედროვე ცხოვრებიდან, საქართველოში ახლა იკიდებს ფეხს. იგი წერს: ზნეობის დაცემა, რაც ასე დამახასიათებელია თანამედროვე ამერიკისთვის, ევროპაში კიდევ უფრო ნათელია. სახელმწიფოები, რომელთაც მეოცე საუკუნეში მილიონიანი არმია ჰყავდათ, დღეს საკუთარი ქვეყნის საზღვრების დასაცავად ჯარს ძლივს აგროვებს და ქვეყნის საზღვრების დასაცავად ამერიკელს უხმობენ. ევროპა მცირდება, სახელმწიფოები იშლებიან. ნაციონალური იდენტურობის ინტერესებისთვის მებრძოლებს რასისტების და ქსენოფობების იარლიყებს აწებებენ. ძალზე შესუსტდა ქრისტიანული მორალი. მღვდლებსა და სჯულის მქადაგებლებს დღეს კინომეტოგრაფი და ტელევიზია ხშირად თვალთმაქცებად, გარყვნილებად და შტერებად ახასიათებენ[119]. იგი იმოწმებს ციტატას ცივი ომის სტრატეგის ჯ. ვერნემის წიგნიდან „დასავლეთის თვითმკვლელეობა“, რომლის დაკვნითაც ჩამოყალიბდა ევროპული აზროვნების განსაკუთრებული ტიპი, რომელიც შეგუებულია იმპერიის დაღუპვას და ცივილიზაციის ჩასვენებას. აზროვნების ავადმყოფობაზე „გონის ფილოსოფიაში“ წერდა ჰეგელი. ამ ეპიდემიას ავრცელებენ ახლა საქართველოში ისევ ქართველთა მეშვეობით. ამის გამო არის, რომ აღზევდა საშუალო და უფრო დაბალი ნიჭი, რომელსაც ეცოტავა სახელისუფლო თანამდებობები და უმაღლესი სასწავლებლების პროფესურა ჩაანაცვლა.

ხალხს რომ ძალაუფლება ჰქონდეს, ქვეყანაში საშუალო ფენა უნდა არსებობდეს. საშუალო ფენა საზოგადოებრივი ელიტის მიმყოლია, მისი ძალაუფლებაა, ხელისუფლების მაკოტროლებელი და მაორიენტირებელია. გვახსოვს უახლოესი წასულიდან, რომ იყო საქართველოში საზოგადოებრივი ელიტა ცნობილი მეცნიერების, განათლების მუშაკების, ხელოვნების, კულტურის, სპორტის სახელოვანი ადმიანების სახით, რომელიც ნაციონალური ღირებულებების, ეროვნული ინტერესების ხელყოფას არ პატიებდა ხელისუფლებას, კრიჭაში ედგა. ეს უკანასკნელი, თავის მხრივ კიდევ, ეყრდნობოდა იმ საზოგადოებრივ ელიტას, რომლის აზროვნების ცენტრის ფუნქციებს ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტი ასრულებდა. ქართველ მკითხველს ცნობიერებაში ყველაზე დაძაბული სიტუაციების მაგალითები საკმაოდ ბევრი აქვს. მე 1978 წლის 14 აპრილის მასობრივი დემონსტრაცია გამახსენდა. ქვეყნის ხელისუფლება ელიტის მხარეს დადგა. ხალხი საზოგადოებრივი ელიტის დაძახილზე მოვიდა. ეს უკვე ხელისუფლებაზე დიდი ძალა იყო. ქვეყნის პირველმა პირმა უწინამძღვრა ხალხს და მერე დედა ენის ძეგლიც კი დადგეს დედაქალაქში.

სააკაშვილი და მისი გუნდი ხელისუფლებაში ნეოლიბერალიზმით განათლებული მოვიდა და პირველი უზარმაზარი დარტყმა ივანე ჯავახიშვილის უნივერსიტეტს მიაყენა. მერე სხვებს მიუბრუნდა, არც კინო აკადემია დავიწყებია და თუ კიდევ რაიმე ეროვნულ ძალას წარმოადგენდა ან გადარეხცა, ან მტვერი და ტალახი მიაყარა, ძეგლებს ადგილები თავის ჭკუაზე შეუცვალა ან ააფეთქა. საშუალო ფენა ახლა აღარც ჩვენ გვყავს, არც აშშ, აღარც ევროპას. საზოგადოებრივი ელიტა პიროვნულ ინდივიდუმეებად დაიშალა, მოკლებულია მასმედიაზე ხელმისაწვდომობას, ორგანიზაციულ ერთიანობას. მოსახლეობას, მასას მთლიანობა არა აქვს. საშუალო ფენის ადგილს იჭერს სპონტანურად წარმოქმნილი ნათესავების, ნაცნობებისა და მოყვრების, ახლობლების და ძმაკაცების კლანურ-მაფიოზური დაჯგუფებები, რომლებიც სამშობლოდ დასაღეჭად არიან დაგეშილები.

ამ სტატიას რომ ვასრულებდი, ჩემი თანამშრომლები დაბრუდნენ საპარლამენტო არჩევნებიდან, სადაც თვალით ნახეს როგორ ყიდულობენ და რას არ აკეთებენ ხმების მოსაპოვებლად პარტიები და როგორ ყიდიან თავიანთ მომავალს ამომრჩევლები. რა სიკეთეს უნდა ელოდეს ამათგან ეს დაგლახავებული ქვეყანა. „კაცობრიობა უნდა ჩადგეს ეკზისტენციალურ სიტუაციაში, სადაც ყველაფერს გადაწყვეტს არა ფულის ხელისუფლება, არამედ დედამიწის მოსახლეობის ერთ პირად შემჭიდროება ყველასათვის ზოგადი-საშიშროების წინაშე. მხოლოდ ასეთ სიტუაციაში შეიძლება წარმოიქმნას ახალი მსოფლმხედველობა, შეცნობილი ყველასა და ცალკეულის მიერ შემდგომი არსებობის შეუძლებლობით კონკურენციული ბრძოლისა და გაუცხოების პირობებში. მხოლოდ კათარსის გავლით შეიძლება დაიბადოს კაცობრიობა ახალი ცხოვრებისთვის“[120].

---

[118] იქვე, გვ.30.

[119] იქვე, Бьюкенен П. Смерть Запада. 9. Запуганное общество.

[120] Есть ли счастливое будущее у человечества? stihi.ru/2009/08/10/494

P.S. დიპლომატია მეცნიერებაზე მეტია. თუ „ოცნების“ მცირე ბირთვი ყველაფერს ისე მოაწყობს, რომ საქართველოს რუსეთთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები აღდგება, აფხაზეთისა და ოსეთის დაკარგული ტერიტორიების დაბრუნების პერსპექტივებს შექმნის, გაჩნდება რუსეთთან უვიზო მიმოსვლების პრაქტიკა, დაიცლება ქვეყანა ნატოსა და ევროკავშირის უნიჭო ფანტაზიებისაგან, მაშინ ბიძინა ივანიშვილი გენიოსი, ხოლო მისი ოცნება-საქართველო ყოფილა.

Association 4 Science

დანართი

ქუთაისის კრეატიული ეკონომიკური შესაძლებლობები და მისი რეალიზაციის ძირითადი მიმართულებები

ამოსავალი დებულება: **ფუნქციონალურია მთელი, როგორც ორგანიზაციული ერთეული სტრუქტურული კონსტრუქციით, რომლის (კონსტრუქციის) ერთეულებს შორის ურთიერთობების ჰარმონიულობა და ერთეულიდან გამომდინარე სტრუქტურული შესაბამისობა განაპირობებს მთელის არსებობას. ამიტომ მთელი შინაგანად განვითარებადია. გარე ფაქტორებს შეუძლია მთელის არსებობის პირობების ან მისი გადაგვარების ფუნქციების შესრულება. თუ მთელი მისი ნაწილების სასიცოცხლო ერთიანობაა, ნაწილებიდან შეუძლებელია მთელის მიღება და, ბუნებრივია, შედეგების მიღწევა, რასაც მთელის ფუნქციონირება იძლევა.**

ბოლო 40-50 წელიწადია, რაც მეცნიერება განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ქალაქების, როგორც ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მთლიანობის არსებითობას. ამის ილუსტრირების მატერიალური ფაქტურაა ინგლისელი პუბლიცისტის ჩ. ლენდარის ბესტსტელერი: „კრეატიული ქალაქი“, რომელიც 2011 წელს რუსულ ენაზეც ითარგმნა.

ეკონომიკის ეფექტიანობის ამაღლების ქალაქზე აქცენტის გადატანა ჩ. ლენდარის სწორი მიგნებაა, ვინაიდან ქალაქი თანამედროვე ცივილიზაციის /უძველესისაც კი/ საფუძველი და მამოძრავებელი ძალაა, როგორც აზრობრივი ინოვაციისა და შემოქმედებითი მასობრიობის სამეცნიერო ცენტრი. ქალაქების კრეატიული პოტენციალი განპირობებულია, ერთის მხრივ, მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ბაზაზე ფორმირებადი ინტელექტუალური ფონდების აპოკალიფსური ზრდის მასშტაბებით, ხოლო, მეორეს მხრივ, არტეფაქტების ასევე აპოკალიფსური მოცულობის კონცენტრაციით. ორივე ერთად კი აკუმულირებულია ეკონომიკის ახალ შესაძლებლობებათა მასივებში. ასეთი შესაძლებლობების ერთი მდგენელია ქალაქის შიდა ეკონომიკური ინტეგრაცია და გარე სამყაროსთან კავშირები, ხოლო მეორე-მისი ეროვნული თვითმყოფადი ინტელექტუალური კულტურა და ისტორიული ტრადიციები, როგორც პოტენციალური ადგილობრივი ინოვაციური ენერგია. საერთოდ, ქვეყნის ქალაქებისადმი ინტერესების მიზიდულობას ქმნის სხვა ქვეყნების ქალაქების მისწარფება თვითმყოფადი ისტორიის, გამორჩეულობის, და კიდევ იმისადმი, რაც ველური ბუნებიდან ხელუხლებელი არჩივია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ცხადია, რომ ქუთაისი ამჟამად ახალი აზროვნებისაგან მიტოვებული ქალაქია, რომლის კრეატიულობის პოტენციალი მკლევართა ინტერესების სფეროში, ჯერ კიდევ, არ მოქცეულია, ხოლო, მეორეს მხრივ, ცივილიზებული სამყაროსთვის იგი ჩრდილშია მოქცეული, მაშინ როცა შეიძლება ქუთაისი რეგიონის ახალი ეკონომიკის ცენტრი და მსოფლიო ტურისტული სივრცის მიმზიდველი ობიექტი გახდეს.

ქუთაისის, როგორც მთელის, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის კრეატიული პოტენციალუნარიანობის რესურსებია:

1. უძველესი ისტორია;

2. ინტელექტუალური ფენომენი;
3. უნივერსიტეტები და კოლეჯები;
4. ფართო საგანმანათლებლო ქსელი და განათლების ობიექტები;
5. კულტურის დაწესებულებები;
6. საეკლესიო არქიტექტურა და ადგილმდებარეობის განსაკუთრებულობანი;
7. საყოფაცხოვრებო არქიტექტურა;
8. ბუნებრივ-კლიმატური პირობები;
9. გეოგრაფიული მდებარეობა, და იმერეთ-რაჭა-ლეჩხუმის-სვანეთის ბუნებრივ- გეოგრაფიული ადმინისტრაციული ცენტრი.

ქუთაისის მსოფლიო ტურისტულ სივრცეში ჩართვის რესურსებია:

1. უძველესი ისტორია, არქიტექტურა, ნაგებობები;
2. დასახლების თავისებურება;
3. მიმდებარე ისტორიული ადგილების სიახლოვე: წყალტუბო, ვანი ბაღდათი, გორი;
4. ეროვნული სამზარეულო;
5. რესტორნები;
6. სასტუმროები;
7. საავტომობილო, სარკინიგზო და საავიაციო ინფრასტრუქტურა;
8. მდინარეები
9. ველური ბუნება
10. შავ ზღვასთან სიახლოვე.

ცალკე კვლევის საკითხია ქუთაისის, როგორც სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის როლი მიმდებარე ქალაქებისა და სოფლის დასახლებების მიმართ. ქუთაისს, ჯერ კიდევ, შემორჩა ტექნიკური ინტელექტუალური რესურსები ინდუსტრიული წარსულიდან, რომელთა ერთობლივი ძალისხმევით შესაძლებელია, როგორც მიწათსარგებლობის ეფექტიანობის ამაღლება, ასევე მცენარეთა ტექნიკური ჯიშების გამრავლება, კონკურეტუნარიანი ტრადიციული დარგების და წარმოებების აღდგენა, ტექნიკური აზროვნების განახლება და ახალი ეკონომიკური აზროვნების ინკუბაცია და ტირაჟირება.

<u>კვლევის ძირითადი მიმართულებები.</u>

1. რ. ფლორიდას „კრეატიული ეკონომიკის“ და რ. ლენდრის „კრეატიული ქალაქის“ წიგნების თარგმნა.
2. კრეატიული ეკონომიკის სასწავლო პროგრამების შედგენა და დანერგვა ქალაქის უმაღლეს სასწავლებლებსა და კოლეჯებში.
3. სემინარების ორგანიზაცია კრეატიული ეკონომიკის საკითხებზე, დაინტერესებული ჯგუფებისთვის.
4. ქუთაისის და მისი მიმდებარე ტერიტორიების ღირსშესანიშნავობების ილუსტრირებული ალბომის, ვიდეო მასალების შექმნა, რომელიც ხელმისაწვდომი უნდა გახდეს უხო ქვეყნების მოსახლეობის ტურისტული მასობრიობისთვის.
5. საქალაქო/სამხარეო ტურისტული ინდუსტრიის ცენტრის შექმნა, რომელიც თავის სამსახურთან ეკონომიკურად დააკავშირებს ქალაქის კულტურის ობიექტებს, მუზეუმებს, სანახაობით ადგილებს, ინფრასტრუტურის სამსახურებს-ქალაქს მთელის ფუნქციას გაუცოცხლებს.
6. მუდმივმოქმედი კრეატიული ჯგუფის ფორმირება და კრეატიული ეკონომიკის პროგრამების შედგენა და რეალიზაცია.

P.S. **ლოგიკურია ის, რომ ქუთაისის ტურისტულ კრეატიულობას წინ უნდა უსწრებდეს მისი მეწარმეობრივი შესაძლებლობების კვლევა, მაგრამ აქ უნდა გავითვალისწინოთ ბოლო პერიოდში ეკონომიკური პერსპექტივებისადმი მოსახლეობის უნდობლობის ხარისხი, რომელიც წლების მანძილზე ხელისუფლების საარჩევნო დაპირებების შეუსრულებლობამ დაამკვიდრა მეხსიერებაში. ამდენად, ახლა წინა პლანზე უნდა გამოვიტანოთ ქალაქის მსოფლიო ტურისტულ ინდუსტრიაში ჩართვის შესაძლებლობები, რომელიც ახლა საზოგადოებრივ ცნობიერებაში მკვიდრდება, როგორც ეკონომიკური გაუმჯობესების მნიშვნელოვანი კლასტერი და რომელიც სასტარტო პირობებს შექმნის ფიზიკური ეკონომიკის შემდგომი კრეატიული შესაძლებლობების რეალიზაციისათვის.**

დანართი

ინტერვიუ ჟურნალისტ ნანა რობაქიძესთან ტელეკომპანია „რიონში“ საქართველოს 2017 წლის ახალი მოწვევის პარლამენტის გახსნისადმი მიძღვნილ გადაცემაში.

ნ.რ. ხვალ, 18 ნოემბერს მუშაობას იწყებს ქვეყნის ახლადარჩეული პარლამენტი. ჩვენ გვაინტერესებს, თუ რა მნიშვნელოვანი წარმატებებია მოსალოდნელი სამშობლოს ეკონომიკაში.

-რაიმე მნიშვნელოვანი ეკონომიკური წარმატებები მოსალოდნელი არ არის, და აი, რატომ:

პარლამენტთა უმრავლესობამ არ იცის, არც აინტერესებს რამდენი მიგრანტი ჰყავს ქვეყანას, რამდენი უცხოელი დასახლდა ჩვენს მიწაზე, რამდენია ქვეყნის მოსახლეობა, როგორია მიწების ფონდი, რამდენი გასხვისებულია რეზიდენტებზე, სად გადის ქვეყნის საზღვრები, რაში გამოიხატება საქართველოს განვითარების პოტენციალური შესაძლებლობები; არ ხვდება მოსახლეობას, არ იცნობს მის ინტერესებს, ვერ იქნა და დღემდე ვერ შეიმუშავა ქვეყნის განვითარების პერსპექტიული და მიმდინარე გეგმები, არ თანამშრომლობს მეცნიერებთან, გვერდს უვლის საზოგადოებრივ ელიტას, ვერ/არ იცავს კვების პროდუქტების ეკოლოგიურობას, ნაციონალური წარმოების აღორძინების ინტერესებს, სახელმწიფოებრივი აზროვნების მიღმაა განათლების სისტემა, მოსახლეობა უკიდურესად მძიმე მდგომარეობაშია და მისი შრომისუნარიანი ნაწილი მუდმივად იმის ძიებაშია, როგორ მოახერხოს საზღვარგარეთ წასვლა.

საპარლამენტო კაცი არჩევნებამდე უნდა იყოს ცნობილი და არა პარლამეტის მეშვეობით გავიგოთ მისი არსებობა. მათი აბსოლუტური უმრავლესობისთვის სახელმწიფო სამსახური მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესების საშულებაა. მსოფლიოს ცნობილი ეკონომისტები, სოციოლოგები პირდაპირ მიუთითებენ იმაზე, რომ მდიდრებმა ხელში ჩაიგდეს ხელისუფლების სათავეები და ახლა მოსახლეობის პროლეტარიზაცია შავი ჭირივით ედება ყველაფერს. საქართველო, ამ მხრივ, ყოფილ სსრკ ქვეყნებს შორის უბედური პირველია. ჩემი დაკვირვებით, ხელისუფლებას არც აქამდელსა და არც ახლანდელს სამშობლო არა თუ არ უყვარს, საერთოდ არ ახსოვს არსებობს თუ არა იგი, ანდა სჭირდება თუ არა იგი მას.

ნ. რ. თქვენ მე მაშინებთ!

-აზრად არ მქონია თქვენი შეშინება, არც ახლა მაქვს. ერის გადაშენების, ქვეყნის დაქცევის საშიშროება იმაზე მეტია, ვიდრე უკვე ვთქვი. შევხედოთ განათლების ინსტიტუტს. ნუთუ, მართლა, არ იცით, რას ასწავლიან თქვენს შვილებს, შვილიშვილებს სკოლებში, უმაღლეს სასწავლებლებში. როგორ მეტყველებენ ისინი, საერთოდ როგორ იქცევიან, რამდენად მაღალია მათი გარყვნილება. ადრე უწესო და ხელიდან გავარდნილს საზოგადოება გამონაკლისის სახით იცნობდა, ახლა მხოლოდ პირიქითაა- წესიერი, პატიოსანი და განათლებული კაცი არის არა მარტო განსაკუთრებული საზოგადოებაში, არამედ საცოდავი, საბრალო და მიტოვებული პიროვნება (გული გაქვავდა, ჭკუა გამოტვინდა, სული დაბინძურდა, ხორცი აყვავილდა, სირცხვილი აიკრიფა, მორცხვი სინდისი დაცემულია, ზნეობა ტვირთად იქცა, სიყვარული სექსმა გააუპატიურა, ამხედრებული კუჭი ნთქავს ყველაფერს, ტვინი გამოალაყა, და სასმელ-საჭმელი, ბინა და ალაგი ფიქრად უქცია. სიკვდილმა ფარდა ასწია: დაღამება გამტანჯველი დღის დასასრულია, გათენება-მწუხარე დღის დაბადება. ლუციფერი სიხარულისაგან სიცილით იხრჩობა). გათახსირებამ დაღუპა რომის იმპერია, კაცობრიობის ზნეობრივი დაცემის გამო უკარნახა სჯულის კანონი უფალმა მოსეს, სათნოება და სიყვარული იქადაგა ქრისტემ. და მაინც გამჩენს გვინდა ისევ ავერიდოთ.

არ არის წორი, რომ ყველაფერი ოჯახიდან იწყება. ასეთი ალქიმიური ერთადერთობა ბუნებაში არ არსებობს. ოჯახი მრავალგანზომილებიანი ინსტიტუტია. პირველადია მართლმადიდებლური რწმენა, ერთმანეთის სიყვარული, ტრადიცია, გვაროვნული კულტურა, განათლება. არ არის საკმარისი ოჯახის განათლებისადმი ტრადიციული მიდრეკილება. ცოდნა ზნეობრივი უნდა იყოს, ოჯახი-წმინდა და იერარქიული, პასუხისმგებლური. ოჯახი მთელია და მასში არის მისი ინსტიტუციურობა. ოჯახიდან იქმნება ოჯახი, როგორც მისი აღმასვლა და განვითარება, რომლის გამოხატულებაა მისი მისწრაფება ღვთიური სრულყოფილებისაკენ, რომლის თანამგზავრია ზნეობრივი ცოდნის გაფართოება. მისი საფეხურებრივი მომდევნოა სკოლა, სადაც ბავშვი ეუფლება ცოდნას, იწყებს საზოგადოებრივი ღირებულებების გაცნობიერებას, თავისთავს ეძებს. ამდენად ოჯახი და სკოლა არ შეიძლება ერთმანეთის დაპირისპირებად ჩავთვალოთ, ისინი ერთმანეთს განაპირობებენ და ერთმანეთს ავსებენ. ორივეს ის საერთო აქვს, რომ ადამიანად ქცევის ფუნდამენტური ინსტიტუტია და ქვეყნის სიმტკიცის საფუძველი. და კიდევ: „საცოდნელად ძნელი გვარი“. ამიტომ არ იქნება წარმატება მაშინ, როცა კაცს სკოლაში არ უმუშავია, მეცნიერებასთან მწყრალია (რომელიმე კურსის ლექციების 2-3 წლიანი სტაჟი არაფერს მეტყველებს მეცნიერებაზე) და განათლების რეფორმას სახელმძღვანელოების რაოდენობის შემცირებითა და ძველქართული ზღაპრების დისკრედიტაციით იწყებს. მერე და, განა განათლება

მხოლოდ სკოლა და პროფესიული სასწავლებელია? როგორ, უმაღლესი სასწავლებელი მხოლოდ ლექციების კითხვის ადგილია? შეიძლება პროფესორი იყოს კაცი, რომელსაც არანაირი მეცნიერული ღირებულების შრომები არ შეუქმნია?

ბავშვური აზროვნებაა განათლების რეფორმის გამოცხადება სასკოლო ჩანთის შემსუბუქებით, „კომბლესა“ და „რწყილი და ჭიანჭველას“ ზღაპრების გათანამედროვების პრეტენზიებით ან სკოლის მასწავლებელთა ხელფასების გაზრდით. ჯერ ის უნდა განვსაზღვროთ თუ რა ცოდნა უნდა ჰქონდეს, ვთქვათ, ეკონომიკის მასწავლებელს და იქედან გამომდინარე გაირკვევა ბაგა-ბაღის, საშუალო სკოლის და უმაღლესი სასწავლებლის კომპეტენციები და სტრატეგიები. განათლების რეფორმის წინა პირობაა კონცეფციების შექმნა, განვითარების პროექტის საჯარობა და საბოლოო პროგრამულ დოკუმენტად ჩამოყალიბება. შემთხვევითი არ არის ინფორმაციულ ქსელებში მინისტრ ალ. ჯეჯელავას მისამართით გამოთქმული მკაცრი და უპატივცემულო ეპითეტები.

ტელევიზია, ბეჭდური პრესა და ინტერნეტი უძველესი ქართული ტრადიციების განმქიქებელი, ცინიკოსი, მდაბალი ღირებულებების, გარყვნილების, ტრადიციების აღვირახსნილი პროპაგანდისტია. ადამიანთა უმრავლესობა მკვლელად, ბოროტად, ქურდად და ყაჩაღად არ იბადება. მან უნდა ისწავლოს ღვთის სიყვარული, ავისა და ცუდის, კეთილისა და ბოროტის („პატივი ეცი შენს მამას და შენს დედას, როგორც გიანდერძა უფალმა, შენმა ღმერთმა, რომ დღეგრძელი იყო და კარგად იცხოვრო იმ მიწაზე, რომელსაც უფალი, შენი ღმერთი გაძლევს. კაცი არ მოკლა, არ იმრუშო, არ იქურდო, არ გამოხვიდე ცრუ მოწმედ შენი ახლობლის წინააღმდეგ. არ მოინდომო ახლობლის ცოლი, არ ისურვო ახლობლის სახლი, არც მისი ყანა, არც მისი ყმა, არც მისი ყმაქალი, არც მისი ხარი, არც მისი სახედარი, არაფერი მისი საბადებლიდან“. ბიბლია. მეორე რჯული. 5:16,17,18) გარჩევა და ღვთისა და ხალხის სამსახური. ამისთვის ეძლევა მას ბავშვობის, სიყმაწვილის, მოწიფულობის და ბერიკაცობის პერიოდები. თორემ მას ღმერთი ხბოს ბედს მიუჩენდა: დაბადებიდან რამდენიმე წუთში ფეხზე დადგებოდა, ექვს თვეში დედას მოშორდებოდა და სამოვარზე ივლიდა ყოველდღე. ბავშვების აღზრდას ვემსახურებით, ცხოვრებას ვაჩვევთ, დაბოლოს მათი ბრძენი მრჩევლები ხვდებით, ცხოვრების გამოცდილებას ვაგროვებთ და ვტოვებთ, გზას ვიქმნით მარადიული ცხოვრებისაკენ. თუმცა ჩვენ უკვე ჭეშმარიტ გზას ავცდით და მოუსავლეთში მივექანებით.

აქ ერთმა ქალბატონმა მარიხუანას ლეგალიზაციასთან დაკავშირებით ბრძანა, რომ აკრძალვა ცუდი მეთოდია და არ ვარგა-შედეგს არ მოგვცემსო. ჯერ ერთი, უნდა ვიცოდეთ, რომ საქმე ბიზნესს ეხება და დანარჩენი დაბალხარისხოვანია. მეორე, მეტ ყურადღებას იმსახურებს გაგონილი და მოსმენილი, მითუმეტეს, თუკი ეს ყველაფერი შეგნებულად არის გასაჯაროებული კერძო ინტერესების სარგებლობიდან გამომდინარე. განა ბიბლია აკრძალვებითი სწავლა არ არის? „ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: ვინც კარით არ შედის ფარეხში, არამედ სხვა გზით მიიძვრება, ქურდია იგი და ყაჩაღი. ხოლო ერთი კარით შემავალი ცხვრების მწყემსია“. სახარება იოანესი. 10:1,2). „ხოლო შენ რად განსჯი შენსავე ძმას? ან შენ რად შეურაცსყოფ შენსავე ძმას? რადგანაც ყველანი წარვსდგებით ქრისტეს მსჯავრის წინაშე. ვინაიდან დაწერილია: ვცოცხლობ მე, ამბობს უფალი, და ჩემს წინაშე მოიყრება ყოველი მუხლი, და ყოველი ენა აღიარებს ღმერთს“. რომაელთა მიმართ. 14:10,11). უფალმა დასაჯა ადამი და ევა აკრძალული ხილის ჭამის გამო. თავისუფლებაც სწორედ ის არის, რომ არ გააკეთო ის, რაც აკრძალულია. აკრძალვა არის ჩვევის ჯავშანი, ვინაიდან თუ იგი ჩვევად იქცა, მერე მისი აღმოფხვრა ძნელია. აკრძალვა მოვხსენით და ახლა ლამის მთელი საქართველო თამბაქოს ეწევა, კაციც და ქალიც, მოხუცი და ახალგაზრდა, დიდი და პატარა. ყურადღებას არავინ აქცევს იმას, რომ სიგარეტის კოლოფზე აწერია: „მოწევა კლავს“. ამით სიგარეტის მეწარმეებმა ორმაგი დაცვა გაიკეთეს: სიგარეტის მავნებლობა გაზარდეს და მასში ისეთი ინგრედიენტი შეურიეს, რომელიც სიგარეტზე მოთხოვნილებას ზრდის. წესით აკრძალულია, სასიკვდილოა, მაგრამ ჩვევის ხელისუფლებას მისკენ მივყავართ, აკრძალვა ჩვევას ჩამოეფარა.

თითქმის მხედველობის გარეშე დაგვრჩა ერთი მდგომარეობა მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ მასში ვიმყოფებით და რომელიც ხელოვნურად არის შექმნილი ჩვენს გამოსატვინებლად. ჩვენს ქვეყანაში ყველაფერი პრობლემაა: ბენზინი, სასმელი წყალი, განათება, გზები და გაზი, განათლება, მეცნიერება, სამართალი, წესრიგი, ჯანმრთელობა, არსებობა, დემოგრაფია, ინფორმაცია, სასმელი და საჭმელი, მიწა და ტყეები, პენსია, სოციალური დაუცველობა, დასაფლავებაც კი. საკმარისია რომელიმე მათგანი წინ წამოწიო, რომ შეიქმნება დიდი ხალხმრავალი ხელჩართული ყაყანი და კამათი. ხატოვნად ეს ასე წარმომიდგენია. მაცვია პიჯაკი, რომელიც აქა იქ ჩახეულია, ალაგ-ალაგ ლაქები აზის, ნაწილობრივ ტალახიანია, სახელო და ჯიბე ჩამორღვეულია, რამდენიმე ღილი ამძვრალია. იწყება კამათი: ზოგი პიჯაკის გარეცხვას მირჩევს, ზოგი ღილების დაკერებას, ზოგი ჩამორღვეული ადგილების „დაშტოფას“. არავის მოსდის აზრად, რომ პიჯაკი არ ვარგა და შესაცვლელია. თქვე დალოცვილებო, ქვეყანა მშიერია, უმუშევრები სამშობლოდან გარბიან, უსახლკარონი მიტოვებულ შენობებს,

ავტოფარეხებსა და სარდაფებს აფარებენ თავსა და ოჯახებს, შენ მარიხუანას ლეგალიზებისთვის გცალია? პარლამენტის ადგილმდებარეობის შეცვლაზე იმტვრევ ტვინს? ნუთუ ვეღარ ხვდები, რომ წვრილმანებით მთავარს გაშორებენ და თვითონ ყოველნაირ მსხვილმანზე უჭირავთ თვალი.

აზრი უნდა გამოვიცვალოთ. კარგად გვირჩია ამას წინ გერმანელმა ელჩმა: თქვენ სხვებს ნუ უყურებთ, უძველესი ერი ხართ და მომავალი წარსულიდან მოიძიეთო. ქვეყანა დამოუკიდებელი და წარმატებული იყო, როცა მას მართლმადიდებლური რწმენის მეფე-პატრონი ჰყავდა. მეფე ერეკლე 15 წლისა ჩაება ხალხის სამსახურში და სიკვდილამდე ხმალი არ ჩაუგია. მტრის ყველა რისხვა და გაჭირვება თავისთავზე გადაიტეხა. ხალხს უკეთესი ცხოვრების პირობებს უქმნიდა. ახლა ყველაფერი თავდაყირა დგას-ხალხი ხელისუფლების პატრონია, იგი არჩენს და ინახავს მას. თავზე აზის ხალხს და ქვეყანის ბედს ისე განაგებს „ვითა ამღერდეს ხელში კამათლებს“. ქვეყანას მისი პატრონი უნდა დაუბრუნდეს, რაც არ იქნება მისთვის ფუფუნება, ამიტომ იგი ღვთიური კაცი უნდა იყოს. მეფე ვერ იქნება ეკლესიის გარეშე, მეფე ეკლესიის ნაწილია.

ოჯახი სახელმწიფოს ფუნდამენტი რომ არის, ეს ჩვენთვის ტრივიალური ცოდნაა და იმ პირობებს გულისხმობს, როცა ხელისუფლება ქვეყნის პატრონია. ახლანდელ პირობებში ტრადიციული ოჯახი იერარქიის ზედა საფეხურებს არაფერში სჭირდება, ვინაიდან სახელმწიფო პირამიდაში წესიერი, წმინდა, ღვთისმოსავი ფუძე მისი მმართველობითი სტრუქტურების ჩამოშლის ენერგოიმპულსია, ამიტომ ოჯახების გადაგვარება სურს, სადაც იგი ადამიანების დროებითი თავმოყრაა, დროებითი ვინაიდან მას მთლიანობა დარღვეული აქვს, ქრისტიანული იერარქია-მოშლილი, ხოლო ქორწინების სიწმინდე-დაკარგული. საქართველოში ჯერ კიდევ ბევრია ქრისტიანული, ერთქორწინებიანი ცოლქმრული ოჯახები, რომელთა არსებობა ლიბერასტების აღშფოთებას იწვევს და შხამიანი წამლების რეცეპტებს გვიწერს-ბავშვთა უფლებების დაცვა, ქალისა და კაცის თანასწორობა, ოჯახური ძალადობა, ბავშვების ჩამორთმევა და ძალად გაშვილება.

ოჯახური მთლიანობა და სიმტკიცე მართლმადიდებლური რელიგიით არის დაცული. ოჯახი რთული ეკონომიკური, სოციალური და ფსიქოლოგიური ურთიერთობების სივრცეა, რომელთა შორის დამოკიდებულება ხშირად ქმნის კონფლიქტურ სიტუაციებს თვით კოლიზიების ჩათვლით, რომელიც რეგულირდება ნათესაური ურთიერთობებით და საკანონმდებლო აქტებით. ცოლქმარს უფლება აქვთ დაშორდნენ ერთმანეთს შეთანხმებით ან საკანონმდებლო ორგანოების ჩარევით დროებით ან საერთოდ, ან მერე აღადგინონ ურთიერთობები ნებაყოფლობით. კოლიზიური ურთიერთობების პირობებში ცოლი და ქმარი უფლებამოსილია პასუხისმგებლობა დააკისროს დამნაშავე პირს. დამნაშე შეიძლება იყოს როგორც ქალი, ასევე კაცი. რა შუაში არის აქ ძალადობა? პირიქით, ჩვენ თუ ოჯახის სიმტკიცე და სიმშვიდე გვინდა, ამისთვის უნდა შეიქმნას ოჯახებთან ურთიერთობის სამსახურები. მაგრამ ამას არავინ შექმნის, ვინაიდან ისტორიული ოჯახის დანგრევაა გათვალისწინებული. არ უნდა გამოგვრჩეს ისიც, რომ დღეს ოჯახი ეკონომიკურად სუსტია, ხშირად დაუსაქმებელია მისი ყველა წევრი, ან ერთი რომელიმე მათგანი მუშაობს, იშვიათად-მთელი შემადგენლობა. ყველაზე დიდი კონფლიქტი სწორდ აქედან იღებს სათავეს. შიმშილი ოჯახის კონსტრუქციული სიმტკიცის საშიში ბზარებია.

ნ.რ. გამოსავალი ვერ მიგვიგნია!

გამოსავალი არსებობს, მაგრამ მისკენ მიმავალ გზაზე არ ვდგებით. არ უნდა ეს ხელისუფლებას. მისი სტერეოტიპი ფსიქოლოგიურად ფორმირებულია და ქვეყნის მმართველობის სათავეებისაკენ იმიტომ ილტვის, რომ გამდიდრება უნდა, რომლის ყველაზე იოლი გზა ეროვნული სიმდიდრის მიტაცება და გაყიდვაა, საკუთარი მოსახლეობის ძარცვაა. ქვეყნის ბედზე მზრუნველი ხელისუფლება სამშობლოს ინტელექტუალურ პოტენციალს წინ გაიძღოლებდა, მოსახლეობას კარდაკარ ჩამოუვლიდა, მისი ცხოვრების სიღრმეში ჩაიხედავდა, ჭკუას ჰკითხავდა, სხვა ქვეყნების ცხოვრების მაღალი დონის მექანიზმებს შეისწავლიდა, უნივერსიტეტებს მეცნიერებას შეუკვეთავდა, მასმედიას ერის სამსახურში ჩააყენებდა, ქვეყნიდან გაქცეულ მოსახლეობას დააბრუნებდა, ეროვნულ სიმდიდრეებს ხალხის კეთილდღეობად აქცევდა...ძალიან სოლიდური მოცულობის საერთაშორისო ფონდთან მომიხდა ირიბად შეხება. მათ ამერიკელ პატრონებს უნდათ ეს თანხა მოსახლეობაში მოხვდეს, ჩვენმა მოსახლეობამ გამოიყენოს, ბიზნესი განავითაროს. თანხა იმდენია აქვთ, რომლის ათვისება გაგვჭირდება. დიდი ხანია ინოვაციურ ეკონომიკაზე ვმუშაობ და ვიღაცამ წარმადგინა ამ პროექტში თავისი პოზიციის გასამაგრებლად. ყველაფერი კარგად წავიდა, პროექტები და წინადადებები მოეწონათ, აღტაცებაც არ დაუმალავთ. მერე დრო გაჩერდა. ყველა უტვინო და არაფრისმქნელი ერთად მოაწყდა ფონდს-ზოგს ცოლის დასაქმება უნდოდა, ზოგს-შვილის, ზოგს-ახლობლების, ზოგმა იკადრა და სცადა უფროსი გადაეგდო სკამიდან და თვითონ ერია ხელები ფულში. რამდენიმე ასეთი მაშინვე მოიშორეს, მაგრამ საკმაოდ ბევრი დარჩა, რომელსაც ფულის მუქთად მითვისება უნდა და დღემდე ყველა ნახვრეტში ძვრებიან როგორმე ფულთან შეხება ჰქონდეთ.

დრო მიდის, საქმე ადგილიდან არ იძვრის, ამერიკელი პარტნიორები ცოფებს ყრიან, თუ რატომ არ ხდება მოსახლეობაზე ფულის გაცემა. აი, როგორი ადამიანები არიან ფინანსური წყაროების სათავეებთან.

როგორ ჩამოვაშოროთ ისინი საქმეს?

მათი ხელისუფლებიდან გარიყვის, გაშორების ნაციონალური ენერგია არსებობს და ხალხში არის გაბნეული. ამ ენერგიის კონცენტრირება მხოლოდ ლიდერს შეუძლია, ლიდერს, რომელსაც ღმერთის სიყვარულის, პატრიოტიზმის, მორალისა და ზნეობის გარდა, ახალი ეკონომიკის ცოდნა ექნება. ახალი ეკონომიკა ცოდნის ეკონომიკაა, სადაც გადამწყვეტ როლს თამაშობს არა დამახსოვრება, თეორემებისა და პრინციპების მოხმარება, არა წინასწარ განსაზღვრული მოდელის სივრცეში, მოძრაობის წესების ცოდნა, არამედ ახალ ეკონომიკურ სივრცეში ადაპტაციისუნარიენობა, კრიტიკული, ნოვატორული, შემოქმედებითი აზროვნება, როცა ცოდნიდან ახალი ცოდნა იმპულსირდება, რომელიც ინიციატივასა და შემოქმედებას იწვევს. ცოდნა რომ შემოქმედებად იქცეს, მან ჯერ თავისი თავი უნდა უარყოს, ახალ ცოდნაში გარდაისახოს. თქვენ გაქვთ ეკონომიკური ცოდნა, რომელიც დადასტურებულია დიპლომით, რაც საშუალებას აძლევთ იმუშაოთ სახელმწიფო დაწესებულებაში. მაგრამ თუ თქვენ ამ ცოდნის კრიტიკული გადასინჯვის, ახალ ფორმებში გარდასახვის უნარი გაქვთ, მაშინ შეიძლება შექმნათ არაორდინალური კერძო მეწარმეობა საზოგადოებრივი ცხოვრების ნებისმიერ სფეროში. მაგრამ ეს კიდევ ყველაფერი როდია. რასაც აკეთებ სიყვარულით უნდა აკეთებდე, აკეთებდე იმიტომ, რომ სხვას სჭირდება და შენც გჭირდება მისგან, მაგრამ ორივეს-ზომიერების ფარგლებში. რად გინდა ხუთი მანქანა, ათი სახლი, მილიონები, მილიარდები, როცა სხვას ღამის გასათევი არა აქვს. ჰო, ვიცი, ამნაირ ცოდნამდე გზა კიდევ შორია. ზნეობრივი ცოდნა აქამდე პრობლემად რჩება.

ცხოვრება სიცოცხლეა, მოძრაობაა ძველიდან ახლისაკენ, გარკვეულობიდან გაურკვევლობისაკენ, ცოდნილი სინამდვილიდან მისი უარყოფისაკენ. ჩემი კვლევები საშუალებას მაძლევს ვთქვა, რომ დაძველდა ქვეყნებს შორის ტრადიციულად არსებული მტრული ურთიერთობები, უფრო სწორად მან თავისი ვერაგული არაღვთიური შესაძლებლობები ამოწურა. ჰოდა, ცოდნის, ახალი ეკონომიკური თანამშრომლობა მათ შორის უფრო მეტი ორმხრივი სიკეთის მომცემია, ვიდრე დაპირისპირება და წინააღმდეგობრივი დამოკიდებულებები. თუმცა ძველი აზროვნების ნარჩენი კერძომესაუთრული ურთიერთსარგებლიანობის უპირატესობების საზოგადობრივ ცნობიერებაში გადატანა ძალიან რთულია. ეს ზოგადსაკაცობრიო საზოგადოებრივი აზროვნების ახალი სიმაღლეა.

ნ.რ. აქციზები მოსახლეობისთვის სიკეთე არ იქნება?

არის ფაქტობრივი სტატისტიკური მასალა. როცა ბენზინის ფასი იზრდება, მაშინ ავტომობილების გაყიდვის მოცულობა მცირდება და პირიქით. ხოლო როცა ჩვენ აქციზებს ვზრდით ბენზინსა და ავტო მანქანების შემოტანაზე, მაშინ მანქანების შესყიდვა შემცირდება. ახლა საქართველოში ავტო მანქანების რეალიზაცია ძნელია, ბაზარი გადატვირთულია, რასაც ჩვენ ყოველდღიურად ვხედავთ. ბენზინის გაძვირება მანქანების შემოტანას შეამცირებს, გაიზრდება მოთხოვნა საზოგადოებრივ ტრანსპორტზე. ეს კიდევ არაფერი, მოიმატებს ფასები ყველანაირ პროდუქტზე. არ იფიქროთ, რომ ეს ორიგინალური მიგნებაა-„ზემოთ“ ყველაფერი კარგად იციან. უკვე გაეხსნა გზა ჰიბრიდულ. ელექტრონულ და წყალბადის პრინციპულად ახალ საწვავზე მომუშავე ძრავიან მანქანებს. ეს ახალი რევოლუციაა საავტომობილო მრეწველობაში. რევოლუცია მსხვრეპლს მოითხოვს. საქართველოს ხელისუფლებას ავადმყოფურად უყვარს რევოლუცია და ამისთვის მსხვერპლის გასაღებადაც მზად არის. აკი საბჭოთა კავშირის დაშლის მსხვერპლიც უყოყმანოდ გავიღეთ. როგორც ყოველთვის, ჩვენი მსხვერპლით მეზობლები კარგად სარგებლობენ.

ბოლო ხანებში სწრაფად იკიდებს ფეხს ყველას ყველაფერზე პასუხის გაცემა და შეგონება. აქ ერთმანეთშია არეული უცოდინარობა, უპატივცემულობა და უკულტურობა. თუ თქვენ მასწავლებელი არ ხართ, ცოტა მორიდება არ უნდა გქონდეთ, როცა სწავლების პროცესებზე 30 წლის სტაჟიან მასწავლებელს ეკამათებით? მერე რა, რომ სკოლაში გისწავლიათ ერთ დროს, როგორც ყველას. სამკაციანი გასართობი გუნდის შექმნა ვერ მოგიხერხებია და მაკედონელის, ნაპოლეონ ბონაპარტის და ჰიტლერსი კრიტიკოსო ხარ? ამას გონებრივი აშლილობა ჰქვია. ვის და როდის აეკრძალა ვინმეს აზრის გამოთქმა, მაგრამ აზრი ხომ ჯანსაღი უნდა იყოს. არის კი განა ჯანსაღი აზრი ის, რომ ქვეყანას საბაზრო ეკონომიკა იხსნის? ანდა ასეთი საკითხი ავიღოთ: ევროპის და საქართველოს საფინანსო-ეკონომიკური შედარებები. ევროპამ ჯერ სამრეწველოო ცხოვრება დაიწყო და მერე ბანკებმა ფეხქვეშ მოიქცია. საქართველოში პირიქით არის, დაინგრა ჩვენი ქვეყანა და ფინანსებმა ეკონომიკა ფეხქვეშ მოიქცია. რაც ევროპაში სუსტია, ჩვენთან უძლურია, უპერსპექტივოა. ამდენად, ეკონომიკურ შედარებას დრო და სივრცის გარდა, მოვლენის ზომისა და ხარისხის, მდგომარეობისა და ასაკის პარამეტრები, პარალელობისა და აცდენილი ხაზების ვექტორები გააჩნია. აქ მოვლენათა მოძრაობას სიბრტყისა და სივრცის პარამეტრები განაპირობებენ.

4 SCIENCE

მტანჯველი აზრები

ჰო, მწიფე მსხალი ღორისააო, მაგრამ ამდენი მსხალი სად იყო, ან და ამდენი-ღორი, რომელიც ვერ იქნა და ვერ გაძღა. მწიფეს ვინ დაეძებს, მკვახესაც მიირთმევენ. ღმერთო გვიშველე! ან მსხალი გაახმე, ან ღორები აგვარიდე.

შენი თავის ფასი თუ არ იცი და მას არ უფრთხილდები, რომ გადაგიარონ, რატომ უნდა გიკვირდეს.

ვეძებდი შენში დედოფლის სუთქვას, რას ვიპოვიდი, რაიც არ იყო. ჩემი ბრალია-ვიყავი ბეცი, ახლა ხილულ ვარ, მაგრამ რა გიყო... რა ქალი ხარ თუ შენში არ ფეთქავს დედოფლის სისხლი ან რა კაცი თუ მეფის სული არ ბუდობს შენში. ფერადი ჭინჭები გიფარავს სახეს, რა გეპრანჭება სულიერ შეშლილს.

თუ ყველაფერი წესრიგში გაქვს-არაფერი გტკივა, სახლი კარგი, გაქვს მიწა და გყავს ცხოველები...რატომ გშია? ქუთაისი 3500 წლისაა, აქვს უნივერსიტეტები, კოლეჯები, სასწავლებლები, უძველესი არქიტექტურა, მუზეუმები, თეატრები, საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურა, კრეატიული სოციალური ჯგუფები...რატომ არის მშიერი. მეტი რა გინდა? შევთავაზებ ახალ ხელისუფლებას ქალაქის სწრაფი აღორძინების პროექტს და მერე მკითხველო შენ მოგმართავ, რისი მაქნისია მისი მეთაურობა . 19.11.2017.

დამშეულ, ლუკმაპურზე მონატრებულ ქვეყანაში რომ ხელისუფლება ქალზე მიშტერებისთვის კანონის მიღებაზე ფიქრობს, ნეტავი რა სიტყვა მიესადეგება ამნაირი აზროვნების ორფეხებს!

იქნებ ერთი მიშტერება მთელი ცხოვრებაა (გალამაც მოჰკრა თვალი მერის) ან იმ ქალის ბედნიერებაა! რა დონეზე მიდის აზროვნება?

რა ბინძური ცხოვრებაა, ყველაფერს კადრულობენ, არაფრის რცხვენიათ. ყველაფერი უკან მოგვიბრუნდება იმის საკადრისად, როგორადაც ვიქცევით.

გალაკტიონობას წელს პირველად ვერ ესწრება მისი სახელოვანი ძმიშვილი ნოდარ ტაბიძე. ღმერთმა აცხონოს!

რა დრო გასულა, 70-ე წელიწადია, მაგრამ ეს ხომ შენი ამიერი და იმიერი სამყაროს მთელი რიცხვია. წლებს რა გამოლევს, მაგრამ სიცოცხლის წლები ხომ ძვირფასია. ორმოცდაათი სულ ახალი გადავლილი გქონდა. მძიმე ავადმყოფობამ ვერ გაგტეხა, შიში წაართვი სიკვდილს, მეხივით დახვდი და ჩვენ გამოცანად დაგვიტოვე სულის სიმაღლე და ღვთიური მადლიერება. ის ყვავილები მომაქვს შენ რომ გიყვარდა და სულ მავიწყდებოდა ხშირად მომერთმია... დღეს, გუშინდელი წვიმაც ისევ შენი სულის მეოხად შეჩერდა, როგორც ყოველთვის ხდება შენსთვის განსაკუთრებულ დღეებში. სეხნია შვილიშვილი ფეხებით ისე გადაივლის შენი მარადიული ცხოვრების მწვანე საბანზე ბედნიერებად რომ მიგაჩნდა სიბერის შემდეგ. ღმერთს ვთხოვ შენი სულის ცხონებას. დრო მიდის, საფლავის ქვაზე წერტილი ადგილს არ იცვლის. წერტილს არა აქვს დრო. დრო თვითონ არის სიცოცხლის წერტილი. "დაჩა", 9 ნოემბერი, 2017. ხუთშაბათი.

რა კარგი შვილია, ვინ გაგზარდა; რა ბედნიერი ხარ, კაი შვილები გყავს, შენ რაღა გიჭირს. რა კარგი მამა გყოლია, როგორი ნაზი და ლამაზია დედაშენი. რა კარგი ოჯახია, რა პატიოსანი ხალხია. რა განათლებულია, როგორი მართალი და დიდებული კაცია. ამათ ოჯახში შესულს, მეტი რა უნდა... რამდენი ხანია ეს სიტყვები არ გამოგონია. როგორ გათანაბრდა ყველაფერი ისე, როგორც სასაფლაო-მიწის ზედაპირიდან ყველა ერთად-ქვევით 2 მეტრზე. თითქოსდა დაჰყარა ცხოვრებამ, ჭადრის ფოთლებივით სიყვარული, სინდისი, მისწრაფება, სილამაზე, ნეტარება, მარადისობის ტკივილი. ეეჰ, ნუთუ შემოდგომის ყვითელ ფოთლებზე ფეხების დაბიჯება მზე შემოდგომისაა!

ქალები სასტუმროებსა და მანქანებში იპლაკებიან თურქებთან, ჩინელები სახლში გცემენ და გიმონებენ.თქვენ კიდევ სასამართლოებში დარბიხართ, გვიშველეთო. ვაი, შენ ჩემო ცვედანო, უბედურო და უთავმოყვარეო ქვეყანავ!

„ჩვენისთანა ბედნიერი"? დილით გაყიდა ხმა, საღამოს იყიდა პური, და უხარია-ოთხწლიანი ვალი აიკიდა.

სიყვარული სათნოა და მიმტევებელი, მოსამსახურე და თავგანწირული. სიყვარული სუფთაა და ზნეობრივი. იმას ეპიდემია არ ემართება. თუ სიძულვილს შური, ბოღმა, ვერაგობა და მტრობა ამაგრებს, სიყვარული სულიერი სიწმინდის პირამიდული კონსტრუქციაა, რომელიც ზნეობრივი ცოდნით შენდება, მაღლდება და იზრდება, რომელშიც გამოხატულებას პოულობს ადამიანის სრულყოფილების დაუსრულებლობა. სიყვარულიდან სიძულვილში გადავარდნა არ არის იშვიათი შემთხვევა, ვინაიდან ადამიანს უჭირს ცდუნებებისაგან თავის დაღწევა და ამიტომაც სიყვარულით მხოლოდ უმცირესობა ცხოვრობს და იღწვის. ისინი ღვთიური ადამიანები არიან. საპირისპიროდ ამისა კი, დაცემიდან, სიძულივილიდან სიყვარულში აღდგენა იშვიათი გამონაკლისია, ვინაიდან სიძულვილი ადამიანური შესაძლებლობების ეგოიზმზე დანახარჯებია კრიტიკულ ზღვრამდე მისული, რომლის შევსების რესურსები სიხარბისაგან დაუძლურებულია. სიძულვილი სულის სიღარიბეა, სიყვარული სულის-სიმდიდრე. საქართველოში სიძულვილი ერთად აკრებილია და მთელია, ამიტომ ძლიერია და ხელისუფლება უჰყრია. სიყვარული უმაღლესი ხელისუფლებიდან განდევნილია და გათითოებული, ამიტომ სუსტია. გათითოებული სიყვარულის გამთლიანება ღვთიური გამონათებაა, რომელიც მესიურ სულში გაცოცხლდება და სიძულვილის იმპერიას გოლგოთას მოუწყობს.

ახლა, ამ ცხოვრებიდან ტყეში გაქცევა სჯობია, მაგრამ...მხეცები მიგიღიბენ?

ქვეყნის აღორძინება სამშენებლო მოედანს ჰგავს-ყველაფერი ადგილზე ჰყრია, მაგრამ ორგანიზაციული ჭკუა აკლია. მთელი ვერ შეგვიქმნია.

ამ კრეტინებს ყველა თავისი ჭკუისანი ჰგონიათ. უტვინოს აღზევება ტვინზე შეტევაა.

დაშტამბული, ზომბირებული აზროვნება მეფობს. ეს ძალიან საშიშია.

ქვეყანას პატრონი ღვთისმშობელი ჰყავს და ვიღაცები ახალ პატრონს ეძებენ: დასავლეთსა და ნატოზე აპირებენ ჯვრისწერას. "ვაი, ჭკუისაგან".

ზოგს მანქანებით აკითხავდნენ, წამობრძანდით და ხმა მომეცითო, ზოგს სუფრას უწყობდნენ, ზოგს ფული მისცეს, ზოგს ტომარა შაქარი...ვის აინტერესებს შენი ქვეყანა და ხვალინდელი დღე. ჩემო ხალხო იმაზე უარესის ღირსი ხარ, რა დღეშიც იმყოფები.

იცი თუ არა, რომ ერთმა პროფესორობაზე დახარბებულმა 3 თვეში 22 "წიგნი" დაბეჭდა, მიუხედავად იმისა, რომ 2 წიგნიც არ წაუკითხავს, და მსუბუქი აზროვნების საკონკურსო კომისიამ უმაღლესი სასწავლებლის "ხელმძღვანელობასთან" მჭიდრო კავშირში ერთხმად მიანიჭა პროფესორის სამეცნიერო წოდება. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ არა, მაგრამ მაღალმა ღმერთმა იცოდა, რომ ხელმძვანელობა უნიჭო და ბოროტი იყო, ხოლო პროფესორობის მაძიებელი-უტვინო მჯღაბნელი.

მრავალრიცხოვანი დაწესებულების სადარბაზოსთან მიმდგარი ხალხის ნაკადი, უეცრად მოსული აზრი: ჭინჭებში გახვეული უნიჭობა.

ამ უწესრიგო და ჯერ არშემდგარ ქვეყანაში, წესიერი არჩევნები რანაირად ჩატარდება. დამშეული, ქვეყნიდან ლუკმა პურისთვის აყრილ ხალხს, უმუშევრებს, სოციალურად დაუძლურებულ მასას სამშობლოს ეკონომიკაზე ხელი როგორ მიუწვდება ან სახელისუფლო გუნდებმა იციან რა უნდა გააკეთონ? უნდა ვიცოდეთ რა უნდა გავაკეთოთ, როგორ გავაკეთოთ და ვის შეუძლია გააკეთოს ანუ ვის შეუძლია სამსახური გაუწიოს სამშობლოს.

ჩამოფლეთილი, ჩამორღვეული, დაჭუჭყიანებული პიჯაკის გაუმჯობესებას ზოგი ღილების დაკერებით აპირებს, ზოგი- გარეცხვით, ზოგი ზედნადები ნაკერებით, ზოგიც-ლაქების ამოყვანით. აზრდაც არ მოსდით, რომ პიჯაკი შესაცვლელია.

"მტერი ვერ იზამს იმდენსა, რასაც საკუთარ ხალხს ვუზამ"-უზურპირებული ელიტა.
რა კარგია სიცოცხლე, ეს ბინძური ცხოვრება რომ არ აფუჭებდეს.

თუ რაიმე გაუგებარი და ტვინის ამრევია, ეს დემოკრატიაა, რომელსაც მოხერხებულად იყენებს ელიტარული უმცირესობა უმრავლესობის წინააღმდეგ. არ მოვიდა დრო უფრო ჭკვიანები ვიყოთ?

ASSOCIATION 4SCIENCE

უბედურებაა, როცა იმ საუკუნეში ცხოვრობ, რომელსაც საუკუნით ჩამოჩები.

ხორცის მეტი რომ არ ხარ ამ ქვეყნად, კაი ხნის მკვდარი ხარ ფეხით მოსიარულე. მკვდრებიც დადიან, ვინაიდან ცოცხალი მკვდრებიც არსებობენ.

ერთ გუნდში თავმოყრას, მითუმეტეს თუ იგი ბოროტი ორფეხების შეკრებაა, ის დადებითი მხარე აქვს, რომ მიზანში ამოღებულია.

ჯიშგადაგვარებული ციციანოვის (ციციშვილის) ბინძური სული ამოიმართა, რომელსაც არაფრად მიაჩნია სხვისი წმინდა გრძნობები და სიკვდილზე ამაღლებული ერთგულება, ოღონდ თავის ხელდამსხმელ სულიერ მამებს აამოს და მონური სამსახური გაუწიოს. ადამიანი ბევრია მოღალატე, შეუგნებელი და უტიფარი, მაგრამ სულ სხვაა სხვის ხელზე მოსამსახურე გადაგვარებული ქართველი, რომელსაც მშობლიურ მიწაზე ფეხის დასადგმელ ადგილზე ცეცხლი უნთია და გადამთიელს ექაჩება იმ მიწაზე დასამკვიდრებლად. სულწასულია და ეჩქარება, არ შეამჩნიონ რომ ბოროტია, ამიტომ მოსწრებაზეა-გაყიდოს მიწა, გადაწვას ტყეები, ფუძიდან აჰყაროს და გააქციოს სხვა ქვეყნებში უმუშევრად დარჩენილი მოსახლეობა. ორმაგ მოგებაშია. რაც მეტი გაიქცევა ქვეყნიდან, მით მეტი იქნება შემოსავალი გაქცევასთან დაკავშირებით, საზღვარგარეთიდან გადმორიცხული ფული, ხელზე მომსახურების გამო; აქეთ კიდევ იძულებით გაქცეულის სახლი და მიწა გამოთავისუფლდება და გადამთიელს მიჰყიდის გროშებად, იმ გადამთიელს, რომლის ველური წინაპარი საუკუნეების მანძილზე ჩვენს სისხლს სვამდა და ქვყანასა და სახლ-კარს გვიწვავდა. ახლა ეს მოყურადებული დღევანდელი ჯაყო თურმე ჩვენი ძველი ისტორიული მეგობარი ყოფილა, რომელიც ქვეყნის დაუმუშავებელი და აუთვისებელი მიწის დასათესად მოდის თურმე უწყინრად, რომლის მამა და მარჩენალი იქნება ეს ტვინგარეცხილი მანამდე, ვიდრე მის თანამეცხედრე მარგოს ღობის ძირში არ გააბახებს და ნაბიჭვარმუცლადმყოფს ბაზარში ტომარაკიდებულს არ გაუშვებს (მკითხველო მაპატიე, ამღვრეული ქართული სისხლი არ მასვენებს) ლობიოს გასაყიდად.

ფულს თუ არ გავეყარეთ, სიყვარულს ადგილი არ ექნება და მასად ვიქცევით. " უსიყვარულოდ არ არსებობს...". დღე არ თენდება უსიყვარულოდ.
სიყვარული დაგებედოთ ამ შესანიშნავი დღესასწაულიდან.

დღეს დიდი ნიკო ნიკოლაძის დაბადების დღეა, გენიალური მოაზროვნის, ქვეყნისა და ხალხის სიყვარულის მასწავლებლის, სამშობლოს უდიდესი პატრიოტისა და მსახურის, ევროპელობის მასწავლებლის, ცეცხლოვანი შემოქმედის, დიდი ოჯახის მესაძირკვლის, ქართულ აზროვნებას რომ ეპოქით გაუსწრო და დღესაც წინ არის...ყველას გილოცავთ. განსაკუთრებით მის სახელოვან შთამომავალს ქალბატონ სალომე ზურაბიშვილს.

არჩევნები (ახლა ადგილობრივი)-მარათონი სამუშაო ადგილების საძიებლად

ფულმა გშობა და ფულის მონა ხარ. გადაგვარებული ქართველი უცხოელ მტერზე უარესია.

ქვეყანა ხალხია და ხალხია ქვეყანა; ხალხი და არა ბრბო. როცა დღევანდელობას უყურებ, სიცილ-ტირილი მოგერევა. არ ვართ ჩვენ სახელმწიფოებრივად მოაზროვნე მასობრიობა. ამოცანა: რა გვეშველება, ერთუცნობიანი ხდება და იმ ერთის ამონახსნი-"არაფერია". გახდება ის ამოცანა მრავალუცნობიანი? ვიცი, რომ ამისთვის ეროვნული ერთიანობაა საჭირო, მაგრამ ასე განმხოლოებული პერსონების გაერთიანება რა მეთოდებითა და ტექნოლოგიებით შეიძლება! ქართველი და ერთიანობა?

შვილის შეძენა ახალგაზრდა მამრს კაცობის სიმძიმეს ჰმატებს, ხოლო ბაბუას შვილიშვილის მოვლენა ახალგაზრდობისაკენ უბიძგებს. ამიტომ უყვართ ძალიან ბაბუებს შვილიშვილები, მითუმეტეს, შვილთაშვილები

მართალია ის ტურისტი. უზრდელები და ბინძურები გავხდით ერთ დროს ქებული ხალხი. გუშინ ბაზარში გამყიდველი ქალისა და ასევე გამყიდველი ქალის ისეთ ბინძურ კამათს შევესწარი, აქამდე რომ

4 SCIENCE

არ მსმენია. ასეთი შემთხვევები გამონაკლის არ არის (შენიშვნა გულიკო წიკლაურის თარგმანზე, რომელიც საქართველოში მყოფმა ტურისტმა ჩვენზე დაწერა).

ცუდი შედარებაა, მაგრამ ფაქტია: გინდ ღორები შეგიშვია აბიბინებულ ბოსტანში, გინდ უცოდინარები და უზნეოები-ხელისუფლებაში. შედეგი ერთნაირი იქნება, და გამოსავალი ერთია: უნდა გამოდევნო ისინი იქედან, სადაც მათი ადგილი არ არის. სხვა საკითხია, როგორ?

მთელი შეიძლება დაშალო ნაწილებად, მაგრამ იგივე ნაწილებისაგან ისეთივე მთელის შექმნა, თითქმის შეუძლებლია. გაუფრთხილდით მთელს.

ფულს მსოფლიო აღვირით უჭირავს.

ასეთი პირადი ამბიციებით ეკონომიკაზე მსჯელობა არ ვარგა. რაც იყო ის არ განმეორდება. მთავარი მიზანია და ცდებისა და სინჯვების სერიები ხალხის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის. ჩვენი ეკონომიკის წარმატების საიდუმლოებები ქვეყნის ერთიანობაშია.

გული გაქვავდა, ჭკუა გამოტვინდა, სული დაბინძურდა, ხორცი აყვავილდა, სირცხვილი აიკრიფა, სინდისი დაიძირა, ზნეობა ტვირთად იქცა, სიყვარული სექსმა გააუპატიურა. სიკვდილმა ფარდა ასწია: დაღამება ტანჯული დღის დასასრულია, გათენება-მწუხარე დღის დაბადება. სიხარულისაგან სიცილით იხრჩობა ლუციფერი.

ნათესაობა ღმერთმა ნუ მოგვიშალოს, მაგრამ თუ საქმის ინტერესებიდან გამოვალთ, დავძლევთ ამ ავადმყოფობასაც. ტახტის უხეირო მემკვიდრეს ფიზიკურად იშორებდნენ ჩვენი წინაპრები, ვინაიდან იცოდნენ, რომ სამშობლო სიცოცხლეზე მეტია.

ვისაც ვიღაცის მიმართ გინება კრიტიკა ჰგონია, კრეტინია.

ხალხი მიტოვებულია, მას არა ჰყავს თავისი მეწინავე რაზმი, პასუხისმგებლური ელიტა. თუმცა იგი არსებობს.

2015 წლის 18 სექტემბერი, 8:54-ზე ·

საქართველოს ძარცვავენ მისი უღირსი შვილები უცხური ბანკების მეშვეობით, ხოლო განთლების სისტემა ათახსირებს და ალენჩებს გამოლენჩებულების ხელმძღვანელობით.

2015 წლის 15 სექტემბერი, 10:30-ზე ·

უბედურია გაუნათლებელი ადამიანი, უფრო უბედურია ის, რომელსაც უმაღლესი განათლების დიპლომი აქვს, მაგრამ თავში ხარახურა უყრია. ასეთები არმიას ქმნიან. ესენი საქართველოს ახალი პრობლემებია. უბედურება ზერელე განათლებას მოაქვს-თქვა კანტმა.

2015 წლის 14 სექტემბერი, 10:30-ზე ·

როგორი მორიდებით დადგა **14** სექტემბერი, რაღაც აკლია თუ მეჩვენება...მაგრამ ჟრიამული არ მესმის, ყიჟინა არ არის, მანქანები მომრავლდნენ სკოლების წინ. როგორ ჩუმად შემოვიდა ახალი სასწავლი წელიწადი ქუჩებზე მე რომ ყოველდღე გავდივარ.

ახლა დასავლურ ცივილიზაციას სოციალური და ზნეობრივი ღირებულებების დეგრადაციის ყველა ნიშანი აქვს, რომელმაც იმსხვერპლა ცივილიზაციები საერთოდ. ესაა უღმერთობა, ფულის რელიგია, გარყვნილება, რელიგიური სიწმინდეების მოშლა, სინდისისა და სიყვარულის შებღალვა, ჰედონიზმი, პასუხისმგებლობის უგულებელყოფა, ქალისა და კაცის უფლებების გათანაბრება, შობადობის ხელოვნური რეგულირება...ამ უხეიროებს რა უნდათ, საქართველო დასავლურ ცივილიზაციას საფლავში ჩავაყოლოთ?

4 SCIENCE ASSOCIATION

ორი მშვენიერი სიცოცხლე შემხვდა, აღშფოთებას ვერ მალავდნენ ერთი უხეიროს გამო. ასეა, როცა არაფერს გიმოწმებენ, სამსახურებრივ პასუხისმგებლობას არავინ გთხოვს, თავი გენიოსი გგონია, თავი, რომელშიც სერიოზული აზრი არასდროს არა თუ არ დადუღებულა, არც არასდროს დაიბადება 500 წელიწადიც რომ იცხოვროს ამ უზრდელმა. ეს კიდევ ცოტაა, ხვალ, ზეგ ტვინებს ტალახით შეთითხნიან, საუკეთესოებს დასცინებენ, აზროვნებით იმ საუკუნის 30-იანი წლების პლინტუსის ქვევით დარჩებიან. მდაბიო გონი ნიჭის მტერია.

ინფორმაციული მასივებიდან ძნელია მართალი და ნამდვილი სახეების გამორჩევა, მაგრამ უფრო ძნელია მისი გარდაქმნა მიზნად და მოქმედებად.

დარჩა მონატრება-დავუბრუნდეთ ველურ სამყაროს, ვინაიდან, სადაც ახლა ვართ, აქ არ უნდა ვყოფილიყავით.

არის სიკვდილი ღვთიური და არის სიკვდილი გამოძახება.

სიკვდილის დამარცხება მხოლოდ გარდაცვალებით შეიძლება.

გვერდით მეორე ადამიანის არსებობის აუცილებლობას ვერ ვგრძნობთ. ეს უკვე ეროვნული ტრაგედიაა. არადა: "უშენოოდ, დღე არ მზეობს, უშენოოდ, სიცოცხლე არ მინდა უშენოდ"!

შენ არ გწამს ღმერთი
იმ ერთადერთი სპეტაკი თეთრის,
ღრმა თავის ერთის და ყველა ერთზე მეტის და მეტის.
ის არის ერთი და მერე ყველა ქვეშმიწერილი არის იმ ერთის.

ჩვენ ახლა გვაქვს გახლეჩილი საქართველო: ერთ მხარესაა ინტელექტუალური ელიტა, დაცალკევებული, უფუნქციო; მეორე მხარეს ბოროტი, აგრესიული მასა, სამშობლოს აქტიური მტერი და გამყიდველი. უცეცხლოდ ვიწვით და სამშობლოს ბედი სასწორზე დევს. როგორ გავაერთიანოთ გაფანტული ეროვნული ენერგია?

დავბრუნდეთ მიტოვებულ სახლებში, გავათბოთ კერია. ერთად ავანთოთ კოცონი სიყვარულის. ჰოდა, ჩვენი მომრევი არავინ იქნება. "ჩავკიდოთ ერთმანეთს ხელი". მივუტევოთ, ვაპატიოთ, შევუნდოთ. ღმერთთან დავბრუნდეთ სულით. ვიცი ძნელია, მაგრამ სხვა გზა ტაძრისკენ არ მიდის. დანარჩენი ყველა გზა ეშმაკისეულია.

წევს სარეცელზე იმ საუკუნის ქუთაისის მე-9 სასუალო სკოლის ბაჯაღლო ოქროსმედალოსანი, ძველი სპოტრსმენი, აღიარებული მეცნიერი, ქართული ტექნიკური აზროვნების უბადლო, უანგარო მსახური, მსოფლიო დონის პროფესორი, და ცხოვრების საათებსა და წუთებს ითვლის; მაინც არ ეპუება სიბერეს, ავადმყოფობას და საქართველოს გადარჩენაზე აწყობს ფიქრებს; სიკვდილზე ფიქრისთვის არ სცალია. თითქმის ყოველდღე მირეკავს და რაღაცებზე მესაუბრება. მისი წიგნების თარგმნას მთხოვს. მოვასწარი, ინტერვიუ ჩამოვართვი. სულ მარტოა და მოსაუბრე უნდა. წარსული არ ასვენებს. იქედან იყურება. ყველას იხსენებს, მაგრამ არავის ახსოვს, განსაკუთრებით იმათ, რომლებიც, რომ არა ბატონი ნოდარი, უმაღლეს სამეცნიერო გრანდებს ვერ ეღირსებოდნენ კი არა, მოსკოვშიც ნამყოფიც არ იქმნებოდნენ. ბევრი მეცნიერების ხარისხს ვერ ეღირსებოდა, ბევრი უმაღლეს განათლებას ვერ მიიღებდა, ბევრი, ბევრი და ბევრი...რამ სიგრძე ყოფილა უმადურობა. დრო ჩართულია და ამქვეყნიურობის წუთებს ითვლის. გაწყვეტას მხოლოდ წამი აფიქსირებს. დიდებულია წამი, როგორც წერტილი.

რამდენიმე თვის წინ ვწერდი:" წევს სარეცელზე იმ საუკუნის ქუთაისის მე-9 საშუალო სკოლის ბაჯაღლო ოქროსმედალოსანი, ძველი სპოტრსმენი, აღიარებული მეცნიერი...დრო ჩართულია და ამქვეყნიურობის წუთებს ითვლის. გაწყვეტას მხოლოდ წამი აფიქსირებს. დიდებული წამი როგორც წერტილი".

ახლა გაჩნდა წერტილი და ბატონი ნოდარ ვალიშვილი მარადისობაში გარდაისახა. წავიდა დიდი მეცნიერი და თავის ქვეყნის ღირსეული მამულიშვილი. ნათელში ამყოფოს ღმერთმა.

ინსტიტუტის ფოიეში, დარბაზის შუაში ცოცხალ მიცვალებულს ცოცხალი მკვდრები გარშემო უვლიან. დასვენებული ცოცხალი მიცვალებულია, წრეს რომ უვლიან-ცოცხალი მკვდრები.

წამებად დარჩენილი სიცოცხლე შეწყდა. 8 აგვისტოს, ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ცნობილი მეცნიერი, ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის პირველი რექტორი, პროფესორი ნოდარ ვალიშვილი.

აქამდე ვერ იქცა საქართველოში ცოდნა ეკონომიკის მთავარ რესურსად. ერთმანეთს პირიდან აცლიან საჭმელს და ხლისტებივით ცხოვრობენ.

მილიარდერები და მილიონერები საქართველოს ვერ/არ ააშენებენ, ვინაიდან მსოფლიო ფინანსური იმპერიის ჯარისკაცები არიან.

ლიბერასტებმა გამოურეცხეს ტყვინი ადამიანებს. ყოველდღე იწერება, რომ სადღაც ვიღაცა დაიხრჩო, ვიღაც მაღლივი სართულიდან გადმოხტა, რაღაც ნიშნები მიუთითებს თქვენი სიკვდილისა და ავადმოფობის აუცილებლობაზე, თქვენი დაბადების წელიწადისა და თვის რიცხვის მიხედვით გატყობინებენ როდის გარდაიცვლები, გარყვნილება თურმე ჯანმრთელობის პირობაა, ოჯახი სადისტური ყოფაა, შენიშვნა-შეურაცხყოფა, სამშობლო-ანაქრონიზმი და დაბადების შემთხვევის ადგილი, თავაშვებულება-თავისუფლება, ხალხის ძარცვა-ჩვეულებრივი საქმიანობა... მიზანი მიღწეულია: შიში, უნდობლობა, უიმედობა, იზოლირებული ინდივიდუალიზმი, რწმენის დაცემა, სულიერი სიღატაკე.

თავშეკავებაც თავისუფალს შეუძლია. თავაწყვეტილისთვის საზღვარი არ არსებობს.

დააწერეთ თქვენს სახლს ან სადმე რომელიმე ბინას: ჰარვადის უნივერსიტეტი, მაკედონიის აკადემია, რუმინეთის კოლეჯი და გაივსება მსურველებით. ამ აზროვნების ხალხით აშენდება ქვეყნა? “გშორდები რადგან მომენატრა შეხვედრა შენთან".

ო, რა დრო დაუდგა უსირცხვილოებს, ხელიდან წასულებს, უნიჭოებს, უცოდინარებს. სულ წინა პლანზეა არიან; ხალხი შიმშილით კვდება, ესენი სადაც კი წამოიპლაკებინ, დაასურათებენ და მერე იმ ფოტოებით ინტერნეტიდან გვეჭყანებიან, თურმე მომავალი მაგათია... ცხოვრება ქარის ქროლვაა-გადაფერთხავს, გადარეცხავს, მიამარხავს, საფლავებიდანაც გადაშლის; ცუდი ის არის, რომ ეს უბედურებიც ჩვენი ცხოვრების მონაწილეები არიან.

25 წელიწადი იმღვრევა ქართული სული და იწერება ისტორიის ბინძური ფურცლები. რამსისქე გამოვიდა ეს წიგნი!

კარგია ჰუმანიზმი, მაგრამ ისევ კლასობრივი დაპირისპირების სივრცეში მოვექეცით, საიდანაც უსისხლოდ ვერ გამოვალთ. საიდანაც გავიქეცით, ისევ იქა ვართ.

ზნედაცემული, უტიფარი, უსირცხვილო, ავარდნილი უნიფხვო ბებერი ფაშატი, სიბინძურის დანალექი, თხემიდან ტერფამდე ბოროტი, უკადრისობის უკიდურესი მკადრებელი, ორფეხა ფუნაგორია...რამდენი ხანია ვფიქრობ და ამ ბნელ ბოროტებას სახელი ვერ მოვუძებნე.

თუ ვინმესგან რაიმე უბედურება გჭირს, ეს არა იმდენად მისი, რამდენადაც შენი უძლურების და გონებრივი სისუსტის ბრალია.

თუ საზოგადოებას ქრთამის მოთხოვნილება აქვს, ვერანაირი ძალისმიერი სტრუქტურა მას ვერ მოერევა.

იმისი შიში თუ არ გაქვს, რასაც წერ, შეიძლება წლების შემდეგ სისულელე იყოს, არ უნდა წერო. შიში შეიქმს...

გონებრივი სიბრმავეც გვარიანი ავადმყოფობაა: შენს გვერდით მყოფ უკეთესს ვერ ამჩნევ.

ASSOCIATION SCIENC

უცოდინარობა ორნაირია: როცა არ იცი და როცა იცი ის, რაც ცოდნა არ არის.

ინტერნეტი სარკეა, რომელშიც ვიხედებით. ჩვენ ინტერნეტის სარკე ვართ და ჩვენშიაც იხედებიან.

ადამიანები ღმერთის ქმნილებები არიან, რომლებიც ბანკებმა თავიანთ მონებად აქციეს. მსოფლიო თავუკუღმა დგას.

იცოდე შენს გვერდით მყოფი ადამიანის ფასი, რომელიც შეიძლება შენი ერთადერთი ბედნიერებაა, ხოლო დანარჩენი ხორციელი თრიაქია მხოლოდ.

სისხამი დილა ქუთაისის. აკაკის ბაღიდან შენი მაისის ვარდისფერი შემოფეთება. თბილი ამბორი. შენი კომპლიმენტის ელვის ნაპეწკლებში დატყვევება. უცბად მომსკდარი ნიაღვარი თვალებიდან. სწრაფი განშორება. რამდენიმე ნაბიჯი შენსკენ...ვიგრძენი შენი ლამაზი სულის სიმებზე თბილი და სუფთა თითების შეხების მონატრება, მელოდია შენი შემოქმედებითი სულის აკომპანიმენტად მარადისობამდე. ბობოქარი სული თავისას ეძებს.
დაგხატე ისე, როგორც შენ ხატავ?

ყოველ დღე ორფეხა საქონელს ვხვდები და უნებლიედ ინთება აზრი: ხუთვარსკვლავიანი უზრდელი.

შიგნიდან გავიდა და ვეღარ ბრუნდება. არა და, გარედან ისეთია, როგორიც შიგნიდან იყო, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ქიმიურ კოსმეტიკას.

შენს სახლში უცხოელი თუ გაგიშინაურდა, მერე შენ იქნები იმ სახლში უცხოელი და იგი-შინაური. კარგად თქვა ბრძენმა ქართველმა: სადაც მიხვალ იქაური ქუდი დაიხურე. არ უთქვამს, ვინც შემოვიდა იმისი ქუდი დაიხურეო. აბა!

უზნეობა მუხრუჭების მოშლას ჰგავს, მერე მიდი და მიდი, მიდიხარ და მიჰქრიხარ, ვიდრე კედელს არ შეასკდები. მანადე ყველაფერი სწორი გგონია. ჩვენ კედლებზე შესკდომა გვაკლია?

ენა კი არა, ტვინია ბინძური, ეკოლოგიურად დანაგვიანებული.

მიმიქარავს ღორი, თუკი ადამიანი უკვე ღორია.

საქართველოს აღორძინება იოლია, ვინაიდან შესაძლებელია, მაგრამ ძალიან ძნელია იმიტომ, რომ არ გვინდა და სხვებსაც ხელებს ვუგრიხავთ.

მიტაცება, მოხვეჭა, სმა-ჭამაზე გადაგება მასობრივი ვირუსია, რომელიც კაცობრიობას შეჰყარეს. ამისი ვაქცინაცია ძალიან დიდ დროს წაიღებს ან თან გადაგვიყოლებს.

25 წელიწადი ვანგრიეთ ზნეობა და სიყვარული. ახლა უზნეობიდან და სიძულვილიდან, მარტოობიდან სიყვარულში, ზნეობის წმიდა სივრცეში, ქვეყნიდან სამშობლოში დაბრუნება მსხვერპლის გარეშე შეუძლებელია. რამდენი ცრემლისა და სისხლის ჩამობანა მოუწევს ამ ტანჯულ საცხოვრისს.

დაეცა სული, ამყრალდა ხორციელი ჭურჭლები, და სიმდიდრედ იქცა. კაცი კაცს არ ჰგავს და ქალი-ქალს. თუ არ დაარისხა უფალმა ზარები, ისე გავქრებით, როგორც სანთლები ქროლვისას ქარის და წავიშლებით როგორც ნაკაწრი ჯანსაღ სხეულზე. რატომ არ იხედები უკან, წარსულისაკენ?

ტრაგედიაა იყო შტერი, უფრო დიდი ტრაგედიაა არ იცოდე შტერი რომ ხარ და თავი ჭკვიანი გგონია.

ბავშვობა გამახსენდა: სოფელში, არდადეგების დროს, როცა ყველაფერს ივლის-აგვისტოს გახელებული მზის სიცხე სუნთქვას უჭერდა, ჩვენ ჩრდილებს ხეებისას ვეფარებოდით, უმრავლესობას თან ჰქონდა წიგნები-ზოგს მხატვრული, ზოგს სასიყვარულო რომანებისა და თავგადასვლებისა...ათი წელიწადია

ASSOCIATION SCIENC

ახლა იმ ხეების ჩრდილში მარტო ვარ და არასდროს მინახავს წიგნიანი გოგო და ბიჭი. აი, წინსვლა და ოპტიმიზმი!

ვინც გიყვარს, იმისი მიტოვება არ შეიძლება, არც სამი თვით არც სამი კვირით, სამი დღითაც კი.

ქვეყანას სულ სხვა სახის განათლების სისტემა სჭირდება. ეროვნული ენერგია იცლება, არ გვესმის, რომ ქვეყანა მთლიანი უნდა იყოს სულიერად და ეროვნულად, არც ის გვინდა გავიგოთ, რომ გვატყვილებენ და ხიზნებად და მონებად გვაქცევენ. შუაზე ვართ გაყოფილი და მსოფლიოს მტრის საქმეს ვაკეთებთ-ყველაფერს ვყიდით და ერთმანეთს ვჭამთ და ვხოცავთ. შევჩერდეთ, ერის კაცებს მოვუსმინოთ, წარსული არ დავივიწყოთ...დიდი ყურადღების დროა, კატასტროფის წინაშე ვართ.

საქართველო საბედისწერო სასწორზე ძევს; ეს უმსხვერპლოდ არ ჩაივლის.

ეკონომიკურმა სიბეცემ ეკონომიკურ კატასტროფობამდე მიგვყვანა, ხელისუფლება ზომბირებულია მისი ქვეყნის მარცვაზე. ხალხის ცხოვრება არც აინტერესებს.

ქართველი ერის ხსნა მხოლოდ მართლმადიდებლობას შეუძლია, რომელსაც დასავლეთის დაუძლურებულ კათოლიციზმთან შედარებით აბსოლუტური უპირატესობა აქვს, მაგრამ ეს მაინც არ არის თვითრეალიზაციის გარანტია, ვინაიდან ფინანსური იმპერია მისი ძლევამოსილების ზენიტშია, რომელსაც მხარს უჭერს ქართულგვარებიანი ლიბერასტულად აღზრდილი სახელისუფლო ვასალები. ბევრი მათგანი იმათი მომხრე და მხარდამჭერია, რომლებმაც აღზარდეს. ასევე, ბევრი კიდევ, ფულზე დახარბებულია და სამშობლო მისთვის მხოლოდ გამდიდრების საშუალებაა....

ეს მერამდენედ გამოვედი და ისევ იმ გზაზე ვარ, ეს გზა ისევ შენთან მომიყვანს?

გამყიდველობისაგან მეორე საშინელი დანაკარგი გახდა ხელისუფლებისადმი ხალხის ნდობის დაკარგვა. ბიზანტიელები თავზარდაცემული იყვნენ მათი უმაღლესი ფასეულობის-მართლმადიდებლობის გამცემლობისაგან. ბიზანტიელთა არსებობამ აზრი დაკარგა. ეს იყო უკანასკნელი და მთავარი, რამაც დაშალა ქვეყანა. ადრინდელი ცხოვრების წყურვილის და ენერგიული მოქმედების ნაცვლად მოვიდა აპათია და დაღლილობა. ხალხს მოწყინდა ცხოვრება...ეს საშინელება ხანდახან ემართება ისტორიას...

მარტო ჰაერი კი არა, ენაც ეკოლოგიურად ბინძურია.

როცა ქვეყნის სატირალი სასაცილოდ მიაჩნიათ, მაშინ მართლა ნამეტანი ცუდად არის საქმე.

კი, აქედან მიწას არავინ გაიტანს. მაგრამ ფეხს დაადგამს და იქედან ადგილს არ მოიცვლის.

მართლმადიდებლობა მარადიულ ჭეშმარიტებას ქადაგებს და ადამიანს ნამდვილი ცხოვრებისთვის ამზადებს, რომელიც სხვებისთვის სამსახური და თავდადებაა. ამიტომ ვერ იტანს მას მიწაზე მოსიარულე ზნედაცემულობა-ლუციფერი. მართლმადიდებელი ქართველი კაცი ყოველგვარ მატერიალურზე ამაღლებულია. ამიტომ არის მასში უმთავრესი სულის სიმაღლე და როცა იგი მას ჰკრგავს, ქართული იდენტურობაც ხელიდან ეცლება.

არ მინდოდა ამისი დაწერა, მაგრამ აუდიტორიიდან დავბრუნდი უჟმურ ხასიათზე: რამდენი დაგვიკარგავს-რისი პოზია, რისი სამშობლოს ისტორია, რა მართლმადიდებლობა. არა მარტო არ იციან, არც აინტერესებთ; ფულმა გადაგვიარა.

სულ რაღაც 25 წელიწადში ქართველობა მთელ მსოფლიოში ებრაელებივით გაიფანტა. თუკი ებრაელობა ორგანული მთელიდან გაიფანტა და მას ცენტრისკენული მისწრაფება თან გაჰყვა, რომელიც თვითოეულ

ებრაელს საუკუნეები ეწეოდა გაფანტვის ადგილის დედისაკენ, ქართველობა არაორგანული მთლიანობიდან გაიფანტა და მას ცენტრისკენული მისწრაფების მთლიანი ნაციონალური ენერგია არა აქვს, მითუმეტეს, რომ იგი ეკლესიურად ერთიანი რამდენიმე თაობა არ ყოფილა. ეს პროცესი ახლა იწყება საზღვარგარეთის ქვეყნებში ქართული მართლმადიდებლური ეკლესიების მეშვეობით. ნაწყვეტი ჩემი ნაშრომიდან''უზნეობიდან ეკონომიკურ კატასტროფამდე''.

წლები სიმდიდრეა, თუკი მას სიბრძნე ახლავს.

აზრის უპატივცემულობამ გაიმარჯვა. ყველა ყველაფერზე ლაპარაკობს და საერთოდ არ აინტერესებს რამდენად მართალია იგი.

როცა ჩვენს ყოფას გვერდიდან შეხედავ, ცეცხლი წაგეკიდება: რამდენი უნიჭიერესი, ტალანტი და მაღალი კვალიფიკაციის ადამიანი მოწყვეტილია საერო საქმეს და ხელისუფლება უნიჭო გონებას უპყრია.

გუშინწინ, გამოპრანჭულმა ტელე-''ექსპერტმა'' დაგვმოძღვრა: მართლა სტალინის ეპოქაში ხომ არ უნდა დავბრუნდეთო. როგორც ჩანს, ამას სტალინი დახუნდარა ჰგონია, ხოლო ეპოქაში დაბრუნება-შესაძლებელი. აქ სიმპატია-ანტიპათიაზე, სიყვარულზე და სიძულვილზე კი არ არის საუბარი, არამედ უცოდინარობაზე. ამნაირი ''აზროვნების'' ხალხი რომ გამოვჩიმეთ წინ, იმიტომ მიდის საქმე უკან-უკან. განათლება ჯერ დაანგრიეს და ბიზნეს-კანტორად აქციეს, ახლა ყველაფერს იწუნებენ ''რწყილი და ჭიანჭველადან''''ვეფხისტყაოსნამდე''. გალაკტიონს თურმე ის არ სცოდნია, რომ მთაწმინდას თავისი მთვარე არა აქვს. ამაზე გაცინება არ შეიძლება, ეს ტრგედიაა: აზროვნება ირყვნება და ჩვენც სასტიკ ჟამს ვუახლოვდებით.

ASSOCIATION SCIENCE

მილოცვა დაღლილია, სურვილი დაცემული, რომელსაც მაისის სადარი მარტის ბრდღვიალა დღე, გათეთრებული ტყემალი, ბუჩქის ძირებში ამოყელყელავებული კვარაკუნჩხები, მორცხვი იები და გადაღეღილი ფურისულები ვერაფერს მატებენ თითქოს. გაზაფხული შემოვიდა, მაგრამ ქვეყნიდან წასული დედები, დეიდები, მამიდები, ბიცოლები და ტანაყრილი ქალწულები ჯერ ვერ ბრუნდებიან. აქეთ დარჩენილ ქალებსაც თვალები მოქცევიათ მოლოდინში. როდის ან როგორ დაბრუნდებიან? ქუჩებს აკლია ღიმილი ქალის, უქალო სახლებიც და საერთოდ ყველა ერთად ჩუმად არის. მარტი ქალების გამოწვევაა სიყვარულის გამოძახებაზე.

შენ ისევ მოხვედი, კიდევ კარგი რომ შენ თვითონ მოდიხარ, თორემ ამათი მოსაყვანი რომ იყო, დაგაპატიმრებდნენ ჩვენი გულისთვის, განა ფაშისტებმა ტყვეებს გვირილები არ მოუცელეს, რომ არ ესიამოვნათ? მართლა ნანატრი ხარ ამსიგრძე ზამთრის შემდეგ. ჰუ, არ შეგშინებია, და უკვე ამოწვერილია იები, კვარკუნჩხები და ფურისულები. მალე სულ გააწყობ მიწის გულისპირს. შენ ხომ ფერები გიყვარს და ტყლემლის გათეთრება და ატმის აფეთქება. გმადლობ. ყველას, განსაკუთრებით ქალებს, გილოცავთ გაზაფხულის თვალის გახელას.

იყო კი ოდესმე ასეთი ბინძური, საქართველო?

თოვს! ქუთაისში ყველაფერი ერთი ფერია და ამ იანვარს დავემსგავსე როგორც ფერია; მე რომ მიყვარდი, იმ სიყვარულს რა შეედრება, სიყვარული ხომ ფერთა შორის-ფერთა ფერია!

ჰო, მიპატიებია ყველაფერი–ღალატი, უსინდისობა, ბილწსიტყვაობა, უზრდელობა, უპატივეცემულობა...გიშველის კი? შენ სიცოცხლის შეცდომა ხარ! ძნელია ზნედაცემულობიდან დაბადება. ხომ ხედავ ვეღარ გშველი. უსაშველობა გჭირს.

ჰო, მოდიხარ. საათებს ვითვლით. აკი წარმავალმა წელიწადმა ზუსტად აღასრულა, რაც ერქვა-მაიმუნობამ ზენიტს მიაღწია. რაკი ქართველები წამხედურობაში მაიმუნს ვსჯობნივართ, მაიმუნობა არ

შეგვირცხვენია: ყველა ჯიშის მაიმუნს ვაჯობეთ. ახლა მამალი მოდიხარ, რომ იყივლო და დროზე გაიღვიძოს ქართულმა ჩაძინებამ. გათენებას დავასწროთ, ყვინჩილა ყვინჩილად გაიზარდოს და ვარიკა-ვარიკად. მოუქოთქოთოთ ეზო-კარს, ერდოზე ავიდეთ, დედლებმა წიწილებს მიხედონ. დეზებიანო მამალო, მოდი, შემობრძანდი, პეშვით მოგართმევთ საკენკს, წყალს მოგაპკურებთ. ბედნიერი იყო შენი მობრძანება.

ყველას გილოცავ, ფეხზე აბძანდით, დეზებიანი წელიწადი მოდის!

მიდიხარ ჰო! წადი, ახლა დღეებს კი არა, საათებს ვითვლი. ანდა, რა შენი ბრალია, რომ ქვეყანა და ხალხი არ გვიყვარს, მაგრამ ეს სიძულვილი და ავადმყოფობა შენზე გამოწერილი საავადმყოფო ფურცელია. შენც ჩვენი უხეირობის გამო დაისაჯე. ასე და ასე იყო 2016-სო-იტყვიან მერე , გვაპატიე. მადლობა ყველა ჩვენთაგანისაგან, ვინც ახალ წელს ისევ იმედებით შევხვდებით; ხომ ვცოცხლობთ, ხომ ვართ, ხომ ისევ ჩავიმუხლებით ახალი იმედებით. მადლობა, შე მართლა ძველო და წვერებიანო.

ბავშვობის პირველი სექტემბრის მონატრება: ხმაურიანი ქუჩები, მანქანების რიგი, ტრანსპორტი ხალხით გაჭედილი და გოგო-ბიჭების ჟრიამულით სავსე; მილოცვა-მოლოცვა. ტკაცა-ტკუცი მონატრებული კოცნასაგან. ახალი ტანსაცმლის სურნელება. ყვავილების ნიაღვარი. პირველი ზარი. სწავლა დაიწყო.

ცარცით დაწერილს ჰგავხარ, სულის შებერვით იშლები.

ჩვენ, ხშირად ადამიანში, გვინდა დავინახოთ ის, რაც მასში არ არსებობს და არც არასდროს იქნება. კი, ეს შენი კარგი თვისებაა,მაგრამ მაინც ადამიანური ნაკლია. ბოგანოს, რანაირ კეთილდღეობაში არ უნდა ამყოფო, მაინც ნეხვისკენ მიარბენინებს გული. რისი ღირსიცაა, იქეთ მიილტვის.

ხალხი სხვადასხვა განათლების, ზნეობის, პოლიტიკური შეგნების, შეხედულებების, ხასიათის, მიდრეკილებების, კეთილისა და უკეთურის, მოყვარე და მტრული ადამიანების რაოდენობრიობაა. ხელისუფლებას აკისრია პასუხისმგებლობა გზა გაუხსნას ნიჭს, გასაქანი მისცეს ცოდნას, უმთავრეს ამოცანად ჰქონდეს ადამიანის კეთილდღეობა, გაუძღვეს ქვეყნის მომავალს...ვერ იქნა და ვერ გავიდა ნიჭი და ტალანტი, ეროვნული პასუხისმგებლობა სამშობლოს მეთაურად.(13მაისი, 2018. თბილისში არეულობაა. აღვირახსნილობა ზეიმობს. ახალგაზრდობა იღუპება).

დეცემა ბევრნაირია. სულის დაცემა ცხოვრების ფსკერზე დალექვაა. აი, რა არის ერის უბედურება.

ნანა, ოი, ნანა

ჩალაურა. მოძრაობა ცნობილი მარშრუტით: ლიანდაგის ქუჩა 50-ე სკოლა რკინიგზის ფეხით გავლით და პირუკუ. მოძრავი სიცოცხლე-ქალი მშვენიერი, ტანით კენარი, თმები ჩამოშლილი-ხშირად წაბლისფრად შეღებილი. სახე გრძელი და ალისფრად აფერილი. თვალები ვიწრო და ეშმაკურად მომღიმარი. მკერდსავსე, უმეტესად კაბა დეკოლტეთი. მზერა ყოველდღიური ქურდულად გადევნებული ნაცნობისა და უცნობისა, შორეულისა და ახლობლისა.

ახლა?

აყრილან ქალები, დედები, ცოლები, ქალიშვილები დეიდები, ბებიები და გაქცევიან ქვეყანას ვინ სარჩო-საგებლის შესაძენად, ვინ სასამელ-საჭმლის გამოსაგზავნად, ვინ რაღაცებისთვის, ვინ კიდევ ღმერთმა უწყის რისთვის. ოჯახებს მოსჭარბებიან ლონდრო კაცები და უსაქმური ბიჭები; შორეულიდან საშოვნელის მოლოდინში მთქნარება მორევიათ. ნუთუ საბოლოოდ გაგვიმეტა არსთა გამრიგემ, ხომ არ მოყირჭდა ჩვენი სიტლანქე და გაუბედაობა. არადა, როდის იყო ქალები საშოვარზე დადიოდნენ და კაცები ლოგინში გორაობდნენ, ღამ-ღამობით სიზმრებს ნახულობდნენ უდედმამო ბიჭებივით-დედიკო ჩამოვა, ჩამომიტანს ტყავეულს და ფეხსაცმელს, ქურთუკებს; ალბათ სახლის შესაძენ ფულსაც მოაყოლებს. იყო, კი, დრო კაცებს რომ სხვისი ლამაზმანი წყალზე გასაგზავნადაც არ ემეტებოდათ.

„ჩემი რომ იყო ლამაზო,

არ მოგიცილებ თვალზედა“.

სარჩო და საგები კი არა, იყიდონ ქალებმა ცხენის ძუები, გადასკვნან მათრახებად, დაბრუნდნენ სახლებში, გამოიყვანონ კაცები, უტკაცუნონ ძუის მათრახები, იქნებ შეფხიზლდეს უსაქმურობისაგან

დავრდომილი სხეულები, ამომრავდეს გაყინული თავები, და არც ერთი ქალი საშოვნელად არ გადავარდეს უცხო მხარეს.

ნეტავი რა უნდა მოიტანოს ქალმა იმისი ფასი, რა სითბოც ოჯახს მისი წასვლით დააკლდება. კაცი თუ გავა, დაბრუნდება და გიზგიზა ცეცხლს მოიტანს და წყენაც და მონატრების ტკივილები იმ წუთში გაივლის. ქალი სხვაა, წავა და რა ცეცხლსაც წაიღებს, უკან ვერასდროს მოიტანს-ქალია და იმიტომ. ქალი დროს მიყვება და უკან დაბრუნება ძალიან უჭირს. დიდი სიყვარული ყოველთვის გვერდით დგას.

რამდენ ქალაქს, ოჯახსა და ქუჩას აკლია ქალის სითბო, ღიმილი, ფეხის ხმა, კისკისი. რამდენი ღიმილი გამხდარა გულის და თვალის სანატრელი, ლამაზად მოსაგონარი. რამდენ ბიჭს უძილობით უთენდება ღამე, დედას უნდა გაენდოს. სხვისთვის გათქმა არ შეუძლია.

ჩალაურა. მომრაობა რკინიგზის გავლით და პირუკუ. ის ქალი კიდევ არ ჩანს.

ნანა, ოი, ნანა!

თუ ცხოვრების პრინციპები შეგეშალა, გზას აცდენილხარ. გზასაცდენილი სახლში ძალიან გვიან ან საერთოდ ვერ დაბრუნდეს.

როცა შენი სახლი შეგზარდება თუ შეგაზარებენ და ევროპული სახლისკენ გაგექცევა თვალი, ვერც იმ ვირტუალურ სახლში იპოვი ადგილს და ვერც მამაპაპისეულ სახლში დაბრუნდები-იქ უკვე სხვისი კერია იქნება ანთებული.

სიყვარული, სინდისი და სირცხვილი ზნეობრივი ცხოვრების პარტერის წინა რიგიდან ქანდარაზე გადასვეს. ვაი, თუ იქედან გარეთ გაგდებას უპირებენ. ჩვენ შევძლებთ დავიტიოთ ისინი?

დღები მოდიან, კი არ მიდიან. ამიტომ არის სიცოცხლე ტკბილი და დაუხარჯავი, ამოუწურავი. სიკვდილს სიცოცხლის სიყვარული მიაქვს. ამის გამოა სიკვდილი ტრაგედია. მარადისობა? ეს უკვე სხვა საკითხია.

ტრაგედია იწყება მაშინ, როცა გგონია, რომ შენი აზრი ყველაზე სწორია. ყველაფერი შენი ფიქრი აბსოლუტურად მართალია.

ძაღლს რომ აყეფებ კატად, სახლი დარჩება თაგვებს.

გათრიეს, ფეხქვეშ გაგიგეს, გაგუპატიურეს, გაგაბახეს, ვეღარ გაიგე, რომ ხელსახოცი ხარ?

ნუთუ ყველაფერი ქაღალდის ცეცხლივით აბრიალდება. სადღაა ნაღვერდალი ან ნაცარი. ფერფლიდან სფინქსი ისევ აფრინდება? წმინდა ბერი გაბრიელის წინასწარმეტყველება აღვიძებს რწმენას და იმედებს.

სიყვარულის მატარებელი შემოდის პირველ ლიანდაგზე. კაცთმოძულეებო გაათავისუფლეთ ბაქანი.

ASSOCIATION 4SCIENC

სარჩევი

შესავალი----------

ეკონომიკის მიტაცების ასპექტები
ხელისუფლების ეკონომიკური მოსყიდვა----------
ეკონომიკური გადაღლილობა----------
ეკონომიკური გენოციდი საქართველოში----------
ეკონომიკაზე ფიქრი თუ ქვეყნის ძარცვა----------
საქართველო აგონიალიბერალური ეკონომიკის კვალზე
ეკონომიკური აზროვნება ლუციფერის ტყვეობაში
სპეკულაცია მონეტის ორი მხრიდან----------
არა მხოლოდ ეკონომიკური პროფანაცია----------
ფულის რელიგიის ეკონომიკური კატასტროფები----------
ეკონომიკური კატასტროფისაკენ----------
მოპარული ეკონომიკის ეროვნულ სივრცეში დაბრუნების შესაძლებლობები
ეკონომიკური არჩევანი----------
ქართული ეკონომიკის ბალავარი----------
განათლების ეროვნული ხასიათი----------
საქართველოს არაეროვნული ხელისუფლების შეცვლის ეკონომიკური მიდგომები-
ორიენტაცია კრეატიულ ეკონომიკაზე----------
დასკვნა----------
დანართი. საქართველოს ეკონომიკის თანამედროვე პრობლემები ნიკო ნიკოლაძის შრომაში ”მამულის სიყვარული და მსახურება”----------
დანართი. ნიკო ნიკოლაძის ევროპელობა----------
დანართი. ქუთაისის კრეატიული ეკონომიკური შესაძლებლობები და მისი რეალიზაციის ძირითადი მიმართულებები----------
დანართი. ინტერვიუ ჟურნალისტ ნანა რობაქიძესთან ტელეკომპანია „რიონში“ საქართველოს ახალი მოწვევის პარლამენტის გახსნისადმი მიძღვნილ გადაცემაში.
დანართი. მტანჯველი აზრები----------

ASSOCIATION SCIENC

ASSOCIATION SCIENC
ასოციაცია მეცნიერებისთვის